ვალერიან მაჭარაძე

ასპინძის ბრძოლა

სახელგამი
19 თბილისი 57

ᲐᲒᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ

საქართველოს არა ერთი მძვინვარე აგრესორი უნახავს, მაგრამ თურქ დამპყრობთა ბარბაროსული ბატონობის დამღუპველ შედეგებთან, ალბათ, შაჰ-აბასის ველური ურდოების სისხლიანი საქმეებიც კი დაიჩრდილება. ამიტომ ქართველი ხალხის ბრძოლა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ შეუპოვრობითა და თავგანწირულობით ხასიათდებოდა.

წინამდებარე მონოგრაფიის მიზანია გააშუქოს ქართლ-კახეთის ბრძოლა თურქ დამპყრობთა წინაალმდეგ სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის, რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომის პერიოდში, რომლის ყველაზე ბრწყინვალე ეპიზოდიც ასპინძის ბრძოლა იყო.

მართალია, ნარკვევის ძირითად თემას ასპინძის ბრძოლა წარმოადგენს, მაგრამ იგი თვითკმარი და განცალკევებული მოვლენა კი არა, რუსეთ-თურქეთის ომისა და თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლის შემადგენელი ნაწილია და ამ მოვლენებთან კავშირის გარეშე მისი გაშუქება შეუძლებლად მიმაჩნია. ამიტომ აღნიშნულ საკითხებს ნარკვევში სათანადო ადგილი დაეთმო. ამასთან, რამდენადაც ასპინძის ბრძოლა რუსეთთან კავშირს მოყვა, ხოლო ტოტლებენის ავანტურისტულმა ნაბიჯებმა რუსეთთან ურთიერთობასაც ჩრდილი მიაყენა და ასპინძის ომის შედეგებიც არარად აქცია, საჭიროდ ვცანი რუსეთთან ურთიერთობის საკითხები წინაპლანზე წამომეწია.

ასპინძის ბრძოლის ისტორიით არა ერთი მკვლევარი დაინტერესებულა, მაგრამ იგი სპეციალური კვლევის საგნად დღემდე არავის გაუხდია და მონოგრაფია, რომელსაც პრეტენზია ჰქონდეს რამდენადმე სრულყოფილად წარმოადგინოს ქართველი ხალხის გმირული ისტორიის ეს შესანიშნავი ეპიზოდი, არ არსებობს.

ქართველი ხალხის დიდი ინტერესი თავისი გმირული წარსულისადმი ამოძრავებდა ავტორს, როცა კვლევის საგნად ესპინძის ბრძოლის ისტორია გაიხადა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეამთა სიავის გამო ქართული წყაროების დიდი ნაწილი ვანადგურებულია ან ჯერ კიდევ არ არის მიკვლეული, რაც სერიოზულ სიძნელეებს ქმნის ქართველი ხალხის გმირული ისტორიის შესწავლის საქმეში, რასაც არ შეიძლებოდა თავისი დაღი არ დაემჩნია წინამდებარე ნაშრომისათვის.

წარმოდგენილ ნაშრომს პრეტენზია არა აქვს სრულყოფილად გააშუქოს ესპინძის ბრძოლის ისტორია. ავტორი ყველა სამართლიან შენიშვნას კმაყოფილებით მიიღებს.



თ ა ვ ი I

აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა რუსეთ-თურქეთის ომის წინ

XVIII საუკუნის შუახანებისათვის საქართველო სამეფო-საკთავროებად იყო დაქუცმაცებული. ქვეყნის აღმ. ნაწილში არსებობდნენ ქართლისა და კახეთის სამეფოები, რომლებიც ირანის პოლიტიკურ გავლენას ექვემდებარებოდნენ, ხოლო მის დასავლეთ ნაწილში—იმერეთის სამეფო და მისგან ფაქტიურად დამოუკიდებელი გურიისა და სამეგრელოს სამთავროები, რომლებიც თურქეთის ბატონობის მძიმე უღელქვეშ გმინავდნენ. რაც შეეხება ქვეყნის სამხრეთ დასავლეთს—იგი ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ჩამოგლიჯა თურქეთმა დედასამშობლოს და მის ძალდატანებით გათათრებას შეუდგა. თურქეთმა მესხეთში შექმნა ახალციხის თურქული საფაშო, რომელიც საქართველოში თურქეთის აგრესიის უმთავრეს პლაცდარმს წარმოადგენდა. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლიც მტერს ეკავა და დასავლეთ საქართველოს საბოლოოდ დაპყრობისათვის ამ მიმართულებითაც გზას იკაფავდა.

საქართველოს ასეთი დაძაბუნება განაპირობა, ერთის მხრივ, ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებმა—ფეოდალთა სეპარატიზმის გაძლიერებამ, ხოლო მეორეს მხრივ, XV საუკუნის ბოლოდან გარეშე მტრების (თურქეთი, ირანი, ლეკები) ინტენსიურმა დაწოლამ. გარდა ამისა, ქვეყანა, იმის გამო, რომ თურქეთი შავი ზღვის სრუტეებსა და ბალკანეთში გაბატონდა, მოწყვეტილი აღმოჩნდა კულტურულ დასავლეთთან ეკონომიურ კავშირს. მართალია, XV საუკუნის ბოლოდან ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთით მონღოლთა უღლისაგან განთავისუფლებული ახალგაზრ-

და რუსეთი სერიოზულ ძალად იქცეოდა, რაც ქართველ პოლიტიკოსებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ, მაგრამ მაშინ საქართველოს რუსეთისაგან ოქროს ურდოს ნაშთები—ყირიმის, ასტრახანისა და ყაზანის სახანოები—თიშავდნენ და რუსეთთან კავშირის დამყარებას შეუძლებელს ხდიდნენ, ხოლო როცა რუსეთმა ვოლგის აუზში თათრულ სახანოებს ბოლო მოუღო და თერგზე გამოვიდა, შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილსა და ქვემო დონზე გაბატონებულმა თურქებმა (სავასალო ყირიმის მეშვეობით) ჩრდილო კავკასიის გზებიც გადაკრა და 200 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ამ მიმართულებითაც გზას გეიხშობდა. აზერბაიჯანში დამკვიდრებულმა ირანმაც დერბენდის გზა ჩაჰკეტა. ამრიგად, საქართველო ძლიერი მაჰმადიანური ქვეყნების გარემოცვაში აღმოჩნდა. ისინი სამი საუკუნის მანძილზე განუწყვეტლივ ეესხმოდნენ თავს საქართველოს და მის წინააღმდეგ აქეზებდნენ დაღესტნელ ფეოდალებსაც.

/ ორი მოძალადის—თურქეთისა და ირანის—ინტენსიურმა შემოსევებმა, გამუდმებულმა „ლეკიანობამ" და დაუსრულებელმა შინაფეოდალურმა ომებმა მკვეთრად შეამცირა მოსახლეობის რიცხვი[1], დასცა მეურნეობა, კულტურა და ყოველივე ამან ქვეყანა ისე დააძაბუნა, რომ მას საკუთარი ძალებით თავდაცვის გაგრძელება თითქმის აღარ შეეძლო. /

ასე წარმოგვიდგება საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის საერთო სურათი XVIII საუკ. პირველი ნახევრისათვის.

XVIII საუკ. 20-იან წლებში ქართველ პოლიტიკოსებს რუსეთის იმპერია ისეთ ძალად ეჩვენებოდათ, რომელიც ირანს საბოლოოდ გააძევებდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან, ამიტომ პეტრე I მოწოდებისთანავე ვახტანგ VI უყოყმანოდ დადგა რუსეთის მხარეზე, მაგრამ რუსეთმა იმ დროს საქართველოს საპირო დახმარება ვერ აღმოუჩინა და ვახტანგ VI პოლიტიკამ მარცხი განიცადა. ქართლში ოსმალები გაბატონდნენ. ოსმალები 30-იან წლებიდან ყიზილბაშებმა შეცვალეს, მაგრამ აგრესორებმა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი წელში ვერ გატეხეს და იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ. 1744 წელს ნადირშაჰმა კახეთის მეფე თეიმურაზ II ქართლის მეფედ დანიშნა, ხოლო მისი შვილი ერეკლე II—კახეთის მეფედ; ამასთან, ირანის მბრძანებელმა ხელი აიღო ქართლის გამაჰმადიანების პოლიტიკაზე (თეიმურაზს ნება დართო ქრისტიანული წესით ასულიყო ტახტზე).

---

[1] XIII საუკ. შუახანებში საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონზე მეტი იყო, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში 1/2 მილიონზე ნაკლები.

და ქართლს დაუბრუნა შაჰ-აბასის მიერ მიტაცებული ლორე, ბორჩალო და ბაიდარი. ცხადია, ეს შაჰის წყალობა კი არა, ქართველთა შეუპოვარი ბრძოლით მონაპოვარი იყო [1].

1747 წელს ნადირ-შაჰმა მთელ ირანს და აღმოსავლეთ საქართველოსაც, როგორც საყმო ქვეყანას, დიდი გადასახადი შეაწერა, რაც გაპარტახებული ქვეყნისათვის აუტანელი იყო. ქართველმა პოლიტიკოსებმა აჯანყება გადაწყვიტეს. განრისხებულმა შაჰმა აჯანყებულ ქართველთა დასასჯელად 34 ათასიანი კორპუსი გამოჰყო, რომელსაც გ. ამილახვარი უთაავა, მაგრამ შაჰმა შეცდომა იგრძნო, განზრახვაზე ხელი აიღო და მეფეებს „დაუტკბა". ამასთან, შაჰმა ერეკლე II თავისთან დაიბარა. თეიმურაზ II იცოდა, რომ სიამტკბილობით ირანს დაბარებული ქართველი საბელმწიფო მოღვაწე შეიძლებოდა შაჰის რისხვის მსხვერპლი გამხდარიყო. ამიტომ გადაწყვიტა შვილის მაგივრად თვითონ წასულიყო. მაგრამ ქართლის მეფემ ნადირ-შაჰს ცოცხალს ველარ მიუსწრო. თეიმურაზ II გზაში იყო, როცა შაჰი შეთქმულებმა მოკლეს (1747 წ. მაისში). ირანის ტახტს, შეთქმულების მეთაური ნადირ-შაჰის ძმის შვილი, ალი-ყული-ხანი დაეუფლა და ტახტზე ადილ-შაჰის (სამართლიანის) სახელით დაჯდა. ამ დროიდან ირანში ბრძოლა დაიწყო ტახტის მაძიებლებს შორის, რომელიც 60-იან წლებში ძლივსღა მინელდა. ირანში დაწყებულმა აშბებმა თავისებური გავლენა მოახდინეს საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

ირანში დაწყებული არეულობითა და თეიმურაზ II საქართველოდან წასვლით ისარგებლა აბდულა-ბეგმა და ქართლში გაბატონება სცადა. იგი ამიერკავკასიაში მყოფ ყიზილბაშ სარდლებს დაუკავშირდა, საბარათიანოს თავადები შემოიფიცა და ერეკლეს მოსწერა: „მეფე არჩილობით ქართლი ჩემია, დამანებე და შენ კახეთს მიეპატრონეო" [2]. ამასობაში აბდულა-ბეგმა აზერბაიჯანში მყოფი ირანელი სარდლისაგან ჯარიც მიიღო და თბილისის ციხის ყიზილბაშური გარნიზონის დახმარების იმედით დედაქალაქს მოადგა, ხოლო ერეკლეს წინადადება მისცა დაეცალა თბილისი. მოქალაქეთა აქტიური დახმარებით ერეკლემ აბდულა-ბეგი დაამარცხა.

დამარცხებულმა აბდულა-ბეგმა თავი სამშვილდეს შეაფარა. ერეკლესათვის ცხადი იყო, რომ თბილისის ყიზილბაშური გარნი-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. იხ. მასალები საქართველოსა და კავკ. ისტორიისათვის, 1944, ნაკ. I, გვ. 210.

[2] საქ. ცხოვრება, ხ. ჯიჯინაძის გამოცემა, 1913, გვ. 133—134.

ზონი აბდულა-ბეგს უპერდა მხარს. ამიტომ ქართლის ტახტის ამ პრეტენდენტის წინააღმდეგ ბრძოლა თბილისის ციხეებიდან უნდა დაწყებულიყო. 1748 წლის ივლისში ერეკლემ თბილისის ციხეები აიღო[1] და ყიზილბაშური გარნიზონი ქართველი მეციხოვნეებით შეცვალა. მალე აბდულა-ბეგმა მეორე მოკავშირე—ირანელი სარდალი ამირ-ასლან-ხანიც დაკარგა და მარტოდ დარჩენილმა ფარხმალი დაყარა. ერეკლე სამშვილდესაც დაეუფლა.

ასე ოომ, 1749 წელს, როცა თეიმურაზ II ირანიდან დაბრუნდა, ქართლი და კახეთი უცხოელთა ბატონობისაგან ფაქტიურად განთავისუფლებული იყო.

ირანში ტახტის მაძიებელთა შორის ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა, პროვინციების მმართველებმა და სარდლებმა დრო იხელთეს და თავიანთი სამფლობელოების გაფართოება დაიწყეს. ერთ-ერთი ასეთი ბედის მაძიებელი—მაჰმად-ხანი, ერევანს მოადგა. ერევნელებმა ქართველ მეფეებს მიმართეს დახმარებისათვის[2].

ცხადია, ქართველი პოლიტიკოსები მაყურებლის როლში ვერ დარჩებოდნენ. ქართლ-კახეთის ჯარი დაუყოვნებლივ ერევნისაკენ დაიძრა, მაჰმად-ხანი დაამარცხა და, დახმარების პირობის თანახმად, ერევნის სახანომ ხარკი იკისრა ქართლ-კახეთის სამეფოების სასარგებლოდ. აქედან ქართლ-კახეთის ჯარი განჯისაკენ დაბრუნდა, რადგან ჯერ კიდევ ერევნისაკენ მიმავალმა მეფეებმა გზაში განჯის ხანისაგან წერილი მიიღეს, რომ ფანა-ხანი განჯა-ყარაბაღის ქვეყნებს ანადგურებსო[3]. ქართველთა ჯარების გამოჩენისას ფანა-ხანი განჯას გაეცალა და განჯის სახანოც საქართველოს საყმო გახდა (1749). ამ ხანებში ქართლ-კახეთის გავლენა ნახჭევნის სახანოზედაც გავრცელდა[4].

1748—1750 წლებში წარმოებული ბრძოლების შედეგად ქართლისა და კახეთის სამეფოები ირანის ბატონობისაგან ფაქტიურად განთავისუფლდნენ, ხოლო ირანის ყოფილი პროვინციების ნაწილი ქართლის მოხარკე გახდნენ. ასეთი იყო პირველი წარმატებანი.

1751 წლის ზაფხულში ქართველებმა ერეკლეს მეთაურობით დიდი ბრძოლა გადაიხადეს ერევანთან, რომელსაც ირანის ტახტის პრეტენდენტი აზატ-ხანი უზარმაზარი არმიით (აზატ-ხანის ჯარს 18-დან 40 ათას კაცამდე ანგარიშობენ, ხოლო ერეკლეს 5 ათასამდე კაცი ჰყოლია) მოდგომოდა. ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვა-

---

[1] იესე ბარათაშვილის ცხოვრება—ანდერძი, თბილისი, 1950, გვ. 11.

[2] საქ. ცხოვრება, ს. ჯიჯინაძის გამოც., 1913, გვ. 251.

[3] იქვე, გვ. 164.

[4] იქვე, გვ. 167.

ლად გაიმარჯვეს, ხოლო ირანის ტახტის მაძიებელმა თავს გაქცევით უშველა.

ქართველი პოლიტიკოსების წარმატებებმა საგონებელში ჩააგდო ამიერკავკასიის მაჰმადიანი მფლობელები. შაქი შარვანის ხანი აჯი-ჩალაბი, გადაიბირა რა ერთმორწმუნე ხანები და ლეკთა მოთარეშე ბანდები, ორგზის დაუპირისპირდა საქართველოს (1751 და 1752 წწ.) და ქვემო ქართლს მოსათხრელად მოადგა, მაგრამ ქართველებმა ამჯერადაც მოახერხეს მოზღვავებული მტრის უკუგდება.

შაქის ხანზე გამარჯვებას დიდი შედეგები მოჰყვა: საქართველოს წინააღმდეგ გაერთიანებული მაჰმადიანური სახანოების კავშირი დაიშალა, ხანები ქართველი მეფეების მიმართ ისევ მორჩილების გზას დაადგნენ, აზატ-ხანმაც ზავი ითხოვა. „ხუთი წლის განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად ქართლ-კახეთმა უკეთაგდო აზატ-ხანი, წარმატებით მოიგერია ნეზობელი ხანების გაერთიანებული შემოტევა და უდაოდ ცხადყო თავისი უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში“ [1].

ამ გამარჯვების ზემდეგ ქართლ-კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე კარგა ხნით, წედარებით, ნშვიდობიანობა დამყარდა, რადგან ირანში ტახტისათვის ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა. ამასთან, საკმარისი იყო ირანში სტაბილური მდგომარეობა შექმნილიყო, რომ საქართველო კვლავ განსაცდელის წინაშე აღმოჩენილიყო, ამიტომ ირანის ბატონობისაგან საბოლოოდ თავის დასაღწევად და საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური პროგრესისა და მისი მტკიცე ცენტრალიზაციისათვის ზრუნვა. მაგრამ XVIII საუკუნის 50-იან წლებში ლეკთა შემოსევებმა ისეთი ინტენსიური ხასიათი მიიღო, რომ ქვეყნის ძალები ამ ულანასკნელს დასჭირდა.

კახეთის ნეზობლად მცხოვრები დაღისტანის მთიელი ტომები თავიანთი ყაჩაღური თავდასხმებით ქვეყანას განადგურებას უქადდნენ.

მთიელ აბრაგთა რაზმები ბეურდულად იქრებოდნენ ქართლ-კახეთის სოფლებში, იტაცებდნენ ადამიანებს, საქონელს, ნივთებს და კვლავ მთებს აფარებდნენ თავს.

მთიელ ყაჩაღთა თარეში არა ნარტო ინტენსიურ ბეურნეობას აღლვევდა, არამედ აგრეთვე ქვეყანას მოსახლეობისაგანაც ცლიდა.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი 1, 1950, გვ. 383.

ავაზაკობას ასულდგმულებდა სამხედრო-ფეოდალური თურქეთი, რომელიც მონათა ბაზარს წარმოადგენდა. ყაჩაღები თურქეთის მონათა ბაზრებს ორი გზით უკავშირდებოდნენ: ჩრდილო კავკასიიდან—ყირიმის, ხოლო სამხრეთიდან—ახალციხის საფაშოს გზით.

მართალია, პირდაპირ ბრძოლებში ქართველები ყოველთვის აბარცხებდნენ მთიელთა მოთარეშე რაზმებს, მაგრამ მათი საბოლოოდ ალაგმვა ვერ ხერხდებოდა. ქვეყნის საგარეო მდგომარეობის გართულების პირობებში ლეკთა თარეში კიდევ უფრო ძლიერდებოდა—საქართველოს მტრები ლეკებს თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდნენ[1]. უცხოელთა ბატონობის შედეგად ეკონომიურად დასუსტებულ ქვეყანას, რომელსაც მუდმივი ჯარისა და კორდონების შექმნის შესაძლებლობა არ ჰქონდა, საკუთარი ძალებით საკითხის გადაჭრა, ცხადია, არ შეეძლო.

გარდა წვრილი ყაჩაღური თარეშებისა, XVIII საუკუნის 50-იან წლებში ლეკებმა მოაწყვეს მსხვილი ლაშქრობებიც, რომლებიც „ლეკიანობის" ჩვეულებრივი ხასიათისაგან განსხვავდებოდნენ.

ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი 1754 წელს ლეკთა დიდი ჯარით შემოიჭრა კახეთში და იქიდან ქართლის მთიანეთს მიადგა, სადაც აგვისტოში ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს იგი მჭადიჯვართან. 1755 წელს იგი უზარმაზარი არმიით კვლავ შემოიჭრა კახეთში და ყვარლის ციხეს შემოადგა. ამჯერად ლეკთა მეთაურმა ჭარელები გამოიყვანა, ამიერკავკასიის მაჰმადიან მფლობელებსაც მოუხმო და ყვარლის ციხესთან 20 ათასიან არმიას მოუყარა თავი, მაგრამ ერეკლემ შეძლო ქართველთა ძალების დარაზმვა და მოხერხებული მოქმედებით მტრის გეგმები ჩაშალა.

ლეკთა თარეშები მომდევნო წლებშიც ინტენსიური ჩანს.

მართალია, ლეკებს ერთი დაკვრით საქართველოს განადგურება არ შეეძლოთ, მაგრამ „ლეკიანობა მისი ჩვეულებრივი სახით მართლაც რომ მოთხრას უქადდა ქვეყანას".

ბუნებრივია, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ პოლიტიკოსებს ლეკთა ბანდების თარეშების საკითხი უნდა გა-

---

[1] პროფ. ი. ცინცაძე იმ აზრისაა, რომ XXIII საუკ. 50-იან წლებში ლეკობა ინტენსიური შემოტევისა და მეზობელ მაჰმადიან მფლობელთა კოალიციური თავდასხმის ორგანიზატორი თურქეთის ფული და აგენტურა იყო. იხ. საქ. სსრ შ. ხ. ს. საარქივო სამმართველოს „საისტორიო მოამბე", ტ. VI, 1952, გვ. 90—91.

დაეკრათ, მაგრამ რაკი ეკონომიურად სუსტ ქვეყანას მუდმივი ჯარის შექმნა ან ჯარის დაქირაევება და კორდონების მოწყობა არ შეეძლო, ქვეყნის გადასარჩენად სხვა გზა უნდა ეძიათ. გარდა ამისა, ამ დროს ქართლ-კახეთი ირანის ბატონობისაგან ფაქტიურად თავისუფალი იყო, მაგრამ ეს საქმე ხომ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ იყო. ერეკლესა და თეიმურაზის დიპლომატიურ უნარსა და ერეკლეს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭს შედეგები ირანში შექმნილი ვითარების წყალობით მოჰყვა, სხვა პირობებში პატარა საქართველო დიდ ირანს ვერ გაუძლებდა. ირანში კი, მართალია, ტახტის მაძიებლებს შორის ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ საბოლოოდ ხომ უნდა დასრულებულიყო, მანამდე კი საჭირო თადარიგის ძიღება აუცილებელი იყო.

საგარეო პოლიტიკის ამ ორი ამოცანის გამო თეიმურაზ II იძულებული გახდა 1760 წელს რუსეთში წასულიყო. ერეკლესა და თეიმურაზის გეგმა ასეთი იყო: რუსეთის მთავრობას სთხოვდნენ ჯარს ან ფულს სესხად, რათა მათ საშუალება ჰქონოდათ ჯარის გამოყვანისა; ამ ჯარით ალაგმავდნენ ლეკთა თარეშს ქვეყანაში; ამის შემდეგ შეიჭრებოდნენ ირანში და ირანის შაჰის ტახტზე რუსეთისათვის სასურველ პირს გაიყვანდნენ [1].

ეს გეგმა გაბედული იყო, მაგრამ რეალური არ ყოფილა. იგი ვერ ითვალისწინებდა, რომ შეიდწლიან ომში ჩაბმული რუსეთი სამხრეთელი მეზობლების განაწყენების გზას ვერ დაადგებოდა. რაკი საქმის ვითარება ასეთი იყო, ყიზლარის კომენდანტ ფრაუენდორფს, 1760 წ. 30 ივნისს, პეტერბურგიდან ატყობინებდნენ: ზუსტად გაეგო თუ რა მიზნით მოდის თეიმურაზი რუსეთში; თუ იგი თავისი ამალით მოდის რუსეთში საცხოვრებლად და არა სხვა მიზნით, ამავე დროს, თუ აქვს საშუალება თავისი ხარჯით იცხოვროს, წამოვიდეს, თუ არა და ჩააგონე, სამშობლოში დაბრუნდესო; ამასთან, თუ რაიმე მნიშვნელოვან საკითხზე აქვს მოსახსენებელი, თქვენი საშუალებით გვაცნობოს და პასუხს ყიზლარში დაელოდოსო [2]. ბუნებრივია, თეიმურაზის ელჩობა უშედეგოდ უნდა დამთავრებულიყო.

მართალია, თეიმურაზმა მოახერხა პეტერბურგში ჩასვლა, მაგრამ დახმარების ამაო მოლოდინში იქვე გარდაიცვალა 1762 წ. 8 იანვარს.

---

[1] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии, под ред. А. А. Цагарели, т. I. С.-Петербург, 1891, стр. 12.

[2] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 10, д. 7, лл. 1, 4, 9—10, 21—22.

თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ ერეკლემ თავი გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. ამასობაში ირანში ტახტის მაძიებლებს შორის ბრძოლაც დასასრულს მიუახლოვდა. ქერიმ-ხან-ზანდმა დაამარცხა თითქმის ყველა მოწინააღმდეგე, მათ შორის აზატ-ხან-აღლანიც, რომელიც აიძულა ირანიდან გაქცეულიყო. ერეკლემ აზატ-ხანი შეიპყრო და ქერიმ-ხანს გაუგზავნა. 1761 წელს ქერიმ-ხანმა თავრიზიც აიღო და ამ დროიდან თითქმის მთელი ირანის მმართველი გახდა.

ერეკლე მეფის მიერ ქერიმ-ხანისადმი გაწეულ სამსახურს უეჭველად აო ჩაუვლია — „ქერიმ-ხანმა იცნო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება. აგრეთვე ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე და ამით აღიარა საქართველოს მეფის უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში“ [1].

შედარებით მშვიდობიანობა დამყარდა ქართლ-კახეთის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზეც, რადგან XVIII საუკუნის 60-იან წლებში თურქეთს ყურადღება რუსეთისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. გარდა ამისა, იმერეთიც ხომ თავგანწირვით ებრძოდა თურქ დამპყრობლებს, რაც მტრებს იაფად როდი უჯდებოდათ. ამიტომ თურქეთი იძულებული იყო ქართლ-კახეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა.

ასე გამოიყურებოდა გარეგნულად აღმ. საქართველოს მდგომარეობა XVIII საუკუნის 60-იან წლებში.

* * *

გარეშე მტრებთან წარმატებით ბრძოლა ქვეყნის მტკიცე ცენტრალიზაციისა და მისი ეკონომიური აღორძინების გარეშე შეუძლებელი იყო. ქვეყნის ცენტრალიზაციის გზაზე მთავარ დაბრკოლებას სათავადოების სისტემის არსებობა წარმოადგენდა. სეპარატისტული ტენდენციები და შინაფეოდალური ქიშპი, რომელიც სათავადოების სისტემის არსებობას თან სდევდა, ქვეყნის ძალებს სთიშავდა და აკნინებდა. დამოუკიდებლობის შენარჩუნების შისწრაფება ფეოდალებს სამშობლოს მოღალატის მდგომარეობაშიც აგდებდა, რადგან ცენტრალური ხელისუფლების ძალმომრეობისაგან თავისდაწევის საშუალებას თავადები უცხო ძალებში ხედავდნენ (ამიტომ იყო რომ ისინი ქვეყნის ყველა მტერს თანაბრად უკავშირდებოდნენ). ბუნებრივია, სამშობლოს დამოუკიდებლობი-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, გვ. 287.

სათვის ბრძოლა სათავადოების სისტემის წინააღმდეგ ბრძოლასაც მოითხოვდა. ეს კარგად ესმოდათ თეიმურაზსა და ერეკლეს და ფაქტიურად მათი „ბატონობა არაგვის საერისთაოს გაუქმებითა და თავადებთან ბრძოლით დაიწყო". ცენტრალიზაციისათვის ენერგიული მებრძოლი ერეკლე II თავადებს საშიშ ძალად მიაჩნდათ. ამიტომ იყო, რომ თავადები 40-იანი წლების მიწურულს ქართლის ტახტზე გამაჰმადიანებულ აბდულა-ბეგის გაძეფებას უქერდენ მხარს. აჯანყებულები ირანის სამხედრო ძალებზე დაყრდნობით ვარაუდობდნენ ერეკლეს ქართლიდან განდევნას [1], მაგრამ სწორედ ამან განაპირობა მათი მარცხი. უცხო ძალებზე დაყრდნობით ეროვნულ ნიადაგზე მყარად დგომა შეუძლებელი იყო, ამიტომ ქვეყნის მოწინავე ძალები, მათ შორის აბდულა-ბეგის ძმაც (ანტონ-კათალიკოსი), ერეკლეს ბანაკში აღმოჩნდა.

XVIII საუკ. 60-იან წლებში საერთაშორისო ვითარება გაერთიანებული ქართლ-კახეთის სასარგებლოდ შეტრიალდა: ირანის მმართველი ქერიმ-ხანი ერეკლესთან მეგობრობას არჩევდა (იძულებულიც კი იყო ეცნო ქართლ-კახეთის მეფის უფლება ირანის ყოფილ პროვინციებზე—განჯა-ერევნის სახანოებზე); თურქეთი, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობისა და იმერეთში გართულებათა გამო, იძულებული იყო ქართლ-კახეთთან მეგობრობის გზას დადგომოდა. ასეთ პირობებში ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი თავადები, რომელთაც 1765 წელს სცადეს გამოსვლა, საკუთარი ძალების ამარა აღმოჩნდნენ. თუმცა მათ „აბირეს ბუშსა ვახტანგ მეფისასა პაატას... რათამცა წარეწყმინდათ მეფე ირაკლი და დაეპყრათ თვით მეფობაჲ ქართლისა" [2], მაგრამ ერეკლემ დროულად შეიტყო შეთქმულების განზრახვა და ისინი დააპატიმრა: ხოლო სასამართლოს განაჩენით: „მოჰკვეთეს პაატას თავი და დაწვეს ცეცხლში თაქთაქიშვილი ელისბარ და დიმიტრი (ამილახვარი—ვ. მ.) პატიმარ ჰყვეს და შეურაცხვჰყვეს აღჯდომითა მისითა კარაულსა ზედა, და მოჰკვეთეს ძესა მისსა ალექსანდრეს ცხვირი და გლახა ციციშვილსაცა მოჰკვეთეს ენა" [3].

ერეკლეს დაუნდობელი მოპყრობა თავადთა შეთქმულებისადმი, მტკიცე ზურგის შექმნის მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ შეთქმულების ლიკვიდაცია და მასთან ასეთი სასტიკი და გაბედული

---

[1] ერეკლეს კახელობა როდი იყო მის წინააღმდეგ ქართლის თავადების ბრძოლის მთავარი მიზეზი.

[2] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 52—53.

[3] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თბ., 1941, გვ. 10.

ანგარიშსწორება, როდი ნიშნავდა, რომ ამიერიდან მტკიცე ზურგი უზრუნველყოფილი იყო. სათავადოების არსებობა, რაც იმ დროს საკმაოდ მყარ ნიადაგზე იდგა, მტკიცე ზურგს გამორიცხავდა.

ქართლ-კახეთის გაერთიანება და შედარებით მტკიცე ხელისუფლების შექმნა, რომელიც ერეკლემ მოახერხა, მხოლოდ ზედაპირული ხასიათისა იყო. სხვანაირი არც შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს ეკონომიური დაქუცმაცებულობის პირობებში. მაგრამ თუ ერეკლეს ერთგვარი წარმატებები მაინც გააჩნდა, უთუოდ საგარეო ვითარებით იყო განპირობებული, რადგან ქვეყნის მოწინავე ძალები გამოსავალს ამაში ხედავდნენ.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას ემსახურებოდა ერეკლეს საგლეხო პოლიტიკაც.

გვიანფეოდალურ ხანაში საქართველოში ბატონყმობამ ისეთი უხეში ფორმები მიიღო, რომ იგი ფეოდალური სამართლითა და ტრადიციით განმტკიცებული ნორმების ფარგლებს გასცდა. მემამულეები გლეხის არავითარ უფლებას არ სცნობდნენ, რაც აიძულებდა გლეხებს მიეტოვებიათ კარ-მიდამო და გახიზნულიყვნენ, ან სამშობლო მხარიდან გადაკარგულიყვნენ.

ცხადია, ასეთი მდგომარეობა სახელმწიფოს დიდ საშიშროებას უქადდა. ჯერ ერთი, ირღვეოდა ინტენსიური მეურნეობა, კლებულობდა სახელმწიფო შემოსავალი; მეორე—მცირდებოდა სამშობლოს დამცველ გლეხთა რიცხვი, სახელმწიფოს აკლდებოდა მოლაშქრეები.

ბუნებრივია, გლეხთა საკითხი მთავრობის მხრით სპეციალური ყურადღების საგანი უნდა გამხდარიყო.

1765 წელს გამოიცა კანონი, რომლითაც გლეხი, რომელიც თავისით დააღწევდა თავს უცხოეთის ტყვეობას, ძველი მებატონის ყმობისაგან თავისუფლდებოდა[1]. ეს კანონი სტიმულს აძლევდა ტყვეობაში მოხვედრილ გლეხს ებრძოლა თავის დასაღწევად. თუმცა ტყვეობიდან თავდაღწეული გლეხი ისევ ახალი მებატონის ყმა ხდებოდა. რადგან მას საწარმოო საშუალებები არ გააჩნდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ერეკლე II აქტიურად ერეოდა ბატონისა და ყმის ურთიერთობაში. მაგ., მეფე ქიზიყის ასისთავის შვილს წყალობის წიგნში (1771 წ.) უწერდა: „...გლეხს კაცს უსამართლო არა დაემართოს რაო“[2]. 1772 წელს მეფე უბრძანებდა რევაზ ამილახვარს: „ამილახვარო რევაზ! ან თქვენ და ან რომელ-

---

[1] Грузинския крестьянския грамоты, Составил Д. Пурцеладзе, Тифлис. 1882, стр. 17.

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 5.643.

ძაც ამილახორის შვილმა ამ საღალუღში მდგომელს კაცს ძალა და უსამართლო და ჯაბრი უყო რამე, და ის კაცი იქიდამ აიყარენ და გადაიკარგნენ, ან ჩვენი სახასო კაცი ან თქვენი კაცნი, იცოდეთ დიდათ მოვიკითხამთ, ამ საღალუღსაც წავართვამთ და ვისიც საბაბითა და უსამართლოს ქნით იქიდამ კაცი აიყრება, იმასაც დიდათ მოვიკითხამთ, გარდავახდევინებთ იცოდეთ"[1]. 1774 წ. ჯავახიშვილებს მათი ყმების საჩივრის გამო მეფემ უბრძანა: „...რომელიც ამათი დებულება არ არის და არა სდებიათ, იმას გარდა თუ მეტი რამ მოინდომეთ, ჩვენგან მოსაკითხი იქნება. ამათ სამართლიანის საქმით მოექეცით, თორემ თუ კიდევ ამათ ჩვენზე გიჩივლესთ, იცოდეთ, რომ გიწყენთ"[2].

ერეკლე, პირველი ფეოდალი ქვეყანაში, გლეხებისაგანაც მოითხოვდა დამორჩილებოდნენ მებატონეებს. მაგ., ზემოთ მოტანილ საბუთში ერეკლე ჯავახიშვილებს პირდებოდა: „თუ ესენი თქვენს ბატონყმობაზე იმ ტყუნებენ, მოგვახსენეთ და გარდავახდევინებთო"[3]. კიდევ მეტი, 1775 წელს მეფე ქიზიყის მოურავს ავალებდა დაესაჯა ურჩი სამონასტრო გლეხები, თანაც უფლებას აძლევდა დასჯის დროს მთელი სიმკაცრე გამოეყენებია[4].

ერეკლე მოითხოვდა როგორც მებატონისაგან, ისე გლეხისაგან „ბატონ-ყმობის რიგის" დაცვას. ხოლო „ბატონ-ყმობის რიგი", რომლის დაცვას მთავრობა ითხოვდა, საქართველოში იმ დროს საკმაოდ ძძიმე იყო, რადგან გლეხი მიმაგრებული იყო მიწაზე (30-წლიანი ხანდაზმულობა კანონმდებლობითაც და პრაქტიკითაც ძალაში რჩებოდა). შუა საუკუნეებში „ფეოდალური ჩაგვრის წყარო იყო არა მოსახლეობისათვის მიწის ექსპროპრიაცია, არამედ, პირიქით, მისი მიწაზე მიმაგრება"[5]. გლეხები, განსაკუთრებით კერძო მფლობელთა, „ბატონ-ყმობის რიგის" დაცვის პირობებშიც უკიდურეს დღეში იყვნენ. ბატონს უფლება ჰქონდა ყმა გაეჩუქებია, გაეყიდა, მზითვად გაეტანებია, გაეჯოხა და სხვ.

ერეკლეს განკარგულებანი ფეოდალიზმის საფუძველს არ შეხებია. ასეთი რამ მოსალოდნელი არც იყო. იგი მხოლოდ უბრუნებდა გლეხებს იმ უფლებებს, რაც მათ ფეოდალთა თვითნებობით, ფეოდალური სამართლისა და ტრადიციის წინააღმდეგ დაკარგული ჰქონდათ.

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226. საბ. 1.153.
[2] საქ. მუზეუმი. ფ. IId, საბ. № 11. 542.
[3] იქვე.
[4] Груз. крест. грамоты, 27.
[5] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI, ч. I, стр. 287.

ერეკლეს ლონისძიებებს მაინც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი რამდენადმე მაინც ზღუდავდა მემამულეთა თვითნებობას. გლეხმაც იცოდა, რომ „რაც თავადის შვილს ან აზნაურის შვილს ყმა ჰყავს, რაც ძველთაგან არ აძევს სამსახური, მეტობით ვერ იმსახურებენ“ [1]. ბუნებრივია, ცენტრალური ხელისუფლების ჩარევა ბატონისა და ყმის ურთიერთობაში ხელს უწყობდა ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტის ზრდას, რაც უთუოდ დადებითად მოქმედებდა ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების საქმეზე.

ამითვე უნდა აიხსნას ის წარმატებანი, რომელსაც ერეკლემ მიაღწია საგარეო და საშინაო მტრებთან ბრძოლაში. ცხადია, ქვეყნის მოშინაგე ძალების მხარდაჭერის გარეშე ქართლ-კახეთი 60-იან წლებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სერიოზულ ძალად ვერ გადაიქცეოდა.

მიუხედავად წარმატებებისა ქართლ-კახეთი კვლავ სუსტი რჩებოდა, რადგან მოსახლეობა წინა საუკუნეებთან შედარებით საგრძნობლად შემცირებული იყო, ხოლო მეურნეობა—დაცემული. მაგ., მიუხედავად ჯალალედინისა და მონღოლების შემოსევისა, საქართველოს მოსახლეობა 1254 წელს 5 მილიონამდე აღწევდა [2]. 1770 წლის ცნობით კი ქვეყნის მთელი რიგი სამეურნეო რაიონები აოხრებული, აყრილი და „უმკვიდროქმნილი“ ყოფილა, ხოლო ფიზიკური განადგურებისა და აყრა-გაქცევის გამო მოსახლეობა საკმაოდ შემცირებული. 1770 წელს ქართლ-კახეთის მოსახლეობა, ყაზახ-შამშადილოსა და დიდოეთის ჩათვლით, 67 ათას კომლამდე ძლივსღა აღწევდა [3] (თუმცა აკად. ი. ჯავახიშვილი, ამ ცნობაზე დაყრდნობით, სამეფოს მოსახლეობას, აკლებს რა დიდოეთსა და ყაზახ-შამშადილოს, ანგარიშობს 55.290 კომლ[illegible]ე) [4]. მართალია, აქ არ შედის ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ, მაგრამ XVIII საუკუნის 70-იანი წლების ცნობებით, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა უფრო ნაკლები ჩანს (დაახლოებით 31 ათასი კომლი), ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოსი [5]. ასე რომ, უცხოელ-

---

[1] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, საბ. № 11. 542.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, გვ. 246.

[3] ჟურნ. „კავალი“, 1898, № 11 (საბუთი, როგორც გამომცემელი ა. ხახანაშვილი იუწყება, ერეკლე II ბრძანებით შედგენილი სტატისტიკური ცნობაა. აკად. ი. ჯავახიშვილიც ზემოაღნიშნულ ცნობას საქართველოს მთავრობის მიერ შედგენილ ცნობად თვლის).

[4] იხ. ჟურნ. „პრომეთე“, № 1, 1918, გვ. 35—61.

[5] მოურავოვის ცნობით 1769 წელს იმერეთში 8 ათასი კომლი ცხოვრობდა, სამეგრელოში —13 ათასი, გურიაში—5 ათასი, რაჭაში—5 ათასი. იხ. Грамоты, I, გვ. 72—73.

თა მძლავრობისა და ლეკთა თავდასხმების შედეგად, საქართველოს მოსახლეობა თითქმის 10-ჯერ შემცირებულა (5 მილიონიდან 1/2 მილიონამდე დასულა). გარდა ამისა, რაკი ქვეყნის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო რაიონები აოხრებული და მოსახლეობისაგან დაცლილი, „უმკვიდრო ქმნილი“ იყო, ცხადია, მეურნეობაც დაცემული იქნებოდა.

ქვეყანაში არც მსხვილი მანუფაქტურული წარმოება იყო განვითარებული. მაგ., აკად. გულდენშტეტი მიუთითებდა, რომ საქართველოში მსხვილი მანუფაქტურული წარმოება განვითარებული არ არისო, ხოლო დედაქალაქის მოსახლეობა უმთავრესად თავიანთი ბაღ-ვენახებით ირჩენდნენ თავსაო[1]. 1770 წელს საქართველოში მყოფი რუსი ოფიცერი იუწყებოდა: „არავითარი ქარხანა, არც ფაბრიკა, არ იყო და არც ახლაა საქართველოშიო“[2].

ცხადია, მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო რაიონების მოსახლეობიდან დაცლისა და მეურნეობის დაცემის პირობებში, რაკი ქვეყანაში მსხვილი მანუფაქტურებიც არ არსებობდა, სამეფოს შემოსავალი უმნიშვნელო იქნებოდა. მართლაცდა ქართლ-კახეთის მთავრობის 1770 წლის 5 აპრილის ცნობით სამეფოს შემოსავალი წელიწადში 10—12 ათასი თუმნით განისაზღვრებოდა[3]. ამიტომ იყო, რომ თუმცა სამეფოს 23 ათასი ჯარისკაცის გამოყვანა შეძლებია[4], მაგრამ იგი ეკონომიური სისუსტის გამო, ვერ ახერხებდა 5 ათასიანი რეგულარული ჯარის შექმნას, ვერც მის დაქირავებას, რომ ქვეყანაში ლეკთა ყაჩაღური თარეშები აელაგმა.

ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, რომ ქვეყნის ეკონომიური აღორძინების გარეშე მისი თავდაცვა შეუძლებელი იყო, მაგრამ საგარეო ფაქტორი პირუკუ მოქმედებდა და სამთო და მეტალურგიის საქმის განვითარებას შეუძლებელს ხდიდა. მაგ., 1769 წელს ერეკლე მეფე თავის ელჩს რუსეთში აბარებდა. რომ „საქართველოში ბევრია ისეთი ადგილი, სადაც ოქროს, ვერცხლისა და სხვ. მადნები მოიპოვება... მაგრამ ამ დრომდე

---

[1] И. А. Гилденштедт, Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, СПб., 1809, стр. 184—185, 262.

[2] Грамоты, I, 189.

[3] ეურნ. „კვალი“, 1898, № 11 (იაზიკოვი ერეკლეს შემოსავალს 150.000 მანეთამდე ვარაუდობს, მაგრამ იაზიკოვი ამ რიცხვს საეჭვოდ მიიჩნევს. შდრ. Грамоты, I, გვ. 287; პროფ. ნ. ჭოიავა ფიქრობს, რომ სამეფოს შემოსავალი მეტი უნდა ყოფილიყო. შდრ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, 1954, ტ. VIII, გვ. 352).

[4] იქვე.

მათი გახსნა დიდად საშიში იყო ბარბაროსების მხრიდან საფრთხის გამო"[1]. ერეკლეს სიტყვები საქართველოში 1770 წელს მყოფმა კაპიტანმა იაზიკოვმაც დაადასტურა, რომელიც აღნიშნავდა, რომ ერეკლე II ბორჩალოში რკინის დამმუშავებელ საწარმოს აწყობდა, მაგრამ ლეკთა თავდასხმების გამო იძულებული გახდა დაენგრიაო[2].

ასე რომ, საქართველოს თავდაცვა ძნელდებოდა ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო და, პირიქით, თავდაცვის მოუგვარებლობის პირობებში ვერ ხერხდებოდა მისი ეკონომიური აღორძინება. საჭირო იყო ძლიერი მოკავშირე, რომ ქვეყანა ჩიხიდან გამოსულიყო.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა ქვეყანა და მისი გული, თბილისი, იმ დროს ამიერკავკასიაში წინ იდგა. თბილისში ამზადებდნენ იარაღს, საარტილერიო ჭურვებს, თოფისწამალს; ქალაქში იყო სტამბა, ზარაფხანა, იყო სახელოსნოები, სადაც ამზადებდნენ სხვადასხვა ნაკეთობებს, ქალაქის სავაჭრო დუქნებში ვაჭრობდნენ აზიური და ევროპული ნაწარმით[3].

ქართლ-კახეთის მეფე ახერხებდა ბრძოლის ველზე 10—15 ათასიანი ლაშქრის გამოყვანას. ქართველი ჯარი განთქმული იყო თავისი მამაცობით, ხოლო მეფე—მხედართმთავრობით. მეფეს მეზობელი მაჰმადიანი ხანები შიშის ქვეშ ჰყავდა და თვით აწესრიგებდა მათ საქმეებს[4].

მაგრამ ამიერკავკასიის მასშტაბით აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს ავტორიტეტი და ადგილი როდი განსაზღვრავდა მის მომავალს. საჭირო იყო ირანთან სამხედრო და დიპლომატიური ბრძოლით მონაპოვრის შენარჩუნება და ლეკთა საკითხის საბოლოოდ გადაჭრა. ამასთან, მართალია, XVIII საუკუნის 60-იან წლებში თურქეთთან კარგი ურთიერთობა იყო დამყარებული, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა, რომ მათი შემოტევისაგან ქვეყანა დაზღვეული იყო. თურქეთთან სამი საუკუნის ურთიერთობაც ამას ნათლად მოწმობდა. რა თქმა უნდა, ეს ამოცანები საკუთარი ძალებით ვერ გადაწყდებოდა.

---

[1] Грамоты, I, 431.

[2] იქვე, გვ. 189.

[3] იქვე, გვ. 183—193.

[4] იქვე, გვ. 183—184; 75—76; 187 (ქართლ-კახეთის მეფის მოხარკე იყო განჯისა და ერევნის სახანოები; პირველი უხდიდა 10.000 მანეთს, მეორე—30.000).

როგორც ვხედავთ, XVIII საუკ. 60-იან წლებში გაერთიანებული ქართლ-კახეთი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სერიოზულ ძალას წარმოადგენდა, რომელსაც მეზობლები არსებითად უწევდნენ ანგარიშს, მაგრამ, ამასთან ქართლ-კახეთის ეს წარმატებანი მყარ ნიადაგზე არ იდგა, იგი განპირობებული იყო თურქეთსა და ირანში დროებით შექმნილი ვითარებით. ამიტომ ქვეყანას სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირე, რომელიც თურქეთისა და ირანის აგრესიის განახლებისას დაიცავდა მას განადგურებისაგან.

ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ ვითარების მთელი სირთულე და კურსს რუსეთზე იღებდნენ, რომელიც თუმცა ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მოიწევდა კავკასიისაკენ; თეიმურაზის ელჩობის წარუმატებლობას ქართველი პოლიტიკოსების მერყეობა და ორიენტაციის გადასინჯვა არ შეეძლო გამოეწვია, რადგან ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ თურქეთიცა და ირანიც საქართველოს მოსპობის არაფერს მოუტანდნენ, ხოლო ერთმორწმუნე რუსეთი, ყოყმანის მიუხედავად, დღეს თუ ხვალ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმებოდა თურქეთსა და ირანს, რათა კასპიისა და შავი ზღვის აუზებისაკენ გზა გაეკაფა და ქართველებიც თავიანთ ენერგიას არ იშურებდნენ, რათა ეს ძალა საკუთარი ქვეყნის აგრესორებისათვის დაეპირისპირებინათ და საქართველო გადაერჩინათ.



თავი II

რუსეთ-თურქეთის ომის წარმოშობა. ქართლ-კახეთის სამეფოს მიმხრობა რუსეთ-იმერეთის სამხედრო კავშირისადმი

1. რუსეთ-თურქეთის ომის წარმოშობა

XVIII საუკუნის 60-იან წლებში, რუსეთი საერთაშორისო მასშტაბით სერიოზულ ძალად იქცა, რადგან შვიდწლიანი ომის (1756—1763 წწ.) შემდეგ ევროპის დიდი ქვეყნები საკმაოდ დასუსტებული აღმოჩნდნენ, ხოლო რუსეთი გადატანილი ომის სიმძიმეს სხვა ქვეყნებზე ნაკლებად გრძნობდა.

ასეთ ვითარებაში რუსეთს თავისი საგარეო პოლიტიკის დღისწერიგში კვლავ შეეძლო დაესვა ის ამოცანები, რომლებიც XVII საუკუნის ბოლოდან გადაუჭრელი რჩებოდნენ. სახელდობრ, სახელმწიფო საზღვრის შავი ზღვის სანაპირომდე გადაწევა და შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოპოვება; უკრაინისა და ბელორუსიის იმ მიწების შემოერთება, რომლებიც პოლონეთს ჰქონდა მიტაცებული.

შავი ზღვის სანაპიროებისათვის ბრძოლის ამოცანა, რომელმაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-თურქეთის ომების წარმოშობა განაპირობა, რუსეთის სამხედრო-ფეოდალურ-ვაჭრული ზედაფენების ინტერესებით იყო ნაკარნახევი. სასაქონლო წარმოების ზრდა ფეოდალურ რუსეთში აძლიერებდა მემამულეთა კლასის სამეურნეო დაინტერესებას. ამიტომ მემამულეები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ახალი მიწები და ყმები, რათა გაეფართოებინათ ფეოდალური ექსპლოატაციის ბაზა. გარდა ამისა, რუსი მე-

შამულეები და ვაჭრები დაინტერესებულნი იყვნენ შავი ზღვის სავაჭრო გზის გახსნითაც, საგარეო ვაჭრობის გაფართოების მიზნით.

ამასთან, ვლაპარაკობთ რა ამ ომების წარმოშობის მიზეზებსა და ხასიათზე, არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ მას ობიექტურად რუსეთისათვის პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

ჯერ-ერთი, გაბატონებული კლასების ეკონომიური ინტერესები აჩქარებდა სტრატეგიული ამოცანების გადაჭრას, სამხრეთის საზღვრის უშიშროების განმტკიცებას, რასაც რუსეთისა და უკრაინისათვის საერთო ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. საკმაოდ ცნობილია, რომ თათრები და თურქები, ბატონობდნენ რა შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში, თითქმის სამი საუკუნის მანძილზე რუსეთისა და უკრაინის მიწა-წყალზე თავიანთი ყაჩაღური თავდასხმებით უდიდეს ზიანს აყენებდნენ ამ ორ ხალხს—თარეშების შედეგად ირღვეოდა ინტენსიური მეურნეობა, ჩანაგდებოდა საწარმოო ძალები, ფიზიკურად ნადგურდებოდა მოსახლეობა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თარეშების შედეგად ყველაზე მეტად ზარალდებოდა რუსეთის ფეოდალური საზოგადოების ძირითადი მწარმოებელი კლასი გლეხობა.

მეორე, სამხრეთის რაიონების ეკონომიური ათვისება და შავი ზღვის სავაჭრო გზის გახსნა, რომელიც ამ ომების შედეგებმა განაპირობეს, ბიძგს აძლევდა რუსეთში სასაქონლო წარმოების განვითარებას, რაც თავის მხრივ აჩქარებდა რუსეთში ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევას.

მესამე, რამდენადაც ეს ომები ასუსტებდა სამხედრო-ფეოდალურ თურქეთს, იმდენად აადვილებდა ბალკანეთისა და კავკასიის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, აახლოვებდა ამ ხალხების განთავისუფლებას თურქეთის მონობისაგან.

(რუსეთისადმი უშუალოდ დაპირისპირებული ქვეყნები—თურქეთი და პოლონეთი—როდი იყვნენ წინანდებურად ძლიერნი. რუსეთის გეგმების განხორციელების გზაზე მთავარ დაბრკოლებას ამ ქვეყნების ზურგს უკან მდგარი საფრანგეთი ქმნიდა.)

ინგლისთან ბრძოლაში დამარცხებული და კოლონიებიდან გამოდევნილი საფრანგეთი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კვლავ ინარჩუნებდა გაბატონებულ მდგომარეობას აღმოსავლეთთან ვაჭრობაში, ამიტომ ფრანგი ვაჭრები და მრეწველები შავი ზღვისაკენ რუსეთის წინსვლასა და თურქეთის სამფლობელოებისადმი საფრთხეს მათი ინტერესების სახიფათოდ მიიჩნევდნენ.

გარდა ამისა, საფრანგეთი ვერ ურიგდებოდა რუსეთის გავლენის ზრდას აღმოსავლეთ ევროპაში და ცდილობდა თურქეთის,

პოლონეთისა და შვეიცის (ამ უკანასკნელს ნიშტადტის ზავის შედეგები ვერ მოენელებია და მზად იყო რევანშისათვის) ძალების გაერთიანებით რუსეთის წინსვლისათვის ამ მიმართულებითაც ზღვარი დაედო. ამიტომ იყო, რომ ლუდოვიკო XV თავის ელჩს განუმარტავდა: ჩემი პოლიტიკის მიზანია შეძლებისდაგვარად ევროპის საქმეებიდან რუსეთის ჩამოცილებაო[1].

თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნები ავსტრიას რუსეთთან აახლოებდა. XVIII საუკუნეში იგი არა ერთხელ ყოფილა კიდეც რუსეთის მოკავშირე. მაგრამ 60-იან წლებში რუსეთის დიპლომატიის დიდი წარმატებანი პოლონეთში ავსტრიის მთავრობას არ მოსწონდა, რადგან პოლონეთზე მასაც თვალი ეჭირა. გარდა ამისა, მართალია, ავსტრია რუსეთის დახმარებით ოცნებობდა გაეფართოებია თავისი ტერიტორია ოტომანთა იმპერიის სამფლობელოების ხარჯზე, მაგრამ მისთვის სასურველი არ იყო რუსეთის წინსვლა, რადგან იგი თვითონ ფიქრობდა დუნაის შესართავის ხელში ჩაგდებას. ავსტრიას აშინებდა ისიც, რომ რუსეთის ავტორიტეტის ზრდა ავსტრიის უღელქვეშ მყოფი სლავების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საშიშროებასაც ზრდიდა.

რუსეთის მთავრობა ხედავდა, რომ ავსტრიასთან თანამოქმედება გამორიცხული იყო და კურსი პრუსიასთან დაახლოებაზე აიღო, რამაც ავსტრია საბოლოოდ მიაჯაჭვა საფრანგეთზე. ამიერიდან ავსტრიამ მცირედი როლი როდი ითამაშა რუსეთის წინააღმდეგ თურქეთის ამხედრების საქმეში.

ასეთ პირობებში რუსეთის დიპლომატია იძულებული გახდა მოკავშირე საფრანგეთისა და ავტრიისადმი მტრულად განწყობილ პრუსიასა და ინგლისში ეძება.

ელისაბედის უეცარი სიკვდილის შედეგად რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მკვეთრი მობრუნების წყალობით გადარჩენილი პრუსიისათვის, რომელიც იზოლირებული იყო ევროპაში, რუსეთთან კავშირი მართლაც ძვირად ღირდა. შვიდწლიანი ომის დამთავრების შემდეგ „Фридриху покинутому своей последней и единственной союзницей, Англией, надолго рассорившемуся с Австрией и Францией, и истошенному семилетней борьбы... не было другого выбора как броситься к ногам новой русской императрицы“[2].

---

[1] С. М. Соловьев, История России..., кн. V, т. XXV, стр. 1431.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI. ч. II, стр. 14.

პოლონეთის ტერიტორიაზე თვალი ეჭირა პრუსიასაც და რუსეთთან სიახლოვით უნდოდა გარკვეული სარგებლობა მიეღო. წელში გატეხილი პრუსია კი რუსეთისათვის ამჯერად საშიში აღარ იყო. ამიტომ მიიჩნია რუსეთის მთავრობამ შესაძლებლად პრუსიასთან დაახლოება, რაც 1764 წელს რუსეთ-პრუსიის სამხედრო კავშირის დადებით დამთავრდა. შეთანხმების საიდუმლო მუხლი გულისხმობდა რუსეთ-პრუსიის ერთობლივ მოქმედებას თურქეთში, პოლონეთსა და შვეციაში; გარდა ამისა, თუ რუსეთს პრუსიიდან დაშორებულ თურქეთთან ან ყირიმთან ომი ექნებოდა, პრუსია ყოველწლიურად 400.000 მანეთით დაეხმარებოდა მას.

საფრანგეთის მხრით რევანშის საფრთხე და სავაჭრო ინტერესები ინგლისს აახლოვებდა რუსეთთან, მაგრამ ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ამჯერად ინგლისს შეეძლო რუსეთისათვის ხელიც კი შეეწყო აღმოსავლეთში, რადგან ინგლისმა საფრანგეთის ენერგიული კონკურენციის წყალობით თურქეთში პოზიციები დაკარგა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ინგლისის მთავრობა, როგორც აკადემიკოსი ტარლე შენიშნავს, „ორი ბოროტებისაგან უმცირესს ირჩევდა“. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ინგლისისა და რუსეთის სამხედრო შეთანხმების მიღწევა და ინგლისის აშკარა თანამოქმედება აღმოსავლეთის საკითხში შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ინგლისი შიშობდა თურქეთში ეკონომიური პოზიციები მთლიანად არ დაეკარგა.

1763 წლის 5 ოქტომბერს პოლონეთის მეფე ავგუსტ III გარდაიცვალა, რამაც პოლონეთის საშინაო საქმეებში ჩარევის საბაბი წარმოშვა. ავსტრია-საფრანგეთისა და რუსეთ-პრუსიის დაჯგუფებები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და პოლონეთის ტახტზე თავიანთი კანდიდატები წამოაყენეს. ეს კამპანია რუსეთ-პრუსიის გამარჯვებით დამთავრდა და 1764 წელს ტახტზე სტანისლავ პონიატოვსკი აიყვანეს.

ამის შემდეგ რუსეთმა პოლონეთის მთავრობას მოსთხოვა: დისიტენტების [1] კათოლიკეებთან სამოქალაქო უფლებებში გათანაბრება და პოლონეთის კონსტიტუციის რუსეთის დაცვის გარანტიის ქვეშ დაყენება. პირველი საბოლოოდ მტკიცე და საიმედო „პარტიას“ შეუქმნიდა რუსეთს პოლონეთში, ხოლო მეორე—პოლონეთის საშინაო საქმეებში მუდმივ ჩარევის შესაძლებლობას მისცემდა. კათოლიკური სამღვდელოება და შლიახტა არ ფიქრო-

[1] არაკათოლიკეები—მართლმადიდებლები და პროტესტანტები.

ბდა დათმობას დისიდენტთა საკითხში, რადგან ეს იყო უმთავრესი საშუალება, რომ მონობაში ჰყოლოდა უკრაინელი და ბელორუსი მოსახლეობა.

რუსი ელჩის ენერგიული მოქმედებით პოლონეთის საკითხი 1768 წლის დასაწყისში მოგვარებული ჩანდა და რუსეთის ჯარი, გამოვიდა რა ვარშავიდან, პოლონეთის ტერიტორიის დასატოვებლად ემზადებოდა, მაგრამ უკმაყოფილო ელემენტებმა ქ. ბარში მოაწყვეს კონფედერაცია.

პოლონეთში აქტიურად მოქმედებდა საფრანგეთის აგენტურა. იგი კონფედერატებს ამარაგებდა იარაღითა და ფულით. ამ მიზნით გამოაგზავნეს აქ გენ. დიუმურიე, ოფიცერთა მთელი შტატითა და იარაღით. საფრანგეთის აგენტებმა დაწოლა გააძლიერეს თურქეთზედაც. ავსტრია და რუსეთის მოკავშირე პრუსიაც კი თურქებს აქეზებდა. ასეთ პირობებში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა უაღრესად დაიძაბა და ომის საბაბიც გამონახულ იქნა.

პოლონელი პანებისა და ბარის კონფედერატების თვითნებობით შევიწროებული უკრაინელი გლეხობა გამოვიდა უცხო მჩაგვრელების წინააღმდეგ. აჯანყებულ გლეხთა ერთი რაზმი, რომელიც თურქეთისაკენ გაქცეულ კონფედერატებს მისდევდა, შეიჭრა სასაზღვრო სოფ. ბალტაში, რომელიც ყირიმის ხანს ეკუთვნოდა. ბალტას უმნიშვნელო ინციდენტი, რომელსაც რუსეთის მთავრობის საქმიანობასთან არაფერი ჰქონია საერთო [1], თურქეთმა ხელზე დაიხვია, რათა ომი გამოეცხადებია რუსეთისათვის.

1768 წ. 11 ივლისს რუსეთის წარმომადგენელს კონსტანტინოპოლში ა. ობრეზკოვს წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ გაეყვანათ რუსეთის ჯარი პოლონეთიდან. 1768 წლის 25 სექტემბერს დიდმა ვეზირმა ობრეზკოვისაგან მოითხოვა გარანტია, რომ რუსეთი დაუყოვნებლივ გაიყვანდა ჯარს პოლონეთიდან და ხელს აიღებდა პოლონეთის საქმეებში ჩარევაზე. ობრეზკოვმა მოითხოვა დრო, რათა დაკავშირებოდა თავის მთავრობას, მაგრამ თურქეთის მთავრობამ რუსეთის მთელი საელჩო დააპატიმრა, რითაც კონფლიქტის დიპლომატიური მოლაპარაკების საშუალებით გადაჭრა შეუძლებელი გახადა.

თურქეთის გამოსვლას პოლონეთის დაცვის კეთილშობილურ მიზნებთან საერთო არფერი ჰქონია. ევროპის ქვეყნების დახმარე-

---

[1] თურქეთის მთავრობამ ბალტას ინციდენტი მიაწერა რუსეთის ჯარს.

ბით დაიმედებული თურქეთის მთავრობა ვარაუდობდა, რომ პოლონეთის საქმეებში გახლართულ რუსეთს ადვილად წამოაჩოქებდა და უკრაინას მიიტაცებდა; ამასთან, დამარცხებულ რუსეთს შავი ზღვის სანაპიროებისათვის ბრძოლაზე საბოლოოდ ხელს ააღებინებდა, ხოლო წარმატების შემდეგ კავკასიაშიც ფეხს მტკიცედ მოიკიდებდა.

აი, რა იყო თურქეთის გამოსვლის ნამდვილი მიზეზი.

მაგრამ თურქეთის მთავრობა ვერ ანგარიშობდა, რომ რუსეთი საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო იყო; ამასთან, ოფიციალურად ნოკავშირის გარეშე დარჩენილ რუსეთს საიმედო მოკავშირე ჰყავდა თურქეთის უღელქვეშ მყოფი ქრისტიანი ხალხები, რომლებმაც თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ თავიანთი ბრძოლით, ოსმალური სამხედრო-ლენური სისტემის რღვევასთან ერთად, მცირედი როლი როდი ითამაშეს ოტომანთა სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების გატეხის საქმეში.

ბუნებრივია, რომ ბალკანეთისა და კავკასიის ხალხები, რომლებსაც თურქი ასიმილატორები ასეული წლების მანძილზე ფლეთდნენ და ასახიჩრებდნენ, სანამ ისინი თურქეთის ბატონობის მძიმე უღელქვეშ რჩებოდნენ, თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლ რუსეთში ხედავდნენ „თავიანთ ბუნებრივ დამცველსა და განმათავისუფლებელს“ (მარქსი). ცხადია, რუსეთ-თურქეთის ომის დაწყება ამ ხალხებში გამოძახილის გარეშე ვერ დარჩებოდა.

2. რუსეთ-იმერეთის შეთანხმება და რუსეთის ჯარის ჩამოსვლა საქართველოში

1768 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში პეტერბურგში ცნობილი გახდა თურქეთის მთავრობის ზრახვები. რუსეთის მთავრობისათვის ცხადი იყო, რომ მას ომი რთულ ვითარებაში მოახვიეს თავს და უკან დახევაც შეუძლებელი იყო. რაკი ომი გარდუვალი გახდა, რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა ებრძოლა სახელმწიფო საზღვრის შავი ზღვის სანაპიროებამდე გადატანისა და შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოპოვებისათვის, რომ ამით უზრუნველეყო ქვეყნის უშიშროება და ნორმალური ეკონომიური განვითარება.

რუსეთის მთავრობამ იცოდა, რომ მოკავშირის გამონახვა ევროპის დიდ ქვეყნებში გამორიცხული იყო, ამიტომ 1768 წლის 4 ნოემბერს სახელმწიფო საბჭოს [1] პირველსავე სხდომაზე, სამხედ-

[1] მისი უდიდებულესობის კარის საბჭო.

რო ხასიათის გადაწყვეტილებების მიღების[1] შემდეგ, თურქეთის უღელქვეშ მყოფი ხალხების ამხედრების საკითხიც წამოიჭრა. კერძოდ, გ. ორლოვს დაუსვამს საკითხი—ხომ არ მოხერხდებოდა ხმელთაშუა ზღვაში ესკადრის გაგზავნა და იქიდან თურქეთზე თავდასხმის მოწყობა[2]. რა თქმა უნდა, გრ. ორლოვი იმთავითვე ბალკანეთის ხალხების თანამოქმედებასაც გულისხმობდა, როცა რუსეთის ფლოტს ასეთ რთულ ამოცანას უსახავდა.

საპეროს მეორე სხდომაზე, 1768 წლის 12 ნოემბერს, გრ. ორლოვის წინადადება სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა და გადაწყდა: მოწოდება გაეგზავნათ ბალკანეთის ქვეყნებისა და საქართველოს ქრისტიანი ხალხებისათვის, რომლებიც თურქეთის უღელქვეშ გმინავდნენ, რომ რუსეთი იძულებულია სარწმუნოებისათვის აწარმოოს ომი თურქეთთან[3]. აქ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ,რუსეთის მთავრობა, თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის პირველი დღეებიდანვე საქართველოს, ბალკანეთის ქვეყნებთან ერთად, თავის შესაძლო მოკავშირედ მიიჩნევს.

1768 წლის ნოემბერში თურქეთის წინააღმდეგ ომში საქართველოს ჩაბმის საკითხი რუსეთის მთავრობის სპეციალური ზრუნვის საგანი იყო,/ როგორც ეს ნათლად ჩანს პროფ. ა. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული ერთი საბუთიდან[4]. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია საქართველოს მდგომარეობა და გაკეთებულია დასკვნა, რომ ომში/ იმერეთის სამეფოს ჩაბმა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან იგი თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლი ვასალია, ხოლო რაც შეეხება ქართლ-კახეთს, მათ თურქები არ აწუხებენ და ერეკლეს დაძვრა ძნელი საქმეაო, მაგრამ იმედსაც გამოთქვამდნენ—ქართველებში სარწმუნოებისადმი სითბო დიდია და ერეკლეს სიმტკიცე დაძლეული იქნებაო.

საგარეო საქმეთა კოლეგია რუსეთის მთავრობას ასეთ გეგმას უდგენდა:

1. რუსეთის მთავრობის სახელით ქართველები დაიმედებულნი ყოფილიყვნენ, რომ პორტასთან ზავის დადებისას დავიწყებულნი არ იქნებოდნენ; 2. ქართულ სამეფოებს გაწეოდათ ფულადი

---

[1] ეს გადაწყვეტილება გულისხმობდა ჯარების ასეთ დისლოკაციას: პირველი არმია (შემტევი) საწყის მდგომარეობას მიიღებდა პოდოლიაში და იქიდან განავითარებდა ოპერაციებს, მეორე არმია დაიცავდა სამხრეთ საზღვარს. ხოლო სარეზერვო კორპუსი იმოქმედებდა პოლონეთში.

[2] Архив Гос. Совета, т. 1, СПб., 1869, стр. 4—5.

[3] იქვე, გვ. 10.

[4] იხ. Грамоты. 1, 1—9.

დახმარება; 3. თუ ქართველებს არტილერია სრულებით არ გააჩნდათ, საქართველოში გაგზავნილიყო ქვემეხები არტილერისტებითურთ. რაც შეეხება საექსპედიციო ჯარის გაგზავნას, დოკუმენტში ნათქვამი იყო: „По трудности проездов Грузинцы войском здешним никаким образом подкреплены быть не могут“ [1].

ასეთი სამზადისი მიმდინარეობდა პეტერბურგში, როცა მიიღეს ყიზლარის კომენდანტის გენ. პოტაპოვის 1768 წლის 4 ოქტომბრის პატაკი, იმერეთის მეფის სოლომონ 1-ის ელჩის მაქსიმე ქუთათელის (აბაშიძე) ყიზლარში მისვლის შესახებ.

* * *

იმერეთის ელჩის რუსეთის ტერიტორიაზე გამოჩენა შემთხვევით არ მომხდარა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. ქვეყანა, როგორც თურქეთის ვასალი, ვალდებული იყო ხარკის სახით ეძლია მისთვის ქალ-ვაჟები, ან ფული და ტილო. გარდა ამისა, ვალდებული იყო დაეშვა ტყვეთა სყიდვა. დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს ციხეებში—გონიის, ბათომის, ციხისძირის, ფოთის, ანაკლიის, სუხუმის, ცუცხვათის, შორაპნის, ბაღდადისა და ქუთაისის — თურქ იანიჩართა გარნიზონები იდგნენ [2]. ეს „... ციხეები ტყვის მსყიდველთა ბუნაგებად იქცნენ. ციხისა და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანდებოდა. ოსმალები ამ ციხეებიდან ადვილად ერეოდნენ ფეოდალების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ“ [3]. მთავრები (დადიანი და გურიელი) მეფისაგან დამოუკიდებელნი იყვნენ, ხოლო იმერეთის ძლიერი თავადები დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. ასეთი იყო დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა, როცა ტახტზე სოლომონ I ავიდა (1752).

ნიჭიერი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე იმერთა მეფე სოლომონი ტახტზე ასვლისთანავე შეუდგა ტყვეთა სყიდვის აკრძალვასა და მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას.

---

[1] იხ. Грамоты, 1, 7.

[2] იქვე, 14—15, 39, 68—75 და ა. შ.

[3] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, 1950, გვ. 393—394.

ეროვნული ამოცანებისათვის მებრძოლ პოლიტიკოსს, იმერეთის მეფის ხელისუფლების გაძლიერების შიშით, თურქებთან ერთად, დასავლეთ საქართველოს რეაქციული თავადობაც ებრძოდა.

ბრესილის ომში გამარჯვების (1756 წ.), ქართლისა და კახეთის მეფეებთან თავდაცვითი კავშირის დადებისა (1758 წ.) და 1759 წლის საეკლესიო კრების შემდეგ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ დასავლეთ საქართველოში საქმე წარმატებით მიდიოდა. მარილაცდა, თურქების შემოტევა მოგერიებულ იქნა, სოლომონი მთელი დასავლეთ საქართველოს თვითმპყრობელ ხელმწიფედ ჩანდა. მაგრამ ეს წარმატებანი მყარ ნიადაგზე არ იდგა. სოლომონს კარგად ესმოდა, რომ თურქეთის გამკლავება პატარა იმერეთს გაუძნელდებოდა. ამიტომ იმერეთის მეფე, 1761—1763 წლებში თურქთა ხანი შემოტევის უკუგდების შემდეგ, 1764 წელს ალექსანდრე ბაქარის ძეს რუსეთში სწერდა—იქნებ თურქებს ვერ გაუძლო და იმედი მაქვს რუსეთში ჩემი წამოსვლისას დახმარებას გამიწევო[1].

1765 წელს თურქებმა შემოტევა განაახლეს. ჰასან-ფაშა თურქების დიდი ჯარით გურიაში შეიჭრა, მამია გურიელი დაამარცხა და ტახტზე გიორგი დასვა. შეშინებული დადიანი მტერთან მორიგების გზას დაადგა. 1766 წელს თურქები ოდიშიდან იმერეთშიც შეიჭრნენ, სოლომონი დაამარცხეს და იმერეთის ტახტზე, სულთანის სახელით, თურქეთში გადახვეწილი თეიმურაზ ბაგრატიონი დასვეს. სოლომონ I თავი საწერეთლოს მოდინახეს ციხეს შეაფარა.

1766 წელს სოლომონ I რუსეთში ელჩი გაგზავნა და რუსეთის მთავრობისაგან, საბოლოოდ დამარცხების შემთხვევაში, თავშესაფარი ითხოვა. თურქეთთან ურთიერთობის გართულების შიშით, რუსეთის მთავრობამ სოლომონ I თხოვნაზე უარი შემოუთვალა. ვიდრე რუსეთიდან პასუხს მიიღებდა (1768 წ.), სოლომონმა ლეკთა დაქირავებული მცირე რაზმითა და ერთგული ქვეშევრდომების შემოკრებით, ისარგებლა რა თურქთა ძირითადი ძალების იმერეთიდან წასვლით, ტახტი დაიბრუნა. ეს წარმატება არსებითად არ სცვლიდა ქვეყნის მდგომარეობას, რადგან ციხეები კვლავ მტერს რჩებოდა, მთავრები და თავადები მეფისადმი მტრულ პოზიციაზე იდგნენ, ხანგრძლივი ბრძოლებით მოსახლეობა სისხლიდან დაცლილი იყო, ხოლო მეურნეობა დაცემული. ცხადია, თურქების ახალი შემოტევის შემთხვევაში ყველაფერი ბეწვზე ეკიდა.

---

[1] ЦГАДА, ф. 250, в. 356, д. 1/7087, л. 69.

აი, რა აიძულებდა სოლომონს 1768 წლის 23 ივნისს, რუსეთის მთავრობის მიერ ახლახან შემოთვლილ უარის მიუხედავად, დიდი რწმუნებებით აღჭურვილი ელჩი (მაქსიმე ქუთათელი) გაეგზავნა რუსეთში.

სოლომონ I 1768 წლის 23 ივნისს, თურქეთის მიერ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე სამი თვით ადრე, ეკატერინე II სთხოვდა: იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შეყვანას; თუ ეს არ მოხერხდებოდა, დახმარებოდა ფულით, რომ ჯარის გამოყვანისა და ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობა ჰქონოდა და, ბოლოს, თუ უთანასწორო ბრძოლაში მეფე დამარცხდებოდა, მიეცა თავშესაფარი რუსეთში[1].

ასეთი დავალებით წასული იმერეთის ელჩი 1768 წლის 4 ოქტომბერს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყიზლარში იყო. რაკი რუსეთის მთავრობა ერიდებოდა საქართველოსთან ოფიციალურ ურთიერთობას თურქების გაღიზიანების შიშით, ყიზლარის კომენდანტი პეტერბურგში გაშვებაზე უარს ეუბნებოდა იმერეთის ელჩს. როგორც ყიზლარის კომენდანტის 1769 წლის 4 ოქტომბრის პატაკიდან ჩანს, იმერეთის ელჩს კომენდანტისათვის განუცხადებია, რომ თუ იმერეთის მეფეს რუსეთი საიდუმლო დახმარებას მაინც აღმოუჩენდა, სამაგიეროდ, როდესაც არ უნდა მოეთხოვა რუსეთს, სოლომონ I წაართმევდა თურქებს შავი ზღვის სანაპიროებზე სიმაგრეებს და არ მისცემდა მათ საშუალებას რუსეთთან ომის შემთხვევაში იქაური ადგილებიდან ჯარი მიეღო[2]. ე. ი. საიდუმლო დახმარების აღმოჩენისათვის სამხედრო კავშირს სთავაზობდა.

როგორც ვხედავთ, რუსეთის მთავრობა 1768 წლის ნოემბერში (ვიდრე იმერეთის ელჩის ყიზლარში მისვლის ამბავს შეიტყობდა) მზად იყო იმერეთის სამეფოს ფულითა და საჭირო შემთხვევაში არტილერიით დახმარებოდა, ხოლო ქართველი პოლიტიკოსები (ვიდრე რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების ამბავს გაიგებდნენ) საიდუმლო დახმარებისათვისაც კი რუსეთს სამხედრო კავშირს სთავაზობდნენ რუსეთ-თურქეთის მომავალ ომში.

როგორც ვხედავთ, სამხედრო კავშირი ორივე მხრიდან წინასწარ ისე მომზადდა, რომ დაბრკოლება გამორიცხული იყო.

მართალია, მაქსიმე აბაშიძის რუსეთში გამგზავრების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა—სულთანმა სოლომონ I-ს წყალობის

---

[1] Грамоты и другие исторические документы относящиеся до Грузии, т. II, выпуск I, под редакцией А. А. Цагарели, Санктпетербург, 1898, стр. 1—2 (ქვემოთ ასე: Грамоты, II, в. I.)

[2] Грамоты, I, 13.

წიგნი გამოუგზავნა, ხოლო ამ უკანასკნელმა თურქეთის სასარგებლოდ 30 ათასი მანეთის გადახდა იკისრა, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავებამ და ომის დაწყებამ გადაარჩინა დასავლეთ საქართველო თურქთა ახალი გამანადგურებელი ლაშქრობისაგან. ცხადია, თურქეთი, რომელმაც 1769 წელს მარტო დუნაის ფრონტზე 400 ათასიანი არმიის თავმოყრა შეძლო, იმერეთის მეფეს არაფერს დაუთმობდა, მაშინ როცა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა (აჭარისა და აფხაზეთის გამოკლებით) 31 ათას კომლს ან 155 ათას სულს არ აღემატებოდა. საკუთრივ იმერეთში კი 8 ათასამდე კომლიღა იყო, საიდანაც სოლომონ I 6 ათასამდე ჯარისკაცის გამოყვანას გაჭირვებით ახერხებდა[1].

თურქეთისა და საქართველოს ინტერესთა შეურიგებლობა, მოწინააღმდეგე ძალთა ასეთი თანაფარდობის პირობებში, ცხადია, ხსენებულ ზავს მხოლოდ დროებით შესვენებად აქცევდა.

* * *

ქართველი ელჩის რუსეთის ტერიტორიაზე (ყიზლარში) გაძოჩენის შესახებ ცნობას პეტერბურგში კმაყოფილებით შეხვდნენ. პოტაპოვს აცნობებდნენ, რომ თურქეთთან ომის დაწყების გამო მიტროპოლიტის მოსვლა ფრიად დროული და ხელსაყრელია, საჭიროა ვისარგებლოთ მისი მფლობელის თურქეთისადმი მტრული განწყობილებითო[2]. რაც მთავარია რუსეთის მთავრობამ, პოტაპოვის მოხსენების საფუძველზე, უკვე იცოდა არა მარტო იმერეთის მძიმე მდგომარეობა და მისი საბრძოლო განწყობილება, არამედ ისიც, რომ იმერეთიდან მოდიოდა ფართო რწმუნებით აღჭურვილი ელჩი, რომელსაც ყველა საქმეზე, რომელსაც უმაღლესი კარი მოითხოვს, მფლობელისაგან რწმუნება აქვს და თან აქვს მფლობელის ბეჭედიც[3]... ცხადია, ასეთ კაცთან სამხედრო კავშირზე საბოლოო შეთანხმების მიღწევა გარანტირებული იყო.

ამიტომ იყო, რომ რუსეთის მთავრობა 1768 წ. 30 ნოემბრის ბრძანებით ყიზლარის კომენდანტს ავალებდა: მაქსიმე მიტ-

---

[1] შდრ. Грамоты, I, 72—73.

[2] იქვე, გვ. 20.

[3] იქვე, გვ. 13.

როპოლიტი თავისი ამალით დაუყოვნებლივ სამეფო კარზე გაეგზავნა, ხოლო არქიმანდრიტი (მაქსიმე მიტროპოლიტის ამალიდან) იმერეთის მეფესთან გაეშვა. ამასთან, არქიმანდრიტთან ერთად. საქართველოს მდგომარეობის შესასწავლად საიმედო და უნარიანი კაციც გაეგზავნა [1].

1768 წლის 30 ნოემბრით დათარიღებული წერილით, რომელიც არქიმანდრიტს უნდა წამოეღო საქართველოში, ნ. პანინი სოლომონ I-ლს რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებასა და იმერეთის თხოვნის შეწყნარებას აცნობებდა და მოუწოდებდა დაუყოვნებლივ აქტიური გამოსვლისაკენ. თან სწერდა, რომ როდესაც მიტროპოლიტი (მაქსიმე) პეტერბურგში ჩავიდოდა, სათანადო გადაწყვეტილებები იქნებოდა მიღებული და იმერეთს ისეთი დახმარება გაეწეოდა, როგორიც შესაძლებელი აღმოჩნდებოდა, ხოლო თუ რუსეთის იარაღს წარმატება ექნებოდა, ტრაქტატში იმერეთის სასარგებლო მუხლებიც იქნებოდა შეტანილი. ბოლოს, ნ. პანინი სოლომონ მეფეს ერეკლეს მიმხრობასაც ავალებდა [2].

„ყიზლარის კომენდანტმა მაქსიმე აბაშიძე 1769 წელს 6 იანვარს სამეფო კარზე გაგზავნა, ხოლო 14—16 იანვარს არქიმანდრიტი და იმერეთის მეფესთან გამოსაგზავნად შერჩეული პორუჩიკი ხვაბულოვი (ქობულაშვილი), პანინის ხსენებული წერილით, იმერეთისაკენ გამოისტუმრა.“

„არქიმანდრიტი და ხვაბულოვი 1769 წლის 20 მარტს სოლომონ I შეხვდნენ (რაჭაში). სოლომონ I, როგორც ხვაბულოვი იუწყება, პანის წერილს სიხარულით შეხვედრია. იმერეთის მეფეს თავისი ელჩის მისია მიღწეულად შეეძლო ჩაეთვალა. ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ „რუსეთ-თურქეთის ომის დაწყება იმერეთის მიმართ თურქეთის აგრესიულ ზრახვებს დროებით მაინც შეანელებდა და ქვეყანას ახლო მომავალში მოსალოდნელი შემოტევისაგან გადაარჩენდა.“

შეცვლილ ვითარებაში სოლომონი რუსეთისაგან საიდუმლო დახმარებას არ ჯერდებოდა, დამხმარე ჯარის გარეშე ომის გამოცხადებაც კი არ შემიძლიაო—აცხადებდა იგი. ამასთან, რუსეთიდან დამხმარე ჯარის მიღების შემთხვევაში 20 ათასი ჯარისკაცის გამოყვანის პირობასაც დებდა [3]. სოლომონის ზემოაღნიშნულ

---

[1] Грамоты, I, 19—22.

[2] იქვე, გვ. 22—26.

[3] იქვე, გვ. 426—427.

განცხადებებს არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ეს საკითხი ამ დროს იმერეთის სრულუფლებიან ელჩთან ერთად პეტერბურგში წყდებოდა.

სოლომონმა პანინის წერილი ერეკლეს გაუგზავნა და 1769 წ. 26 მარტს ხვაბულოვიც თბილისისაკენ გაისტუმრა. 21 მაისს სოლომონიც თბილისში მოვიდა. აქ მეფეებმა ერთობლივი მოქმედების შესახებ წინასწარ გადაწყვეტილება მიიღეს და ხვაბულოვს კონკრეტული პირობები წაუყენეს[1]. მაგრამ ხვაბულოვის რწმუნება ცნობების შეგროვებით განისაზღვრებოდა და, ცხადია, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი იყო. ამიტომ მეფეებმა საგანგებო ელჩები შეარჩიეს (სოლომონმა—დ. კვინიხიძე, ერეკლემ—ა. ანდრონიკაშვილი) პეტერბურგში გასაგზავნად. ამასობაში ცნობაც მოვიდა რომ რუსეთიდან ჯარი იგზავნებოდა.

„მართალია. რუსეთის მთავრობას 1768 წლის ნოემბერში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საქართველოში ჯარის გამოგზავნა შეუძლებლად მიაჩნდა, მაგრამ იმერეთის ელჩის მაქსიმე აბაშიძის პეტერბურგში ჩასვლისთანავე (1769 წლის მარტი) რუსეთის მთავრობის პოზიცია შეიცვალა.

ქართველმა დიპლომატმა, იმერეთის მდგომარეობის სურათის შელამაზებითა და მისი რეალური შესაძლებლობის გადიდებულად დახატვით, რუსეთის მთავრობა დაარწმუნა საქართველოში საექსპედიციო ჯარის გამოგზავნის სარგებლიანობაში და რუსეთის დიპლომატია თავისი წინანდელი პოზიციებიდან დასძრა.

1769 წლის 16 მარტს ნ. პანინმა სახელმწიფო საბჭოს გააცნო საქართველოს მდგომარეობა და წინადადება შეიტანა სოლომონ 1-სათვის დახმარება აღმოეჩინათ ჯარისა და ფულის გაგზავნით. ამ საკითხზე პროექტის შედგენა დაევალა გრაფ ჩერნიშევს. ამ უკანასკნელმა სახელმწიფო საბჭოს გააცნო თავისი პროექტი, რომელიც საბჭოს მიერ მოწონებულ იქნა[2]. პროექტი გადაეგზავნა იმპერატორს.

1769 წლის 27 მარტს ეკატერინე II ხელი მოაწერა ბრძანებას სამხედრო კოლეგიისადმი, რომლითაც საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო ჯარის შემადგენლობა განისაზღვრა სამი ასეულითა და საველე არტილერიის ექვსი სამგირვანქიანი ქვემეხისაგან შემდგარი რაზმით. ხსენებული რაზმის შტატი ასეთი უნდა ყოფილიყო: „მთავარი მეთაური“ გენერალი ან შტაბს-ოფიცე-

---

[1] Грамоты, 1, 428—429.

[2] Архив Гос. Совета, т. I, ч. II, 770—771.

რი, ერთი შტაბს-ოფიცერი, ქვეითი ასეული 159 კაცი, დრაგუნთა ასეული 92 კაცი, ჰუსართა ასეული 85 კაცი, საველე არტილერიის 6 ქვემეხის მოსამსახურე პერსონალი 72 კაცი, საინჟინერო ჯარების პოდპორუჩიკი 1, მკურნალი 1. სულ 411 კაცი. რაზმისათვის გამოყოფილი წლიური ხარჯთაღრიცხვა 21.256 მანეთსა და 92 1/2 კაპ. შეადგენდა [1].

საექსპედიციო რაზმის ფორმირება უნდა მომხდარიყო ყიზლარში. ამ მიზნით 1769 წლის 3 აპრილს ბრძანება გაუგზავნეს ფელდცეხმეისტერს, გრ. ორლოვს, რათა გამოეყო 6 ქვემეხი საჭურველით, ცხენებით, მომსახურე პერსონალითა და საინჟინერო ჯარის ერთი ოფიცრით და გაეგზავნა ყიზლარში [2].

1769 წ. 6 აპრილს განკარგულება გაუგზავნეს ასტრახანის გუბერნატორს გენერალ-მაიორ ბეკეტოვს: ასტრახანის გარნიზონიდან შეერჩია ჯანსაღი და ბრძოლისუნარიანი ჯარისკაცებისაგან 1 ქვეითი ასეული, ჩაებარებია სამხედრო კოლეგიის მიერ გაგზავნილ კაპიტან როგოვისათვის და გაეგზავნა ყიზლარში; კოლეგია მასვე ავალებდა ორენბურგის დრაგუნთა პოლკიდან გამოეყო ასეული, ჩაებარებია კაპიტან ზამარაევისათვის და გაეგზავნა ყიზლარში; ქართულ ჰუსართა პოლკიდან, რომელიც ყიზლარში იდგა, გამოეყო ასეული თავისივე ოფიცრებით; გარდა ამისა, როგორც კი არტილერიის რაზმი ასტრახანში მოვიდოდა, შეუფერხებლად გაეგზავნა იგი ყიზლარში [3].

სამხედრო კოლეგიამ ამ რაზმისათვის ოფიცრების შერჩევაც დაიწყო. 1769 წ. 3 აპრილს ბრძანება გაუგზავნეს გენ. გოლიცინს, რათა სამხედრო კოლეგიაში გამოეგზავნა კაპიტანი რემენნიკოვი. ეს უკანასკნელი მაიორის ჩინით 25 აპრილს სიბირსკის პოლკიდან სამხედრო კოლეგიაში გაიგზავნა. აქ მას გააცნეს საქმის ვითარება და უბრძანეს ასტრახანსა და იქიდან ყიზლარში გამგზავრება, რათა სათავეში ჩადგომოდა საექსპედიციო რაზმის ფორმირების საქმეს და წესრიგში მოეყვანა იგი უფროსის მისვლამდე [4]. 29 აპრილს გენ. პროკურორს ვიაზემსკის, სამხედრო კოლეგიის თხოვნით, სიტყვიერი წინადადება შეუტანია სენატში, რათა არტილერიის პოდპოლკოვნიკი თავ. ჩოლოყაშვილი სამხედრო კოლეგიაში გაეგზავნათ. ჩოლოყაშვილი საექსპედიციო ჯარში არტილერიის

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 1—3.

[2] იქვე. ფურც. 5.

[3] იქვე, ფურც. 8—9.

[4] იქვე, ფურც. 22, 44—45.

უფროსად დანიშნეს (ჩოლოყაშვილი არტილერიის იარაღის პროექტების ავტორი იყო, რისთვისაც პრემია ჰქონდა მიღებული; ხოლო 1764 წლიდან იგი კიევის სიმაგრეების მშენებლობას ხელმძღვანელობდა) და ყიზლარში გამგზავრება უბრძანეს[1].

ამის პარალელურად საგარეო კოლეგიამ საქართველოში გასაგზავნ რწმუნებულად შეარჩია თავ. ანტონ მოურავი (თარხან-მოურავი), რომელიც ვახტანგ VI დროს რუსეთში გადასახლებულ თავადთა ოჯახიდან იყო[2].

ამ წინასწარი სამზადისის ჩატარების შემდეგ, ჯარის გამოგზავნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 თვის თავზე, ეკატერინე II და ნ. პანინი 1769 წ. 26 მაისის წერილებით[3] აცნობებდნენ სოლომონს დამხმარე ჯარის გაგზავნის შესახებ. პატარა ჯარის, რომელიც 3 ასეულისა და 6 ქვემეხისაგან შემდგარ საარტილერიო რაზმს მოიცავდა (411 კაცი), „მთავარ მეთაურად" იმპერატორის 1769 წლის 27 ივნისის ბრძანებით გრაფი ტოტლებენი დაინიშნა: სამხედრო კოლეგიას დაევალა მისთვის ინსტრუქციის მიცემა და ყიზლარში გაგზავნა[4].

1769 წლის ივლისში სამხედრო კოლეგიამ ტოტლებენს დარიგება მისცა, სამოქმედო ინსტრუქციად თავ. ანტონ მოურავისადმი საგარეო კოლეგიის მიერ მიცემული ინსტრუქციის ასლი[5] გადასცა და ყიზლარში გამგზავრება უბრძანა[6].

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 38, 39, 40, 52 (ჩოლოყაშვილის შესახებ იხ. ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა", 1955, №10).

[2] Грамоты, I. 39—50, 417.

[3] იქვე, გვ. 50—57.

[4] ЦГВИА, ф. 20. оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, л. 67.

[5] დედანი იხილე წიგნში: Грамоты, I, გვ. 39—50.

[6] ტოტლებენის თავგზაბნეული მოქმედებანი მრავალი გაუგებრობის წყარო გახდა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია აქვე ხაზი გავუსვათ, რომ ტოტლებენს პირადად იმპერატორისაგან რაიმე საგანგებო საიდუმლო მითითება არ მიუღია. სამხედრო კოლეგია კი, რომელსაც ტოტლებენისათვის ინსტრუქციის მიცემა დაევალა, ამ უკანასკნელს აცნობებდა: „Дабы... уведомить вас о предмете сей экспедиции прилагаетца вам при сем под лит. Н копия с инструкции, данной из Г. К. И. Д., отправленному в Имеретию при кутаисском Митрополите, назначенном для пребывания при имеретинском владетеле, надворному Советнику князь Антону Моуравову. Сия инструкция не только будет вам служить руководством во всех ваших к дальнейшему походу приготовлениях, но по оной имеете вы распорежать и действительное ваше со всею командою заграницу движению"... ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч, I, л. 69. (გენ. სუბოტინისადმი მიცემულ ინსტრუქციაშიც აღნიშნულია, რომ ტოტლებენს მო-

1769 წლის 10 ივლისს რემენნიკოვი სამხედრო კოლეგიას ასტრახანიდან აცნობებდა, რომ მან ორი ასეული (ქვეითი და დრაგუნთა), ჩაიბარა (256 კაცი)[1]. ხოლო 26 ივნისს ტოტლებენიც ასტრახანში ჩავიდა, საიდანაც 29 ივლისს გრაფ ჩერნიშევს აცნობა, რომ აქ რემენნიკოვის მიერ წესრიგში მოყვანილი 2 ასეული დახვდა, რომელიც 1-ლ აგვისტოს ასტრახანიდან გავა ყიზლარისაკენო. ამასთან, რადგან ექსპედიციისათვის გამოყოფილი არტილერია არ ჩანს, რაზმი გზაში უიარაღოდ რომ არ დარჩენილიყო, ასტრახანის არსენალიდან მივიღე 2 ქვემეხი და ჩავაბარე რაზმს; მოვაწესრიგე რა ყველაფერი, დღესვე (29 ივლისი) ყიზლარში მივდივარო. პატაკს აქვს დანართი, საიდანაც ჩანს, რომ საექსპედიციო რაზმში 29 ივლისს (ასტრახანში) ყოფილა: ქვეითი ასეული—163 კაცი, დრაგუნთა—93 კაცი, საინჟინერო კორპუსიდან—2 კაცი; 2 ქვემეხის მოსამსახურე პერსონალი—32 კაცი, მკურნალი—1; სულ საექსპედიციო რაზმში 291 კაცი[2].

ტოტლებენმა რაზმი ასტრახანში დატოვა, ხოლო თვით კაპიტან კარპისა და 20 ჰუსარის თანხლებით ყიზლარისაკენ წამოვიდა. 4 აგვისტოს გენერალი ტოტლებენი ყიზლარში იყო, სადაც ჰუსართა ასეული შეარჩია[3] და ისიც ადგილზევე დატოვა. მალე ტოტლებენმა ყიზლარიც დატოვა და იგი მცირე ამალისა და მაიორ რატიევის თანხლებით[4] მოზდოკში წავიდა. 12 აგვისტოს, შეივსო რა ამალა მოზდოკში, საქართველოსაკენ წამოვიდა (2 ქვემეხითა და 110 კაცით). რაც შეეხება საექსპედიციო რაზმს, იგი მაიორ რემენნიკოვის უფროსობით 1 აგვისტოს გამოვიდა ასტრახანიდან და 12 აგვისტოს მივიდა ყიზლარში, სადაც შეიერთა ჰუსართა ასეული. 14 აგვისტოს მაიორი რემენნიკოვი სამი ასეულით (370 კაცი) ყიზლარიდან საქართველოსაკენ წამოვიდა[5].

ურავოვის ინსტრუქციით უნდა ემოქმედა: „...в данной н. с. кн. Моуравову инструкции, по которой и г.—м. гр. Тотлебен исполнять имел". იხ. Грамоты, I, 475; ეკატერინე II 1769 წ. 16 დეკემბრის წერილითაც იგივე დასტურდება. შდრ. Грамоты, I, 87).

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 140—142, 76, 78—79.

[2] იქვე, ფურც. 103—106.

[3] იქვე, ფურც. 149, 152, 154.

[4] ტოტლებენს ორგზის უთხოვია ყიზლარის კომენდანტისათვის მიეცათ მისთვის მაიორი რატიევი (რატიშვილი), როგორც სამხედრო საქმისა და ენების მცოდნე და თხოვნაც დაუმაყოფილებიათ (იქვე, 120, 122).

[5] ყიზლარის კომენდატმა 1769 წ. 8 აგვისტოს სამხედრო კოლეგიას უპატაკა, რომ გენერალს მივეცი თარჯიმნები ფირცხელაურელი და ბოგდანოვი; გამცილებლად: პირადი მცველი რაზმი—21 ჰუსარი, 12 საუკეთესო კაზაკი, სერჟან-

რაც შეეხება იმპერატორის 27 მარტის ბრძანებით ექსპედიციისათვის განკუთვნილი 6 ქვემეხისაგან შემდგარ საარტილერიო რაზმს (72 კაცი), იგი მხოლოდ 1769 წლის 7 ოქტომბერს მოსულა ასტრახანში, როგორც ეს ასტრახანის გუბერნატორის 10 ოქტომბრის მოხსენებიდან ირკვევა, ხოლო 4 ნოემბერს მოზდოკში [1].

ამრიგად, საქართველოში 1769 წლის აგვისტოში ყიზლარიდან და მოზდოკიდან წამოვიდა რუსეთის ჯარის სამი ასეული (კომპლექტით როგორც ეს განსაზღვრული იყო იმპერატორის 27 მარტის ბრძანებით) და 4 ქვემეხის მომსახურე პერსონალი ტოტლებენის პირად მცველ რაზმთან ერთად (კომპლექტს გარეთ), სულ დაახლოებით 480 კაცი.

რუსეთის ჯარის გადმოსაყვანად ერეკლესთან შეთანხმებით,— სოლომონმა და ხვაბულოვმა დარიალის გზა შეარჩიეს, რომლის მოგვარება ერეკლემ იკისრა. ხოლო როცა ტოტლებენი ყიზლარში მივიდა, პოტაპოვმა აცნობა ერეკლეს გამოეგზავნა რაზმი გენერლის შესახვედრად [2]. თერგზე გადასასვლელად 10 ხიდი შეუკეთებიათ (მათ შორის 3 ქართველებს), ვიწროებზე დაშლილი ქვემეხები (2 ქვემეხი) ერეკლეს მიერ გაგზავნილ ქართველებს ხელით გადმოუტანიათ სტეფანწმინდამდე [3]. სამეფოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე ტოტლებენს წერილი გაუგზავნია ერეკლესათვის, რომ ის ავანგარდით [4] მოვიდა სამეფოს ტერიტორიაზე და იმპერატორის ბრძანებით მიდის იმერეთის მეფესთან, ამიტომ თხოვს ჯარის გა-

---

ტი 1, კაპრალი 2, რიგით 2 და მედოლე; მივეცი მარშრუტის გეგმა: ხევი-ჩიმი: გენერალი წავა მოზდოკში და დაელოდება ერეკლეს პასუხსო (იქვე, 149, 120—122).

გენ. პოტაპოვი 6 სექტემბრის პატაკით აცნობებდა სამხედრო კოლეგიას: ტოტლებენმა მოზდოკიდან წაიღო 2 ქვემეხი, წაიყვანა 6 დურგალი, 25 კაზაკი; უფის დრაგუნთა პოლკისაგან ვახმისტრი, კაპრალი, მენაღარე, მედოლე, 16 დრაგუნი და 12 აგვისტოს მოზდოკიდან გავიდა საქართველოსაკენო: ხოლო მაიორი რემენნიკოვი 12 აგვისტოს ქვეითი და დრაგუნთა ასეულებით ყიზლარში მოვიდა. აქ ჩავაბარე ჰუსართა ასეული კაპიტან კარპის მეთაურობით (ჰუსართა ასეული ტოტლებენმა შეარჩია, მაგრამ წესრიგში იყო მოსაყვანი და რემენნიკოვის ასტრახანიდან მოსკლამდე ყიზლარში დარჩა). აქ შეკეთებულ იქნა თვლები ასტრახანიდან წამოღებული ორი ქვემეხისა, მიეცა რემენნიკოვს საჭირო სურსათი 370 კაცისათვის და 14 აგვისტოს ყიზლარიდან მოზდოკში წავიდა (იქვე, ფურც. 211)

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 235—236, 222.

[2] იქვე, 120—122.

[3] სამხედრო ისტორიულ არქივში დაცულია მარშრუტის რუკა. მარშრუტი ასეთია: მოზდოკი — ჩიმი — ლარსი — დარიალი — სტეფანწმინდა — აჩხოტი — სიონი—ადოს მინდორი. ЦГВИА, ф. ВУА, д. 67022.

[4] ავანგარდში იგულისხმება ტოტლებენის ამალა (ასიოდე კაცი). რაც შეეხება რემენნიკოვის რაზმს, იგი ტოტლებენის მიერ გაგზავნილ გამცილებლებს წამოჰყოლია მოზდოკიდან 2 სექტემბერს.

ტარებასა და სურსათის ყიდვის ნებართვას. ამასთან, უცნობებია. რომ მას სურდა პირადად განუცხადოს ერეკლეს ზოგი საიდუმლო რამ[1].

1769 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში ტოტლებენი შეხვდა კიდეც ერეკლეს, ხოლო ერეკლესთან მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, იგი რაზმით იმერეთისაკენ დაიძრა[2].

1769 წლის 26 სექტემბერს ტოტლებენი და მოურავოვი 3 ასეულით იმერეთის საზღვარს მოადგნენ, სადაც მათ 27 სექტემბერს შეხვდა სოლომონ მეფე იოსებ კათალიკოსისა და დიდებულების თანხლებით. მოლაპარაკებისას, 28 სექტემბერს, ტოტლებენს მეფისათვის განუცხადებია, რომ მას იმპერატორისაგან დავალებული აქვს: იმერეთის ციხეებიდან თურქების განდევნა და სოლომონ მეფისათვის ქვეშევრდომების დამორჩილება; ხოლო თუ ამას ვერ მოახერხებს, სოლომონს თავისი ოჯახით წაიყვანს რუსეთში, სადაც მეფე დიდი პატივით იქნება მიღებული[3].

რუსეთის მთავრობა დამხმარე ჯარითა და სესხით (50 ათასი მან.) ცდილობდა განემტკიცებია იმერეთის სამეფოს მდგომარეობა, რომ ამ უკანასკნელს თურქეთთან აქტიური ბრძოლის უნარი ჰქონოდა. ამიტომაა რომ სამოქმედო ინსტრუქცია დასაშვებად სთვლიდა ქართველებს რუსეთის ოფიცრებისაგან ესწავლათ ჯარის სამხედრო წყობა, იარაღის ხმარება, თოფისწამლის გაუმჯობესება, ქვემეხების ჩამოსხმა, მათი ლაფეტზე გაწყობა, ადგილების „ევროპულად“ გამაგრება და სხვა. გამოთქმული იყო სურვილი, თუ იმერეთში რეგულარული ჯარის შექმნა არ მოხერხდება, იქნებ მოსახერხებელი გახდეს მორიგეობის დაწესება მოსახლეობისა, რათა მთელი ერი რიგიან ჯარად იქცესო[4].

რუსეთის მთავრობა ვარაუდობდა, რომ გაძლიერებული იმერეთის სამეფო, თურქეთის შეურიგებელი ვასალი, თურ-

---

[1] Грамоты, I, 61.

[2] 1769 წლის 11 ოქტომბრისათვის, როგორც ამ რიცხვით დათარიღებულ პატაკზე დართული უწყისი მოწმობს, საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარის რაოდენობა ასეთი ყოფილა: რემენნიკოვის მიერ ჩამოყვანილი საექსპედიციო რაზმი—372 კაცი, ტოტლებენის მიერ ყიზლარიდან და მოზდოკიდან წამოყვანილი—108 კაცი, სულ 480 კაცი. იხ. ПГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч, III. лл. 119—120. სექტემბრის უწყისი არ არის, რადგან იგი ასტრახანიდან რაზმის გამოსვლის შემდეგ არ შეუდგენიათ 11 ოქტომბრამდე, რაც პატაკში აღნიშნული არის.

[3] Грамоты, I, 69.

[4] შდრ. Грамоты, I, 39—50 და 475.

ქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გარკვეულ წვლილს შეიტანდა; რომ გაძლიერებული სოლომონ მეფე, რუსის ჯარის მეთაურებთან ერთად, დასავლეთ საქართველოს მთავართა და ქართლ-კახეთის მეფის მომხრობასაც შეძლებდა და ქართველთა მონაწილეობა ომში უფრო ეფექტიური იქნებოდა. ხოლო საქართველოდან აქტიური მოქმედება, თავის მხრივ, აიძულებდა თურქებს ცენტრალური ფრონტი შეესუსტებია, რაც დუნაის რაიონში მოქმედ რუსეთის არმიას მდგომარეობას შეუმსუბუქებდა.

მართალია, რუსეთი საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამოდიოდა, როცა იმერეთს დახმარების ხელს უწვდიდა, მაგრამ იმერეთის სამეფოსათვის ეს დახმარება უმნიშვნელო როდი იყო.

1769 წ. 3 ოქტომბერს რუსეთისა და ქართველთა ჯარი შორაპნის ციხეს შემოადგა.

3. ქართლ-კახეთის სამეფოს მიმხრობა რუსეთ-იმერეთის სამხედრო კავშირისადმი

1768 წლის ნოემბერში რუსეთის მთავრობას ქართლ-კახეთის სამეფოს თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა საეჭვოდ მიაჩნდა რადგან ფიქრობდენ, რომ ერეკლეს მხოლოდ ლეკებისაგან სჭირდება თავისი სამფლობელოების დაცვა, ხოლო რაც შეეხება თურქებს, ქართლ-კახეთი მათი მეზობლობის სიმძიმეს არ გრძნობსო [1]. კიდევ მეტი, რუსეთში იმისიც კი ეშინოდათ, რომ ერეკლემ სოლომონს არ ურჩიოს თურქეთთან ბრძოლაზე ხელის აღება, და თუ მეტი არა, ის მაინც მოვახერხოთ, რომ სოლომონს თავი არ შეაკავებინოს თურქეთის წინააღმდეგ აქტიური მოქმედებისაგანაო [2]. არც 1769 წლის მაისში ჰქონიათ იმედი თურქეთის წინააღმდეგ ომში ქართლ-კახეთის სამეფოს მონაწილეობისა. ამიტომ მოურავოვისათვის მიცემული ინსტრუქციის მე-8 მუხლში ერეკლეს აშკარა „დახმარება“ სოლომონ მეფისადმი საეჭვოდაა მიჩნეული და მოურავოვს ავალებენ (იგულისხმება ტოტლებენსაც), თუ ერეკლეს არ შეუძლია აშკარად დაეხმაროს იმერეთის მეფეს, შეეცადეთ ფარული დახმარება მაინც გაუწიოს მას, როცა ლეკებთან ომით დაკავებული არ იქნებაო [3].

---

[1] Грамоты, I, 6—7.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 46—47.

რუსეთის მთავრობის სიფრთხილეს გარკვეული საფუძველი ჰქონდა. ქართლ-კახეთის სამეფო იმ დროს თურქეთის უღელქვეშ მყოფი ქვეყნების რიცხვს არ ეკუთვნოდა და, ცხადია, საქმე თურქეთის ვასალის აჯანყებისაკენ მოწოდებას როდი ეხებოდა.

ერეკლე II 1769 წლის ცნობილი წერილები და განცხადებები ერთი შეხედვით ისეთ შთაბეჭდილებასაც ტოვებს, თითქოს რუსეთის მთავრობის ეს ექვი მთლიანად უსაფუძვლო გამოდგა. ამასთან, ცნობილი დოკუმენტებიდან (Грамоты, т. I—II) ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ერეკლე II წინადადებებს, ჯარის გადიდების თაობაზე, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ მიუხედავად ამისა ქართლ-კახეთის სამეფო ომში მაინც ჩაება[1].

რადგანაც საქმის ვითარების შესწავლამ სხვა სურათი გადაგვიშალა, საჭიროდ მიგვაჩნია დაწვრილებით შევჩერდეთ ერეკლეს დიპლომატიურ ბრძოლაზე.

რუსეთსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ერეკლეს ხვაბულოვის საქართველოში ჩამოსვლამდე შეუტყვია და რუსეთის წარმომადგენლის საქართველოში გამოჩენა სასარგებლო საქმედ მიუჩნევია. ამასთან, ის ამბავი, რომ ხვაბულოვი ჯერ სოლომონ პირველთან მიდიოდა, ერეკლე მეფეს საწყენადაც კი მიუღია, რადგან იგი თავის თავს საქართველოში უპირველესად თვლიდა[2].

1769 წლის მარტის ბოლოს ხვაბულოვი იმერეთიდან ქართლში დაბრუნდა. ამ დროს თბილისში თურქეთის ელჩები ყოფილან, რომელთაც ქართლ-კახეთის სამეფოსაგან ნეიტრალიტეტი უთხოვიათ. ერეკლეს, თურქი ელჩებისათვის რუსეთის წარმომადგენლის მოსვლის დაფარვის მიზნით, ხვაბულოვი ქართულ ტანსაცმელში გადაცმული ჩამოუყვანია თბილისში, მაგრამ თურქებს აგენტების საშუალებით შეუტყვიათ ხვაბულოვის ადგილსამყოფელი და ბინის თვალიერება დაუწყიათ, რის გამოც გაჯავრებულ ერეკლეს თურქი ელჩები გაუძევებია. 1769 წლის 11 აპრილს ერეკლეს ხვაბულოვი მიუღია.

რუსეთის წარმომადგენელთან საუბარში ერეკლე მეორეს, როგორც ხვაბულოვის მოხსენებიდან ჩანს, განუცხადებია, რომ თუ საქართველოში რუსეთის თუნდაც მცირე რაზმს გამოაგზავნიან, მას „შეუძლია თურქეთში ქალაქები დაიპყროს თვით ცარ-

[1] შეიძლება ითქვას, ასე ესმოდა პროფ. ცაგარელს ერეკლეს დიპლომატიური ბრძოლის შედეგი, როცა იგი წერდა: ტოტლებენს, 16 დეკემბრის წერილით, ერეკლეს თხოვნით ჯარის გადიდებაზე უარი შემოუთვალესო. შდრ. Грамоты, I, გვ. XI.

[2] Грамоты. I, 422, 426.

გრადამდეც კი; აქაური (რუსეთის—ვ. მ.) დამხმარე ძალები მას უმთავრესად იმიტომ ჭირდება, რომ საქართველოში მათი ჩასვლით შიში შეუდგებათ არა მარტო თურქეთისა და ირანის ქვეყნებში, არამედ აგრეთვე მთელს იმ მხარეში და ყველა იგრძნობს რა, რომ მეფე ერეკლე მიღებულია მ. ი. უ. მფარველობის ქვეშ, თავზარი დაეცემათო...“ [1].

1769 წლის 21 მაისს, როგორ ზემოთაც აღვნიშნეთ, სოლომონ I ჩამოსულა თბილისში. მეფეებს თურქეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება დაუთქვამთ. ერეკლეს საიდუმლო სამზადისიც კი დაუწყია, მაგრამ გადაწყვეტილებას ძალა ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ერეკლეს მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. სახელდობრ, თუ რუსეთი 7—5 პოლკ (7—5 ათასი კაცი) დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა და თურქეთთან ზავის დადებისას ტრაქტატში ქართლ-კახეთის საჩეფო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ იქნებოდა შეყვანილი. ამასთან, ერეკლეს მტკიცედ განუცხადებია, რომ დამხმარე ძალების მიღების გარეშე მას ომში ჩაბმა არ შეუძლია [2].

რაკი ხვაბულოვის რწმუნება მხოლოდ ცნობების შეგროვებითა და ქართველი მეფეებისადმი მოწოდებით განისაზღვრებოდა, მეფეებმა ელჩები შეარჩიეს რუსეთში გასაგზავნად (ერეკლემ—ა. ანდრონიკაშვილი, სოლომონმა—დ. კვინიხიძე). ამასობაში ხვაბულოვს რუსეთიდან ცნობა მოუვიდა იმერეთის დასახმარებლად ჯარი იგზავნება და გზის საკითხი მოაგვარეო.

ბუნებრივია, რუსეთის მთავრობის ეს ნაბიჯი ერეკლეს გარკვეულ მობრუნებად მიუჩნევია რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, ქართლ-კახეთის მეფის გააქტივებაც ამით უნდა აიხსნას. ამის გამო იყო, რომ 1769 წლის 5 ივნისის წერილით, რომელიც ანდრონიკაშვილს მიქონდა რუსეთში, ერეკლე II ნ. პანინს აცნობებდა—თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად, თანახმად თქვენი წინადადებისა, გამზადებული ვართ, ოღონდ გაწვრთნილი ჯარი გამოგვიგზავნეთ [3], რომ რუსეთის მხრივ მფარველობა საყოველთაოდ ცხადი გახდესო და ბრძოლასაც უკეთესი შედეგი მოყვესო [4].

---

[1] Грамоты, I, 427—428.

[2] იქვე, გვ. 429.

[3] მართალია, ერეკლემ იცოდა, რომ ჯარი მოდიოდა, მაგრამ არ იცოდა რა რაოდენობით, რადგან ჯარის რაოდენობა და შეიარაღება ხვაბულოვისათვისაც უცნობი იყო. პოტაპოვი აცნობებდა საგარეო კოლეგიას—მართალია, ხვაბულოვს ვაცნობე ჯარის გაგზავნის შესახებ, მაგრამ „не открывая и Хвабулову число людей и орудии“. ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4. ч. 1, лл. 93—95.

[4] Грамоты, II, в. I, 6—7.

ანდრონიკაშვილს მეფისაგან დავალებული ჰქონდა ზეპირად განეცხადებია ნ. პანინისათვის, რომ, როცა რუსეთი მოსახერხებლად დაინახავდა ირანთან ომის დაწყებას, ერეკლე მზად იქნებოდა გამოსულიყო ირანის წინააღმდეგაც, ხოლო ახლა კი, ირანი რომ არ დაექვეულიყო ერეკლეს სამზადისით, რუსეთს წერილობით დაერწმუნებინა ირანის მთავრობა, რომ ეს სამზადისი მის წინააღმდეგ არ იყო მიმართული; მეორე, რუსეთის მთავრობას წიაღისეულის დასამუშავებლად, დამხმარე ჯართან ერთად, სპეციალისტებიც გამოეგზავნა. ელჩს თან მიჰქონდა მოხსენებითი ბარათი საქართველოს მეზობლების პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ა. ანდრონიკაშვილი, ხვაბულოვთან და კვინიხიძესთან ერთად, 21 ივლისს ყიზლარში ჩავიდა. სანამ ასტრახანის გუბერნატორისაგან გამგზავრების ნებართვას მიიღებდა, იგი ავად გახდა. ამასობაში ყიზლარში ტოტლებენიც მოვიდა და ყიზლარის კომენდატმა ქართველ ელჩს ადგილზე დაცდა ურჩია, რადგან გენერლისა და ერეკლეს შეხვედრის შედეგად იქნებ დამატებითი დავალებებიც გაჩნდესო. მაგრამ ელჩი ამაზე არ დაეთანხმა და კომენდანტიც, რომ არ გაენაწყენებია იგი, დაპირდა 12 ან 14 აგვისტოს სამეფო კარზე გაგგზავნიო [1].

ანდრონიკაშვილი მალე პეტერბურგში ჩავიდა, მაგრამ რუსეთის სამეფო კარზე არსებითი როლის თამაში მას წილად არ ხვდა, რადგან ამასობაში რუსეთის წარმომადგენლები საქართველოში ჩამოვიდნენ, რომელთაც საქართველოს მდგომარეობისა და მისი არსებითი პრეტენზიების შესახებ უკეთესი ინფორმაცია შეეძლოთ გაეკეთებინათ რუსეთის სამეფო კარისათვის, ვიდრე ქართველ დიპლომატს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტოტლებენმა საქართველოში ფეხისშემოდგმისთანავე ერეკლეს იმერეთში გატარების ნებართვა სთხოვა, ამასთან სწერდა, საიდუმლო მაქვს გასაცხადებელიო. 1769 წლის 29 აგვისტოს იგი შეხვდა კიდეც ერეკლეს სოფელ ხოდასთან [2]. რა თქმა უნდა, ტოტლებენს გასაცხადებელი არავითარი საიდუმლო, რაც დღეს ცნობილი არ იყოს, არა ჰქონია. ეს საიდუმლო მოურავისათვის მიცემული ინსტრუქციით განსაზღვრული ამოცანა—ქართლ-კახეთის სამეფოს ომში მიმხრობა იყო. მაგრამ რაკი რუსეთის მთავრობა 1769 წლის მაისში ერეკლეს დათანხმებას საეჭვოდ მიიჩნევდა და მთელს იმედებს სოლომონზე

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4. ч. I, лл. 120—122.

[2] Грамоты, I, 61—62.

ამყაოებდა, მოურავოვს (ტოტლებენსაც) მისცა დარიგება: ერეკლეს ომში მიმხრობის შესახებ სოლომონს მოეთათბირეთო[1]. ინსტრუქციის დაწერის შემდეგ (1769 წ. მაისი) ცხადი გახდა, რომ ერეკლე დიდ აქტივობას იჩენდა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში რუსეთის წარმომადგენლებს აღარ ჰირდებოდათ სოლომონის კონსულტაცია, რაკი ერეკლე ომში მონაწილეობის სურვილს აცხადებდა და ერეკლესთან უშუალო მოლაპარაკება დაიწყეს.

ერეკლესთან შეხვედრისას ტოტლებენს ეს „საიდუმლო" გაუმხელია: „მისი ი. უ. ბრძანებით საქართველოში მოვედიო"[2]. ამ განცხადებას სიხარულით შეხვედრიან ქართლ-კახეთის პოლიტიკოსები. რა თქმა უნდა, საქართველოში გამოგზავნილი რუსეთის ჯარის უმთავრესი ამოცანა ქართველთა ძალების თურქების წინააღმდეგ ომში მიმხრობა და ცენტრალური ფრონტიდან თურქთა ძალების მოზიდვა იყო და, ცხადია, თუ რუსეთის მოხელეები ასეთი განცხადებით იმერეთთან შედარებით ძლიერ ქართლ-კახეთის სამეფოს მიიმხრობდნენ, რუსეთის მთავრობა მათ ამ ნაბიჯს არ დაუწუნებდა.

1769 წ. 20—30 აგვისტოს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის წარმომადგენლების შეხვედრას გულთბილ ვითარებაში ჩაუვლია.

რუსეთის წარმომადგენლებს საქართველოში ჩამოსვლისთანავე შეუტყვიათ, რომ იმერეთის სამეფო ძალზე სუსტი იყო და თურქეთთან აქტიური ბრძოლის უნარი, ისე რომ რუსეთისათვის თვალსაჩინო სარგებლობა მოეტანა, არ გააჩნდა. ხოლო ერეკლე მზადყოფნას აცხადებდა „დახმარებოდა სოლომონ პირველს". მაგრამ აქვე ითხოვდა რუსეთს გამოეგზავნა 5 ათასიანი დამხმარე ჯარი. თუ ეს 5 ათასიანი ჯარი დაზამთრებამდე გადმოსვლას ვერ მოახერხებდა, 1500 კაცი მაინც გადმოეყვანათ, ხოლო დანარჩენი მომავალი წლის გაზაფხულამდე. უამისოდ კი, თუმცა „მისი ი. უ. ბრძანებით მზადაა თურქებს ომი გამოუცხადოს და სოლომონს აშკარა ან ფარული დახმარება აღმოუჩინოს, მაგრამ გამოგზავნილი რაზმი (სამი ასეული—ვ. მ.) არასაკმარისად მიაჩნია და ამიტომ ეშინია ომის გაურკვეველი ხვედრისა"[3].

---

[1] „Кчему и каким образом его (ერეკლე—ვ. მ.) склонять... и том согласиться вам с Имеретийским владетелем" (Грамоты, 1, 47).

[2] იქვე, გვ. 62.

[3] Грамоты I, 64.

გარდა დამხმარე ჯარისა, ერეკლეს მოუთხოვია სპეციალისტები არტილერიის გასამართავად და წიაღისეულ სიმდიდრეთა დასამუშავებლად [1].

რუსეთიდან სპეციალისტების გამოგზავნა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ არტილერიის საქმის სპეციალისტი ჩოლოყაშვილი უკვე წამოსული იყო. რაც შეეხება ჯარის გადიდებას, აქ სერიოზული სიძნელე იყო, ამიტომ პასუხში მოურავოვს, ჩანს, ინსტრუქციის მე-4 მუხლის შესაბამისად ჩამოუთვლია მიზეზები: რუსეთში საკუთარი საჭიროება ჯარზე, გზის სიძნელე, ჯარის შენახვის სიძნელე, გაურკვევლობა იმისა, თუ რა სარგებლობა შეუძლიათ მოუტანონ ქართველებმა ომში თავიანთი მონაწილეობით რუსეთს. ერეკლეს გაუქარწყლებია ეს მოტივები და დაპირება მიუცია: გზის საკითხს იგი მოაგვარებდა, მოთხოვნილი ჯარის მომარაგებას თვითონ იკისრებდა, ხოლო დამხმარე ჯარის მიღებით საკუთარ ჯარსაც გაამხნევებდა და ასეთ პირობებში რუსეთის სასარგებლოდ დიდი წარმატებები იქნებოდა მოპოვებული.

რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები, დარწმუნებულან რა ერეკლეს მოთხოვნისადმი ანგარიშის გაწევის აუცილებლობაში, მეფისათვის დაპირება მიუციათ. მოურავოვი მთავრობას აუწყებდა: „გრაფმა ტოტლებენმა მისი ი. უ. სახელით მეფე ერეკლეს მის ყველა მოთხოვნაზე დააიმედაო...“ [2] კონკრეტულად, როგორც ერეკლე იუწყება, ტოტლებენი მას სამეფო კარის დაუკითხავად ზამთრამდე 1500 კაცის გადმოყვანასა და დანარჩენზე მთავრობის წინაშე შუამდგომლობას დაპირებია. „ამისმა ღ. ბ. ათას ხუთასი კაცი აღგვითქუა მაღალს კარს მოუხსენებლადო“ [3]—წერდა ერეკლე ნ. პანინს.

ინსტრუქცია რუსეთის წარმომადგენლებს ავალებდა თავი შეეკავებინათ საექსპედიციო ჯარის გადიდების მოთხოვნაზე დადებითი პასუხის მიცემისაგან. ისინი, როცა თანხმობას აძლევდნენ ერეკლეს, ინსტრუქციას არღვევდნენ, მაგრამ ასეთ ნაბიჯს ისინი ასაბუთებენ იმით, რომ იმერეთის სამეფო სუსტია და თურქეთთან ომში არსებითი როლის თამაში არ შეუძლიაო, ხოლო ქართლ-კახეთის ძლიერი სამეფო, თუ მის წინადადებას ანგარიში გაეწევა, ომში ჩაებმება, რაც დიდ იმედებს იძლევაო.

---

[1] Грамоты, I. 64—65.

[2] იქვე.

[3] Грамоты, II, в. I, 14; Грамоты, I, 447—448.

1769 წლის 3 სექტემბრის პატაკით მოურავოვი ნ. პანინს აწერდა: „სოლომონ მეფე ძალზე სუსტია და ერეკლეს გარეშე არავითარი მოქმედების წარმოება არ შეუძლიაო...“ [1]

ტოტლებენის 5 სექტემბრის წერილიც ამას ადასტურებდა და ჯარის გადიდების მოტივად ამასვე აყენებდა. „საჭიროა ჯარები გადიდდეს იმის გამო, რომ სოლომონ მეფის ჯარების დახმარების არავითარი იმედი არა მაქვსო...“ [2]

ამასთან რუსეთის წარმომადგენლების ანგარიშით, რაკი ქართლ-კახეთის ძლიერი, ჭკვიანი და თვითმპყრობელი მეფე ჯარის გაუდიდებლად ომში ჩაბმას არ აპირებდა, საჭირო იყო დათმობაზე წასვლა, რადგან ქართლ-კახეთის ომში ჩაბმით—„უმოკლეს დროში აუცილებლად შეიძლება ველოდეთ დიდ შედეგებს რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ“ [3].

მოურავოვსა და ტოტლებენს სამეფო კარზე შუამდგომლობით მაიორი თავ. რატიევი გაუგზავნიათ, რომელსაც ერეკლეს, მოურავოვისა და ტოტლებენის წერილებთან ერთად ზეპირი დანაბარებიც ჰქონია. „...სხუას ჩვენგან თ. ღ. ბ. განსაცხადებელს ზეპირს სიტყუას,—სწერდა ერეკლე პანინს,—უფალი მაიორი რატიევი მოგახსენებს“ [4].

რატიევს ჯერ ყიზლარსა და ასტრახანში უნდა მოეგვარებია 1500 კაცის საქართველოში გამოგზავნის საქმე, ხოლო შემდეგ პეტერბურგში მთავრობას წარსდგომოდა ერეკლესადმი მიცემული დაპირების შესასრულებლად.

რუსეთიდან პასუხის მიღებამდე ერეკლეს ომში მონაწილეობა გამორიცხული იყო, ხოლო პასუხი მალე არ იყო მოსალოდნელი, ამიტომ ტოტლებენი, როგორც კი მოზდოკიდან რემენნიკოვი რაზმით (სამი ასეულითა და 2 ქვემეხით) ჩამოვიდა, იმერეთისაკენ დაიძრა (სექტემბრის მეორე ნახევარი).

* * *

1769 წლის 10 სექტემბერს მაიორი რატიევი ყიზლარში მისულა და ყიზლარის კომენდანტ პოტაპოვისათვის ტოტლებენის 5 სექტემბრის წერილი გადაუცია, რომლის შინაარსი ასეთია: ერეკლე მეფესთან კავშირი დავდე, რათა თურქეთის იმ-

---

[1] Грамоты, I, 65.

[2] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, л. 164.

[3] Грамоты, I, 65.

[4] Грамоты, II, в. I, вз. 14.

პერიის ჯარს ეებრძოლო, საქმის სასწრაფოდ და წარმატებით დაწყებისათვის საჭიროა ჯარის გადიდება, რადგანაც სოლომონ მეფისაგან არავითარი დახმარების იმედი არა მაქვს; გთხოვ გამოგზავნოთ: ჰუსარი (რამდენიც შეგიძლია), ჯარისკაცები ყიზლარის და მოზდოკის ბატალიონებიდან; უფის პოლკიდან ერთი ესკადრონი და 300 კაზაკი; შეუფერხებლად გამოგზავნე ჩოლოყაშვილიც[1]. პოტაპოვს ერეკლეს წერილიც მიუღია. ალბათ, რატიევის პირადმა განცხადებებმაც მასზე ზეგავლენა მოახდინა და კომენდატს მთავრობის დაუკითხავად ნაბიჯი გადაუდგამს—ტოტლებენისათვის დრაგუნთა ესკადრონი და 70 კაზაკი გამოუგზავნია[2].

რა თქმა უნდა, გენ. პოტაპოვს აწუხებდა ის, რომ, თუ საექსპედიციო ჯარის რაოდენობა არ გადიდდებოდა, ერეკლე ომში მონაწილეობას არ მიიღებდა და რუსეთის სასარგებლო საქმე შეჩერდებოდა. ეს ნათლად ჩანს პოტაპოვის 12 სექტემბრის საიდუმლო პატაკიდან[3]. აი რატომ გადადგა მან მთავრობის დაუკითხავად ეს ნაბიჯი. პოტაპოვი დარწმუნებული იყო, რომ ერეკლეს 30 ათასიანი ჯარის გამოყვანა შეეძლო. გარდა ამისა, რაკი, როგორც პოტაპოვმა იცოდა, მთიელი ლეკებიც, რომლებიც აქამდე საქართველოს აოხრებდნენ, ახლა ერეკლეს ერთგულნი იყვნენ და მას ემსახურებოდნენ, ერეკლეს შეეძლო თავისი ძალები კიდევ უფრო გაედიდებია. ცხადია, ასეთ პირობებში ერეკლე სერიოზულ მოკავშირედ გამოიყურებოდა[4].

1769 წ. 18 სექტემბერს ტოტლებენის წერილი ასტრახანის გუბერნატორსაც მიუღია და მასაც სათანადო ნაბიჯი გადაუდგამს საქართველოში საექსპედიციო ჯარის გამოსაგზავნად—თუმ-

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, л. 164.

[2] იქვე, ფურც. 163.

[3] იქვე

[4] დამახასიათებელია, რომ 1769 წლის ზაფხულში ერეკლეს დიპლომატიურ შიკრიკებს ყიზლარის კომენდანტი დაურწმუნებიათ, რომ ერეკლეს შეუძლია 30 ათასიანი ჯარის გამოყვანა, ამის გარდა, მას დახმარებაზე არც ლეკები ეტყვიან უარს, რადგან ლეკები, რომლებიც აქამდე ქვეყანას აოხრებდნენ, ახლა ერეკლე მეფეს ერთგულობენ, რომელთაგან 4 ათასი კაცი ერეკლეს სამსახურში ჰყავსო. თავის მხრივ, ერეკლეს აგენტების მიერ შეცდომაში შეყვანილი კომენდანტი 1769 წ. ივლისში რუსეთის მთავრობას არწმუნებდა, რომ „здесь... о усердности Тавлинцев и Лезгинцев к царю Ираклю слышно, яко оне ту преданность к нему возимели, потому больше, что когда при разорении ими Грузии цар Ираклий, одерживая над ними победы захватывал народ в плен, то их не только ничем не озлоблял, но еще отпусками награждал.

�ia, როგორც იგი სამხედრო კოლეგიას 19 სექტემბრის პატაკით აცნობებდა, ჯარის გადიდება განსაზღვრული არ ყოფილა[1].

ოქტომბერში რატიევი პეტერბურგში იყო. მისი ზეპირი პოხსენებებით, მოურავოვის, ტოტლებენისა და პოტაპოვის წერილებით რუსეთის მთავრობისათვის ცნობილი გახდა, რომ ომში ქართლ-კახეთის მონაწილეობას შეუძლია გარკვეული შედეგი გამოიღოს. ამავე დროს ცნობილი იყო ისიც, რომ ერეკლე 5 ათასიანი დამხმარე ჯარის მიღების გარეშე ომში არ ჩაებმებოდა, რომ ერეკლეს 30—50 ათასიანი ჯარის გამოყვანა შეეძლო[2], რომ იგი ჭკვიანი, საქმიანი, მტკიცე ხელისუფლების მქონე მეფე იყო, რომელსაც შეეძლო ჯარის მომარაგება და გზის მოწესრიგება. ასეთი მოკავშირე რუსეთისათვის ძვირად ღირდა. მით უმეტეს, რომ საქართველოში რუსეთის ჯარის გადიდების საკითხში გარკვეული ნაბიჯიც იყო გადადგმული პრაქტიკულად და უკან დახევაც უხერხულობას შექმნიდა.

ასეთ ვითარებაში რუსეთის მთავრობამ საექსპედიციო ჯარის გადიდება გადაწყვიტა და 1769 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებული ბრძანება გაეგზავნა სამხედრო კოლეგიას, რომელსაც ეკატერინე II აწერდა ხელს. ბრძანებაში ნათქვამი იყო: „გენერალ-მაიორ გრაფ ტოტლებენის პატაკებიდან ჩანს, რომ მასთან მყოფი ჯარი საკმარისი არაა ჩვენს მიერ მისთვის დავალებული მოქმედების საწარმოებლად, ამიტომ ვბრძანებ მისი კორპუსი გადიდდეს ისე, რომ იმ ჯარების ჩათვლით, რომელიც ახლა მასთან იმყოფება, იგი შედგებოდეს ერთი ქვეითი, სახელდობრ ტომსკის, პოლკისაგან, მუშკეტერთა ერთი ასეულისაგან, კარაბინერთა ორი ესკადრონისაგან, ჰუსართა ორი ესკადრონისაგან, 200 დონელი კაზაკისაგან და სამასი ყალმუხისაგან, აგრეთვე გარდა პოლკის ქვეშეხებისა საველე არტილერიის თორმეტი ქვემეხისაგან კუთვნილი მოხსახურე პერსონალით“[3].

იმპერატორის 22 ოქტომბრის ბრძანებას აქვს დანართი, სადაც მოცემულია ჯარის შტატი და მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა. ჯარის შტატი ასეთია:

почему оне отчувствуясь сколько ни дики, к нему стали отменно доброрадыи на службу для него употребляется чрезмерною ревностью“ (იქვე. ფურც. 93—95).

[1] იქვე, ფურც. 160—161.

[2] Грамоты, I, 86, 432; ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4. ч. I, лл. 93—95.

[3] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, л. 181.

ტომსკის პოლკი .	. 2093 კაცი
მუშკეტერთა ერთი ასეული .	164
კარაბინერთა ორი ესკადრონი	361
ჰუსართა ორი ესკადრონი .	349
დონის კაზაკი	201
ყალმუხი	311
არტილერიის მოსამსახურე პერსონალი	288 „
	სულ 3.767 კაცი.

აარჯთაღრიცხვა 1770 წლის იანვრიდან 1771 წლის იანვრამდე შეადგენდა 134.600 მან. და 94 1/4 კაპიკს[1].

როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობას ერეკლეს მოთხოვნისათვის ანგარიში არსებითად გაუწევია და საექსპედიციო ჯარის რიცხვი 9-ჯერ და კიდევ მეტად გაუდიდებია, ხოლო საქართველოში გამოგზავნილი ჯარის შესანახი თანხა 22.256 მანეთიდან 134.600 მანეთამდე გაზრდილა[2].

რა თქმა უნდა, პროფ. ცაგარელი ცდებოდა, როცა ეკატერინე II 16 დეკემბრის წერილში ერეკლეს მოთხოვნით ჯარის გადიდების თაობაზე მხოლოდ უარს ხედავდა[3].

* * *

როგორც უკვე ვთქვით, 1769 წლის 3 ოქტომბერს რუსეთ-იმერეთის ჯარები შორაპნის ციხეს შემოადგა. ტოტლებენმა გარნიზონისაგან დანებება მოითხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ამასობაში იმერეთის ტერიტორიაზე დადიანი და თურქები შემოიჭრნენ: სოლომონი იძულებული გახდა მტერს მიგებებოდა და ტოტლებენი ციხესთან დაეტოვებია. ოთხი დღის უშედეგო გარემოცვის შემდეგ ტოტლებენმა ციხეს ალყა მოხსნა და 13 ოქტომბერს იმერეთიც დატოვა. 29 ოქტომბერს ტოტლებენი და მოურავოვი რუსის სამხედრო რაზმით ცხინვალში იყვნენ[4].

იმერეთიდან რუსეთის ჯარის დაბრუნება მოურავოვის 29 ოქტომბრის პატაკით სურსათისა და ალაფის ნაკლებობითაა ახსნილი[5]. რა თქმა უნდა, მთავარი მიზეზი ეს არ ყოფილა. ცნობილია,

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 182—183.

[2] ეს თანხა ერეკლეს 1770 წლის შემოსავალს ბევრად სჭარბობდა (შდრ. ჟ. „კვალი", 1898 წ., მარტი, № 11).

[3] შდრ. Грамоты, I, გვ. 85—89 და იქვე, გვ. XI (შესავალი).

[4] იქვე, გვ. 443—444.

[5] იქვე, გვ. 443.

რომ 1770—1771 წლებში იმერეთში რუსეთის 4 ათასიანი კორპუსი ახერხებდა სურსათ-სანოვაგის შოვნას და შეუძლებელია 1769 წელს 400 კაცი ვერ გამოეკვებათ. ტოტლებენის 1770 წლის 6 აპრილის პატაკიდანაც დასტურდება, რომ მოზდოკიდან გამოსვლის შემდეგ 1770 წლის 6 აპრილამდე რუსეთის ჯარს შიმშილობა არ განუცდია, თუმცა იმერეთში ყოფნისას ადგილი ჰქონია ნაკლებობას, მაგრამ ჯარისკაცებისათვის დღეში 4 კაპიკი მიუციათ და ყოველთვის ჰქონიათ სურსათი საჭირო რაოდენობით [1].

იმერეთიდან დაბრუნების მიზეზად სურსათის ნაკლებობის მიჩნევა უსაფუძვლოა.

მოურავოვის 1769 წლის 12 ოქტომბრის პატაკით იმერეთის დატოვება რუსეთის მთავრობის თვალში დასაბუთებულია და მომავალი (13 ოქტომბრის) პრაქტიკული ნაბიჯი წინასწარ გამართლებული. მოურავოვის მოხსენება ისეა აგებული, რომ ჯერ იმერეთის მძიმე მდგომარეობაა აღწერილი და შემდეგ მოყვება დასკვნა: „სოლომონი უძლურია რუსეთის საიმპერატორო ტახტს სამსახური და სარგებლობა უჩვენოსო“ [2]. ქვემოთ ავტორი ქართლ-კახეთის მდგომარეობის აღწერაზე გადადის და ასაბუთებს, რომ ქართლ-კახეთს 15 ათასიანი ჯარის გამოყვანა შეუძლია და თუ რუსეთიდან 5 ათასიანი ჯარი იქნება გამოგზავნილი, ქართლ-კახეთის შედარებით ძლიერი სამეფო ომში ჩაებმება. ამ უკანასკნელს კი შეუძლია უმოკლეს დროში წარმატება მოიპოვოს და დიდი სამსახური გაგვიწიოსო [3].

მაშასადამე, რაკი იმერეთიდან თურქეთის წინააღმდეგ ომის გაშლას დიდი პერსპექტივა არ უჩანდა, აუცილებელი იყო ერეკლესა და ტოტლებენის წინასწარი შეთანხმების განაღდება, ყოველ შემთხვევაში, ბრძოლა მაინც მისი რეალიზაციისათვის, რათა უზრუნველყოფილიყო ქართლ-კახეთის ჩაბმა ომში, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა.

ჩვენ არ ვიცით, მიიღო თუ არა ტოტლებენმა იმერეთში რაიმე ცნობა ყიზლარის კომენდანტისა და ასტრახანის გუბერნატორის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ, მაგრამ 29 ოქტომბერს, როგორც ტოტლებენის 3 ნოემბრის წერილიდან ჩანს, მას მთავრობის დაუკითხავად დრაგუნთა ესკადრონი (158 კაცი) და 70 კაზაკი მიუღია, რისთვისაც მადლობას უთვლიდა პოტაპოვს [4].

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. III, лл. 49—52.

[2] Грамоты, I, 74.

[3] იქვე, გვ 75—76.

[4] ЦГВИА. ф 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 266—267.

საფიქრებელია, ტოტლებენმა ცნობა ამის შესახებ იმერეთშივე მიიღო და ქართლშიც ამიტომ დაბრუნდა.

ხსენებულ წერილში ტოტლებენმა ყიზლარის კომენდანტს დამატებით მოსთხოვა ჯარი და პირველი წარმატებით წახალისებული თავის გეგმასაც უბხელდა: მე მხოლოდ დამხმარე ჯარს ველოდები, რის შემდეგ პირდაპირ ახალციხეზე დავიძვრები, საჭიროა დრო არ დავკარგო და დავასწრო მტერს ვიდრე მცირე ძალები ჰყავსო [1].

რა თქმა უნდა, შორაპნის ციხესთან (სადაც 23 თურქი იჯდა) გაწბილებული გენერალი 1500 კაცის მოლოდინში ახალციხეზე ლაშქრობის ფართო გეგმას ვერ დაისახავდა, თუ აქ ერეკლეს თანამონაწილეობაც გარანტირებული არ იქნებოდა. ერეკლეს შეხვედრა ტოტლებენთან სექტემბრის პირველი რიცხვებიდან ნოემბრის დასაწყისამდე არ შემდგარა. მაშასადამე, ახალციხეზე ერთობლივი ლაშქრობა აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში უნდა გადაწყვეტილიყო, ოღონდ მისი განხორციელება დამატებით ჯარის მიღებამდე იყო გადადებული. ტოტლებენის წერილი ემთხვევა ერეკლეს მიერ ნ. პანინისადმი 1769 წ. 4 სექტემბერს გაგზავნილ წერილის [2] აზრს იმ განსხვავებით, რომ ერეკლე ლაპარაკობს მტრისათვის დასწრებაზე საერთოდ და არა კერძოდ ახალციხეზე. მაგრამ ვიდრე დამატებითი ჯარი არ გამოჩნდებოდა, კონკრეტული გეგმის გამხელას ხომ აზრი არ ჰქონდა და, ალბათ, ამიტომ ერეკლეც ამაზე წინასწარ არაფერს წერდა. ადრე არც ტოტლებენს უთქვამს ამის შესახებ რაიმე (5 სექტემბრის წერილებში პოტაპოვისა და ბეკეტოვისადმი).

საბუთების შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ახალციხეზე ლაშქრობის გეგმა ერეკლეს მოურავოვთან და ტოტლებენთან პირველი შეხვედრებისას წამოუყენებია, რუსეთის წარმომადგენლებს ეს გეგმა მიუღიათ და ამიტომ ცდილობდა ტოტლებენი სასწრაფოდ ყიზლარ-ასტრახანიდან 1500 კაცის მიღებას, რომ ეს გეგმა განეხორციელებია.

ასე რომ, რაკი იმერეთში თურქების შემოქრის შედეგად, შორაპნის ციხესთან საქმე კარგად ვერ წავიდა, თანაც ყიზლარიდან დამატებით ჯარს მოელოდნენ და ერეკლეს ომში ჩაბმის იმედიც ჰქონდათ, ტოტლებენმა და მოურავოვმა ქართლში დაბრუნება გადაწყვიტეს.

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 266—267.

[2] Грамоты, II, в. I, 14.

იმერეთიდან რუსეთის ჯარის ქართლში დაბრუნება, რამდენადაც იგი მიზნად ისახავდა ერეკლესთან კავშირში ფართო მასშტაბის ოპერაციების გაშლას, ობიექტურად იმერეთის სამეფოსათვისაც საჭირბოროტო იყო. ცხადია, ახალციხის დაკავების შემდეგ იმერეთის ციხეების განთავისუფლება, რომლებშიც 20—23 თურქი ჯარისკაცი იჯდა თითოეულში, მხოლოდ დროის საკითხი იყო, რადგან ეს მცირერიცხოვანი გარნიზონები მხოლოდ ახალციხიდან დახმარების იმედით ბედავდნენ წინააღმდეგობის გაწევას.

რუსეთის მთავრობის მიერ ოქტომბერში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ საქართველოში არაფერი იცოდნენ; ყიზლარსა და ასტრახანშიც საქმე არსებითად წინ ვერ წავიდა და ერეკლეს წინაშე დაპირება ვერ იქნა შესრულებული[1], ამიტომ 1769 წელს ახალციხეზე ლაშქრობა ვერ განხორციელდა.

1769 წლის დეკემბერში ტოტლებენი თვით წავიდა რუსეთში ჯარის გადმოსაყვანად. 1770 წლის 1 იანვარს იგი მოზდოკში იყო, ხოლო 6 იანვარს სამი ასეულითა და კაზაკებით მოზდოკიდან საქართველოში წამოვიდა[2]. რის შედეგადაც 1770 წლის 3 თებერვლისათვის საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარის რიცხვი 1.228 კაცამდე გაიზარდა[3].

როგორც აღვნიშნეთ, იმპერატორის 1769 წლის 22 ოქტომბრის ბრძანებით საქართველოში საექსპედიციო ჯარი 3767 კაცამდე უნდა გადიდებულიყო. სამხედრო კოლეგიამ იმავე წლის 25 ოქტომბერს დაგზავნა სათანადო ბრძანებები, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო დამატებით ჯარის ჩამოსვლა დაგვიანდა. ტომსკის პოლკმა (შტატით 2.093 კაცი) პოლკოვნიკ კლავერის მეთაურობით, 1769 წლის 19 ნოემბერს გადმოლახა ვოლგა ყაზანთან, 1770 წლის 10 იანვარს მივიდა ცარიცინში[4] და იქ დაიზამთრა. 1770 წ. 16 მარტს ტომსკის პოლკი ცარიცინიდან მოზდოკისაკენ დაიძრა, 30 აპრილს მოზდოკიდან საქართველოსაკენ წამოვიდა[5] და მხოლოდ იმავე წლის ივნისში, ანანურში, შეუერთდა აწყურიდან დაბრუნებულ ტოტლებენს[6].

---

[1] მართალია, ასტრახანის გუბერნატორმა სცადა გამოეგზავნა 1000 ყალმუხი. მაგრამ ცდა უშედეგოდ დამთავრდა. შდრ. ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 217—220.

[2] იქვე, ფურც. 329—330, 387—388.

[3] იქვე, ფურც. 406, 393.

[4] იქვე, ფურც. 424, 297—303, 425—428.

[5] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. II, лл. 650—651, 539.

[6] იქვე, ფურც. 581—583.

სამხედრო კოლეგიამ, 1769 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებით, რატიევს დაავალა ჰუსართა ორი ესკადრონის, რომლის მეთაურად იგი დაინიშნა, და კარაბინერთა ორი ესკადრონის ჩამოყალიბება. რატიევი გზაში ავად გახდა, რის გამოც მხოლოდ 1770 წლის იანვრის შუა რიცხვებში მიაღწია ყიზლარსა და მოზდოკს, სადაც შეუდგა დავალების შესრულებას. 26 მარტს რატიევი ახერხებს ჰუსართა ესკადრონით, დრაგუნთა რაზმით, არტილერიის საჭურველითა და ქვემეხებით (სულ 400-მდე კაცი) ყიზლარიდან, ხოლო აპრილის დასაწყისში მოზდოკიდან გამოსვლას. 28 აპრილს რატიევი დუშეთში იყო[1].

რაც შეეხება 300 ყალმუხს, ისინი 1770 წლის ზაფხულს გამოგზავნეს საქართველოში, მაგრამ ტოტლებენის ავანტიურის დროს მთიელებმა გზა ჩაკეტეს და რაზმი არ გამოატარეს. ყალმუხებმა დრო იხელთეს და ყველანი გაიქცნენ, ხოლო მათი გამცილებელი ბოუმგარტენი ხელცარიელი დაბრუნდა ყიზლარში. ყალმუხების რაზმი საერთოდ არ ჩამოსულა საქართველოში. რუსეთის მთავრობამ ისინი 1771 წელს კაზაკებით შეცვალა[2].

ასე რომ, 1770 წლის თებერვლიდან აპრილამდე რუსეთის ჯარის რიცხვი საქართველოში ფაქტიურად არ გადიდებულა[3].

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 194—197, 448—450, 411.

[2] 1770 წლის 11 ივლისს ნეიმჩი (ყიზლარის კომენდანტი) საიდუმლო პატაკით აცნობებდა მთავრობას: მთიელები გზებზე არავის ატარებენ, „следующей в Грузию калмыцкой команде путь пресекают, выезжая против оной в разных местах партиями" (ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 272, д. 13, лл 65—66). 1770 წლის 12 აგვისტოს ნეიმჩი მოახსენებდა სამხედრო კოლეგიას: ყალმუხები ბოუმგარტენს გაექცა „а за побегом оных осталось при нем только восемдесят девять человек" (ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч, II, лл. 705, 810). 1771 წლის 16 თებერვალს პატაკით ტოტლებენი აცნობებდა ჩერნიშევს: „Калмыки хотя триста человек сюда и следовали но все з дороги разбежались"... ხოლო მათი გამცილებელი ბოუმგარტენი..." возвратясь назад и по днесь живет в Кизляре" (იქვე, ფურცელი 900, 908); მთავრობამ ეს ამბავი ტოტლებენზე ადრე იცოდა და 1770 წლის 31 დეკემბერს სუხოტინს აცნობებდა, ყალმუხების ნაცვლად დამატებით 300 კაზაკი იგზავნებაო (იქვე, 810).

[3] 1770 წლის 6 აპრილის პატაკით ტოტლებენი აცნობებდა ჩერნიშევს: „Хотя от меня минувшаго февраля 1-го пять курьеров в Кизляр и в Астрахань отправлены были и о поспешном марше предлагаемо было, но никакого успеху не видно, как только один поручик Пикспер с пятидесяти одним гусаром и с двумя трех фунтовым единорогами ко мне и с одным подлекарем 26-го марта прибыли 3 господином подполковникам Чоглоковым и господином капитаном поручиком Львовим". ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. III, лл. 49—52. ეს 51 კაცი ანგარიშში ჩასათვლელი

მაგრამ რაკი ერეკლესათვის ცნობილი გახდა, რომ რუსეთის მთავრობა საექსპედიციო ჯარის რაოდენობის გადიდებას პრინციპულად დათანხმდა და დამხმარე ძალებიც გზაში იყო, ამიერიდან ერეკლეს ომში ჩაბმა გადაწყვეტილი იყო. ამიტომ ერეკლეს აღარ დაუყოვნებია. 1770 წლის 17 მარტს მეფე 7 ათასი კაცითა და 3 ქვემეხით სურამში მივიდა, სადაც ტოტლებენი 1200-მდე რუსი ჯარისკაცით იყო დაბანაკებული, რათა ახალციხისაკენ დაძრულიყვნენ.

— ———

ორ აპრილს, რადგან 1770 წლის 4 აპრილს დაპატიმრებულ ჩოგლოკოვს რუსეთიდაკენ გამცილებლად უკანვე გაატანეს კაპიტანი ტოტინი 30-ზე მეტი ჯარისკაცით (შდრ. Грамоты, I, გვ. 212), ხოლო თებერვლიდან ასეთი პატიმარი ორი სხვაც (პოდპოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი და მაიორი რემენნიკოვი) გაიგზავნა. ასე რომ, ალბინძის ომის წინ რუსეთის ჯარის რიცხვი საქართველოში 1200 კაცსაც აღეწატებოდა.

თავი III

ასპინძის ბრძოლა

ერეკლე მეორემ კარგად იცოდა, რომ რუსეთთან კავშირს საგარეო ურთიერთობის გართულება, მეზობელ მაჰმადიანური ქვეყნების მხრივ მტრობის გაძლიერება მოჰყვებოდა. ამიტომ რუსეთის მთავრობის წინადადებას — გამოსულიყო ქრისტიანების საერთო მტრის, სულთანის თურქეთის წინააღმდეგ, თუმცა ერეკლე უპასუხებდა ამაზე „განმზადებული ვართო", მაგრამ იქვე დასძენდა: „რადგან სარწმუნოების სარჩულით იმოქმედება კეთილ აღრჩევა ესე, — ზედმიწევნით ვუწყით, იგინიცა ჩუენდამო მტერობას შეძლებისაებრ უმეტესად ჰყოფენო" და „გასწავლებული ჯარი გუენოძოს, რომ მ. ი. დ. საფარუელი ჩუენდამო ყოველთა თანა განეცხადნესო" [1].

ასეთ რთულ ნაბიჯს ქართლ-კახეთის მეფე იმიტომ დგამდა, რომ რუსეთთან კავშირს და მის მფარველობას ფართო საგარეო პოლიტიკურ გეგმებს უკავშირებდა, რომელთაგან უმთავრესი სამხრეთ საქართველოს თურქი დამპყრობლების ხელიდან გამოგლეჯა იყო [2].

ამ ამოცანის წინა პლანზე წამოწევა იმით იყო განპირობებული, რომ ჩვენი სამშობლოს ამ უძველეს კულტურულ რაიონში ახალციხის თურქული საფაშო არსებობდა, რომელიც თურქეთის

---

[1] Грамоты, II, в. I, 6 — 7.

[2] რა თქმა უნდა, ქართველი პოლიტიკოსები ანგარიშობდნენ, რომ რუსეთთან კავშირი სამუდამო მფარველობის გარანტიაც უნდა გამხდარიყო და ირანოსმალეთის ძალმომრეობისაგან ქვეყანა ამიერიდან დაცულიყო: ამ მფარველობაზე დაყრდნობით ჭარ-ბელქანის დაპყრობის საკითხიც უნდა გადაწყვეტილიყო და ლეკთა თარეშებსაც ბოლო მოღებოდა.

აგრესიის ბაბას წარმოადგენდა. ვიდრე ეს პლაცდარმი, რომელიც ქართლსა და იმერეთში შემოსასვლელ გზებზე ბატონობდა, მტრის ხელში იყო, ცხადია, საქართველოს დანარჩენი რაიონების უშიშროება უზრუნველყოფილი არ იყო. რუსეთ-თურქეთის ომის დროს ქართლ-კახეთის პოლიტიკოსებს ეს ამოცანა შეეძლოთ დაესვათ თავიანთი საგარეო პოლიტიკის დღისწესრიგში, როგორც ყველაზე უახლოესი და რეალური.

ირკვევა, რომ მესხეთის შემოერთება ერეკლე მეორეს რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლისთანავე გადაუწყვეტია და, რაკი მცირე საექსპედიციო რაზმი, რომელიც 1769 წელს გენერალ ტოტლებენის განკარგულებაში იყო, არ მიაჩნდა საკმარისად ამ ამოცანის გადასაჭრელად, იგი მტკიცედ იბრძოდა რუსეთიდან 5 ათასიანი კორპუსის მისაღებად. აღსანიშნავია ისიც, რომ ერეკლე ამ უმთავრეს ამოცანას რუსეთთან დიპლომატიური მოლაპარაკებისას ცალკე როდი გამოყოფდა.

მაგალითად, 1769 წლის 4 სექტემბერს ერეკლე ნ. პანინს სწერდა: „ეს ხუთი პოლკი ჯარი ამად გვნებავს ზამთრამდის და ამისთჳს მოგახსენებთ და გთხოვთ, რომ რადგან ოსმალთ ძალი ჩუჷნს საზღურადმდე არ მოწეულა, ჩუჷნ იმ ჯარის შეწევნით, რომელნიც რომ არარატის მთის გარეშემო, ანუ ახალციხისა და ანუ ყარსისა გარშემო ქრისტიანნი არიან, და იგინი ოსმალთა მონებასა ქუჷშე იმყოფებიან, და კუალად, რომელნიც შავის ზღვის გარემო ჩვენ კერძო ადგილნი უპირავს, შესაძლებელი არს, რომ ყოველივე ძალითა ღვთისათა მიუღოთო“ [1]. აქ ნათლად არ ჩანს, თუ ორმელი მიმართულებაა ერეკლესათვის უფრო საინტერესო. მეფე აქ მხოლოდ საქრისტიანო ქვეყნების განთავისუფლების საერთო ლოზუნგსა და ამ მიმართულებით მტრისათვის დასწრების გეგმას აყენებს და არა მხოლოდ ახალციხის მიმართულებით მტრისათვის დასწრებისა და მისი განთავისუფლების კონკრეტულ გეგმას, რაც მთავარი იყო ერეკლესათვის.

ქართლ-კახეთის პოლიტიკოსების წერილებიდან განსხვავებულ სურათს გვიშლის ტოტლებენის წერილები. 1769 წლის 3 ნოემბერს ტოტლებენი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გენ. პოტაპოვს სწერდა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს პირდაპირ ახალციხეზე გალაშქრება. ამ საკითხზე მას მიუწერია ასტრახანის გუბერნატორისათვისაც თავისი 1769 წლის 30 ოქტომბრის წერილით, როგორც ამის შესახებ 1769 წლის 27 ნოემბერს გენ. ბეკეტოვი სწერდა გრაფ ჩერნიშევს [2].

როდის მიიღო ტოტლებენმა ეს გადაწყვეტილება?

---

[1] Грамоты, II, в. I, 14.

[2] ЦГВИА. ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 266 — 267, 289 — 292.

ჩვენი აზრით ეს გადაწყვეტილება ოქტომბერში არ უნდა იყოს მიღებული. ცხადია, შორაპნის ციხესთან 23 თურქის პირისპირ გაწბილებული გენერალი 1500 კაცის მოლოდინში ახალციხეზე ლაშქრობის ფართო გეგმას ვერ დაისახავდა (მით უმეტეს ტოტლებენი ხაზგასმით მიუთითებდა — იმერეთიდან იმიტომ დაებრუნდი, რომ სოლომონ მეფისაგან დახმარება ვერ მივიღეო), რომ აქ ერეკლეს მონაწილეობაც არ ყოფილიყო ნავარაუდევი. მაგრამ ერეკლესა და ტოტლებენს შორის შეხვედრა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1769 წლის სექტემბრის დასაწყისიდან. 1769 წლის ოქტომბრის ბოლომდე არ შემდგარა. მაშასადამე, ახალციხეზე ლაშქრობის შესახებ გადაწყვეტილება 1769 წლის აგვისტო-სექტემბერში უნდა მიეღოთ.

მართალია, ტოტლებენი 1769 წლის სექტემბერში ახალციხეზე ლაშქრობის შესახებ .არაფერს სწერდა ყიზლარის კომენდანტსა და ასტრახანის გუბერნატორს, როცა დამატებით 1500 კაცის გამოგზავნას სთხოვდა, მაგრამ ტოტლებენს მაშინ არც შეეძლო გაბედულად ეთქვა, თუ რომელი მიმართულებით აპირებდა დარტყმას, რადგან ადვილი როდი იყო მთავრობის უნებართოოთ ჯარის მიღება, ხოლო უამისოდ ერეკლეს თანამონაწილეობა გამორიცხული იყო. სულ სხვა იყო მდგომარეობა ნოემბრისათვის, 1769 წლის 29 ოქტომბერს ტოტლებენმა მიიღო დრაგუნთა ესკადრონი (158 კაცი) და 70 კაზაკი. ამ პირველი ნაწილობრივი წარმატებით წახალისებულმა, რაკი ასტრახანის გუბერნატორისაგანაც მოელოდა დამხმარე ჯარს და 1500 კაცის მიღების იმედი ჰქონდა, ყიზლარის კომენდანტს პოტაპოვსა და ასტრახანის გუბერნატორს ბეკეტოვს აღარ დაუშალა, რომ ის აპირებს ახალციხისაკენ დაძვრას.

შემთხვევითი როდია, რომ ტოტლებენი დამხმარე ჯაოის მიღებისთანავე ფიქრობს დაიძრას მაინცდამაინც ახალციხისაკენ და არა სხვა მიმართულებით. ერეკლეს თანამოქმედება მხოლოდ ახალციხის მიმართულებით იყო მოსალოდნელი.

ამრიგად, ახალციხეზე ლაშქრობის გეგმა ერეკლეს მიერ იქნა წამოყენებული ჯერ კიდევ 1769 წლის აგვისტო-სექტემბერში, მაგრამ მეფე მის განხორციელებაზე თავს იკავებდა, სანამ რუსეთი დამხმარე ჯარს არ გაადიდებდა. ტოტლებენის ნაბიჯი, მთავრობის დაუკითხავად 1500 კაცის გადმოყვანის შესახებ ერეკლეს გეგმის მიღების მომასწავებელია.

გვიანდელი საბუთები უფრო რელიეფურად გვიჩვენებს, რომ ერეკლე ახალციხის შემოერთებისათვის იბრძოდა. ხელოუბნის თათბირის შემდეგ, გენერალი სუხოტინი 1771 წლის 5 ივნისს ნ. პანინს სწერდა: „ერეკლე მეფეს თავისი ოჯახითა და თავადებითურთ ისე არაფერი უნდოდათ, როგორც ის რომ მიმდინარე კამპანია მე

ახალციხეზე მომეწყო“ [1]. 1771 წლის 30 დეკემბერს ერეკლე II სწერდა ეკატერინე II: „კუალად ვედრებით მოვახსენებ თქვენს ყოვლად ნოწყალებასა, რათა ამავე გაზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა, და უკეთუ შერიგება მოხდეს თ. დ. სულტანისა, მაშინაც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაადგან საქართველოსა შინა არის და ქართული ენა აქუსთ, და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხუანიც ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ“ [2]. ამასვე იმეორებდნენ რუსეთის სამეფო კარზე, ერეკლე მეფის დავალებით, ლევან ბატონიშვილი და ანტონ კათალიკოსი 1773 წლის 27 აპრილს: „არ დაშთეს... დაუპყრობელად ქვეყანაჲ ახალციხისა, რომელიც ჩვენი ადგილი იყო..., რადგან საქართველოს მიწა არის და მრავალნი ქრისტიანენი არიან მას შინა, და ყოველს წელიწადს მძლავრებით მახმადიანად მრავალს გარდააქცევენ“ [3].

ზემოთ მოტანილი მასალა საკმაოდ ცხადყოფს, რომ ერეკლეს რუსეთის ჯარის სამი ასეულის საქართველოში ჩამოსვლისთანავე ახალციხის შემოერთების საკითხი თავისი საგარეო პოლიტიკის დღისწესრიგში დაუსვამს. ხოლო რადგანაც ამ ამოცანის გადასაჭრელად ასეთი მცირე რაზმი საკმარისად არ მიაჩნდა, თავგადებით იბრძოდა საექსპედიციო ჯარის რაოდენობის გადიდებისათვის.

ახალციხისათვის ბრძოლას ქართველი პოლიტიკოსები ორ ამოცანას უკავშირებდნენ: მტრისათვის ქართლზე თავდასხმის მარჯვე პლაცდარმის მოშლასა და ქართული მიწა-წყლის შემოერთებას. ერეკლეს გადაწყვეტილი ჰქონდა ესარგებლა რუსეთ-თურქეთის ომით, როგორც ხელსაყრელი ვითარებით, და რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური დახმარებით მტრის ხელიდან გამოეგლიჯა ძველისძველი ქართული მიწა-წყალი.

ერეკლეს მიერ წამოყენებულ სამხედრო მოქმედების გეგმას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ, ჯერ-ერთი, მოწინააღმდეგეს ხელიდან აცლიდა მოხერხებულ სამხედრო სტრატეგიულ პლაცდარმს, რომელიც უკეთ უზრუნველყოფდა საომარ მოქმედებათა წარმატებით გაშლას, ვიდრე სხვა რომელიმე მიმართულება. კიდევ მეტი, თუ ახალციხე დაკავებული არ იქნებოდა, მოწინააღმდეგეს საშუალება ეძლეოდა, მოეშალა რუს-ქართველთა ჯარების ზურგი შავი

---

[1] Грамоты, I. 482.
[2] Грамоты, II, п. I, 84.
[3] იქვე, 92.

ზღვის სანაპიროების მიმართულებით საომარი მოქმედების წარმართვის შემთხვევაში; მეორე, იგი უკეთ უზრუნველყოფდა მოკავშირე მხარეთა ერთობლივ მოქმედებას, ვიდრე სხვა რომელიმე გეგმა, რადგან მას ორივე ქართული სამეფოსათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

რადგან რუსეთი საქართველოში დამკვიდრებას იმხანად მიზნად არ ისახავდა, ბუნებრივია, მისთვის მისაღები უნდა ყოფილიყო ყველა გეგმა, საიდანაც მტრის ძალების დაბანდება და „დივერსიის" მოწყობა მოხერხდებოდა (არც ტოტლებენს და არც სუხოტინს რაიმე წინასწარ შემუშავებული სამხედრო ოპერაციის გეგმა არ ჰქონიათ მიცემული. მათ ეევალებოდათ ემოქმედათ ისე, როგორც ადგილობრივი პირობები უკარნახებდათ). მაგრამ რაკი საომარ ოპერაციების გაშლას იმერეთიდან, მისი სისუსტის გამო, კარგი პირი არ უჩანდა, ხოლო შედარებით ძლიერი ქართლ-კახეთი ახალციხის მიმართულებით ითხოვდა ლაშქრობას, რუსეთის წარმომადგენლებს ეს გეგმა უნდა მიეღოთ.

ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ამ გეგმას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ახალციხის დაკავებით მთელს ომში ქართლს თურქეთის აქტიური შემოტევის საფრთხე ეხსნებოდა, ისპობოდა ბუდე, საიდანაც თურქეთი ქვეყნის დაპყრობას ლამობდა; ისპობოდა ლეკი აბრაგების თავშესაფარი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით. გარდა ამისა, ახალციხის დაკავება მესხეთის დაბრუნების იმედსაც იძლეოდა.

ახალციხეზე ლაშქრობის გეგმა იმერეთის სამეფოსათვის ობიექტურად სასარგებლო იყო, რადგან, ჯერ-ერთი, იგი იმერეთზე თავდასხმის ბუდეს მოშლიდა (ცნობილია, რომ თურქეთი დასავლეთ საქართველოს საქმეებს ახალციხის ფაშის ხელით „აწესრიგებდა"); მეორეც, ახალციხის დაკავება იმერეთის თავადებს გარედან დახმარების იმედს გადაუწურავდა და ისინი განმარტოებული დარჩებოდნენ სოლომონ მეფეს. მართალია, სანამ იმერეთის ციხეებში თურქი მეციხოვნეები იდგნენ, სოლომონ მეფეს ერთგვარი სიძნელეები ექნებოდა, მაგრამ წარმატებანი ახალციხის მიმართულებით იმერეთის ციხეების განთავისუფლების საუკეთესო საშუალება იყო, რადგან იმერეთის ციხეებში გამოკეტილ თურქ მეციხოვნეებს აქტიური მოქმედება არ შეეძლოთ, ხოლო მათი პასიური თავდაცვაც ახალციხის ფაშის იმედს ემყარებოდა. ამ უკანასკნელი იმედის გადაწურვას, ბუნებრივია, მათი დანებება უნდა მოჰყოლოდა.

ერეკლეს მიერ წამოყენებული სამხედრო მოქმედების გეგმა

1769 წლის შემოდგომაზე ტოტლებენს, როგორც ჩანს, მიეღია და რუს-ქართველთა ჯარს 1770 წლის გაზაფხულზე ამ გეგმით უნდა დაეწყო მოქმედება.

1770 წლის 17 მარტს ერეკლე II შვიდი ათასი კაცითა და 3 ქვეშებით მივიდა სურამში, ხოლო 2 ათას კაცს მეფე უახლოეს დროში ელოდა. გარდა ამისა, ერეკლეს 4 ათასი კაცი ყარაბაღის ხანისათვის მიუშველებია. დანარჩენი ძალები მეფეს ქვეყნის დასაცავად დაუტოვებია [1].

1770 წლის 2 მარტიდან 24 მარტამდე ტოტლებენი რუსის სამხედრო რაზმით (დაახლოებით 1200 კაცი) [2] სურამში იდგა, საიდანაც 24 მარტს ერეკლესთან ერთად გადავიდა ქვიშხეთში [3].

ერეკლეს, როგორც მოურავოვის ცნობიდან ჩანს, იმედი ჰქონია, რომ მას სოლომონ მეფეც შეუერთდებოდა, როცა ეს უკანასკნელი დადიანთან ზავს დადებდა [4]. ჩვენ არ ვიცით, რამდენად სწამდა ერეკლეს მაშინ სოლომონის მხრივ აქტიური მონაწილეობის მიღება ახალციხეზე ლაშქრობაში, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამ დროს სოლომონი, თავისი სისუსტის მიუხედავად (თურქებს ეშინია: შორაპნის, ბაღდადის, ცუცხვათის, ქუთაისის ციხეები; საშინაო მდგომარეობაც მტკიცე არ იყო), თვითონ ფიქრობდა „საათაბაგოს" დაკავებას [5]. და საეჭვოა, რომ იგი ერეკლეს მიერ წამოწყებულ საქმეში აქტიურ მონაწილეობას ადვილად მიიღებდა [6], აქ ჩანს ქართული სამეფოების ინტერესთა სხვადასხვაობა, რაც ერთობლივი მოქმედების შემაფერხებელი პირობათაგანი იყო.

1770 წლის აპრილში ტოტლებენი წინანდებურად არ ჩქარობს ახალციხისაკენ დაძვრას. იგი 6 აპრილის პატაკით, რომელიც ქვიშხეთიდან გაუგზავნია, სამსახურიდან განთავისუფლებას ითხოვს. „უმორჩილესად გთხოვ, აქედან ჩქარა წამიყვანოთ, — სწერდა ტოტლებენი ზ. ჩერნიშევს 1770 წლის 6 აპრილს, — ჩემს მაგივრად ჩემი რაზმი სხვა გენერალს ჩააბაროთ... ძალა არ მყოფნის" [7].

სურდა თუ არა ტოტლებენს, იგი მაინც უნდა დაძრულიყო.

---

[1] Грамоты, I, 216.

[2] თებერვლის უწყისით ტოტლებენის რაზმში ნაჩვენებია, 1228 კაცი.

[3] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, ед. 245. д. 4. ч. III, лл. 49 — 52.

[4] Грамоты, I, 219.

[5] იქვე, 20.

[6] ცნობილია, რომ ხელთუბნის თათბირზე სოლომონ მეფემ ახალციხეზე ლაშქრობას მხარი არ დაუჭირა. თუმცა პრინციპულად წინააღმდეგიც აო ჩანს. შდრ. Грамоты, I, 462.

[7] ЦГВИА, ф. 20. оп. 47, ед. 245. д. 4, ч. III, лл. 49 — 52.

ერეკლესთან ერთად ახალციხისაკენ, რადგან მისი ადრინდელი განცხადებები ახალციხეზე ლაშქრობაში მონაწილეობაზე აშკარა უარისთქმის უფლებას არ აძლევდა.

1770 წლის 14 აპრილს ერეკლე მეფე და ტოტლებენი რუს-ქართველთა ჯარით სადგერში იდგნენ [1]. ტოტლებენს მეფისათვის წინადადება მიუცია ქართველი ჯარის ნაწილი სადგერის ციხეში დაეტოვებია, თვითონაც სურვილი გამოუთქვამს ერთი ზარბაზნისა და სამოცი ჯარისკაცის დატოვებაზე, მაგრამ ერეკლე მეფე ამის წინააღმდეგ წასულა. „სადგერის ციხეში ჯარი მთხოვა დასაგდებლად, — სწერდა ერეკლე რატიევს, — და თავისის ჯარსაც მითხრა სამოც კაცს და ერთს ზარბაზანს დავაგდებო. დაუშალე, მაგრამ ჩემი რჩევა არ მიიღო" [2].

ერეკლე ქართველი ჯარითა და რუსეთის ჯარის ზარბაზნებით მდ. შავი წყლის („ბორჯომკა") გაყოლებით აწყურისაკენ დაიძრა. ტოტლებენს თავისი რაზმის ნახევარი და ექვსი ზარბაზანი სადგერში დაუტოვებია და მეორე დღეს უმოკლესი გზით (მდ. მტკვრის ხეობით) აწყურისაკენ წასულა. იგი მეფეს საკირესთან შეერთებია და რუს-ქართველთა ჯარი 17 აპრილს აწყურის ციხეს შემოდგომია.

რა ძალები მიიყვანა ტოტლებენმა აწყურთან? ერეკლე წერდა: „დაუშალე, მაგრამ ჩემი რჩევა არ მიიღო და რაც კარავი ჰქონდა და ექვსი ზარბაზანი და ნახევრამდის ჯარი, რომელიც ამ ხანად ორივ საჭირო იყო, ჩემს შეუტყობრად დაეგდო (სადგეროში—ვ. მ.), აწყურს რომ მივედით ორის კარვის მეტი არა ჰქონდა" [3]. „ექვსი ზარბაზანი თავისის გაწყობილობით და ოთხასზე მეტი ჯარის კაცი — სწერდა ერეკლე რუსეთის ვიცე კანცლერ გოლიცინს — ბარგითა, და რაც კარავი ჰქონდა იქ სადგერს დაეგდო" [4]. „სადგერში დატოვებულ იქნა ექვსი ზარბაზანი და თითქმის ნახევარი რაზმისა" [5] — სწერდა მოურავოვი პანინს.

ერეკლესა და ტოტლებენს შორის განხეთქილების ჩამოვარდნის შემდეგდროინდელ ცნობებს ტენდენციურად მივიჩნევდით, რომ ასეთ ექვს არ აქარწყლებდეს მოურავოვის 19 აპრილის წერილი ტოტლებენისადმი. 19 აპრილს მოურავოვი სწერდა ტოტლე-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д, 2194.
[2] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. III, лл. 18 — 19.
[3] იქვე.
[4] Грамоты, II, в. I, 28.
[5] Грамоты, I, 228.

�: „თუ არტილერია და რაზმის ნახევარი სადგერში არ ყოფილიყო დატოვებული“. ჯავახეთიდან უკეთესი გზით შეიძლებოდა ტბილისისაკენ დაბრუნება [1]. 19 აპრილს მოურავოვი და ერეკლე ტოტლებენის მიმხრობაზე ფიქრობდნენ. ამ დროს საქმე ტოტლებენის ბრძოლის ველზე შეკავებას ეხებოდა და, რა თქმა უნდა, მოურავოვი ტოტლებენს ტყუილს არ მისწერდა, უკმაყოფილებისათვის საბაბს არ მისცემდა.

ყველა მონაცემებით, ტოტლებენს აწყურთან ჰყავდა ექვსასამოცდ რუსი ჯარისკაცი და ჰქონდა რვა მცირეყალიბიანი ქვემეხი [2]. ამ მასალის გათვალისწინება გვიჩვენებს, რომ ერეკლე საკუთარი ძალით ვარაუდობდა დაუფლებოდა მესხეთს, სანამ თურქები დამხმარე ძალებს მოაშველებდნენ ახალციხის ფაშას. ამასთან, მეფეს იმედი ჰქონდა, რომ ვიდრე თურქები ძალების გადმოყვანას მოასწრებდნენ, იგი რუსეთიდან დამხმარე ჯარებს მიიღებდა.

1770 წლის 17 აპრილს, შუადღისას, რუსეთისა და ქართველთა ჯარი აწყურის ციხეს შემოადგა. „აწყურის ციხის შემოდგომა ჩვენი ნება არ იყო, — სწერდა ერეკლე გოლიცინს 1770 წლის 10 მაისს, — იმისათვს, რომ რადგან მტრის მამულში ვიყავით, უმჯობესად ეს აღმოჩნდა: მათნი ქონებულნი, რომელნიც სოფლებით სულოსათი აქუნდათ, ესულ ჩუენ მოგვეგროებინა და შემდგომად მისსა, უკეთუ უმჯობეს იქნებოდა, მივსულიყავით ახალციხეზედ“ [3]...

აწყურისათვის დროის დაკარგვა შეცდომა იყო, რადგან რუსქართველთა ჯარს საალყო ქვემეხები არ ჰქონდა; ხოლო მცირეყალიბიანი ქვემეხებით ციხის იერიშით აღების ცდა, ბუნებრივია, უშედეგოდ უნდა დამთავრებულიყო. სანამ გარნიზონს საკვები და წყალი ჰქონდა და გარედან დახმარების იმედი, ციხის აღება დიდი მსხვერპლის გაღებასა და დროს ითხოვდა [4].

აწყურის ციხის აღების სხვა საშუალება არსებობდა — მტრის ზურგში ღრმად შეჭრა, მეციხოვნე ჯარის მოწყვეტა მტრის დანარჩენი ჯარებისაგან — აი, რას შეეძლო ციხის გარნიზონის წინააღმდეგობის გატეხა. ასეთ პირობებში ციხის ალყა მცირე ძალითაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო და გარედან დახმარებას მოკლებული მტერიც წინააღმდეგობას ვეღარ გასწევდა.

Грамоты, I, 220 — 221.

[1] შდრ. აგრეთვე Грамоты, II, в. I, 28.

[2] იქვე.

[4] შდრ. ლევოვის მიერ ბაღდადის ციხის ალყის აღწერა. Грамоты, I, 251 — 254.

ერეკლეს გეგმა გაბედული და სწორი იყო.

სამხედრო ტაქტიკური თვალსაზრისით აწყურის ციხის ალება არასწორად იქნა ჩატარებული. ტოტლებენის შტაბში შედგენილი გეგმიდან ჩანს, რომ 1770 წლის 17—18 აპრილს ციხისათვის ბრძოლა წარმოებდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან. მტკერის გაღმა არ იყო არც ერთი კაცი რუს-ქართველთა ჯარისა და ახალციხიდან მომავალი გზაც გადაუჭრელი იყო [1]. რადგანაც სრული გარემოცვა არ იყო, მტერს საშუალება ჰქონდა ციხეში შეეგზავნა დამხმარე ჯარი საჭურველითა და სურსათით.

თუ ტოტლებენს ციხის აღება ნამდვილად სურდა და ეს მას შესაძლებლად მიაჩნდა, მაშინ მას ციხის სრული გარემოცვა უნდა განეხორციელებია.

ერეკლე აწყურის გარემოცვის წინააღმდეგი ყოფილა. ამიტომ ტოტლებენის ჯიუტი საქციელით თავსმოხვეული ამ ძნელი და თანაც უმნიშვნელო ამოცანის გადაწყვეტის დროს ალბათ ხელი აიღო საკუთარ ინიციატივაზე და საქმე მიანდო, ან იძულებული გახდა მიენდო ტოტლებენისათვის. როგორც მეფის წერილებიდან ჩანს, ტოტლებენს პირობა დაუდვია, რომ ციხეს დაუყოვნებლივ აიღებდა. შესაძლებელია, მეფემ ჯერ კიდევ არ იცოდა რუსეთიდან ჩამოტანილი მცირეყალიბიანი ქვემეხების ცეცხლის ძალა და დაენდო კიდეც ტოტლებენის დაპირებას. ერეკლე წერს, რომ ტოტლებენმა „პირობა დაჰსდუა ჯარში, რომ მტერს დღესვე ციხეს წავართმევო, და ეს ვერ შევიტყვეთ—ვერ შეიძლო, თუ არ ინებაო“ [2].

რადგანაც ციხეზე მისასვლელი გზა გადაჭრილი არ იყო, ახალციხის ფაშას უსარგებლია და 18 აპრილს 2000 კაცი შეუგზავნია ციხეში [3]. 19 აპრილს ტოტლებენს ბრძოლა მიუტოვებია და აწყურიდან წამოსულა. ერეკლე, როგორც თვითონ წერს, შეხვეწია ტოტლებენს დაბრუნებულიყო — „მე მიველ და ღრაფს დიდად ვევედრე,—სწერდა ერეკლე ეიცე კანცლერ გოლიცინს,—და ჩემი თავი ვითარცა ერთი მისისა კამანდისა ოფიცარი ეგრეთ კამანდაში ვაკლიე, და მრავალს ვევედრე გამობრუნებას მტერზედ... იმ ჩემს ევედრებაზედ ორი ზარბაზანი გამოაბრუნა და ერთს მაღალს გორაზედ აიტანა, რომელიც დიდად შორევდა მტერზედ, მუნითგან ოთხი ხუთი ზარბაზანი ესროლა და გაბრუნდა, და აღმითქვა, რომ აქაც

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2186.

[2] Грамоты, II, в. I, 28.

[3] იქვე, 29; Грамоты, I, 461, 462—463.

ახლო ეოთს ბალახიანს ადგილს ჩამოვეკდებიო, და ამ სახით გამოიპარა“ [1]. მოურავოვსაც უცდია ტოტლებენზე ზეგავლენის მოხდენა [2]. მაგრამ ამაოდ.

ტოტლებენის მიერ ბრძოლის ველის მიტოვებას ქართველთა ჯარში უწესრიგობა მოჰყოლია, ხოლო მტერი გამხნევებულა. „ეს გამოპარვა იარანალისა, — სწერდა ერეკლე გოლიცინს, — ჩვენმა ჯარმა რა ჰსცნა, დიდსა და გამოუთქმელსა დრტვინვასა მიეცნეს. და მტერთა, რა იხილეს და სცნეს, დიდად განიხარეს და სიმჭნე მიიღეს“ [3]. ერეკლეს მთელი სიმკაცრის გამოყენებით მოუხერხებია ქართველ ჯარში დისციპლინის აღდგენა და ციხიდან უკან დაუხვევია. გამხნევებული მტერი შეტევაზე გადმოსულა, მაგრამ ქართველთა კონტრშეტევით დამარცხებული ისევ ციხეს შეფარებია [4].

ამის შემდეგ ერეკლეს არ შეეძლო მისდაუნებურად დაწყებული ციხის ალყის გაგრძელება. აწყურის გარემოცვა მარცხით დამთავრდა.

აწყურის ოპერაციის მარცხს მკვლევარები სხვადასხვანაირად ხსნიან: ზოგი მკვლევარი — ორსარდლობით ხსნის, ზოგი — რუსეთის მთავრობის მიერ ტოტლებენისათვის მიცემული სამოქმედო ინსტრუქციით. ეს ავტორები თავიანთ შეხედულებებს არ ასაბუთებდნენ და ბასზე აღარ შევჩერდებით.

აკად. ბუტკოვი ტოტლებენის აწყურიდან დაბრუნებას ასე ხსნიდა: „როდესაც ისინი (ტოტლებენი და ერეკლე — ვ. მ.) სოფელ ასპინძასთან მივიდნენ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც ახალციხიდან 35 ვერსზე მდებარეობს, მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა ზოგიერთი გაუგებრობის გამო, განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ ერეკლე ეძებდა საშუალებებს არა თავისი ძალებით, არამედ რუსეთის დამხმარე ჯარით საკუთარი ბატონობის მოყვარულობისათვის სამსახური გაეწია და მოეხდინა დაპყრობები რუსების ხელით, მაშინ როცა მათი დანიშნულება იყო მხოლოდ დახმარება გაეწიათო“ [5].

განა დახმარებაა მოკავშირის ბრძოლის ველზე მიტოვება? გარდა ამისა, თუ ერეკლეს საკუთარი ძალებით ბრძოლა არ სურდა და მხოლოდ რუსების ხელით ფიქრობდა თავისი საქმის კეთე-

---

[1] Грамоты, II, п. I, 29.
[2] Грамоты. I. 220 — 221.
[3] Грамоты, II. п. I, 29.
[4] Грамоты. I, 105 — 106; Грамоты, II, п. I, 29.
[5] П. Г. Бутков, Материалы.., I, стр. 281 — 282.

ბას, რატომ არ დაუცადა მოზდოკიდან მომავალ ძირითად ძალებს, რომელნიც მალე ჩამოვიდოდნენ? რატომ იწვევდა იგი ტოტლებენს ახალციხისაკენ, როცა ამ უკანასკნელს აწყურთან 600-ზე მეტი ჯარისკაცი არ ჰყოლია? რა თქმა უნდა, ასეთ თვალსაზრისს სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს.

„ტოტლებენის მიერ ბრძოლის ველის მინებების მიზეზი, — წერს ს. კაკაბაძე — იყო მის წინააღმდეგ ზოგი რუსის ოფიცრის შეთქმულება, რომელშიდაც ეპვიანმა გენერალმა რუსის მთავრობის მიერ საქართველოში დანიშნული რეზიდენტი და თვით მეფეც გარია“ [1]. ჩვენ შეთქმულების საკითხზე ქვემოთ მოგვიხდება შეჩერება, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „შეთქმულების“ ლიკვიდაცია მოხდა ტოტლებენის აწყურთან მისვლამდე ორი კვირით ადრე (ქვიშხეთი). ტოტლებენს „შეთქმულები“ კარგა ხანია განდევნილი ჰყავდა და რაზმში მხოლოდ ერთგული ოფიცრები ჰყავდა, რომელთაც შემდგომ კიდეც ეყრდნობოდა ავანტიურის დროს.

ბუტკოვისა და კაკაბაძის თვალსაზრისს უარყოფს თვით ტოტლებენი და მისი თანამოსაქმე ლვოვი. „გრაფ ტოტლებენის მიერ მტრის ქვეყნებიდან უკან დახევა და ერეკლეს მიტოვება, მისი მოხსენების მიხედვით, უმთავრესად, მოხდა სურსათის ნაკლებობის გამო... 13 მაისს ლვოვი იწერებოდა, რომ მხოლოდ მოახლოებულმა შიმშილმა გვაიძულა დავბრუნებულიყავითო... მტრის ქვეყანაში რომ გავედით, მხოლოდ ექვსი დღის საკმარი პური გვქონდა, ხოლო ქართველები სოფლებს ძარცვავდნენო“ [2].

ასეთია ტოტლებენისა და ლვოვის მოხსენებების შინაარსი, რომელიც მათ რუსეთის მთავრობას გაუკეთეს.

საბუთების ახლო გაცნობით ირკვევა, რომ აწყურთან ტოტლებენის ღალატი სურსათის უქონლობით არ შეიძლება აიხსნას.

ტოტლებენის 1770 წლის 6 აპრილის პატაკით დასტურდება, რომ რუსეთის ჯარს მოზდოკიდან გამოსვლის დროიდან 1770 წ. აპრილამდე არაფერი ჰკლებია [3].

საქართველოს ცენტრალურ არქივსა და საქართველოს მუზეუმში დაცული ერეკლე მეფის განკარგულებები (1769 — 1770 წლებისა) ნათლად ადასტურებენ, რომ მეფე დიდი ყურადღებით ეკცე-

---

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქ. ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბილისი, 1922. გვ. 208.

[2] Грамоты, I, 200.

[3] ЦГВИА, Ф. 20, оп. 47. ед. 245, д. 4, ч. III, л.л. 49 — 52.

ოდა რუსეთის ჯარის მომარაგების საქმეს და მათთვის სურსათის მიყიდვა ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა.

მოვიყვანთ ორ საბუთს. ერეკლე II, 1770 წლის 16 იანვარს ზემო ქართლის სარდალს რ. ამილახვარს სწერდა: „ქ. რუსებისათვის მისატანათ ვიზედაც შეწერილი ბზე, და შეშა იყოს დარჩომილი ახლავ მიუტაინეთ და თუ ამ იანვრისათვის ის არ ეყოფოდესთ, როგორც წინაზე სოფლებისათვის ბზე და შეშა შეგვეწეოოსთ ამ იანვრის საყოფი შეაწერეთ და მიუტანეთ. ამაზე ბეჯითი იყავით, რომ შეშა და ბზე არ დააკლდესთ. ამ იანვრის საყოფი გაურიგეთ. რაც ერისთვის ყმაზე იყოს იასაულები გაგზავნე მიატაინე, რაც საკათალიკოზოზე არის შოშია სარდლისათვის ოქმი მოგვიწერია. გაუგზავნე მიატაინე. ერთი პირი ჯარი ახლა მოსასვლელია რუსისა. პატარა ლიახვზე უნდა დადგეს. ყველგან ყადაღა უყავით ფქვილი, ქერი მზად დაიპირონ გასასყიდათ. თქვენც პატარა გაიძარით, საქმე ნახეთ, საქმეზე ბეჯითი იყავით“ [1].

1770 წლის 24 თებერვალს მეფე სწერდა რ. ამილახვარს: „ქ. რუსების აზუღის სურამს ატანისათვის ურმების გარიგება წინაზედ მოგწერეთ, თუ გაგირიგებიათ ხომ კარგი, თუ არა ახლა სია გამოგვიგზავნია ღრაფის წიგნში ძეს ის გამოართვი და როგორც მიგვეწეროს ახლავ ისე გაარიგე. ღრაფისთვის მიგვიწერია, ეს მიგვიყვანს; წიგნებსაც მოგცემს და კიდეც დაგარიგებს, როგორც ღრაფმა და თქვენ ამჯობინოთ ისე გაარიგეთ იასაულებიც განგვიწესებია თქვენც ბეჯითი იყავით და გაარიგებინეთ“ [2]. ჩვენ ხელთაა სხვა მრავალი საბუთიც, რომელთა აქ მოტანა ზედმეტად მიგვაჩნია. აქვე უნდა დავძინო, რომ ერეკლე ამ დროს მისი ბრძანების შეუსრულებლობას არავის აპატიებდა. აი, რატომ არ ჰკლებია რუსეთის ჯარს სურსათი 1770 წლის 6 აპრილამდე.

ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებით ცნობილია, რომ ერეკლე უსასყიდლოდაც აძლევდა რუსეთის ჯარს სურსათს. მაგალითად, 15 აპრილს მოურავოვი სადგერში ტოტლებენს სწერდა: თქვენი ბრძანებით გამოვცხადდი ერეკლესთან, რომელმაც მაცნობა რომ თქვენ ქვიშხეთში საკმაო რაოდენობით მიიღეთ პური, ამასთან მითხრა, რომ ახლა ვიმყოფებით მტრის ქვეყნებში და ვფიქრობთ თქვენ პური და ხორცი საკმაო რაოდენობით გაგაჩნიათ; თუ თქვენი მაღალიმატებულება ფიქრობს მარაგი მოამზადოს, დანიშნეთ ადგილი, სადაც უნდა შეიქნეს მარაგი; ამასთან,

---

[1] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, საბ. 14346.

[2] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, საბ. 9456.

გამოყოფილ კომისარს ხომ არ უბრძანებთ დაამზადოს ხარჯი მომავალი ჯარისათვის? 16 აპრილის წერილით მოურავოვი ტოტლებენს აცნობებდა — თქვენი ბრძანებით მეფესთან გამოვცხადდი და მისი დავალებით გაცნობებთ, რომ ერეკლე ქვიშხეთში მოცემული პურისათვის ფასს არ ითხოვს, ასევე 6 ძროხისა და დეკეულისათვის, 4 ცხვრისა და 3 თხისათვის — უფასოდ გაძლევთ; იმ 50 მანეთს, რომელიც ხორცის სასყიდლად გამოგზავნე ვისაც მიბრძანებ იმას გადავცემო [1].

უცნაურია, რომ ტოტლებენი 1770 წლის 6 აპრილის პატაკით გრაფ ჩერნიშევს აუწყებდა მოურავოვი საერთოდ არ ზრუნავს ჯარის მომარაგებაზე, იგი კავშირშია ქართველ თავადებსა და რუს ოფიცრებთანო, ხაზინისათვის ზიანის მიყენებას ცდილობსო, ამიტომ მას საქმეებში არ ვიყენებო და დასძენდა: ჩემი მოვალეობის გამო ყველაფერს ვეცდებიო [2].

საყურადღებოა ერთი გარემოებაც, სახელდობრ: „მტრის ქვეყანაში" მისვლისას, როგორც ტოტლებენის თანამოსაქმეს, ლვოვს რუსეთში მიუწერია, რუსებს 6 დღისათვის საკირო პურის მარაგი ჰქონიათ. „მტრის ქვეყანაში" ისინი 15 აპრილს შევიდნენ. 19-ში კი ტოტლებენი უკან დაბრუნდა. დავუშვათ, რომ სურსათის ნაკლებობას მართლაც ჰქონდა ადგილი, განა სურსათის უქონლობით ჯარი ფრონტს სტოვებს? განა ეს მოკავშირე ჯარის მტრის პირისპირ მიტოვებას ამართლებს?

დავუშვათ, რომ რეგულარულ ჯარს არ შეეძლო რეკვიზიციისათვის მიემართა (ზხედველობაში გვაქვს ლვოვის განცხადება—ქართველები „თურქეთის ტერიტორიაზე" სოფლებს ძარცვავდნენო), მაგრამ თუ პეტერბურგელი ჩინოვნიკი ამ ფაქტს სამარცხვინოდ მიიჩნევდა, რატომ არ დაგმო ტოტლებენი, რომელიც, როცა ლვოვი ზემოაღნიშნულ წერილს წერდა, მოკავშირე ქვეყნის ტერიტორიაზე თვითნებობდა, მაშინ როცა რუსეთის მთავრობა ასეთ საქციელს სარდლობას სასტიკად უკრძალავდა? [3]

სურსათის ნაკლებობის მომიზეზება ტოტლებენს მოაგონდა 19 აპრილს, რათა გაემართლებია ბრძოლის ველის მიტოვება. ხოლო 13 მაისს ამასვე იმეორებდა ლვოვიც, რათა რუსეთის მთავრობის

---

[1] Грамоты, I, 104 — 105.

[2] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4. ч. III, лл. 49 — 52.

[3] სამხედრო კოლეგია, 1769 წლის 13 ნოემბრის ბრძანებით, ტოტლებენს წინასწარ აფრთხილებდა ასეთი საქციელი დაშვებული არ ყოფილიყო (ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 212 — 214).

ოვალში აწყურიდან დაბრუნება გაემართლებია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სურსათის ნაკლებობის მომიზეზება ავანტიურისტებს გვიან მოაგონდათ.

ტოტლებენის შტაბში შედგენილი აწყურის ოპერაციის გეგმა ცხადყოფს, რომ ტოტლებენს 18 აპრილს ციხის აღება გადაუფიქრებია: მეფის ჯარის განლაგება წინანდებური რჩება, ტოტლებენისა კი თანდათან იცვლის პოზიციას ისე, რომ 19-ში საკმაო მანძილითაა მოცილებული ციხეს და, ბოლოს, როგორც ერეკლე იტყობინება, „ომში გაუპირებლად" წამოსულა, რადგან ტოტლებენის წამოსვლის შემდეგაც ქართველი ჯარის განლაგება უცვლელი დარჩენილა. ერეკლე მეფე მართალი გვეჩვენება, როცა წერს: „აწყურის ციხიდამ (ტოტლებენი) ომში გაუპირებლად გამოპარვით წამოვიდა, რომ მე მამატყუა ბალახში მახლობლად დავდგებიო... პირველვე გაბრუნება ზდებია გულშია, რომლითაც უფრო დამტკიცდება რომ აქავ სურამს და ქუშხეთს დიდად ეზარებოდა მტერზედ წამოსვლა" [1]. ერეკლეს ცნობა, რომ ტოტლებენს ქვიშხეთშივე ეზარებოდა ახალციხეზე წასვლა, მტკიცდება ტოტლებენის მიერ ჩერნიშევისადმი გაგზავნილი პატაკითაც: „უმორჩილესად გთხოვ აქედან ჩქარა უკანვე წამიყვანო, ხოლო ჩემი რაზმი ჩემს მაგივრად სხვა გენერალს ჩააბაროთ... ძალა არ მყოფნის" [2]. რომ ტოტლებენის ამ პატაკს არ ვიცნობდეთ, კიდევ შეიძლებოდა მეფის წერილში დაეეჭვება, მაგრამ ამის შემდეგ, მეფის წერილი ტენდენციური და საეჭვო არ უნდა იყოს. მოურავოვიც იმ აზრისა იყო, რომ ტოტლებენის აწყურიდან დაბრუნება წინასწარი განზრახვით მოხდა [3].

აწყურის მარცხიანი გარემოცვის შემდეგ, ერეკლე II ქართველი ჯარით ასპინძის მიმართულებით წავიდა; ახალციხის ფაშამ მთელი ძალები მის წინააღმდეგ დაძრა. ფაშამ ახალქალაქისა და ხერთვისის ციხეებიდან სასწრაფოდ 1.500 კაცი გამოაყვანინა, რათა გზა გადაეკრა მეფისათვის ასპინძასთან. მეფე რჩეული ქართველი მხედრებით გზიდანვე შეუჩერებლივ ეკვეთა მტერს და დაამარცხა ის [4]. დამარცხებული მტრის დევნა დამთავრებული არ იყო, რომ ახალციხის ფაშის მიერ გამოგზავნილი დიდი კორპუსი ასპინძასთან გამოჩნდა.

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. III, л. 18.
[2] იქვე. 49 — 52.
[3] Грамоты, I, 200.
[4] Грамоты, I, 106 — 107; Грамоты, II, в. I, 29.

ერეკლე მეფისა და მოურავოვის ცნობით, მტრის 4 ათასიანი კორპუსი მოსულა ასპინძასთან [1], ტყვეების ჩვენებით კი — 8 ათასიანი კორპუსი. „როგორც კი მიღებულ იქნა ცნობა, რომ მეფე ერეკლე მიდის ქალაქების ახალქალაქისა და ხერთვისისაკენ, — უპასუხებდნენ ტყვეები ყიზლარის კომენდანტს, — ნიამან ფაშამ მას დაადევნა რვაათასიანი ჯარი, რომელთა რიცხვში ისინი იმყოფებოდნენ“ [2]. ტყვეების ცნობა საეჭვო არ უნდა იყოს, რადგან მარცხის შემდეგ, საკუთარი ჯარის რიცხვის გადიდება დასაჭადი საქმე როდი იყო. გარდა ამისა, ტყვეებს ერეკლესადმი პატივისცემის საფუძველიც არ ჰქონდათ, რადგან მეფემ მათი გამოსყიდვა არ დაუშვა და ისინი რუსეთში გაგზავნა. ამასთან, ეს ტყვეები რიგითი მებრძოლები არ ყოფილან, რომ მათთვის ჯარის რიცხვი უცნობი ყოფილიყო. ასე რომ, ტყვეების ჩვენებას ანგარიში უნდა გაეწიოს. რაც შეეხება ერეკლეს ცნობას, რადგან მეფე საექსპედიციო ჯარის გადიდებისათვის კვლავაც იბრძოდა, საფიქრებელია, ერეკლეს ამჯერად საჭიროდ არც მიაჩნდა რუსეთის მთავრობისათვის ემტკიცებია, რომ მან თურქთა დიდი ძალები დაამარცხა. ალბათ, ამიტომ ერეკლე მტრის ძალების რიცხვს განგებ ამცირებდა.

19 აპრილს მტრის მთავარ ძალებთან ბრძოლა არ გამართულა [3]. ქართველი მემატიანის ცნობით: „გამოვიდნენ უკვე ნახევარნი (მტრის ჯარებისა—ვ. მ.) ხიდსა ასპინძისასა და ნახევარიცა ლამობდნენ მეორესა დღესა გამოსვლად, ხოლო ღამესა მას წარგზავნა მეფემან ერისთავის-შვილი აღაბაბა, სვიმონ მუხრან ბატონის-შვილი წასაღჩიბაში და ხუდია ბორჩალოელი, ჩინებული და მამაცი ყოველსა საქართველოსა შინა და ამცნო მათ, რათა აჰყარონ ხიდი ასპინძისა და მათ სრულ-ჰყვეს ყოველივე ბრძანებული მეფისა“ [4]. ერეკლეს წერილები, ზაალ ორბელიანის ნაამბობი და ტყვეთა ჩვენება არ მიუთითებს მტრის ჯარის ნახევარის გადმოსვლაზე. ასე რომ სავარაუდებელია მისი მთლიანად ან მეტი ნაწილის გადმოსვლა. რაც შეეხება მემატიანის ცნობის მეორე ნაწილს ხიდის მოშლის შესახებ ყველანი ადასტურებენ [5] და, ცხადია, საეჭვო არ უნდა იყოს.

---

[1] Грамоты, II, в. I, 29 — 30; Грамоты, I, 107.

[2] Грамоты, I, 463.

[3] იქვე, 462 — 463.

[4] შედეგი კახეთის ცხოვრებისა. იხ. საქ. ცხოვრება, ბ, ჭიჭინაძის გამოც., 1913 წ., გვ. 286.

[5] Грамоты, II, в. I, 29 — 30; Грамоты, I, 462 — 463.

1770 წლის 20 აპრილს გაიმართა ბრძოლა. ქართველი ჯარის საბრძოლო განლაგება, როგორც ბრძოლის მონაწილე ზ. ორბელიანი იუწყება, ასეთი იყო: მარჯვენა ფლანგის სარდლობა დავით ორბელიანს ჰქონდა მინდობილი, სადაც თვით ზაალიც იდგა, მარცხენასი — გ. ბატონიშვილს, ხოლო ცენტრს თვით ერეკლე ედგა სათავეში. ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა ერეკლეს ეკუთვნოდა. ქართველები, ერეკლე მეფის სარდლობით, შეტევაზე გადავიდნენ და თურქებისა და ლეკების ძლიერ კორპუსს მედგრად შეუტიეს. ქართველთა სწრაფი და გაბედული შეტევის შედეგად მტრის წინა რიგები გატყდა, მტერმა უწესრიგოდ უკანდახევა დაიწყო, რამაც მისი რიგები არია. ხოლო რაკი აღმოჩნდა, რომ უკან დასახევი გზაც მოჭრილი იყო მეფის ბრძანებით ხიდის წინასწარ დაზიანების გამო, მტერი მორალურადაც დაეცა და ბრძოლის უნარი დაკარგა, მან ბრძოლის ველზე 4.000 მოკლული დასტოვა, ხოლო ბრძოლაში გადარჩენილი მტრის ჯარების ნაწილი ადიდებულ მტკვარში გადაეშვა, რომელმაც იგი შთანთქა. 8 ათასიანი კორპუსიდან, ტყვეების ჩვენებით, ახალციხეს 13 კაციღა დაბრუნებულა. დაღუპულა მტრის კორპუსის მთავარსარდალი, 12 სანჯაყის მფლობელი და ყულიანის, კარცხლისა და ოლთისის ფაშები [1]. ერეკლე II პანინისადმი გაგზავნილ წერილში მოკლულთა შორის ასახელებს — თურქთაგან: არტანბეგი ბექირბეგს, გოლა ფაშას, შავშეთის ბეგს და სხვ. ლეკთაგან: მალაჩილას (კოხტა ბელადი), უსუფ ბელადს, ჰაჯი მამედ ბელადს და სხვ. დაღუპულად თვლიდა მეფე ყუმუხის მთავრის შვილს ჰაჯი გაჰრაის, სულთანის მიერ წინასწარ თბილისის ფაშად დანიშნულს, რადგან ამ უკანასკნელის ცხენი მეფეს მიჰგვარეს.

ქართველ ჯარს ტყვედ ჩაუვარდა 56 თურქი და ერთი ლეკი. ქართველებმა ხელთ იგდეს მრავალი დროშა, ცხენი და დიდძალი იარაღი.

ქართველთა ზარალი უმნიშვნელო იყო. მოკლული და დაჭრილი იყო რამდენიმე ათეული კაცი. დაჭრილთა შორის დასახელებულია: სარდალი ალექსანდრე ციციშვილი და იასე ერისთავი.

ბრძოლაში თავი გამოუჩენია ერეკლე მეფესა და დავით ორბელიანს. მოურავოვის ცნობით [2], ერეკლეს თავისი ხელით მოუკლავს ლეკთა წინამძღოლი მალაჩილა, ქართველი ხალხის სისხლის მსმე-

---

[1] Грамоты, I, 463.
[2] იქვე, 107 — 108.

ლი. მისივე ცნობით, ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა მიუღია მხოლოდ 3000 ქართველს. როგორც ჩანს, ქართველთა დანარჩენი ძალების ბრძოლაში ჩაბმა საჭირო აღარ გამხდარა.

ასპინძასთან მტრის ჭარბ ძალებზე ქართველების ბრწყინვალე გამარჯვება მათმა გმირობამ და სამშობლო ქვეყნის უანგარო სიყვარულმა განაპირობა. ქართველი ჯარი, რომელსაც სათავეში ედგა ყირხბულახისა და მუადიჯვრის ომების ვეტერანი, დიდი სარდალი ერეკლე მეორე, იბრძოდა მშობლიური მიწა-წყლის გასანთავისუფლებლად, მას ფეხქვეშ მშობლიური მიწა ჰქონდა, ხოლო წინ ნანგრევებად ქცეული ქართული კულტურის აკვანი — მესხეთი იდო. ამას არ შეეძლო არ ჰქონოდა უდიდესი მნიშვნელობა ქართველთა საბრძოლო განწყობილების შექმნაში. ამასთან, ერეკლემ ისარგებლა თურქების შეცდომით, სუსტად დაცული ერთადერთი ხიდი მეფემ თავის რჩეულ მეომრებს წინასწარ ღამით ააყრევინა და მტერს მოუსპო უკან დახევის, მაშველი ძალების მიღებისა და მანევრირების საშუალება. რამაც მტრის სრული განადგურება უზრუნველყო. კარგად მოფიქრებული, გაბედული, რთული ოპერაცია ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. ასპინძის ოპერაციით ქართველი ხალხის გმირული ისტორიის მატიანეში ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა. ქართველმა ხალხმა დიდების შარავანდედით შემოსა ასპინძის გმირები და დღესაც სიყვარულით ინახავს მათ სახელებს. ასპინძის ბრძოლის გმირი სარდალი — მეფე ერეკლე II — ქართველი ხალხის ერთ-ერთ საყვარელ ეროვნულ გმირად გადაიქცა.

ხალხურ ლექსში უცხოელ მოძალადეთა წინააღმდეგ მებრძოლი გმირის სურათი ასპინძის ფონზე დინამიკურადაა დახატული:

ასპინძას ერეკლე ვნახე
ხელში ეკირა ხმალიო
ხოცა დაუწყო ლეკ-ოსმალთ
ადინა სისხლის ღვარიო...

ტოტლებენის ღალატის გამო ერეკლემ ასპინძის ველზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება ვერ გამოიყენა.

———

თავი IV

ტოტლებენის ღალატი და საომარ მოქმედებათა წარუმატებლობა ასპინძის ბრძოლის შემდეგ

1. ტოტლებენის ავანტიურა და ახალციხეზე ლაშქრობის ჩაშლა

ასპინძასთან ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, რაკი ახალციხის ფაშის განკარგულებაში მყოფი ძირითადი ძალები განადგურებული იყო, ერეკლეს შეეძლო ქართლ-კახეთის ჯარებით დაუფლებოდა ახალციხეს. მარჯვე სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმის დაკავებით ინიციატივა ერეკლეს ხელში გადადიოდა და საომარი ოპერაციების გაშლის პერსპექტივაც ისახებოდა. გარდა ამისა, რაკი თურქეთს, ახალციხის დაკარგვით, ლეკებთან უშუალო კავშირის შესაძლებლობაც წაერთმეოდა, ქართლ-კახეთის სამეფოს აქტიური მოქმედებისათვის ეხსნებოდა ხელები. მაგრამ ტოტლებენის აწყურიდან საეკვო დაბრუნებამ ეს შეუძლებელი გახადა. თუმცა ერეკლე, როგორც მოურავოვის ცნობიდან ჩანს, არ ფიქრობდა ქართლში დაბრუნებას, მაგრამ დიდებულებს ურჩევიათ, რომ ახლა „მტრის ქვეყანაში“ დარჩენის დრო არ არისო[1] და იგი ჯარით 29 აპრილს (ჯავახეთის გზით) თბილისში დაბრუნდა.

აწყურიდან დაბრუნებული ტოტლებენი სურამს მივიდა და 24 აპრილს მაიორი კარპი, კაპიტნები ზორნაი და პიკსნერი ოცდაათამდე ჰუსარით გაგზავნა მოზდოკიდან მომავალი რატიევის

---

[1] Грамоты, I, 108.

შესაპყრობად. ტოტლებენი მუქარით სავსე საიდუმლო ბრძანებით ატყობინებდა რატიევს—დამორჩილებოდა ყარპს.

1770 წ. 27 აპრილს რატიევი ჰუსართა ესკადრონით, დრაგუნთა რაზმითა და არტილერიით ანანურში იდგა. აქ მას მოულოდნელად ღამით თავს დაესხა ტოტლებენის გაგზავნილი რაზმი და წინადადება მისცა დამორჩილებოდა. რატიევს განუცხადებია, რომ, რადგან იგი რაზმის საკუთრველისა და ხაზინის მატერიალურად პასუხისმგებელი იყო მთავრობის წინაშე, ვერავის ენდობოდა, რომ იგი თვითონ გამოცხადდებოდა ტოტლებენთან. მაგრამ ტოტლებენის გაგზავნილ რაზმს განგაში აუტეხია—ზორნაისა და ჰუსარ ნეიმანს რევოლვერით სროლაც დაუწყიათ. უწესრიგობისათვის რატიევს ზორნაი დაუპატიმრებია და რაზმი რატიევთან დარჩენილა, ხოლო ყარპი ერთი ჰუსარის თანხლებით დაბრუნებულა ტოტლებენთან[1]. რატიევს ანანურში შეუტყვია ტოტლებენის ანყურთან ღალატის ამბავი და 27 აპრილის წერილით მოურავოვისათვის უცნობებია, რომ საჭიროა გამცემელი ტოტლებენი თავიდან მოვიშოროთ, ვიდრე მეტ უბედურებას მოგვაყენებდესო[2]. აღნიშნული წერილი მოურავოვს მიუღია თბილისში 29 აპრილს და იმავე დღეს უცნობებია რატიევისათვის, რომ აუცილებელი იყო მისი თბილისში მოსვლა[3]. როგორც რატიევი იტყობინება, გზაში მას ერეკლე მეფის ამავე შინაარსის წერილიც მიუღია და კურსი თბილისისაკენ აუღია. 1 მაისს რატიევი და ბოგდანოვი (ეს უკანასკნელი დრაგუნთა რაზმით აცილებდა რატიევს) თბილისში მოვიდნენ[4]. თბილისში მოვიდნენ აგრეთვე ჩოგლოკოვი და დეგრალი.

1770 წლის 11 აპრილს ტოტლებენს თავისივე თხოვნით დეგრალი სამსახურიდან გაუთავისუფლებია, ოფიცრის წოდებით დაუწინაურებია და მიუცია ატესტატი[5], რათა თავისუფლად გაეტარებინათ. ერთი კვირის შემდეგ დეგრალი დუშეთში მისულა, სადაც დახვედრია მაიორი ტოტინი (ჩოგლოკოვის გამცილებელი); ტოტინის ავადმყოფობის გამო ჩოგლოკოვის გამცილებელი რაზმი დუშეთში დარჩა; რადგან დეგრალის მარტო წასვლა, ჩრდილოე-

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. III, лл. 7—8, 23—24.

[2] Грамоты, I, 202—203.

[3] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. III, л. 9.

[4] ЦГВИА, ф. 8, св. 7, оп. 94, д. 55, лл. 123—150; ЦГВИА, ф. 20. оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 440—441.

[5] ЦГВИА, ф. 8, оп, 6/95, д. 6, л. 2.

თის გზაზე საშიშროების გამო, არ შეეძლო, იგი დუშეთში დარჩენილა[1].

დეგრალის განთავისუფლება და მისი დაწინაურება შემთხვევით არ მომხდარა. დეგრალსა და ტოტლებენს შორის ჯერ კიდევ 1770 წლის 11 აპრილამდეც ყოფილა ცუდი დამოკიდებულება. უთანხმოების მიზეზი ის ყოფილა, რომ ტოტლებენი დეგრალს აწერინებდა რუსეთში გასაგზავნ ყალბ წერილებს, რომ თითქოს ერეკლე ემზადებოდა არა თურქეთის, არამედ ირანის წინააღმდეგ საომრად. დეგრალის ვერ გაუბედავს ტოტლებენისათვის ეკითხა, თუ რად ჩადიოდა ასეთ სიყალბეს, მაგრამ ეს ამბავი უცნობებია ბოურავოვისათვის, როგორც რუსეთის მთავრობის წარმომადგენლისათვის. მოურავოვისაგან ეს ამბავი შეუტყვია ერეკლეს და ტოტლებენისაგან ახსნა-განმარტება მოუთხოვია. თუმცა მეფეს არ გაუბხელია, თუ ვისაგან შეიტყო, მაგრამ ტოტლებენს ეშვი აუღია დეგრალიზე და აუკრძალავს მისთვის მოურავოვთან შეხვედრა. 11 აპრილს ტოტლებენს, ერეკლესთან შეხვედრის შემდეგ, დეგრალისათვის განუცხადებია, რომ შენ პეტერბურგში ერეკლეს საწინააღმდეგო წერილები მიგიწერიაო. დეგრალის უპასუხნია — იმაზე მეტი არაფერი მიმიწერია, რასაც თვით არ მავალებდიო. თანაც ეს განცხადება ოფიცრების — ლვოვისა და ეოლობოვის — თანდასწრებით გაუკეთებია. ამის შემდეგ დეგრალის შეშინებია ტოტლებენთან დარჩენისა და განთავისუფლება უთხოვია[2]. გასაგებია, რომ ასეთი კაცი ტოტლებენს აღარ გამოადგებოდა და იგი გაუნთავისუფლებია, მაგრამ, როგორც ჩანს, ტოტლებენს მისი განაწყენებაც საშიშად მიუჩნევია (დეგრალი ტოტლებენის მიმოწერის მასალებს იცნობდა, საიდუმლო იცოდა), და უკმაყოფილო რომ არ ჰყოლოდა, დაუწინაურებია ჩინით.

დუშეთში დეგრალი არაგვის მოურავის შვილს შეხვედრია. ამ უკანასკნელს განუცხადებია დეგრალისათვის, რომ მეფე შენით უკმაყოფილოა, რადგან მეფის საწინააღმდეგო წერილები მიგიწერია პეტერბურგში, ამიტომ გრაფს გაუგდიხარ, პეტერბურგში რომ ჩახვალ, პასუხისგება გელისო. დეგრალი სინდისს შეუწუხებია და გადაუწყვეტია ტოტლებენის მიერ მიცემული ატესტატი მეფისათვის ეჩვენებია და თავისი პატიოსნება დაემტკიცებია[3]. აქ სხვა ამბებიცაა სავარაუდებელი. მან, ალბათ, ამასობაში გაიგო

---

[1] ЦГВИА, ф. 8, св. 7, оп. 94, д. 55, лл. 276—290.

[2] იქვე, 276—290.

[3] იქვე, 276—290; Грамоты, II, в. I, 24—25.

�deც ტოტლებენის აწყურთან ღალატის ამბავიც და გადაწყვეტა მოხსენება გაეკეთებია მეფისა და მოურავოვისათვის. 1 მაისს დეგრალი თბილისში მოვიდა.

აწყურიდან მოსულ ამბებს არ შეეძლო არ დაეეჭვებია უმიზეზოდ დაპატიმრებული ჩოგლოკოვი ტოტლებენის საქციელში. იგი პატიმრობიდან გაქცეულა და 1 მაისს თბილისში ჩამოსულა.

1770 წლის 2 მაისს ტოტლებენმა გამოსცა მანიფესტი, რომლის შინაარსი ასეთი იყო: ვინც გამცემლებს რატიევს, ჩოგლოკოვს და დეგრალის რუსეთის კორპუსში ცოცხალს მიიყვანდა, მისცემდა 1000 თუმანს, ხოლო ვინც მკვდარს—ათას მანეთს [1].

ტოტლებენი ამაზე არ შეჩერებულა, 1770 წ. 7 მაისს მან ბრძანებები გაუგზავნა თბილისში რატიევთან მყოფ ოფიცრებს—კაპიტან პიკსნერსა და პოდპორუჩიკ კორობინს. პირველს უბრძანებდა: თუ მთელი ესკადრონით არა, რამდენიმე ჰუსარით მაინც გაქცეულიყო თბილისიდან და მისულიყო დუშეთში, წაეყვანა რამდენიმე ცხენი, თუ მოხერხდებოდა მთელი რემა გაერეკა. არტილერიის პოდპორუჩიკ კორობინს უბრძანებდა: როგორც კი ბრძანება მიიღო, არტილერიით წამოდი დუშეთში, თუ დაგიპირონ დაკავება, სროლა აუტეხე, თუ ზარბაზნების წამოღება ვერ მოახერხო, გააფუჭე, დაამტვრიე, ცეცხლი წაუკიდე. საპურველი წყალში ჩაყარე ან მიწაში დამარხე, შეჯექით ცხენებზე და წამოდით ჩემთან დუშეთშიო [2].

ტოტლებენი ამაზე არ შეჩერებულა. ქართლში ციხეების დაპერას, მოსახლეობის რუს ხელმწიფის ერთგულებაზე ძალით დაფიცებასა და ძარცვას შეუდგა: „12 მაისს ტოტლებენი წერდა, რომ ტომსკის პოლკის შეერთებისთანავე განზრახული აქვს დაუყოვნებლივ თბილისზე დაიძრას... მთელი საქართველო რუსეთის ხელისუფლებას დაუმორჩილოს, ერეკლეს ამას წინათ ბოძებული ანდრიას ორდენი ჩამოართვას და გაგზავნოს პეტერბურგში ან შავი ზღვისაკენ განდევნოს“ [3].

როგორც ლვოვის 15 მაისის წერილიდან ჩანს, ტოტლებენის რაზმში გადაუწყვეტიათ: ქართლ-კახეთის დაპყრობა, ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება, მისი დაპატიმრება და რუსეთში გაგზავნა ან განდევნა. ეს საქმე მათი აზრით, მეტად ადვილი იყო 3.000 რუსის ჯარისკაცისათვის [4]. მაგრამ 3.000 კაცი ავანტიურისტს ჯერ არ ჰყავდა, ამიტომ ელოდა მოზდოკიდან მომავალი ტომსკის პოლკს.

---

[1] Грамоты, I, 221—222.

[2] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. III, лл. 21—22.

[3] С. М. Соловьев, История России., кн. VI, т. XXVIII, 669.

[4] Грамоты, I, 225—226.

პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი წერდა, რომ ტოტლებენი ან ჭკუაზე შეიშალა, ან გამცემლობას ჩადის, როდესაც რუსეთის სამეფო კარის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს: მეფეები ერთმანეთს გადაამტერა, თავადებს ცუდად ექცევა, სოფლები ააწიოკა—უსასყიდლოდ ართმევს საქონელს, ახალციხის ფაშასთან მოლაპარაკება გამართა, 12 საუკეთესო ოფიცერი რუსეთში გაგზავნა, არავის არ იტოვებს გარდა გერმანელებისა და უსაქციელო რუსებისაო [1].

საისტორიო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ტოტლებენმა ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდების საკითხზე სამხედრო საბჭოს დასტური მიიღო. ცხადია, საინტერესოა ვიცოდეთ თუ რას წარმოადგენს ის საბჭო, რომელიც ტოტლებენს ავანტიურისტულ გადაწყვეტილებებზე თანხმობას აძლევდა. ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ ტოტლებენთან მყოფი მცირე რაზმის ოფიცრების გვარები, მაგრამ მისი ბრძანების აღმსრულებელთა გვარები ჩვენთვის ცნობილია. ესენია: კარპი, ზორნაი, პიკსნერი, ტოტინი, ბარონი შტეინი, ვინკლერი, კელლერი და სხვ. ამათგან რუსი მხოლოდ კარპია. რაც შეეხება კაპ. ლევოს, იგი რუსეთის მთავრობამ შიკრიკად გამოაგზავნა და გამოატანა ერეკლესათვის გადასაცემი ორდენი და ფული, სიბეცით თუ შიშით, საქართველოში ჩამოსვლისთანავე, ტოტლებენმა იგი თავის თანამოსაქმედ გაიხადა.

სამაგიეროდ ტოტლებენმა სხვადასხვა საბაბით რაზმიდან განდევნა: პოდპოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი (გენერალ-პროკურორისა და სამხედრო კოლეგიის არჩეული), როგორც საეჭვო; მაიორი რემენნიკოვი (სამხედრო კოლეგიის არჩეული, საიმედო კაცი), როგორც მის წინააღმდეგ შეთქმული და საეჭვო; კაპიტანი ზამარაევი (სამხედრო კოლეგიის არჩეული), როგორც მხდალი; პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი, როგორც შეთქმული [2]; ცხადია, დანარჩენები ან ძალაუნებურად უნდა დამორჩილებოდნენ ტოტლებენის ბრძანებას, ანდა ჩოლოყაშვილისა და რემენნიკოვის ბედი გაეზიარებიათ. ტოტლებენი არც ამაზე შეჩერებულა: მან ბრძანა რატიევის დაპატიმრება, რომელიც პირადად ტოტლებენის სურვილითა და დაჟინებითი მოთხოვნით იქნა ყიზლარიდან წამოყვანილი (რატიევს ამ დროს რუსეთის მთავრობის ნდობა ჰქონდა მოპოვებული); მოურავოვს, რუსეთის მთავრობის წარმომადგენელს საქართველოში,

---

[1] С. М. Соловьев, История России., кн. VI, т. XXVIII, стр. 669.

[2] ეკატერინე II სწერდა ნ. პანინს: ...„не хвалю же и неслихания подозрительности Тотлебенова". Сб. РИО, т. X, 441.

წინადადება მისცა მთავრობისაგან ნებართვის მიღებამდე დაეტო ვებია საქართველო, თუმცა ამის უფლება მას არ ჰქონდა; წინა-დადება მისცა რატიევს უკანვე გაეგზავნა მაიორი ანდრონიკოვი (სამხედრო კოლეგიის მიერ გამოგზავნილი) და ყველა ქართველი ოფიცერი.

2 მაისს ერეკლემ დეგრალისაგან შეიტყო, რომ ტოტლებენი რუსეთის მთავრობის მიერ მიცემულ ინსტრუქციებს არღვევდა[1]. რუსეთის მთავრობის თვალში მეფეს სახელს უტეხდა და მას ქართლ-კახეთის დაპყრობა ჰქონდა გადაწყვეტილი[2]. დეგრალისაგან ერეკლემ, ალბათ, ისიც შეიტყო, რომ ტოტლებენი დეგრალის აწერინებდა ახალციხის ფაშასთან გასაგზავნ წერილებს. მეფემ სარწმუნოდ იცოდა, რომ ახალციხის ფაშის ჯაშუში თვეზე მეტ-ხანს ყავდა პატიმრობაში ტოტლებენს, რის შემდეგ იგი გაუშვა ფაშასთან წერილით[3]. ამ ამბებს დაემთხვა გაურკვეველი მიზეზით რუსი ოფიცრების განდევნა საქართველოდან, აწყურთან ღალატი. 2 მაისის მანიფესტი და 7 მაისის ბრძანება თბილისში მყოფი რუ-სეთის ჯარის ოფიცრებისადმი.

---

[1] დეგრალი სამხედრო სასამართლოს უყვებოდა, თუ როგორ აღღვევდა ტოტლებენი ინსტრუქციებს, რომელსაც იგი უთარგმნიდა: რუსეთის ჯარს უბრ-ძანებდა ქართველებისათვის წაერთმიათ პირუტყვი, რასაც ინსტრუქცია, რომე-ლიც მას ჰქონდა მიცემული, არ ითვალისწინებდა. კაზაკებმა მისი ბრძანებით ქართველებს სამოცდაათი ხარი წაართვეს; 1770 წელს იანვრის თვეში, როცა გრაფი ტოტლებენი მოზდოკიდან საქართველოში ბრუნდებოდა, მაიორ ეოლო-ბოვისა და ჩემი თანხლებით, ოსეთში, სოფელ მელეთში, მცხოვრებლებმა მაიორი ეოლობოვი ღამის გასათევად არ შეუშვეს, რისთვისაც გრაფმა ტოტლებენმა ბრძა-ნა გაეძარცვათ სოფელი: შეკრიბა ათი მამასახლისი, დაადო ხუნდები და წამოი-ყვანა თან, რომლებიც დიდხანს ყავდა დაპატიმრებული...

ЦГВИА, ф. 8, оп. 94, св. 7, д. 55, лл. 276—290.

დეგრალის ჩვენებები ბევრ სხვა საინტერესო ცნობებსაც შეიცავს რაც მთა ვარია, ტოტლებენის თვითნებობა, რომელსაც დეგრალი აუწყებდა სასამართლოს, ეხება მეფესა და ტოტლებენს შორის განხეთქილების ჩამოვარდნის წინაპერიოდს. ტოტლებენს არც თვითნებობის და არც სოფლების ძარცვის უფლება არ ჰქონდა. სამხედრო კოლეგიის 1769 წ. 13 ნოემბრის ბრძანება მიუთითებდა ტოტლებენს:

„...Всякое своевольство, обиды обывателям и тому подобные непорядки с крайним прилежанием предупреждены и отвращены быть." (ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 212—214).

შემთხვევითი როდია, რომ ერეკლემ 1770 წლის მაისში დაიწყო საჩივრები რუსეთის მთავრობის წინაშე ტოტლებენის თვითნებობის შესახებ. მეფემ იცოდა დეგრალისაგან, რომ ტოტლებენს ასეთ საქციელს მთავრობა უკრძალავდა.

[2] Грамоты, II, в. I, 24—25.

[3] ЦГВИА, ф. 8, св. 7, оп. 94, д. 55, лл. 276—290.

საფუძველი არსებობდა ტოტლებენის საქციელში დაეჭვებულიყო ერეკლე II და ყველა პატიოსანი რუსი ოფიცერი.

ერეკლე დარწმუნდა, რომ ტოტლებენის მოთმენა საქართველოს ტერიტორიაზე არ შეიძლებოდა. ამიტომ 1770 წლის 7 მაისს მეფემ წინადადება მისცა რატიევს: „...მე ამას განვაცხადებ შენდამი და ყოელთა შტაფთა აფიცართა წინაშე ტოტლებენს არესტი უყოთ და მისის დებულების უმაღლესსა კარსა გაგზავნოთ და ვინც თქვენმა გონებამ ამჯობინოს ის თავად დააყენოთ ტომსას პოლკი პოლკონიკის მოსვლამდის... თუ ამას არ აღასრულებთ ყოვლად მოწყალის ხელმწიფის უმაღლესს კარს პასუხი ყველამ გაეცით“...[1].

8 მაისს, როგორც დეგრალის ჩვენებიდან ჩანს, რატიევი, ბოგდანოვი, ერეკლე და მოურავოვი ესკადრონებით და 3 ქვემეხით უნდა დაძრულიყვნენ ტოტლებენის ბანაკისაკენ, მაგრამ შეჩერებულან. დეგრალი უჩვენებდა სასამართლოს, რომ, რისთვის მიდიოდნენ არ ვიცოდიო, მაგრამ, სისხლისღვრა რომ არ მომხდარიყო, ვურჩიე მოურავოვს შეჩერებაო[2]. მიზანი, ცხადია, ტოტლებენის დაპატიმრება იყო.

როგორც ერეკლე მეფის 13 მაისის წერილიდან ჩანს, მეფისათვის შეჩერება მოურავოვს ურჩევია. „რადგან დაჟინებით გირჩევია არესტის უქნელობა... ამ საქმისათვის დიდათ მადრიელნი ვართ“[3] — სწერდა ერეკლე მოურავოვს.

რაკი რატიევი და ერეკლე შეჩერდნენ, საქმე ტომსკის პოლკს ჭნდა გადაეწყვიტა.

1770 წლის 19 მაისს პოლკოვნიკი კლავერი უპატაკებდა სამხედრო კოლეგიას, რომ 10 მაისს მან მიიღო ტოტლებენის ბრძანებები და ლეოვის წერილი; 15 მაისს — ერეკლეს, მოურავოვისა და რატიევის წერილები; ხოლო 19 მაისს დამატებით მიიღო ტოტლებენის ბრძანება. აცნობებდა რა საქართველოში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობას, პოლკოვნიკი კლავერი სამხედრო კოლეგიას სთხოვდა სასწრაფოდ ეცნობებიათ მისთვის თუ როგორ მოქცეულიყო[4]. თუმცა კლავერის პატაკს ასეთი მინაწერიც აქვს: ეს პატაკი დაიწერა 30 ვერსზე იმ ბანაკიდან, სადაც ტოტლებენი იმყოფება, პოლკი ხვალ დაიძვრება და ტოტლებენს შეუერთდებაო[5].

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. III, лл. 18—19.

[2] ЦГВИА, ф. 8, св. 7, оп. 94, д. 55, л. 283.

[3] Грамоты, II, в. I, 34.

[4] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, л. 430.

[5] იქვე, 431.

კლავერის პატაკს დართული აქვს 10 დოკუმენტი. ამათგან ნაწილი ტოტლებენის ბრძანებებია ტომსკის პოლკის მეთაურისადმი (ცხინვალიდან და ანანურიდან გაგზავნილი 1770 წლის 30 აპრილს, 2 მაისსა და 16 მაისს), რომლებითაც ტოტლებენი კლავერს ავალებდა: გზების შეკვრას, ყაზბეგის მცხოვრებლების რუსთა ხელმწიფის ერთგულებაზე ძალით დაფიცებას (ვინც წინააღმდეგობას გასწევს დააპატიმრეო), აღალისა და საკურველის გზაში დატოვებასა და ქვეითი ბატალიონებით სასწრაფოდ მასთან შეერთებას; დოკუმენტების მეორე ნაწილი მოურავოვის, რატიევისა და ერეკლეს წერილებია (10 — 11 მაისით დათარიღებული) ტომსკის პოლკის მეთაურისადმი, რომლითაც ამ უკანასკნელს თბილისიდან აცნობებდნენ: ტოტლებენის აწყურთან ღალატს, მის საეკვო საქციელს, რუსი ოფიცრების უმიზეზოდ დაპატიმრებას, ქართველი თავადებისადმი უხეშად მოქცევასა (რითაც გულს უცრუებს რუსეთის ერთგულებაზეო) და ინსტრუქციების დარღვევას: ამასთან, სთხოვდნენ: ან გამოცხადდეს თბილისში და ჯარის საერთო უფროსობა აიღოს, ანდა ტოტლებენთან მისვლის შემთხვევაში, ჩააგონოს ამ უკანასკნელს ავანტიურზე ხელი აიღოს; გარდა ამისა. სთხოვენ საქმის ვითარების უკეთ გასაცნობად შტაბს-ოფიცერი გამოგზავნოს თბილისში[1].

ტოტლებენის ავანტიურა ტომსკის პოლკმა ჩაშალა. მართალია, კლავერი 19 მაისის პატაკით აცნობებდა სამხედრო კოლეგიას ტოტლებენის ბანაკიდან (ანანურიდან) 30 ვერსზე ვიმყოფები და ხვალვე შევუერთდები ტოტლებენსო, მაგრამ ტომსკის პოლკში 57 რუსი ოფიცერი იყო, მათ შორის შტაბს-ოფიცრები: პოლკოვნიკი ვოლკოვი, პოდპოლკოვნიკი ტიუტჩევი, მაიორი მარკოვი, — მათთან თათბირის გარეშე პოლკოვნიკ კლავერს ასეთი რთული საკითხის გადაჭრა არ შეეძლო. ვერ შევძელით დოკუმენტალურად დაგვედგინა როდის ითათბირეს ან რა გადაწყვიტეს ტომსკის პოლკში, ვერც ის დავადგინეთ — კლავერმა, თანახმად მოურავოვის და რატიევის თხოვნისა, როდის გამოგზავნა შტაბს-ოფიცერი თბილისში[2]. ერთი კი დავადგინეთ, რომ ტომსკის პოლკი, ნაცვლად 20 მაისისა, ტოტლებენს ივნისში შეუერთდა. კლავერი ერთი ბატალიონით 1 ივნისს გამოცხადდა ანანურში, ე. ი. 30 ვერსის გავლას 13 დღე მოანდომა (თანაც იმ დროს, როცა რატიევი თბილისიდან ანანურში 2 დღის მოსული იყო), ხოლო მეორე ბატალიონი

---

[1] ЦГВИА. ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 430—141.

[2] ლვოვის ცნობა გვიანდელია, ზოგადია, ტენდენციურია. შდრ. Грамоты. I, 250—251.

�ბანს კიდევ თადარიგში იდგა. 1770 წლის 10 ივნისს ტოტლებენი გრაფ ჩერნიშევს მოახსენებდა: „როგორც კი რატიევი თავისი რაზმით გასული თვის 30-ს (მოვიდა), პოლკოვნიკი კლავერიც 1 ივნისს პირველი ბატალიონით მოვიდა ჩემთან ანანურში... ორ დღეში ველოდები პოდპოლკოვნიკ ვოლკოვს ტომსკის პოლკის მეორე ბატალიონით. მისი მოსვლისთანავე იმერეთის გზით პირდაპირ ქუთაისზე წავალო...“ [1] ავანტიურისტი ამბობდა, რომ მას ძლიერ გაუჭირდა ჯარის შეკრება, თითქმის ძალით გადმოიყვანა ტომსკის პოლკი სტეფანწმინდიდან და რატიევის რაზმი თბილისიდან [2].

არა გვგონია საპირო იყოს მტკიცება, რომ საქმე ტომსკის პოლკმა გადაწყვიტა. მოსალოდნელია, ტომსკის პოლკი რომ დაუყოვნებლივ შეერთებოდა ტოტლებენს, ავანტიურისტი თავისი განზრახვის შესრულებას შეუდგებოდა.

ტომსკის პოლკის მოქმედებას დაურწმუნებია ტოტლებენი, რომ რუსი ოფიცრების დაყოლიება ავანტიურაზე ადვილი საქმე არ იყო.

ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ტომსკის პოლკის ოფიცრებს, ტოტლებენის ბრძანების აშკარა შეუსრულებლობის დაფარვის მიზნით, რომ წესდების დარღვევა (დაუმორჩილებლობა) არ დაეპრალებიათ, მარშრუტის გეგმა ისე შეუდგენიათ, რომ პოლკი სამხუთ დღეობით დგას და ქვემეხების დაშლა-აწყობას, ყუთების გადატან-გადმოტანას აწარმოებდა [3]. მაგრამ ტოტლებენი 30 აპრილს, 2 და 16 მაისის ბრძანებით [4] ხომ ავალებდა კლავერს ზედმეტი ტვირთი გზაში დაეტოვებია და ბატალიონებით სასწრაფოდ შეერთებოდა მას? კლავერის 19 მაისის წერილის მინაწერით ხომ ეცნობა სამხედრო კოლეგიას, რომ პოლკი 30 ვერსზე იყო ტოტლებენის ბანაკიდან [5] და მეორე დღესვე შეუერთდება ტოტლებენსო? რატომ არ შეასრულა პოლკმა ყოველივე ეს?

თუ ტოტლებენის წერილების დიდი უმრავლესობა ეპვის აღმძვრელია, სხვა მასალებთან შედარების გარეშე მათი შინაარსის ჭეშმარიტად მიჩნევა ძნელია [6], სრულებით არ მიგვაჩნია საეჭვოდ,

---

[1] ЦГВИА, ф. 20. оп. 47, св. 245. д. 4, ч. II. лл. 581—583.

[2] იქვე, 581—583.

[3] იქვე, 657—660.

[4] ЦГВИА, ф, 20, оп. 47. св. 245, д. 4, ч. I, лл. 431, 434, 445.

[5] იქვე, 430.

[6] მხედველობაში გვაქვს ტოტლებენის ცილისმწამებლური წერილების ექსტრაქტები. იხ. Грамоты, I, 204—216.

რომ ტოტლებენის დაჟინებითი მოთხოვნა ტომსკის პოლკის სტეფანწმინდიდან ანანურში მოსვლის შესახებ უშედეგოდ დარჩა (ეიდრე ტოტლებენმა ავანტიურაზე ხელი არ აიღო).

შემთხვევითი როდი იყო, რომ 8 ივნისის შემდეგ ერეკლე სხვანაირად უყურებდა ტოტლებენს. 8 ივნისის წერილში უკანასკნელად გამოთქვა მეფემ შიში ტოტლებენის მოქმედებისადმი[1]. მართალია, 17 ივნისის წერილით, მოურავოვი არწმუნებდა მეფეს, რომ ტოტლებენს უფლება არა აქვს წაგართვას ციხეებიო, მაგრამ ეს მეფის 8 ივნისის წერილის[2] პასუხი იყო და 8 ივნისის შემდგომ მოვლენებს არ შეეხება.

ერეკლემ არსებითად იცოდა, რომ ტოტლებენს 1770 წ. ივნისში ფაქტიურად არაფრის გაკეთება არ შეეძლო და 3 ივნისს შესთავაზა მას—დაეკიწყებიათ ძველი მტრობა და მტრის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება განეახლებიათ[3].

მართალია, 8 ივნისის წერილში ერეკლე კიდევ ეჭვის თვალით უყურებდა ტოტლებენს, მაგრამ რუს ოფიცრებში და რუსეთის ჯარში მას ეჭვი არ ეპარებოდა. გარდა ტოტლებენისა მთელს მის რაზმში ჩემდამი სიყვარულით გამსჭვალულ ადამიანებს ვხედავო[4]— წერდა მეფე.

როგორც ერეკლე II 18 ივნისის წერილიდან ირკვევა, ტოტლებენს 9 ივნისის წერილით უცნობებია მეფისათვის, რომ იგი ჯარით იმერეთში მიდიოდა, საიდანაც გაილაშქრებდა ახალციხეზე[5]. ამის შემდეგ მეფე ენერგიულად ცდილობს განაახლოს ერთობლივი მოქმედება ახალციხის მიმართულებით და წინადადებას აძლევს ტოტლებენს, თუ იგი არ ინებებს ერთად მოქმედებას, თუნდაც 5—6 ვერსის დაშორებით იმოქმედოს, ოღონდ ახალციხის მიმართულებით[6]. როგორც ჩანს, ერეკლესათვის ცნობილი იყო პატრ დომენიკთან ტოტლებენის მიერ 16 ივნისს გაკეთებული განცხადება[7] და იგი აქარწყლებს ტოტლებენის მიერ წამოყენებულ უსაფუძვლო მოტივებს (თითქოს, რაკი მტკვარზე ხიდი აყრილია, ქართლიდან ახალციხისაკენ გზა არ იყოს და სხვა...). მაგრამ ერეკლეს ყველა ცდა, ტოტლებენთან ერთად განეახლებია საომარი მოქმე-

---

[1] Грамоты, I, 124—125.
[2] იქვე, 237.
[3] იქვე, 230.
[4] იქვე, 125.
[5] იქვე, 238—241.
[6] იქვე, 238—241.
[7] იქვე, 128—129.

დება ახალციხის მიმართულებით, მარცხით დამთავრდა. ტოტლებენი იმერეთისაკენ დაიძრა.

2. ტოტლებენის ავანტიურასთან რუსეთის სამეფო კარისა და ქართველი თავადების დამოკიდებულების საკითხისათვის

ზოგიერთი მკვლევარის აზრით ტოტლებენის ავანტიურას ერეკლეს წინააღმდეგ რუსეთის სამეფოს კარი ასულდგმულებდა და მასში ქართველი თავადები (დავით ქსნის ერისთავი და ზაალ ორბელიანი) მონაწილეობდნენ, ხოლო შეთქმულების მიზანი ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება და საქართველოს რუსეთთან შეერთება იყო.

ასეთი თვალსაზრისი უმთავრესად ეყრდნობა ეკატერინე II ორმაგ დამოკიდებულებას ერეკლეს ბედისადმი და იესე ბარათაშვილის ცნობას ზაალ ორბელიანის მიერ რუსეთში ჩადენილი საქციელის შესახებ [1].

ჩვენ ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ თვალსაზრისს. მკვლევარები. პროფ. ა. ცაგარელი და პროფ. ი. ცინცაძე, რომელთაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დოკუმენტებზე უშუალოდ უმუშაენიათ, რუსეთის სამეფო კარის ინტერესების განსაზღვრისას სხვა თვალსაზრისზე დგანან. მაგ., პროფ. ცაგარელი დოკუმენტების შინაარსის გადმოცემისას განსაკუთრებით ხაზს უსვამს რუსეთის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელთა შემდეგ სიტყვებს: ...„тепер главнейшая нужда, чтоб Грузинцы нам в войне помогали“ ...„неишется присовокупить Грузинских земель, как отделенных и совсем неподручных, к нашей империи“... [2], რაც საკმაოდ ნათლად მოწმობს, რომ პროფ. ცაგარელის აზრით რუსეთის მთავრობა მაშინ საქართველოს ანექსიას მიზნად არ ისახავდა. პროფ. იასე ცინცაძე კი წერს: „1768—1774 წლებში, საქართველოს სამეფო-სამთავროების თურქეთის წინააღმდეგ ომში გამოყენება ძირითადი ამოცანაა რუსეთის პოლიტიკისა ამიერკავკასიაში... რუსეთს, საქართველოს მიმდინარე ომში გამოყენება დაუსახავს

---

[1] ბაკუნინს ზ. ორბელიანისათვის უთქვამს: „არ იცი, ჭელმწიფე მეფეს ჴერჭკლეს უწყრებაო. მერმე მე უთხარო (აცხადებდა ზაალ ორბელიანი—ვ. მ.)—„ეუ მეფეს ერეკლეს უწყრება, ან რუსს ვისმე უბოძოს ქვეყანა და ან მეფეს სოლომონსაო“. იხ. იესე ბარათაშვილის ცხოვრება—ანდერძი, თბილისი, 1950, გვ. 67.

[2] Грамоты, I, გვ. XVIII, XXIV (ხაზგასმა ცაგარელისაა).

მიზნად და არა საქართველოს ანექსია"[1]. რუსეთის მდგომარეობის გათვალისწინება და ცნობილი საბუთების საერთო ანალიზი სხვა დასკვნის უფლებას არ იძლევა.

გარდა ამისა, ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: ზემოთ საკმაოდ ნათლად იყო ნაჩვენები, რომ რუსეთის მთავრობამ საქართველოში ტოტლებენი გამოგზავნა სამი ასეულითა და 6 ქვემეხით. ამ ძალებით საქართველოს დაპყრობა რომ არ მოხერხდებოდა, ეს არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს. გარდა ამისა, რუსეთის მთავრობა იმასაც კი შიშობდა მთიელი ტომები გაატარებდნენ თუ არა საექსპედიციო რაზმს საქართველოში. დარიალის გზაც ხომ ერეკლეს დახმარებით მოწესრიგდა. საქართველოში რაზმის ჩამოსვლის შემდეგ გამოირკვა, რომ სოლომონ მეფე სუსტი იყო და ერეკლეს დახმარების გარეშე მას არაფრის გაკეთება არ შეეძლო. ერეკლე კი ჯარის გადიდების გარეშე თურქეთის წინააღმდეგ საომრად იარაღს არ იღებდა. მთელი დიპლომატიური ბრძოლა წარმოებდა რუსეთიდან 5 ათასიანი დამხმარე ჯარის მისაღებად და როგორც იქნა რუსეთიც დათანხმდა. ცხადია, თუ რუსეთს საქართველოს ანექსია ჰქონდა გადაწყვეტილი, ჯარის გადიდების თაობაზე ამდენი დავიდარაბა არ ატყდებოდა.

საექსპედიციო ჯარის გადიდების შემდეგ ამოცანა არ შეცვლილა. რუსეთის იმპერიის უპირველესი მინისტრი გრაფი ნ. პანინი, 1769 წლის 16 დეკემბრის წერილით საგარეო კოლეგიის რწმუნებულს საქართველოში თავ. ა. მოურავოვს, აცნობებდა რა ჯარის გადიდებას, სწერდა, რომ ამოცანა ახლაც იგივე რჩება, ძალიან გვეჭირდება, რომ ქართველებმა ჩქარა დაიწყონ ბრძოლა თურქების წინააღმდეგ[2].

საქართველოში რუსეთის ჯარის გადიდებასთან დაკავშირებით ეკატერინე II 1769 წლის 16 დეკემბერს წერილობით აუწყებდა ტოტლებენს, რომ ერეკლე მოითხოვს 10—15 პოლკი ჯარის გაგზავნას და აცხადებს—ამ ჯარის გარეშე, ლეკების შიშით, თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღება არ შემიძლიაო. ეს სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან ერეკლემ სპარსეთში არეულობის დროს შესძლო არა მარტო ლეკების მოგერიება, არამედ სპარსეთის ქალაქების დამორჩილება, რომელთაც ახლაც ფლობსო; ზემოაღნიშნული ნათლად მოწმობს, რომ მას ადრეც საკუთარი

---

[1] ენიმკის მოამბე, V—VI, 1940 წ., გვ. 340—341.

[2] Грамоты, I, 444—445.

ძალები საკმაო ჰყოლია და ახლაც საეჭვო არაა უფრო მეტი ეყოლებაო. რომ მას შეუძლია გამოიყვანოს 40 ათასიანი ჯარი. ეს დასტურდება არა მარტო სხვა ცნობებით, არამედ თვით მისი ელჩის დამოწმებითაც კი. ასეთი ჯარი საკმარისია არა მარტო ქვეყნის დასაცავად, არამედ თურქეთის წინააღმდეგ სამოქმედოთაც. შემდეგ, განაგრძობდა ეკატერინე, თქვენი ერთგულებისა და უნარისაგან მოველით, რომ დაარწმუნებთ ერეკლეს სამეფო კარზე მის მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა ზედმეტობაში და იმაში, რომ ახლანდელ პირობებში ჩვენ საქართველოში დიდი ჯარის გაგზავნა არ შეგვიძლია[1].

ყოველივე ამის შემდეგ არა გვგონია, რომ ეკატერინეს ტოტლებენისათვის საქართველოს დაპყრობა დაევალებიოს.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ რუსეთის მთავრობამ ერეკლე სახელმწიფო ორდენით დააჯილდოვა. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ტახტიდან ჩამოსაგდები კაცი სახელმწიფო ორდენით დაეჯილდოვებიათ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მომხდარი უკანასკნელი ამბები არ იცოდნენ, 1770 წლის 16 ივლისს პანინი ტოტლებენს სწერდა: ქართველების რუსეთის ერთგულებაზე დაფიცება, თუ ძალდატანების გარეშე წარმოებს და ეს საქმე ხელს შეუწყობს თურქეთის წინააღმდეგ ომში მათ მონაწილეობას, შეიძლება მისი გაგრძელება, რაც შეეხება სხვა სარგებლობას (ქვეყნის სიმდიდრე და სხვა), შეიძლება ის მართლაც დიდი იყოს, მაგრამ ეს საქმე ბევრ სხვა ამბებსაც მოითხოვს, რაც ახლანდელ ვითარებასთან შეუთავსებელიაო; ამასთან, „отдаленность Грузии и трудность проездов—два обстоятельства которыя присвоение сей земли также непрочним делают. Может статься, что в продолжение времяни представятся и средства, по которым сии неудобности не будут больше такими казаться, но теперь главнейшая нужда, чтоб Грузинцы нам в войне помогали...“[2].

იმპერატორმა კაპიტან იაზიკოვს, რომელსაც საქართველოში აგზავნიდა აქაური საქმეების მოსაგვარებლად, შემდეგი დავალება მისცა: თუ ტოტლებენმა ნამდვილად ჩამოაგდო ტახტიდან ერეკლე და ეს საქმე ქართველების ომში მონაწილეობას აფერხებს, იგი კვლავ აღადგინეო[3].

---

[1] Грамоты, I, 85—87.

[2] იქვე, გვ. 155.

[3] იქვე, 139—145.

როგორც ინსტრუქციის შინაარსიდან ჩანს, ერეკლეს ჩამოგდება და საქართველოს დაპყრობის საკითხი კი არ იდგა იმ დროს, არამედ საქართველოს თურქეთთან ომში აქტიურად ჩაბმა. ამ ამოცანისათვის ერეკლე, რუსეთის მთავრობის აზრით ყველაზე კარგი კანდიდატურა იყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ეკატერინე II, ვოლტერთან გაგზავნილ წერილში, 1770 წლის იანვარში, ერეკლეს საქართველოში უპირველეს და თავიან კაცად იხსენიებს; ხოლო ინსტრუქციაში, რომელსაც ეკატერინეს აზრით ერეკლეს ბედი უნდა გადაეწყვიტა, ერეკლე კვლავ ასევე იხსენიება.

მართალია, რუსეთის მმართველი წრეების ორმაგი დამოკიდებულებაც ჩანს ერეკლესადმი, მაგრამ ამის მიზეზი ის იყო, რომ ტოტლებენი რუსეთის მთავრობას არწმუნებდა ერეკლეს თურქეთის წინააღმდეგ ომი არ სურს, მისი მიზანია რუსის ჯარი ირანის წინააღმდეგ გამოიყენოსო. გარდა ამისა, რუსეთის მთავრობის გაკვირვებას იწვევდა ის ამბავი, რომ ერეკლე რუსეთის ჯარის ოფიცრებს ტოტლებენის დაპატიმრების წინადადებას აძლევდა.

ასე რომ, რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღისწესრიგში 1769 წლის შემოდგომასა და 1770 წლის ზამთარში საქართველოს დაპყრობის საკითხი არ დასმულა და არც რუსეთის მთავრობის რომელიმე მესვეურთაგანი ჩანს ტოტლებენის ავანტიურისტულ საქმიანობაში გარეული და არც მისი თანამგრძნობი.

რაც შეეხება ბაკუნინს, თუ იგი რაიმეში ერია, ეს უფლებას როდი გვაძლევს მისი მოქმედებისათვის ბრალი დავდოთ რუსეთის სამეფო კარს. ბაკუნინი კანცელარიის უბრალო მუშაკი იყო, მისი თვალსაზრისის რუსეთის სამეფო კარის თვალსაზრისად მიჩნევა შეცდომა იქნებოდა. მაგრამ ჩვენს განკარგულებაში არსებული წყაროები არ იძლევა უფლებას ამ კაცს ბრალი დავდოთ ამ საქმეში. ცნობილია, რომ ერეკლე ბაკუნინს ენდობოდა და თავისი ელჩებისათვის დაბარებული ამბების სამეფო კარისათვის „ჩქარა უწყებას“ ავალებდა[1].

მაინც რა იყო ბაკუნინის დანაშაული? ბაკუნინს ზაალ ორბელიანისათვის უთქვამს: „არ იცი, ჭელმწიფე მეფეს ერეკლეს უწყრებაო. მერმე მე უთხარო (აცხადებდა ზაალ ორბელიანი—ვ. მ.): — თუ მეფეს ერეკლეს უწყრება, ან რუსს ვისმე უბოძოს ქვეყანა და ან მეფეს სოლომონსაო“[2]. მაგრამ იმის განცხადება, რომ რუსეთის ხელმწიფე ერეკლე მეფეს „უწყრება“ ნიშნავს, რომ ბაკუნინი ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილეა?

---

[1] Грамоты, II, в. I, 74—75.

[2] იესე ბარათაშვილის ცხოვრება—ანდერძი, თბილისი, 1950 წ., გვ. 67.

რატომ „უწყრებოდა“ ეკატერინე ერეკლეს?

ეკატერინემ, როგორც კი ტოტლებენის მიერ ქვიშხეთიდან გაგზავნილი პატაკები გაიცნო, ნ. პანინს მისწერა: „მე გადავათვალიერე ტოტლებენის წერილები, საიდანაც დავინახე მისდამი ჩოგლოკოვის დაუმორჩილებლობა და ამ უტვინო ახალგაზრდის ლაყბობა; ამასთანავე არ ვაქებ ტოტლებენის გაუგონარ ეშვიანობას. ვფიქრობ, რომ მას უფრო შეუძლია ჩვენი საქმე საქართველოში გააფუჭოს, ვიდრე სასარგებლო მდგომარეობაში მოიყვანოს; მე ვფიქრობ, საჭიროა ვინმე სხვა დაინიშნოს“ [1].

1770 წლის 20 ივნისს რუსეთის მთავრობამ შეიტყო საქართველოში მაისის პირველ ნახევარში მომხდარი ამბებიც (მიიღეს კლავერის 19 მაისის პატაკი დანართებითურთ) [2]. ამ ამბებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 20 ივნისს სამხედრო კოლეგიამ ბრძანებების სერია გამოგზავნა საქართველოში, რომლითაც ოფიცრების საქციელს სამხედრო კოლეგია აფასებდა, როგორც რუსეთის არმიისათვის შეუფერებელს, როგორც სამხედრო წესდების დარღვევას და უბრძანებდა ოფიცრებს დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყვნენ სამხედრო კოლეგიაში [3].

მაგრამ კლავერის გაგზავნილ 10 დოკუმენტს განსაკუთრებით გაუკვირვებია ეკატერინე. იგი სწერდა პანინს: — „მე მგონია რომ საჭიროა მოურავოვის საქართველოდან გამოძახება; და მასვე უბრძანეთ, რომ მან აუცილებლად თან წამოიყვანოს ჩოგლოკოვი და რატიევი, ოფიცრით (დეგრალი), რომელზედაც წერს თავის მანიფესტში გრაფი ტოტლებენი; თუ ისიც კიდევ მართალია, რომ ტოტლებენმა ის (მანიფესტი—ვ. მ.) გამოსცა; საეჭვოა ამ ხალხის (ოფიცრების—ვ. მ.) შედგენილი არ იყოს—როგორც ეს მანიფესტი, ისევე რატიევისადმი ერეკლე მეფის წერილი; ამ უკანასკნელს (ერეკლეს—ვ. მ.) გაგიჟების გარეშე არ შეეძლო აზრად მოსვლოდა მიესაკუთრებია ჩემი ჯარების მეთაურების დანიშვნის უფლება. ვფიქრობ, ყაზანის გუბერნატორ ბრანტს... უბრძანოთ გაარჩიოს ეს საქმე ყაზანში, ხოლო გრაფი ტოტლებენი საჭიროა შეიცვალოს“ [4].

ეკატერინე II ამ წერილებიდან [5] პირველი უფრო ადრინდელია. მათი შინაარსის შედარება ამას საეჭვოდ არ ხდის. ამავე

---

[1] Сб. РИО, X, 441.

[2] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4. ч. II, л.л. 519—520.

[3] იქვე. 517—532.

[4] ლაპარაკია 2 მაისის ცნობილ მანიფესტზე და ერეკლეს 7 მაისის წერილზე რატიევისადმი, სადაც მეფე ტოტლებენის დაპატიმრების წინადადებას აძლევდა. რუს ოფიცრებს (Сб. РИО, X, 442).

[5] შდრ. იქვე, გვ 441—442.

დროს უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე წერილი ივნისის 20—22 რიცხვებში უნდა იყოს დაწერილი.

მაინც რატომ უწყრებოდა ეკატერინე II ერეკლეს 20—22 ივნისის წერილით? როგორც ზემოთ წარმოდგენილი წერილის ტექსტიდან ირკვევა, ეკატერინე ორ საბუთს — ტოტლებენის 2 მაისის მანიფესტსა და ერეკლეს მიერ რატიევისადმი 7 მაისს გაგზავნილ წერილს — ოფიცრების მიერ ყალბად შედგენილად მიიჩნევდა. ამავე დროს იმპერატორი მიუთითებდა თუ პირველი, ე. ი. 2 მაისის მანიფესტი, ტოტლებენმა ნამდვილად გამოსცა, საჭიროა გრაფი ტოტლებენი შეიცვალოსო. ხოლო 7 მაისის წერილის მიმართ ეკატერინეს აზრი ასეთი იყო: თუ ნამდვილია, რომ იგი ერეკლემ დასწერა, ალბათ გაგიჟებულა, რომ ჩემი ჯარების მეთაურების დანიშვნის უფლება მიისაკუთრაო[1].

გარდა ამისა, ერეკლე აშკარად მფარველობდა ტოტლებენის წინააღმდეგ „შეთქმულ“, აჯანყებულ ჩოგლოკოვს და საერთოდ „უდისციპლინო“ ოფიცრებს.

აი რატომ უწყრებოდა ეკატერინე ერეკლეს.

სანამ საქმის ვითარება გამოირკვეოდა (სასამართლო ძიება ოფიციალურად დამთავრდა 1771 წლის გაზაფხულზე), ეკატერინეს ჰქონდა საფუძველი გაწყრომოდა ერეკლეს, მაგრამ ეს გაწყრომა იქამდე მაინც არ მისულა, რომ ეკატერინეს, ნ. პანინს ან ზ. ჩერნიშევს წაექეზებიათ ტოტლებენი ერეკლეს წინააღმდეგ.

ის ფაქტი, რომ ზაალის კერძო განცხადება ბაკუნინთან ბატონიშვილებმა რუსეთში შეიტყვეს, უფრო საწინააღმდეგო დასკვნის საშუალებას იძლევა; საფიქრებელია, თვით ბაკუნინმა აცნობა მათ ქართველი ელჩის საქციელი.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ზაალ ორბელიანს ეშინოდა რუსეთში მისი უსაქციელობისა და იესე ბარათაშვილს სწერდა, ბატონიშვილებმა ჩემს შესახებ რა ამბავი ჩამოიტანეს რუსეთიდანო[2]. რუსეთში რომ ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულების ცენტრი ყოფილიყო, ზაალს საშიში არაფერი ექნებოდა. ზემოაღნიშნულის გამო, მტკიცება — ბაკუნინის შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ — საფუძველს მოკლებულია, ყოველ შემთხვევაში საამისო წყაროები ჯერჯერობით არ გამოჩენილა.

არც ქართველი თავადების მონაწილეობა მტკიცდება შეთქმულებაში.

---

[1] Сб. РИО, X, 442.

[2] იესე ბარათაშვილის ცხოვრება—ანდერძი, დას. გამ., გვ. 66.

ცნობილია, რომ ერეკლე შეთქმულებს საერთოდ მკაცრად ეპყრობოდა და, ცხადია, გაქცეული ზაალი ახალციხიდან არ ჩამოვიდოდა რომ მისი დანაშაული ლაყბობაზე დიდი ყოფილიყო.

ერეკლე ენდობოდა ზაალს, ყველაზე კრიტიკულ მომენტში, რუსეთში გასაგზავნ ელჩად სწორედ ის ამოირჩია. ზაალი, როგორც ელჩი, ვითარებაში ვერ გაერკვა, ვერ გაიგო იმპერატორის „გაწყრომის“ ხასიათი და ბაკუნინთან ლაყბობით თავისი თავადური ბუნება გამოამჟღავნა, მაგრამ მეფემ აპატია მას დანაშაული და 1775 წელს მარნეული უბოძა[1].

რაც შეეხება დავით ქსნის ერისთავს, იგი არ დაიხევდა უკან აშკარად გაჰყოლოდა ტოტლებენს, მაგრამ ეს თვითმპყრობელი მეფის შიშით ვერ გაუბედავს.

1770 წლის 4 ოქტომბერს დეგრალი სამხედრო სასამართლოს დაკითხვისას უჩვენებდა: „ამ ზამთარს, გრაფმა დავით ერისთავი, საქართველოში პირველი კაცი, თავისთან გამოიძახა და გამოუცხადა, რომ მას მეფის ნებართვის გარეშე თავის ქვეშევრდომებისაგან შეეკრიბა ექვსათასიანი ჯარი და წასულიყო მასთან ერთად ახალციხის წინააღმდეგ; ამასთანავე გრაფმა დააიმედა იგი, რომ მხარის დაპყრობის შემდეგ იგი (ტოტლებენი) მ. ი. უ. ნებართვას გამოითხოვდა და მას (დ. ერისთავს) დაპყრობილი მხარის მფლობელად გახდიდა; მაგრამ თავადმა ერისთავმა განუცხადა მას, რომ, რადგანაც ის ერეკლე მეფის ქვეშევრდომია და მეფისათვის ერთგულებაზე ფიცი მიცემული აქვს, ასეთ წინადადებაზე მეფის ნებართვის გარეშე არ შეუძლია დათანხმდეს; მან (ტოტლებენმა) თავის მხრივ ამის შესახებ წინადადება მისცა მეფეს და თუ მას ეს ებრძანება (მეფისაგან), ის ვალდებულია ყოველთვის მეფის ნება აღასრულოს; გრაფს ამის შემდეგ ძალა არ დაუტანებიაო“[2].

ერეკლემ ეს ამბავი ალბათ იცოდა, ამიტომ ცილისმწამებლების — გიორგი ყულარაღასის, არჯევანისა (ფირცხელაური?) და მისი ძმის რამინის დაბეზღება სარწმუნოდ არ მიუჩნევია. თვითონ არჯევანი და რამინი თავიანთ სიმართლეში არ ყოფილან დარწმუნებულნი და სასამართლოდან გაპარულან. მაბეზღრები მეფემ დავით ერისთავს მისცა ყმად 1770 წლის სექტემბერს[3]. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ერეკლე 1771 წლის საბუთითაც დ. ერისთავს პატიოსან კაცად იხსენიებს და რუსეთის ჯარის მიგებებასა

---

[1] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, საბ. 1987, 522.

[2] ЦГВИА, ф. 8, св. 7, оп. 94, д. 55, лл. 287—288.

[3] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 23, № 141, ფურც. 135.

და მისი მომარაგების საქმეს, რ. ამილახვართან ერთად, მას ანდობს [1].

ჯერჯერობით არაა ცნობილი დოკუმენტები, რომლებიც 1770 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე ზაალ ორბელიანისა და დავით ერისთავის მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაზე ან შეთქმულებაში მონაწილეობზე მიუთითებდეს.

მართალია, ზაალ ორბელიანის საქციელი მის ორმაგ ბუნებაზე მიუთითებს, მაგრამ იგი არსებითად იყო ლაყბობა და არა შეთქმულება ერეკლეს წინააღმდეგ. თუ ამ პერიოდში მეფის წინააღმდეგ ორგანიზებული შეთქმულება იყო, ეს უნდა ყოფილიყო 1770 წლის მაისამდე და არა მაისის შემდეგ. მაისში ტოტლებენი აშკარად აჯანყდა ერეკლეს წინააღმდეგ და ამის შემდეგდროინდელ ამბებს შეთქმულება კი არა, აჯანყება უნდა ეწოდოს. რას უცდიდა ზაალ ორბელიანი და დავით ერისთავი ტოტლებენის აშკარა გამოსვლის შემდეგ? რატომ არ დადგნენ მის მხარეზე?

საბუთების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ტოტლებენის ავანტიურის შესახებ რუსეთის მთავრობამ მისი ლიკვიდაციის შემდეგ შეიტყო. ამასთან, რუსეთის მთავრობამ გამოამეღავნა ორმაგი დამოკიდებულება ერეკლესადმი (იაზოკოვს ავალებდნენ—თუ ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება აფერხებს ქართველების ომში მონაწილეობას, იმ შემთხვევაში აღადგინეო). ამის მიზეზი ტოტლებენის ყალბი ინფორმაციებიც იყო, რომლითაც რუსეთის მთავრობამ ისე იცოდა. თითქოს ერეკლეს თურქების წინააღმდეგ ბრძოლა კი არ სურდა. არამედ იგი რუსეთის ჯარის სპარსეთის წინააღმდეგ გამოყენებას ფიქრობდა. რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა.

იმის გამო, რომ ტოტლებენის განზრახვას ერეკლე მეფის წინააღმდეგ რუსეთის სამეფო კარმა, როგორც ამ დროს რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის საზიანოს, მხარი არ დაუჭირა, ტომსკის პოლკი, რომელზედაც ავანტიურისტი მთავარ იმედს ამყარებდა, მას არ გაჰყვა; ქართლის რეაქციონერმა თავადებმა ტოტლებენის მხარეზე დადგომა, ერეკლეს შიშით, ვერ გაბედეს, ავანტიურა უდღეური გამოდგა. ერეკლეს მის წინააღმდეგ გამოსვლა არ დასჭირდა.

---

[1] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, საბ. 5340; საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 229, დავთარი 23, № 140, ფურც. 133—134.

3. ოფიცერთა შეთქმულების საკითხისათვის

1770 წლის 3 აპრილს ქვიშხეთში ტოტლებენმა რუსი ოფიცრები (მაიორი რემენნიკოვი და პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი) დააპატიმრა იმ საბაბით, რომ თითქოს მათ განზრახული ჰქონდათ ტოტლებენის მოკვლა და საექსპედიციო რაზმის ჩოგლოკოვისათვის ჩაბარება.

პროფ. ცაგარელს, ტოტლებენისა და ლვოვის მოხსენებების საფუძველზე, შეთქმულების არსებობა საეჭვოდ არ მიუჩნევია. იგი წერდა: „მეფე ერეკლესა და ტოტლებენის სურამში ბანაკად დგომისას[1] გაიხსნა შეთქმულება ტოტლებენის წინააღმდეგ; შეთქმულების მეთაური იყო საქართველოში მოხალისედ მოსული პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი; ხოლო მისი მთავარი თანამოსაქმე იყო პოდპოლკოვნიკი რემენნიკოვი"[2]. პროფ. ს. კაკაბაძე ამ ე. წ. შეთქმულებას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ ტოტლებენის აწყურიდან დაბრუნების მიზეზადაც კი აღიარებს[3], თუმცა „შეთქმულების" ლიკვიდაცია აწყურში წასვლამდე მოხდა. რუსი ისტორიკოსები კიდევ უფრო შორს წავიდნენ და ტოტლებენის ავანტიურა შეთქმულ რუს ოფიცერთაგან თავდაცვის ღონისძიებად გამოაცხადეს[4].

საისტორიო ლიტერატურამ და ცნობილმა წყაროებმა გავლენა მოახდინეს მხატვრულ ლიტერატურაზე და ოფიცერთა „შეთქმულებამ" აქაც თავისებური ასახვა ჰპოვა.

ოფიცერთა შეთქმულების არსებობის ფაქტისადმი ეჭვმიუტანლობა იმანაც განაპირობა, რომ ზოგი „შეთქმულთაგანი" შემდეგ ტოტლებენის წინააღმდეგ აშკარად გამოსულთა გვერდით აღმოჩნდა და დაისაჯა. გარდა ამისა, ოფიცერთა „შეთქმულების" შესახებ მკვლევარები მხოლოდ ტოტლებენისა და ლვოვის ცალმხრივ მოხსენებებს იცნობდნენ, რაც შეეხება ოფიცერთა საქმეზე სპეციალური სასამართლოს რკვევის მასალებს, მას დღემდე არავინ გასცნობია.

---

[1] პროფ. ცაგარელს შეცდომით ეგონა, რომ 3 აპრილს ტოტლებენი სურამში იდგა. ნამდვილად 1770 წლის 24 მარტიდან ტოტლებენი და ერეკლე ბანაკად იდგნენ ქვიშხეთში (შდრ. ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. Ш, лл. 49—52).

[2] Грамоты, I, стр. XII.

[3] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1922, გვ. 208.

[4] П. Б у т к о в, Материалы.., ч. I, 285, В. П о т т о, Кавказская война. т. I, стр. 87.

როცა „შეთქმულებაზე“ ვლაპარაკობთ, ზუსტად უნდა გავარკვიოთ—არსებობდა თუ არა შეთქმულება ტოტლებენის წინააღმდეგ აწყურის ამბებამდე და რა მოხდა შემდეგ. საკითხისადმი ასეთ მიდგომას შეუძლია სწორ დასკვნამდე მიგვიყვანოს.

საბუთების შესწავლას ჩვენ იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ რუსი ოფიცრები კი არ იყვნენ შეთქმულნი, არამედ თვითონ ტოტლებენია შეთქმული ოფიცრების წინააღმდეგ და 1770 წლის თებერვლიდან, თანდათანობით, ოსტატურად იცილებს მათ თავიდან, ხოლო როცა აწყურთან უმსგავსო საქციელი გამოამჟღავნა და მოკავშირე ბრძოლის ველზე მიატოვა, თანაც ახალციხის ფაშასთან საეკვო მიმოწერა გააბა, პატიოსანი ოფიცრები ეკვში შევიდნენ და აშკარად გამოვიდნენ ტოტლებენის წინააღმდეგ. ასეთია ისტორიული სინამდვილე.

გენ. ტოტლებენმა საკუთარი შეხედულებებისამებრ ოფიცრების დაპატიმრება და მათი თავიდან მოცილება ჯერ კიდევ 1770 წლის თებერვლიდან დაიწყო. პირველი მსხვერპლი რუსეთის არტილერიის ნოვატორი პოდპოლკოვნიკი ს. ჩოლოყაშვილი იყო, რომელიც გენერალ-პროკურორ ვიაზემსკისა და სამხედრო კოლეგიის წინადადებით იქნა საქართველოში გამოგზავნილი. უმნიშვნელო უთანხმოება ტოტლებენსა და ჩოლოყაშვილს შორის განხეთქილების საბაბი გახდა, ხოლო შემდეგ ტოტლებენმა ამის წინააღმდეგ ყალბი ცნობები შეთხზა, მთავრობის ნებართვამდე დააპატიმრა, გაძარცვა და 1770 წლის თებერვალში ბადრაგით რუსეთს გაგზავნა. რაკი ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ საჩივრის აღძვრის საფუძველი არ არსებობდა, გაათავისუფლეს, მაგრამ ტოტლებენის მიერ ნაძარცვის დაბრუნებას ველარ ეღირსა. ტოტლებენი ჩოლოყაშვილსაც სწამებდა შეთქმულებაში მონაწილეობას, მაგრამ ეს იმდენად უსაფუძვლო იყო, რომ მისი დაკითხვაც საჭიროდ არავის მიუჩნეია (საქმე იმაშია, რომ ტოტლებენის მიხედვით შეთქმულებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ტოტლებენის წინააღმდეგ თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანა 3 აპრილს, ხოლო ჩოლოყაშვილი თებერვალში გააძევა საქართველოდან). სამაგიეროდ თვითონ ჩოლოყაშვილი უჩიოდა ტოტლებენს და ითხოვდა ნაძარცვის დაბრუნებას[1].

მაიორი რემენნიკოვი, რომელიც სამხედრო კოლეგიის მიერ სპეციალურად იქნა შერჩეული, ტოტლებენმა 1770 წლის 3 აპრილს

---

[1] ჩოლოყაშვილის შესახებ იხ. ჩვენი წერილი (ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“ 1955, № 10).

დააპატიმრა. ტოტლებენი მას, ჩოგლოკოვთან ერთად, შეთქმულე ბის მეთაურად მიიჩნევს; თითქოს 3 აპრილს შეთქმულებს ტოტლებენი უნდა დაეღუპათ და რაზმი ჩოგლოკოვს უნდა ჩაებარებია. ჩოგლოკოვი ოთხი დღის მისული იყო რაზმში, როცა ტოტლებენს ეს ამბავი „შეუტყვია". ნუთუ შეთქმულებას არც მიზეზი სჭირდებოდა, არც მოსამზადებელი პერიოდი? ნუთუ გასულელდა რემენნიკოვი და მკვლელობის მონაწილე გახდა, რომ რაზმის უფროსობა ჩოგლოკოვს მოეპოვებია? სასამართლოში ეკითხებოდნენ რემენნიკოვს — რატომ უწოდებდი ჩოგლოკოვს შენს მეთაურსო. ბრალდებათა შორის იხსენიება: ლოთობა, უდისციპლინობა, ავადმყოფობით სიმულაცია და სხვა[1]. ტოტლებენს ეს ყალბი დასმენები აო დაუდასტურეს თვით მისმა თანამოსაქმეებმაც კი და რემენნიკოვი გამართლდა. რაც შეეხება შეთქმულებას, ტოტლებენ�ყალბი მოწმის დასახელებაც კი ვერ შესძლო; ვერ დაუსახელა სასამართლოს, თუ ვინ შეატყობინა მას, რომ 3 აპრილს მისი დაღუპვა იყო დანიშნული. სასამართლოს არ შეეძლო ცილისწამების სარწმუნოდ მიღება და განაჩენში ჩასწერა: სასამართლო ითხოვს ტოტლებენისაგან, დამადასტურებელ საბუთს თუ ვინ შეატყობინა მას, რომ 3 აპრილს ღამით მისი დაღუპვა იყო დანიშნული. უამისოდ სასამართლო მათ არავითარ სასჯელს არ ადებსო[2]. ტოტლებენი მაიორ რემენნიკოვს საეკვო კაცადაც კი თვლიდა, მაგრამ ეს „საეკვო" კაცი 1774 წელს პოდპოლკოვნიკის ჩინით პერეკოპის კომენდანტი იყო.

ჩოგლოკოვის დაკითხვისას პირველი სპეციალური კითხვა ასეთი იყო: საქართველოში ჩასვლისთანავე გრაფმა ლევოვის თანდასწრებით წინადადება მოგვცა, რომ „თქვენ არავითარი ნაცნობობა არ გქონოდა ქართველებთან, აგრეთვე მაიორ რემენნიკოვთან და თავად მოურავოვთან", რატომ დაარღვიე ეს განკარგულება?[3].

ჩვენ ზემოთ გავეცანით რემენნიკოვის „დანაშაულს" და თუ რემენნიკოვთან და რუსეთის მთავრობის საგანგებო წარმომადგენელ მოურავოვთან ნაცნობობა რუს ოფიცერს დანაშაულად ჩაეთვლება, ეს სხვა საქმეა, მაგრამ შეთქმულებაში მონაწილეობა მას არ დაუდასტურდა, კიდევ მეტი, ასეთი შეთქმულება საერთოდ არ არსებულა. ჩოგლოკოვი მხოლოდ პირადი მტრობით დაღუპა ლევომა. ლევოვის წერილი პერფილიევისადმი ღვარძლითაა სავსე[4].

---

[1] ЦГВИА, ф. 8, оп. 94, св. 7, д. 55, лл. 223—237.
[2] ЦГВИА ф. 8, оп. 6/95, д, 6, лл. 5—8.
[3] ЦГВИА, ф. 8, св. 7, оп. 94, д. 55, лл. 205—222.
[4] Грамоты, I, 222—226.

შესაძლებელია, ასეთ რამეზე წააქეზა კიდეც ტოტლებენმა. ყოველ-შემთხვევაში ლვოვის წერილი, სადაც იგი ჩოგლოკოვს ლანძღავს, გვიანდელია (1770 წლის მაისში ლვოვი ტოტლებენის აქტიური თანამოსაქმე იყო და ბუნებრივია, ტოტლებენს ყოველმხრივ იცავდა), მაგრამ ეს გვიანდელი წერილი გახდა ფაქტიურად ჩოგლოკოვის დაღუპვის მიზეზი. ცენტრალური პუნქტი, რომლის ირგვლივ ტრიალებდა ჩოგლოკოვისა და საერთოდ ოფიცრების დაკითხვა, იყო შემდეგი: თქვა თუ არა ჩოგლოკოვმა, რომ ის მესამე კაცია რუსეთში და ეკატერინეს და პავლეს თუ რამე დაემართათ, ტახტი მას ეკუთვნისო. ძნელია იმის თქმა, თქვა თუ არა ასეთი რამ ჩოგლოკოვმა, მაგრამ ამ ერთადერთ ბრალდებას ადასტურებდნენ ტოტლებენი და ლვოვი: ორი „მოწმე", ფაქტიურად მომჩივანნი, საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჩოგლოკოვი რიგითად დაექვეითებინათ და 10 წლით ციმბირში გაეგზავნათ (ფაქტიურად ეკატერინეს სიკვდილამდე იქ დაჰყო). ჩოგლოკოვის დანაშაული მისმა პატიმრობიდან გაქცევამაც დაამძიმა [1].

არსებობს ტოტლებენის ორი ყალბი, ურთიერთ საწინააღმდეგო დასმენა: პირველი 30 მარტს არის დაწერილი, სადაც ნათქვამია, თითქოს ერეკლემ მას მიუგზავნა თავისი მკურნალი, რომელსაც იტალიურ ენაზე უნდა ეცნობებია ტოტლებენისათვის საიდუმლო. ტოტლებენს ეს მკურნალი (იქნებ ვინმე „საბატკა"?) „მიუღია" ლვოვის თანდასწრებით და მოუთხოვია წერილობით ეცნობებია ეს საიდუმლო. შემდეგ თითქოს მეფეს საიდუმლოდ ეცნობებიოს ტოტლებენისათვის შეთქმულების ამბავი [2]. რად დასჭირდა მეფეს, როცა იგი ტოტლებენთან ერთად იდგა ბანაკად, ვიღაც „მკურნალის" მიგზავნა, რატომ „მკურნალთან" ერთად თვით არ მივიდა გრაფთან? თანახმად ტოტლებენის თხოვნისა, „მკურნალმა" რატომ წერილობით არ მოახსენა მას? რა თქმა უნდა, ეს იყო ცილისწამება ერეკლე მეფისადმი. თუ ვინმე მართლა მიიღო ტოტლებენმა 30 მარტს ლვოვის თანდასწრებით, ეს იყო, ალბათ, 4 დღის ჩამოსული ლვოვის შეცდომაში შესაყვანად. ეს უფრო ინსცენირებას წააგავს. ყოველ შემთხვევაში დაემოწმებოდა თუ არ დაემოწმებოდა, ტოტლებენს სასამართლოსათვის მოწმის დასახელება შეეძლო, თუ ასეთი არსებობდა და თუ ყველაფერი „განგებას" არ უცნობებია მისთვის. მეორე დასმენა, ტოტლებენის 8 აპრილის წერილი, ფაქტიურად ეწინააღმდეგება პირველს. ამ წერილით

---

[1] ЦГАДА, разр. VII, д. 2434, ч. I, лл. 496—499.

[2] Грамоты, I, 207.

ტოტლებენი ატყობინებს მეფეს — მე დიდი ხანია რჩევას გაძლევ, მაგრამ ჩემ რჩევას არ იღებ, ამის გამო შენს თავადებს ჩემს ოფიცრებთან შეთანხმება აქვთ; მე დიდი ხანია გაცნობებდი, რომ გაფრთხილდე, მაგრამ ვგრძნობ, რომ არათუ ჩემს რჩევას არ იღებ, წინანდებური ნდობითაც არ მეპყრობიო, — უნდობლობის მიზეზად ოვით ოფიცრებია დასახელებული. დასასრულ ნათქვამია, რომ ოფიცრების შეთქმულება „მადლობა ღმერთს შეეტყვეო“ [1].

ძნელი დასანახი როდია, რომ ეს ორი ცნობა ერთმანეთს ეწინააღმდეგება. თუ მეფემ ტოტლებენს (როგორც 30 მარტის წერილიდან ჩანს) აცნობა, რომ ოფიცრები მის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენ, რატომ ტოტლებენი 8 აპრილის წერილით მადლობას არ უთვლის მეფეს ხსნისათვის, როცა „მკვლელები“ დააპატიმრა და დაღუპვას გადარჩა? რატომ მადლობის მაგიერ მეგობარი მეფე საყვედურის ღირსი გახდა? რატომ წინანდებური ნდობით არ ეპყრობა ტოტლებენს მეფე, თუ მან შეუწყო ხელი ოფიცრების დაპატიმრებაში? საეჭვოა, რომ ტოტლებენს მისი 8 აპრილის წერილი მეფისათვის გაეგზავნოს. ყოველ შემთხვევაში, ეს ორი წერილი ერთმანეთს გამორიცხავენ.

რა თქმა უნდა, ასეთი ცნობები სასამართლოს არ გამოადგებოდა.

არ უნდა უგულებელყოთ ის ფაქტიც, რომ ოფიცრები მოულოდნელად იქნენ დაპატიმრებული და მიმოწერის მასალები ტოტლებენმა ხელთ იგდო. მიუხედავად ამისა, ეს მასალები ოფიცრებს შორის, ან ოფიცრებსა და ქართველებს შორის რაიმე საეჭვო კავშირზე არ მიუთითებდა.

რატომ უნდა მივიღოთ ტოტლებენის ყალბი საჩივრები სარწმუნოდ და ოფიცრებს შეთქმულები ვუწოდოთ, როცა მეფის ბიუროკრატიულმა სასამართლომაც კი ვერავითარი საფუძველი ვერ იპოვა ასეთი დასკვნისათვის? ტოტლებენის საჩივრები რატომ უნდა იქნეს მიღებული სარწმუნოდ, როცა სხვა საბუთებით მათი, აშკარა სიყალბე დასტურდება?

ასეთია „შეთქმულების“ ისტორია აწყურამდე.

რუს ოფიცერთა უმიზეზოდ დაპატიმრებას და შემდეგ ტოტლებენის აწყურთან ღალატს არ შეეძლო ეჭვში არ შეეყვანა რუსი ოფიცრები. ამის შემდეგ იწყება დაუმორჩილებლობა, სამხედრო წესდების დარღვევა, ოფიცერთა დანაშაული ტოტლებენის და არა

[1] Грамоты, I, 213.

რუსეთის სახელმწიფოს წინაშე. ზემოაღნიშნული ვითარება გახდა რატიევისა და ბოგდანოვის „დანაშაულის“ მიზეზი[1]. მათი დანაშაული, როგორც სასამართლოს განაჩენიდან ჩანს, იყო მხოლოდ და მხოლოდ წესდების დარღვევა, უფროსისადმი დაუმორჩილებლობა. ის ფაქტი, რომ რატიევი და ბოგდანოვი აშკარად დადგნენ ერეკლეს მხარეზე.

მეფის ბიუროკრატიულ სასამართლოს დაუმორჩილებლობის ობიექტური მიზეზები მხედველობაში არ მიუღია. 1771 წლის 22 აპრილს სამხედრო კოლეგიის უმაღლესმა სასამართლომ, მოისმინა რა ყაზანის გუბერნატორ ბრანტის მიერ გამოტანილი განაჩენი, დაადგინა: პოდპოლკოვნიკ რატიევს აეყაროს ჩინები და დამსახურებამდე განწესდეს II არმიაში რიგითად[2].

დანარჩენი ბრალდებულები: დეგრალი, ხვაბულოვი, ბოგდანოვი, ნაზაროვი — ყაზანის სამხედრო სასამართლოს დამნაშავედ ვერ უცვნია და არავითარ სასჯელს არ ადებდა, მაგრამ სამხედრო კოლეგიის უმაღლესმა სასამართლომ საკმარისად ჩათვალა პიკსნერის ჩვენება — ბოგდანოვმა ტოტლებენს და მას (პიკსნერს) მოღალატე უწოდაო და ბოგდანოვსაც, რატიევის მსგავსად, აყარეს ჩინი და II არმიაში რიგითად გააწესეს. აქ, ბუნებრივია, მთავარი ის იყო, რომ ბოგდანოვი დრაგუნთა რაზმით გაბედულად დადგა (რატიევთან ერთად) ერეკლეს მხარეზე. ასევე შეცვალა სამხედრო კოლეგიის უმაღლესმა სასამართლომ ბრანტის მიერ გამოტანილი განაჩენი სხვა ბრალდებულთა მიმართ — დეგრალი, ტოტლებენის მიერ პორუჩიკად დაწინაურებული, ტოტლებენის საიდუმლოების გაცემისათვის, — უნტერ-ოფიცრამდე ჩამოაქვეითეს, დაკარგა ტოტლებენის მიერ მიცემული ჩინი; პორუჩიკი ხვაბულოვი ტოტლებენთან გამოუცხადებლობისათვის ჩამოაქვეითეს პრაპორშჩიკამდე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქმის გამოძიება ოფიცრებისათვის არახელსაყრელ პირობებში წარმოებდა. რუსეთის მთავრობა ბრმად მიენდო ტოტლებენისა და ლევოვის მოხსენებებს, რადგან ავანტიურისტებმა შეძლეს ეკატერინეს მგრძნობიარე ნერვს შეხებოდნენ — ეკატერინეს აუწყეს, რომ შეთქმული, შემდეგ აჯანყე-

---

[1] შდრ. Грамоты, I, 202—203,

[2] ЦГАДА, разр. VII, д. 2434, ч. I, лл. 497—498.

(რატიევი ნაცვლად მეორე არმიისა გაიგზავნა პირველ არმიაში, სადაც. მალე ისახელა თავი და სახელმწიფო საბჭომ 1771 წლის 10 დეკემბერს, რუმიანცევის შუამდგომლობით, იგი პოდპოლკოვნიკის წოდებაში აღადგინა. Архив гос. совета, т. I, ч. I, 130—131).

პული და პატიმრობიდან გაქცეული ჩოგლოკოვი აცხადებდა — ხელმწიფის ბიძაშვილი ვარ და ცესარევიჩის შემდეგ ტახტის მემკვიდრეო. 1770 წ. 20 ივნისის ბრძანებით თუმცა განზრახული იყო ოფიცრების პეტერბურგში ჩაყვანა, მაგრამ ეკატერინემ უბრძანა ჩერნიშევს—ოფიცრები ყაზანის აქეთ არ გამოაცილოთ, ყაზანის გუბერნატორს ბრანტს დაავალეთ იქ გაასამართლოსო. ოფიცრები ეეედრებოდნენ ჩერნიშევს სამხედრო კოლეგიაში მიყვანას, მაგრამ ვიშნევოლოჩეკიდან ყაზანისაკენ შეაბრუნეს. გასამართლებაც მათთვის არახელსაყრელ ვითარებაში მიმდინარეობდა — ტოტლებენი „ბრწყინვალე“ პატაკებით ბაღდადის, შორაპნის, ქუთაისის დაპერას აუწყებდა რუსეთის მთავრობას, თანაც დაუკავებელი ფოთი „ეკატერინათ“ იწოდებოდა. ასეთ პირობებში ტოტლებენის ერთგულებაში ეჭვი არავის შექონდა, ხოლო პატიმარი ოფიცრები ბრანტს კედელთან ყავდა მიმწყვდეული და ეძიებდა თუ ვინ გაბედა, რომ ტოტლებენს გამცემელი უწოდა, თქვა თუ არა ჩოგლოკოვმა მესამე კაცი ვარ რუსეთშიო. ცხადია, ასეთი სასამართლო ტოტლებენის საქციელს ვერ განსჯიდა.

შეიძლება ითქვას, რომ თუ ტოტლებენს წინასწარ თავიდან არ მოეცილებია ჩოლოყაშვილი, ზამარაევი, რემენნიკოვი და ჩოგლოკოვი, ალბათ იგი აწყურთან ღალატს ვერ შესძლებდა, რატიევის და ბოგდანოვის მოქმედება და ტომსკის პოლკის პოზიცია ამის თავდებია.

მართალია, რემენნიკოვი და ჩოლოყაშვილი ტოტლებენის წინააღმდეგ აშკარად გამოსულთა რიცხვში არ გვხვდება, მაგრამ ისინი აპრილში საქართველოს საზღვრებს გაცილებული იყვნენ და ტოტლებენის უმსგავსო, რუსეთის გმირი არმიის ისტორიაში ამ უპრეცედენტო საქციელს, ბუნებრივია, წინ ვერ აღუდგებოდნენ.

4. იმერეთის ციხეების განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან

ქართლ-კახეთის ჯარების თურქებზე გამარჯვებით ისარგებლა სოლომონ I და 1770 წლის ზაფხულში იმერეთის ციხეების განთავისუფლებას შეუდგა. ჯერ ცუცხვათის სიმაგრე დაიკავა, შემდეგ ქ. ქუთაისი გაანთავისუფლა და, ბოლოს, შორაპნისა და ქუთაისის ციხეების ხანგრძლივ ალყაზე გადავიდა.

სწორედ ამ დროს ტოტლებენიც იმერეთისაკენ დაიძრა. რა თქმა უნდა, ტოტლებენს უნდა ეფიქრა, რომ მომხდარი ამბების

შემდეგ რუსეთის მთავრობის თვალში საქმის „გამოსწორებაც“ საჭირო იყო. ბოლოს და ბოლოს, რუსეთის მთავრობა მოიკითხავდა რისთვის იხარჯებოდა 134 ათასი მანეთი, რას აკეთებდა 4 ათასიანი კორპუსი. ამიტომაა, რომ ტოტლებენი ავანტიურაზე ხელის აღებისთანავე, 1770 წლის 10 ივნისს, ანანურიდანვე მოახსენებდა გრაფ ჩერნიშევს: როგორც იქნა ჯარი შეეკრიბე, ტომსკის პოლკის მეორე ბატალიონს ველოდები და როგორც კი შემოერთდება, პირდაპირ ქუთაისზე დავიძვრები, რომელიც სოლომონ პირველს გარემოცული აქვსო; მომავალ თვეში შავი ზღვის სანაპიროდან ბრწყინვალე პატაკებს გამოგიგზავნითო. ასეთი დაპირების მიუხედავად, ტოტლებენი მაინც აცხადებდა, რომ ამ მხარეში სარგებლობის მოტანა არ შემიძლია და გამათავისუფლეთო[1].

საკვირველია, გენერალი მთავრობას მომავალ თვეში ბრწყინვალე შედეგებს აღუთქვამს და იქვე, იმავე წერილში, წერს — „ამ მხარეში სარგებლობის მოტანა არ შემიძლია და გამათავისუფლეთო“.

სურდა თუ არა, ტოტლებენს მთავრობისათვის რაღაც საჩუქრად უნდა მიეტანა, ხოლო ასეთი მზად იყო, რაკი სოლომონს ფაქტიური მიღწევები გააჩნდა. 1770 წ. ივნისში ტოტლებენი იმერეთში გადავიდა. სოლომონ მეფე მას შეეგება და რუს-ქართველთა ჯარი 2 ივლისს ბაღდადის ციხეს შემოადგა[2], სადაც 30-მდე თურქი მეციხოვნე იყო[3]. სრული გარემოცვის პირობებში თურქ მეციხოვნეებს, რაკი ახალციხიდან დახმარების იმედი გადაეწურათ, სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, უნდა დანებებულიყვნენ. ლეოვი იუწყება — რადგან რუსის ჯარს საალყო ქვემეხები არ ჰქონდა, ციხის აღება დიდი მსხვერპლის გაღებას ითხოვდა, მაგრამ თურქმა მეციხოვნეებმა თვით ითხოვეს დანებებაო. თურქებს დანებების პირობად მოუთხოვიათ დედოფლის შეგზავნა ციხეში, რათა ამ უკანასკნელისაგან გარანტია მიეღოთ სიცოცხლის შენარჩუნებისა. დედოფალი 20 ვერსიდან მოუყვანიათ და მეციხოვნეებს მისთვის ჩაუბარებიათ ციხე. ლეოვი დასცინის ტოტლებენს, რომ ციხის სათოფურები არტილერიის ჭურვებით დახვრეტილ ადგილებად წარმომიდგინაო[4].

ბაღდადის ციხის აღების შემდეგ რუს-ქართველთა ჯარი ქუთაისისაკენ დაიძრა.

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. II, лл. 581—583.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2187.
[3] Грамоты, I, 179.
[4] იქვე, 251—254.

1770 წლის 13 ივლისს ტოტლებენი ქუთაისიდან მოახსენებდა გრაფ ჩერნიშევს: „რუსეთის იმპერატორის ჯარით ორი სიმაგრე ბაღდადი და შორაპანი თურქებს წავართვი, არ დამიკარგავს არც ერთი კაცი... ქალაქი ქუთაისი მთლ. ანად დაკავებული. და სიმაგრე ბლოკადაშიაო“ [1].

ამ „ბრწყინვალე“ მოხსენებაში ორი სიყალბეა: შორაპნის ციხე სოლომონ პირველია რუსეთის ჯარის დაუხმარებლად აიღო და ქუთაისიც დაიკავა, ხოლო ქუთაისის ციხე კი ტოტლებენის ქართლში ყოფნის დროსაც ბლოკადაში იყო. 1770 წლის 14 ივლისს სოლომონ I ნ. პანინს სწერდა: „მანამ ბრწყინვალე ღრაფი იმერეთს მოვიდოდა, ცუცხვათის ციხე ავიღეთ, შორაპანს ჯარი შემოვაყენეთ და ჩვენ ურჩეულესის ჯარითა ქუთაისის ქალაქს მოვადეგით, და ქალაქი ყოველივე, გარდა ციხისა, ავიღევით, და მრავალნი სულნი გამოვიყვანეთ...“ იქვე განაგრძობდა მეფე, რომ ამასობაში ტოტლებენი იმერეთის საზღვარზე მოვიდა და ერთად ბაღდადის ციხეს შემოვადეგით, ბაღდადის აღების შემდეგ კი...“ ქუთაისის ქალაქისა დანაშთენსა ციხესა მოვადეგით, და შორაპანს, რომელი ჩემი ჯარისა მიერ ადრიდგან მოცულ იყო, გამორჩეულის ჩემის კაცით წაველ და იგიცა მისვლისავე ჩემსა ავიღე“ [2]. ეკატერინესთან გაგზავნილ წერილში მეფე ამასვე იმეორებდა: „...შორაპანს ჩემი ჯარი ადრიდგანვე ადგა, და მათი მოუძლურება ვისმინე. წაველ სწრაფად მხოლოდ ჩემის ჯარით და იგიცა დაუყოვნებელად ავიღე...“ [3] როგორც ჩანს, შორაპნის ციხის აღებაში ტოტლებენს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ სამხედრო მინიტრს იგი გაბედულად სწერდა თავის „წარმატებებზე“ [4].

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. II. лл. 628—629.
[2] Грамоты. II, в. I. 48—49; Грамоты, I, 152—154.
[3] Грамоты. II, в. I, 47—48.
[4] მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში დაცულია შორაპნის ციხის აღების გეგმა, რომელიც ტოტლებენის სიყალბეს ააშკარავებს. ტოტლებენს, რაკი შორაპნის ციხე აღებული იყო, შეეძლო რუსეთის მთავრობისათვის ეს „საჩუქარიც“ მიერთმია, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ციხის ალყის გეგმა და აღწერა გაეგზავნა სამხედრო კოლეგიაში. ამ მიზნით შორაპანში ოფიცერი ნეხლიუდოვი გაუგზავნია, რომელსაც ციხე აუწერია. იერიშით აღების ჩვენების მიზნით რუსეთის ჯარის საბრძოლო განლაგებაც გადაუტანიათ გეგმაზე, მაგრამ დავიწყნიათ, რომ სარდლის ბანაკი ბრძოლის დროს საბრძოლო დანაყოფების წინ, უშუალოდ ციხის კედელთან. არ შეიძლებოდა ყოფილიყო. გარდა ამისა, რაკი 1770 წელს ტოტლებენს ჯარით შორაპანში არ გაუვლია, 1769 წლის საბრძოლო განლაგება უნდა ეჩვენებინათ და ასეც მოქცეულან, მაგრამ აქაც დავიწყნიათ, რომ რუსეთის ჯარი შორაპნის ციხესთან 1769 წლის სექტემბერში კი არ მდგარა, არამედ 3 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრამდე იდგა (შდრ. ЦГВИА, ф. ВУА, д. 2183; Грамоты, I, 70, 443).

ბაღდადის ციხის აღების შემდეგ ტოტლებენი და სოლომონ მეფე ქუთაისის ციხეს შემოადგნენ. ქუთაისის ციხის ალყა, სადაც 60-მდე თურქი ჯარისკაცი და 220 ორივე სქესის მოქალაქე იყო, ერთი თვე გაგრძელდა[1]. მართალია, ტოტლებენი 1770 წლის 13 ივლისის პატაკით ქუთაისიდან აცნობებდა გრაფ ჩერნიშევს, რომ „ქალაქი ქუთაისი მთლიანად დაკავებულია და ციხე ბლოკადაშია მოქცეულიო“, მაგრამ ლევოვის მოხსენებიდან ირკვევა, თუ როგორ ყოფილა ჩატარებული ბლოკადა. ტოტლებენს გარნიზონთან მოლაპარაკება გაუმართავს და ციხის ჩაბარება მოუთხოვია (?). თურქები მზად იყვნენ ჩაებარებინათ ციხე, მხოლოდ თხოვდნენ ტოტლებენს გაეშვა ისინი. ტოტლებენს გაუგია, რომ 6 აგვისტოს ღამით თურქები ციხიდან გაპარვას აპირებდნენ და სადარაჯო პუნქტების დაცვა გერმანელი ოფიცრებისათვის მიუნდვია (8 ოფიცრიდან 7 გერმანელი ყოფილა). 6 აგვისტოს ღამით თურქები ციხიდან გამოსულან და „პიკეტებს“ შორის „გაპარულან“. კაპიტანი ლევოვი იუწყება—ჩვენ ოთხი ათასი კაცი გვყავდა და მშიერი თურქების შეკავება ადვილი საქმე იყო, მაგრამ ტოტლებენის მიერ „პიკეტებზე“ გამოყოფილი გერმანელი ოფიცრები მტრის დაკავებისა და შეპყრობის ნაცვლად ციხეში შეიპრნენ და მოქალაქეთა ძარცვას შეუდგნენო[2]. ამ ცნობას იაზიკოვიც ადასტურებს. იაზიკოვის ცნობით: ქუთაისის ციხეში 60 თურქი ჯარისკაცი იყო, რომლებიც ტოტლებენის მიერ დაყენებული „პიკეტების“ სისუსტით ყველანი „პიკეტებს“ შორის გაიპრნენ და წავიდნენ; ხოლო ციხის აღებისას 70 რუსი ჯარისკაცი დაიღუპა[3]. ტოტლებენს გვიან შეუტყობინებია სოლომონ მეფისათვის (როგორც ჩანს, ლევოვისაგან თავმობეზრებულს) თურქების გაქცევის ამბავი. სოლომონ მეფეს ზომები მიუღია, მაგრამ ამასობაში თურქებს გაუსწრიათ. სოლომონ მეფის ჯარისკაცებს მხოლოდ ერთი თურქი შეუპყრიათ და ერთიც მოუკლავთ, დანარჩენები მიძალულან[4].

მტრის ჯარისკაცების გაშვება, ნებით მოხდა თუ უნებლიეთ, ფაქტიურად დანაშაული იყო. ლევოვის მოხსენებიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თურქები უფრო გაშვებული ჩანს, ვიდრე გაპარული. ძნელი დასაჯერებელია, რომ 4 ათასიან რაზმს ალყაშემორტყმული 60 კაცი გაექცეს, თანაც ისეთ პირობებში, როცა სარდლისათვის ცნობილია, რომ მტერი ამ ღამით უნდა გაიპაროს.

---

[1] Грамоты, I, 256—259.
[2] იქვე, 257—261.
[3] იქვე, 179.
[4] იქვე, 260.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ტოტლებენს ცნობა გაეგზავნია ნეიშისათვის, რომ 7 აგვისტოს ქუთაისის ციხე იერიშით აიღო, მტრის ჯარისკაცების ნაწილი ტყვედ ჩაიგდო, სხვები დახოცა, თავი თითქმის არავის დაუღწევია, ჩვენს მხარეზე ზარალი უმნიშვნელოა, თითქმის არაა. ნეიშჩიმ ეს ცნობა თავის მხრივ საამხედრო კოლეგიის მეთაურს ჩერნიშევს გაუგზავნა[1].

იმერეთის ციხეების შედარებით იოლი განთავისუფლება ალბათ ასპინძის ბრძოლაში თურქთა დამარცხებამ განაპირობა, თაც ნაკლებეარა მხრივ სათანადო ყურადღების საგანი უნდა გახდეს. ზემოთ დავინახეთ, რომ 1769 წელს სოლომონ I და ტოტლებენი ვერ ახერხებენ შორაპნის ციხიდან 23 თურქის გამოდევნას. 1770 წლის ზაფხულს კი სოლომონ I რუსეთის ჯარის დაუხმარებლადაც ადვილად იკავებს ცუცხვათისა და შორაპნის ციხეებს, ქალაქ ქუთაისს და ალყაში აქცევს ქუთაისის ციხეს. ცხადია, ეს ციხეები ასე ადვილად არ იქნებოდა აღებული, მითუმეტეს რუს-ქართველთა ჯარს საალყო ქვემეხები არ გააჩნდათ, რომ იმერეთში მყოფ თურქ შეციხოვნეებს ახალციხის ფაშის დახმარების იმედი ჰქონოდა. სავსებით მართალი გვეჩვენება ერეკლე, როცა ს. პანინს სწერს: „Ежелиб мы чрез одержание под Ацкуром сперва над турками, а потом над лезгинцами победы не пресекали неприятелю сообщения с Имеретинскими крепостями, и чрез то не довели б тамошних жителей до такого состояния, что они принуждены были кашачье мясо есть, то б, конечно, гр. Тотлебен не столь скоро предуспел бы их покорить!“[2].

რა თქმა უნდა, ასევე შეცდომა იქნებოდა ასპინძის ბრძოლაში ბოწყინვალე გამარჯვება და იმერეთის ციხეების შედარებით იოლი განთავისუფლება, რუსეთ-თურქეთის ომის საერთო მსვლელობისაგან იზოლირებულად წარმოგვედგინა და დაგვევიწყებინა, რომ ამ დროს რუსეთის არმია დუნაის რაიონში თურქთა ძირითად ძალებს (400 ათასიან არმიას) აბანდებდა.

იმერეთის ციხეების განთავისუფლება რომ საყურადღებო მოვლენა იყო, ეს სადავო არაა, მაგრამ მართალი გვეჩვენება ერეკლე, როცა ივი ეკატერინესა და პანინისადმი წერილებში მიუთითებდა, რომ ახალციხის მიმართულებით ლაშქრობის გაგრძელებისა და წარმატების ვითარებაში იმერეთის ციხეები თვითონ დაგვნებდე-

---

[1] ЦГВИА, ф. 20. оп. 47, св. 172, д. 13, л. 67.

[2] Грамоты. I, 246.

ბოდა, რაკი არსაიდან დახმარების იმედი არ ექნებოდათო. სამწუხაროდ, ტოტლებენს ერთად მოქმედების სურვილი არ აღმოაჩნდაო[1].

მაშასადამე, ტოტლებენის მიერ ერეკლეს გეგმის მიუღებლობა საერთო ინტერესებისათვის საზიანო იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე რუსეთის ჯარის იმერეთში გადასვლამ ციხეების განთავისუფლების საქმე დააჩქარა.

ტოტლებენი, იმერეთში გადასვლის შემდეგ, სოლომონ მეფესაც მალე წაეჩხუბა. მეფემ წინადადება მისცა შავი ზღვის მიმართულებით ელაშქრათ. ტოტლებენმა ეს უარყო და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ახალციხეზე ლაშქრობას აპირებდა. სოლომონ მეფე ახალციხეზე ლაშქრობაში მონაწილეობაზედაც მზადყოფნას აცხადებდა, მაგრამ ტოტლებენმა არც ეს ისურვა (ტოტლებენს სოლომონ მეფისათვის უთქვამს: „თუ ხუთასის კაცით წამოხვალ, წამოდიო, და თუ მეტს წამოიყვან, შენი წამოსვლა არ იქნებაო"). იგი რუსეთის ჯარით ახალციხისაკენ დაიძრა და გაურკვეველი მიზეზებით მალე გზიდან უკან დაბრუნდა[2]. ბოლოს, ტოტლებენი სოლომონ მეფის მტერს, 1769 წელს თურქების მოკავშირეს, საეკვო დადიანს დაუმეგობრდა და 1770 წლის 3 ოქტომბერს ფოთისაკენ დაიძრა[3].

5. ფოთის კამპანიის მარცხი. ტოტლებენის ინტრიგები. სამხედრო „მოქმედების" ახალი გეგმა

რუხისა და ანაკლიის ციხეები, რომლებშიაც ოც-ოცი კაცი იყო, თურქებმა რუსეთის ჯარის მოახლოვებამდე დატოვეს, ტოტლებენი ცარიელ ციხეებს დაეუფლა[4] და შემდეგ დადიანთან ერთად ფოთს შემოადგა.

ფოთიდან ტოტლებენმა რუსეთის მთავრობას „სასიხარულო" ამბავი შეუთვალა. ამ „სასიხარულო" ამბავს ყიზლარის კომენდანტი ნეიმჩი, ტოტლებენის დავალებით, რუსეთის მთავრობას თავისი 5 დეკემბრის საიდუმლო პატაკით ასე გადასცემდა: „...იგი (ტოტლებენი) თავისი კორპუსით შავი ზღვის პირად იმყოფება. ღვთის წყალობით, მ. ი. უ. საბედნიეროდ აღებულია მტრის ციხეები—ანაკლია და რუხი, ქალაქი ფოთი და მისი გარეუბანი,

---

[1] Грамоты, I, 243, 246.
[2] იქვე. II, n. I, 54—58.
[3] იქვე, I. 169.
[4] იქვე, 161.

ხოლო ფოთის ციტადელი ბლოკადაშია მოქცეული. ყველა ეს ციხე და ქალაქი ფოთი სახელგადათქმულია და იწოდებიან: ფოთი—ქალაქ ეკატერინად, ანაკლია—ალექსეევნად, ხოლო რუხი—წმინდა პავლეს სიმაგრედ"[1].

ყიზლარში ლოცვები გადაუხდიათ, მაგრამ პეტერბურგში ამ ამბებს საზეიმოდ არ შეხვედრიან, რადგან ქალაქ „ეკატერინადან" ტოტლებენის მიერ გაგზავნილ „ბრწყინვალე" პატაკებზე ადრე იაზიკოვისა და ლვოვის მოხსენებები მიუღიათ და რუსეთის მთავრობისათვის ცხადი გამხდარა, რომ ტოტლებენის საქციელით ერთობლივი მოქმედება ჩაშლილი იყო, ხოლო ფოთის კამპანიისაც ბარცხი ელოდა. ამიტომ ყიზლარის კომენდანტის 5 დეკემბრის საიდუმლო პატაკის მიღების წინა დღეს, 1770 წლის 31 დეკემბერს, სამხედრო კოლეგია უკვე ტოტლებენის შემცვლელს, გენერალ სუხოტინს, ვრცელ სამოქმედო ინსტრუქციას აძლევდა[2]. მაგრამ სუხოტინის ჩამოსვლამდე ტოტლებენს საკმაო დრო დარჩა, რომ ეფუქებია საქმე.

ფოთის კამპანია სასურველი გზით როდი განვითარდა. 1770 წლის დეკემბრის ბოლოს თურქებმა ძალებს თავი მოუყარეს ბათუმში და ფოთის გარნიზონისადმი მიშველებას ცდილობდნენ, რაც ტოტლებენის დაუძლურებულ კორპუსს ხიფათში აგდებდა. სოლომონ მეფემ ეს დროულად შეიტყო და აცნობა რუსეთის წარმომადგენელს. ტოტლებენი, საეკვო დადიანსა და გურიელზე დანდობილი (sic), ამ ცნობას სიყალბედ მიიჩნევდა სანამ მტრის ავანგარდი არ გამოჩნდა; იაზიკოვისა და ლვოვის თხოვნით სოლომონ I 1771 წლის იანვარში გურიაში შეიჭრა და თურქებს გზა გადაუკრა. ამით იმერეთის მეფემ ერთდროულად ორი საქმე გააკეთა—გურიაც დაიმორჩილა და რუსეთის კორპუსიც განადგურებისაგან იხსნა[3].

ფოთის ალყა გაჭიანურდა, ტოტლებენის დანაშაულის გამო კორპუსმა ბრძოლის უნარი დაკარგა და ფოთის ალყაც მარცხით დამთავრდა. თუმცა ტოტლებენი მთავრობას 1771 წლის 15 თებერვლის პატაკით საქმეს ასე უხატავდა: ფოთს ავიღებდი, კიდევ 12 საათი მჭირდებოდა, მაგრამ სოლომონის გურიაში შეჭრამ და კლავერის, იაზიკოვისა და ლვოვის მოთხოვნამ ფოთის გარემო-

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245. д. 4, ч. II, лл. 996—998.

[2] იქვე, 809—818.

[3] Грамоты, I, 274—281, 282—287, 289—290, 296—300; Грамоты, II, в. I, 76—77.

ცვაზე ხელი ამეღო, მაიძულა 6 თებერვალს ფოთზე ალყა მომეხსნა. შემაშინა აქაურ „ბუნტოვშჩიკებს“ კიდევ მახე არ გაეგოთ და ირაკლისა და ჩოგლოკოვის ტრაგედია კვლავ არ მოახლოვებულიყო [1].

მეორე პატაკში, რომელიც ტოტლებენმა 1771 წლის თებერვალშივე გაუგზავნა ჩერნიშევს, წერდა: მე ახლა არა მარტო ფოთს ავიღებდი, არამედ შეიძლება კიდევ მეტიც გამეკეთებია, მაგრამ იაზიკოვმა და ლევომ საქმე ამირიეს და კორპუსი უწესრიგობამდე მიიყვანეს, ბოლოს და ბოლოს იქამდე მიიყვანეს საქმე, რომ სოლომონ მეფის განზრახვით იძულებული გავხდი ფოთიდან წამოვსულიყავი. ამ საქმეში იაზიკოვსა და ლევოს თავიანთი მეგობრები: კლავერი, მარკოვი და სხვები დაეხმარნენო [2].

როგორც ზემოხსენებული წერილებიდან ჩანს, ტოტლებენი საკუთარი მარცხისათვის პასუხისმგებლობას სხვებს აკისრებდა. მაგრამ აქედან ისიც ჩანს, რომ ავანტიურისტი კვლავ ამზადებდა ახალ „შეთქმულებას“ კლავერის, მარკოვის, იაზიკოვისა და ლევოვის თავიდან მოსაცილებლად.

ფოთის 1770—1771 წლების ზამთრის კამპანიის დროს რუსეთის საექსპედიციო კორპუსმა ბრძოლის უნარი დაკარგა—ჯარისკაცები გაშიშვლდნენ (თვით ტოტლებენიც არ ფარავდა, რომ ჯარისკაცები ისე გაშიშვლდნენ, რომ ჯარი მომავალი კამპანიისათვის გამოუსადეგარი გახდა) [3], საპურველი არ იყო, ცხენებიც გატაცებული იქნა (თუმცა მტრის მიერ ცხენების გატაცების შემდეგ ტოტლებენი არწმუნებდა მთავრობას: ზარალი უმნიშვნელოა, რომ არ გაეტაცებინათ მაინც დაიხოცებოდნენო [4]. კიდევ მეტი, 1771 წლის 30 მარტის პატაკით მთავრობას არწმუნებდა: „აქაურ პირობებში ცხენოსანის გამოყენება არ შეიძლებაო“) [5].

რა თქმა უნდა, გაშიშვლებული, უსაპურველო, ბრძოლისუნარდაკარგული კორპუსით ფოთის ციხის აღება ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ აიძულეს ოფიცრებმა ტოტლებენი ფოთის ალყაზე ხელი აეღო, რათა ჯარისკაცები უმიზნოდ არ დაღუპულიყვნენ.

ფოთის კამპანიის მარცხს ტოტლებენი ქართველ მეფეებს აბრალებდა—ხელს არ მიწყობენო. თუ რატომ არ უწყობენ ქართველი მეფეები ხელს ტოტლებენს, ამაზე პასუხს იაზიკოვის მოხ-

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. II, лл. 953—955.
[2] იქვე, 929—931.
[3] იქვე, 848, 849—858, 864—867, 805—806.
[4] იქვე, 781—783.
[5] იქვე, 858.

სენეკა იძლევა: ტოტლებენს არ სურდა მეფეებთან ერთად მოქმედება, თავიდან იცილებდა მათ; შეურაცხყოფდა მეფეებს—სოლომონს „თურქს“ ეძახდა, ერეკლეს—„მოღალატეს“; ასეთ პირობებში მეფეებიც გულგრილად ეკიდნენ საექსპედიციო ჯარის მომარაგების საქმეს[1].

ტოტლებენი ფოთის კამპანიის მარცხს აბრალებდა აგრეთვე მოზდოკისა და ყიზლარის კომენდანტებსაც.

ფოთიდან უშედეგოდ დაბრუნებული ტოტლებენი, 1771 წლის 19 თებერვალს, ასეთი შინაარსის ბრძანებას უგზავნიდა ნეიმჩს: დაუყოვნებლივ გამომიგზავნე კარაბინერთა და ჰუსართა ესკადრონებისათვის საჭურველი და ცხენები, განსაკუთრებით კი არტილერიის საჭურველი, რადგან საჭურველი, რომელიც კაპიტან ზასეცკის გამოატანეთ, ნაწილიც არ მოსულა, უმეტესი წილი გზაში გაფუჭდა და უმეთვალყურეობით დაიღუპა, თუმცა სპეციალური შიკრიკიც გამოვგზავნე, მაგრამ 4 თვეა ვერ ვეღირსე მიღებას, რის გამო ფოთიდან უშედეგოდ დავიხიე, ამაზე პასუხს აგებთ; საჭურველი გამომიგზავნე საბარგო ცხენებით; გარდა ამისა, კაპიტანი ზასეცკი ამუნიციით დიდხანს იყო მთებში, რის გამო ყველაფერი დალპა, ამის გამო აქ პოლკის ჯარისკაცები, კარაბინერები, ჰუსარები და არტილერისტები ტანშიშველი და ფეხშიშველია; შეეცადე თუნდაც ზედმეტი ფასის გაღებით შეისყიდოთ ცხენები და გამომიგზავნო; გააფრთხილე მოზდოკის კომენდანტი, შიკრიკებს გზაში ნუ აკავებს[2].

1771 წლის 16 თებერვალს ტოტლებენი გრაფ ჩერნიშევს აუწყებდა: კაპიტანი ზასეცკი საჭურველით კიდევ არ მოსულა; რამდენიც არ მოვითხოვე ასტრახანიდან და ყიზლარიდან—არაფერს მიგზავნიან; ჩემგან გაგზავნილ შიკრიკებს აკავებენ; ფორპოსტები ყაზბეგთან ცუდადაა მოწყობილი და ვერც ერთი კურიერი გაუძარცველი ვერ მოდის[3].

გზაზე მიმოსვლის გაძნელება, რამაც შეუძლებელი გახადა კორპუსის მომარაგება, ტოტლებენის დანაშაულით მოხდა.

ჯერ კიდევ 1770 წლის იანვარში, როცა ტოტლებენი მოზდოკიდან რაზმით საქართველოში ბრუნდებოდა, მაიორი ჟოლობოვი ერთ-ერთ სოფელში ღამის გასათევად არ შეუშვიათ. ტოტლებენს რაზმი მიუსევია და სოფელი გაუძარცვავს. ხოლო შემდეგ

---

[1] Грамоты, I, 180—183.

[2] ЦГВИА, ф. 20, оп. 47. св. 245, д. 4, ч. II, лл. 893, 898.

[3] იქვე, 900, 908.

ოსი მამასახლისები შეუკრებია და 10 მამასახლისი ხუნდებგაყრილი ჩამოუყვანია ქართლში. ერეკლეს საქმეში ჩარევის შემდეგ ტოტლებენს თვით გაუშვია უდანაშაულო მამასახლისები[1]. მიუხედავად ამისა, ოსებს აშკარა მტრობა მაინც არ დაუწყიათ. სანამ ტოტლებენი ავანტიურაზე არ გადავიდა (რატიევის რაზმი 1770 წ. აპრილში უმტკივნეულოდ გამოუტარებიათ).

ტოტლებენის ავანტიურისტული საქციელი, რომელსაც რუსეთის მთავრობის მიზნებთან საერთო არაფერი ჰქონია, საკმარისი გახდა, რათა მთიელ ტომებს მიმოსვლა შეეფერხებინათ[2].

1770 წლის 11 ივლისს ყიზლარის კომენდანტი ნეიმჩი რუსეთის მთავრობას აუწყებდა: უკმაყოფილების გამო აღლა მთიელმა ტომებმა დაიწყეს გზებზე რუსების გატარების შეფერხება და აცხადებენ, რომ სრულებით არ გაგატარებთო[3].

1771 წლის 22 სექტემბერს იგივე კომენდანტი აცნობებდა მთავრობას: თუმცა 11 ივლისის პატაკით გაცნობებდით, რომ მთიელები შიკრიკებისა და ჯარის გატარებაზე უარს აცხადებენ, მაგრამ კაცი გავგზავნე და ფიცი მომცეს, რომ ასეთი რამ არ განმეორდებოდაო (აქვე ურთავდა ნეიმჩი ოსი მამასახლისების მიერ მიღებული ფიცის წიგნების ასლებს)[4].

ფიცის წიგნებიდან არაფერი გამოვიდა და ნეიმჩი იძულებული გახდა ერეკლესათვის მიემართა. 1770 წლის 30 ოქტომბერს იგი სწერდა ერეკლეს: თქვენი ბრწყინვალებისათვის, ალბათ, ცნობილია, რომ ოსებისა და სხვა ტომების მამასახლისები არა მარტო აფერხებენ გზებზე მიმოსვლას, არამედ კლავენ და ძარცვავენ გამვლელთ; მე შევუთვალე მამასახლისებს ასეთი საქციელისაგან თავი შეეკავებინათ და გაეტარებინათ ხალხი; ამასთან, თანახმად გარიგებისა, ხიდები დაეცვათ; ფიცი მომცეს, მაგრამ ანის მიუხედავად გაძარცვეს ორი რაზმი, ერთი საქართველოდან მომავალი, მეორე მათ შესახვედრად აქედან გაგზავნილი; ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას ახმატი (ჩიმის მამასახლისი) დააკავოთ და სანამ მისი შვილები ნაძარცვს უკან არ მოიტანენ, არ გაუშვათ; თქვენი მხრივ გააფრთხილეთ სხვა მამასახლისებიც, რომ საქართველოდან მომავალ ან

---

[1] ЦГВИА, ф. 8, оп. 7, оп. 94, д. 55, лл. 276—290

[2] 1769 წელს ოსები რუსეთის ჯარს თავისუფლად ატარებდნენ და ეიმარებოდნენ კიდეც ხიდების შეკეთებასა და ტვირთის გადატანაში.

[3] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, ед. 245, л. 4, ч. II, л. 663.

[4] იქვე, 716—718, 719—722, 723—724.

საქართველოსაკენ მიმავალ რაზმს და შიკრიკებს წინააღმდეგობას ხეს გაუწევენ. ხიდები შეაკეთონ[1] ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას. სასტიკი სასჯელით აუკრძალოთ მთიელ ტომებს ასეთი საქციელი[2].

ძნელი დასანახი როდია, რომ ნეიმჩი უძლური აღმოჩნდა ბოეგვეარებია გზა. გზის მოგვარება შეეძლო ერეკლეს და თავის დროზე სააბისო გარანტიასაც იძლეოდა[3]. მაგრამ ნეიმჩს დაავიწყდა ეოთი რამ, სახელდობრ, ნეფეს რომ ეს საქმე გაეკეთებია, სააბისო ხალისი და შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა; ტოტლებენის გამოსვლის შემდეგ ერეკლეს ხალისიც დაეკარგა და შესაძლებლობაც წაერთვა.

ამასთან, დარიალის გზის საკითხის მოგვარება და რუსეთისათვის ტრანსპორტით დახმარება ერეკლეს დავალებული ჰქონდა აოაგვის მოურავ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისათვის. იგი ამ საქმეს გარკვეულ დრომდე კარგად უძღვებოდა. აწყურთან ღალატის შემდეგ ტოტლებენმა „ჩამოვლო რა ქართლი უსამართლობითა, მისოულმან დუშეთად, წარიტაცნა ზარბაზანნი, დუშეთის ციხეში კაცნი შეიყვანნა... და თუნიერ შემოკითხუსა ჩვენისა—წერდა ერეკლე ნ. პანინს 1770 წლის 4 ივლისს—მბრძანებლობს და რაცა ჭნებავს მას ჰყოფს: ჯარი გამოუსივა ანანურითგან არაგვის მოურავს კნიაზ ქაიხოსროს, რომელიც დიდად სამსახურად აღმოჩენილ არის ნ. ი. დ. ჯარის გადმოსვლაზედ სურსათის მიცემით, არტილერიის გადმოტანით... ამიტომ რომ რუსეთის იმპერიას მახლობელი რომელიმე ჩვენის ქვეყნის სამზღურები და გზები მას აბარია: მოურავი სულ აიკლო, და მოურავი გაქცეული ივლტოდა ცოლ-შვილით...“[4]. ამ წერილის პარალელურად რუსეთში გაიგზავნა ტოტლებენის ნაძარცვის სიაც[5]. არაგვის მხრიდან გამოდეენილი. გაძარცვული და აკლებული მოხელე, ბუნებრივია, საქმეს ვერ მოაგვარებდა. გარდა ამისა, რუსეთისადმი ერთგულად ნამსახური კაცის მიმართ ასეთი მოპყრობა ხომ გაკვეთილი იყო ოსი მამასახლისებისათვის; მით უმეტეს, რომ მათ 1770 წლის იანვარში. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ტოტლებენისაგან საკმაოდ იწვნიეს.

---

[1] ოსები 1769 წელსაც ანგრევდნენ ხიდებს, მაგრამ ერეკლეს გამოთქმა ორმ ვიხმაროთ „ნივთთა სიხარბისათვის“, რათა ხიდის გასაკეთებლად ხელახლა მიეღოთ ტილო. რაც შეეხება წინააღმდეგობას გატარებაზე, ცნობილი არაა.

[2] ЦГВИА, ф. 20, оп. 47. св. 245, д. 4, ч. II, лл. 773—774.

[3] Грамоты, I, 64.

[4] Грамоты. II. в. I, 44—45.

[5] იქვე, 18—19, 49.

ავანტიურის ჩაშლისა და იმერეთში გადასვლის შემდეგაც ტოტლებენს ერეკლე მეფისადმი მტრობაზე ხელი არ აუღია, რის გამოც გართულდა ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. რაკი ახალციხეზე ლაშქრობა არ განახლდა, ახალციხის ფაშამ ლეკებთან კავშირი შეინარჩუნა და ლეკთა თარეშები ქვეყანაში გაძლიერდა; შემორიგებული ქარელებიც აიშალნენ; ერევნის ხანმაც „აიხადა საფარეშლი საქართეშლოსი“, დაარღვია „მორჩილების პირობა“ და თურქებთან კავშირი დაანყარა; „ეს ყოველი ღრაფ ტოტლებენის მიზეზით“ მოხდა, როგორც ამის შესახებ ერეკლე მეორე სამართლიანად სწერდა ნ. პანინს 1770 წლის 9 ოქტომბერს [1].

ერეკლეს ისღა დარჩენოდა, რომ ნეიმჩის თხოვნით ჩიმის მამასახლისი დაეპატიმრებია და ამით ჩრდილო-კავკასიელი ოსებიც გადაეკიდებია.

გზის საკითხი რთულ პრობლემად იქცა. რუსეთის მთავრობამ სცადა მოეგვარებინა გზა. გზის საკითხის შესასწავლად და „კორდონების“ დასაწესებელი პუნქტების შესარჩევად 1770 წლის დეკემბერში სპეციალური დავალებით გაიგზავნა პოლკოვნიკი ლევინი. მისი მოხსენებების საფუძველზე ასტრახანის გუბერნატორი ბეკეტოვი 1771 წლის 18 იანვარს მთავრობას აცნობებდა: კორდონების დაწესება შეუძლებელია, უშიშარი მიმოსვლის უზრუნველსაყოფად და ხიდების დასაცავად საჭიროა მთიელ ტომთა მამასახლისებს წლიური ხელფასი დაენიშნოთო [2].

1770—1771 წლის ზამთარში რუსეთის მთავრობამ გზის საკითხი ვერ მოაგვარა. ყიზლარის კომენდანტს კორპუსი რომ მოემარაგებია, საჭირო იყო გამოეყოთ დიდი რაზმი ტრანსპორტის გასაცილებლად, ათასობით არშინი ტილო გაეცა საჩუქრად; ამასთან, რაც მთავარია, საჭირო იყო დიდი რაოდენობით საბარგო ცხენები, რაც ფაქტიურად მას არ გააჩნდა. ამიტომ იყო, რომ ტოტლებენის გაგზავნილი ოფიცრები თვეობით ყიზლარში ისხდნენ, ხოლო თუ რაიმე იგზავნებოდა, მთიელი ტომები გზაში იტაცებდნენ და ჯარი მოუმარაგებელი რჩებოდა [3].

აი რატომ იყვნენ საექსპედიციო კორპუსში ჯარისკაცები თითქმის ყველანი ტანშიშველი და ფეხშიშველი, და რომ ჰუსარებს

---

[1] Грамоты, II, в. I, 61—63.

[2] ЦГВИА, ф. 20. оп. 47, св. 245, д. 4, ч. II, л. 956 და ა. შ.

[3] იქვე, 730—731, 856—757, 996—998, 990, 1000, 921—923, 1003—1004.

ხეული დაეფარათ. ტოტლებენი იძულებული გახდა ბრძანება გაეცა უნავირებიდან ტოლჩები აეძროთ და შარვლები შეეკერათ[1].

ნეიმჩს ესმოდა, რომ გზის საკითხის გართულების მიზეზი ტოტლებენის მოქმედება იყო, მაგრამ ამას ადრე გაბედულად ვერ ამბობდა. შეიტყო რა ტოტლებენის განთავისუფლების ამბავი, 1771 წლის 11 მარტს ნეიმჩმა სამხედრო კოლეგიას აცნობა, რომ ტოტლებენს ერეკლესთან უთანხმოება რომ არ ჰქონოდა და დახმაოება აღმოეჩინა, ტვირთის გაგზავნა არ შეეფერხებოდაო, ახლა ერეკლეს დახმარების იმედით შტეინის მეთაურობით ტრანსპორტი გავგზავნე, ხუთ დღეში მეორე ტრანსპორტსაც გავგზავნიო[2].

რატომ ჰქონდა ნეიმჩს ერეკლეს დახმარების იმედი?

1771 წლის 9 მარტს ნეიმჩმა წერილი გაუგზავნა ერეკლეს, რომლითაც აცნობებდა ტოტლებენის განთავისუფლებას და აიმედებდა საქმე შენს სასარგებლოდ შეტრიალდებაო; თანაც სთხოვდა, შენი ქვეშევრდომები მომაშველე ტრანსპორტის საქმეშიო[3]. საფიქრებელია ნეიმჩმა ანალოგიური ცნობა გაუგზავნა მთიელ ტომებსაც.

1771 წლის 4 მაისს ნეიმჩი რუსეთის მთავრობას აუწყებდა: პირველი ორი ტრანსპორტი ოსებმა, სათანადო საფასურის გადაადის შემდეგ, მშვიდობით ჩაიტანეს, დამატებითი ჯარიც ყაზბეგში მშვიდობით იქნა გადაყვანილი; ჩემი თხოვნით ერეკლე მეხმარება და მის ქვეშევრდომებს ბარგი გადააქვთ, ოსები წინანდელისაგან განსხვავებით კეთილგანწყობილნი გახდნენ და მცირე ხელფასს იღებენ, გზაზე ახლა არავითარი საშიშროება არ არის, ერთ კაცს შეუძლია უიარაღოდ იმგზავროს, ოსებისაგან კარგის მეტს არაფერს ველიო[4].

ძნელი დასანახი როდია, რომ ტოტლებენის საეკვო საქციელმა, აამხედრა მთიელი ტომები; მეფეც, ამავე მიზეზით, გულგრილად მოეპყრო გზის მოგვარებას და თითქმის მთელი წლის განმავლობაში დარიალის გზა ფაქტიურად ჩაკეტილი აღმოჩნდა.

ტოტლებენის საქციელის უარყოფითი შედეგები ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება. მან ფაქტიურად ჩაშალა საომარი კამპანია ყველაზე მოსახერხებელ ვითარებაში, რითაც საქართველოსთან ერთად რუსეთსაც დიდი ზიანი მიაყენა.

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, сп. 245, д. 4, ч. II, л. 883.

[2] იქვე, 921—923.

[3] იქვე, 925—926.

[4] იქვე, 950.

1770 წლის ზაფხულში ომის ცენტრალურ ფრონტზე რუმიანცევის მიერ ჩატარებულ ბრწყინვალე ოპერაციებს ლარგსა და კაგულთან დიდი შედეგები მოჰყვა: თურქეთის მთავარი ძალები სასტიკად დამარცხდნენ და საომარი ოპერაციები დუნაიზე იქნა გადატანილი. მეორე არმიაც წარმატებით იბრძოდა—ბენდერის ციხის წინააღმდეგობა გატეხილი იქნა, ყირიმელი თათრებიც ბლოკირებული იყვნენ. რუსეთის ფლოტმა ჩესმასთან თურქეთის ფლოტი გაანადგურა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსაელეთ ნაწილში გაბატონდა. ასეთ ვითარებაში თურქეთს კავკასიის ფრონტზე ძალების გადმოსროლის საშუალება არ ჰქონდა. რაკი ახალციხის ფაშის ჯარები განადგურებულ იქნენ ასპინძასთან, საქართველოდანაც საბრძოლო ოპერაციების გაშლა წარმატებით შეიძლებოდა ჩატარებულიყო, რომ ტოტლებენს საქმე არ ჩაეშალა (სპეციალური დავალებით გამოგზავნილი იაზიკოვი უძლური აღმოჩნდა მოეგვარებია საქმე და ტოტლებენი სასურველ გზაზე დაეყენებია, ხოლო მოურავოვის შემცვლელი კაპ. ლეონი მალე თვით გახდა დევნის ობიექტი და დაპატიმრების შიშით სოლომონ მეფის კალთას აფარებდა თავს).

იაზიკოვი და ლეონი ტოტლებენის მიერ საომარი კამპანიის ჩაშლას ტოტლებენის პატივმოყვარეობითა და სიხარბით ხსნიდნენ. პროფ. ცაგარელიც[1] მკითხველის ყურადღებას ამ მიმართულებით ამახვილებს.

შესაძლებელია, მართლა მარტო ეს იყო მიზეზი, მაგრამ ესეც ხომ დანაშაულია!

ვფიქრობთ, ტოტლებენის მიერ საქართველოს ფრონტზე საომარი კამპანიის ჩაშლის ასახსნელად იაზიკოვისა და ლეონის თვალსაზრისი საკმარისი არ უნდა იყოს.

1770 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე საომარი კამპანიის გაშლა ყველაზე მიზანშეწონილი იყო ახალციხის მიმართულებით. ახალციხის მიმართულებით საომარი კამპანიის გაშლის ერეკლესეული გეგმა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტოტლებენის მიერ მოწონებული იქნა 1769 წელს.

1770 წელს ერეკლემ რამდენჯერმე შესთავაზა ტოტლებენს ახალციხის მიმართულებით კამპანიის განახლება, იაზიკოვიც მხოლოდ ამ მიმართულებით მიიჩნევდა შესაძლებლად, ერეკლესთან კავშირში, კამპანიის გაშლას[2]. ტოტლებენმა ახალციხეზე ლაშქრობა არ ისურვა.

---

[1] შდრ. Грамотиа, I, стр. XX—XXIII.

[2] იქვე, 230, 238—241, 242—243, 172—179.

ტოტლებენი 1771 წლის 24 აპრილს ქუთაისიდან უპატაკებდა გოაფ ჩერნიშევს: კორპუსი ქუთაისში დგას, ჯარი კარგ მდგომაოობაშია და პირველი ბრძანებისთანავე მზადაა დაიძრას საომრად. არც თქვენგან და არც იმპერატორისაგან 8 თვეა არავითარი ბრძანება არ მიმიღია, როგორ ვიმოქმედო; ვრჩები აქ, რადგანაც ველოდები შემცვლელ გენერალს. ერთი წელია ვითხოვ. მაგრამ ციხლარიდან საჭირო საჭურველი არტილერიისათვის არ მიმიღია, აგვიტომ საარტილერიო ბომბები, რომელიც თადარიგში მაქვს თოფისწამლის უქონლობის გამო, იძულებული ვარ „წმინდათ შევინახო“ [1]. ერეკლე და იაზიკოვი მოითხოვდნენ საომარი კამპანიის დაწყებას ახალციხისაკენ, მაგრამ ახალციხეზე ლაშქრობის ქართლიდან დაწყება შეუძლებლად მიმაჩნია: ბაღდადიდან გზა უკეთესია. ინერეთიდან უფრო მოხერხდება ჯარის მომარაგება; ქართლიდან გზა ძნელია, სოფლები, ერეკლეს გასული წლის ლაშქრობის შედეგად, დარბეულია და სურსათს ვერ ვიშოვით. თუ ერეკლეს რჩევა იქნა მიღებული და კორპუსი თბილისიდან გავიდა ახალციხისაკენ, იგი დაიღუპება და საბოლოოდ უნდა დავემშვიდობოთ. თუ ჯერ ერეკლე წავა, ახალციხეს ბლოკადაში მოაქცევს, იქიდან ყარსის მხარეზე განავითარებს ოპერაციებს, შემდეგ მეც წავალ ახალციხისაკენო. მათი (ერეკლეს და იაზიკოვის?) სურვილია, კორპუსმა იმერეთი დატოვოს, რათა ყაბარდოელებს, ოსებს, ყუბანელებს, აფხაზებს თურქებთან თავისუფალი კომუნიკაციები ჰქონდეთ და ჩემი შრომა ტყუილა დაიკარგოს. გარდა ამისა, ახალციხესთან მტერმა ჯარებს თავი მოუყარა, ჩვენი ჯარი კი მცირეა. თუ რუსეთის ჯარი და ადგილობრივი ჯარები მტრის სხვადასხვა ადგილებში, ე. ი. „სომხეთში, ალმაზიაში, ნატალიასა და სხვა ადგილებში დივერსიას მოაწყობენ, ახალციხესთან თავმოყრილი ჯარები სხვადასხვა ადგილას გაიფანტება და მტრის გეგმა ჩაიფუშება; აი რაზე ვმუშაობ დღე და ღამ და მეფეებს და მთავრებს თბოვნითაც და ძალითაც ვაიძულებ ეს შეასრულონ“ [2].

ტოტლებენის აღნიშნული გეგმის კრიტიკაც კი ზედმეტად მიმაჩნია. ვფიქრობთ სწორი ვიქნებოდით თუ მას არა საომარი კამპანიის გაშლის, არამედ მისი ჩაშლის გეგმას ვუწოდებდით.

ტოტლებენმა სუხოტინს უფრო „დამუშავებული გეგმა“ დაუბვედრა, რაზედაც სამხედრო კოლეგიის მეთაურს პეტერბურგში

---

[1] ჩვენ არ ვიერდებით პატაკის წინააღმდეგობრივ შინაარსზე: თუ საჭურველი არ არის, ჯარი ბრძანებისთანავე საომრად როგორ დაიძრება?

[2] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. II, лл. 795—798.

დაბრუნების შემდეგ, 1771 წლის 19 ივლისს, მოახსენებდა: 14 მაისს სუხოტინს კორპუსი კარგ მდგომარეობაში ჩავაბარე, თან რჩეული მივეცი: კორპუსით აუცილებლად შავი ზღვისაკენ დაიძრას, ქართლში არ დაბრუნდეს, ახლა შედეგები მოსალოდნელია ბათუმ-ტრაპეზონის ან ყირიმის მიმართულებით, ან კიდევ დადგეს შავი ზღვის სანაპიროებზე ანაკლიიდან კინტრიშამდე, სანამ აზოვთან კომუნიკაციები დამყარდებოდეს; უკეთესი იქნებოდა, თუ თბილისიდან წამოყვანილ ირაკლის თავადებს თავისი ხალხით, ცხენებითა და ხარებით უკანვე გაგზავნის და კავშირს დაამყარებს დადიანთან, თავდგირიძესთან, რომლებიც მზად არიან საომრად (ჩანს, ტოტლებენს აშინებს სუხოტინის კავშირი ერეკლესთან).

იქვე განაგრძობს ტოტლებენი, რომ შეუძლებელია მეფეებისა და მთავართა ძალების გაერთიანება და თურქეთის წინააღმდეგ გამოყენება, რადგან ისინი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან გადაკიდებულნი, ქართველები ირეგულარული ხალხია, გარდა ძარცვისა, არაფერი ეხერხებათ; მეფეებს ომი თურქეთის წინააღმდეგ არ სურთ; ერეკლეს ერთადერთი სურვილია რუსეთის ჯარი და ხაზინა სპარსეთის წინააღმდეგ გამოიყენოს, სოლომონი კი დადიანისა და გურიელის წინააღმდეგ იბრძვის, რასაც მე არ შემიძლია დავეთანხმო [1].

ქვემოთ ტოტლებენი აცნობს ჩერნიშევს საომარი კამპანიის საკუთარ გეგმას: „ახლანდელ კამპანიაში ოპერაციის ჩემი გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ მეფე ერეკლე ახალციხისა და ყარსის მხარეს, სოლომონი—დიდ ყაბარდოს, ხოლო დადიანი ყუბანს დასხმოდა თავს და მტრულად ებრძოლათ თურქების წინააღმდეგ. რუსის კორპუსს ორი ათას გურულთან ერთად ბათუმისა და ტრაპიზონის წინააღმდეგ წავიყვანდი სამოქმედოთ, რითაც მ. ი. უ. განზრახვით მტერი სხვადასხვა ადგილებში შეწუხდებოდა, თავის ძალებს დაქსაქსავდა, აქაური მოქმედება კი მტრისაგან რუსეთის შეწუხებას უვნებელს გახდიდა და მდგომარეობას შეამსუბუქებდაო" [2].

ასეთი იყო სამხედრო უმოქმედობის გეგმა თავისი დასრულებული სახით.

ამ გეგმას რეალურ შესაძლებლობასთან საერთო არაფერი აქვს. მას შეეძლო მხოლოდ შეცდომაში შეეყვანა მთავრობა, რომელსაც ადგილობრივ პირობებზე წარმოდგენაც კი არა ჰქონდა.

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. II. лл. 788—792.

[2] იქვე.

რუსეთის მთავრობა იბრძოდა საქართველოს ძალების გაერთიანებისათვის. რათა მტრის ძალები საქართველოს ფრონტზე მოეზიდა. ხოლო ტოტლებენი –მისი დაქსაქსვისათვის; რუსეთი იბრძოდა ომში ერეკლეს მისამხრობად, ტოტლებენი—ერეკლეს ჩამოსაცილებლად. ამიტომ ურჩევდა იგი სუხოტინს ერეკლეს გამოტანებული ხალხი უკანვე გაგზავნეო, არწმუნებდა სუხოტინს და რუსეთის მთავრობას, რომ ერეკლეს, ასპინძის გმირს, თურქებთან ომი არ სურსო.

აბა გვგონია ჭკუამყოფელს თუ მოუვიდოდა აზრად სოლომონ I-ის ყაბარდოში, ხოლო დადიანის ყუბანში გაგზავნა. რა შეეძლო ტოტლებენს (ან სუხოტინს) გაეკეთებია ტრაპიზონის მიმართულებით, როცა ჯარი, თვით ტოტლებენის განცხადებით (1771 წლის მარტი), ბრძოლისუნარდაკარგული, მომავალი კამპანიისათვის გამოუსადეგარი იყო? ნუთუ ტოტლებენმა ფოთის კამპანიის შემდეგ მაინც არ იცოდა, რომ თავდგირიძის დახმარებით ტრაპიზონში ჩასვლას ვერ შეძლებდა?

გარდა ამისა, ტოტლებენი რუსეთის მთავრობას მეგობრებად უხატავდა დადიანს და გურიელს, ეს მაშინ, როცა თვითონ ტოტლებენი არ ფარავდა, რომ დადიანის ხელშეწყობით იქნა გატაცებული რუსეთის კორპუსის ცხენები; მაშინ, როცა საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ გურიელს არც გაუფრთხილებია რუსეთის ჯარი თურქების მოახლოებებზე, პირიქით, გზა მისცა მათ. კორპუსი დაღუპვისაგან იხსნა სოლომონ მეფემ გურიაში შეპრით, მაგრამ ტოტლებენი სოლომონს მაინც ლანძღავდა.

ტოტლებენი ერეკლეს რუსეთის მთავრობას თურქეთის აგენტად წარმოუდგენდა და აუწყებდა მთავრობას—სულთანისაგან საჩუქრები მოსდისო[1].

ტოტლებენის საქმიანობის შესწავლა გარკვეულ საფუძველს იძლევა 1770 წლის დასაწყისიდან მის საქმიანობაში ეპვი შევიტანოთ.

ქალაქელების ლანძღვა, ოფიცრებისათვის ცილისდაწამება და ბათი განდევნისათვის ნიადაგის მომზადება 1770 წლის დამდეგიდან იწყება[2]. ახალციხეზე ლაშქრობის საზეიმოდ აღიარებული გეგმის უარყოფა, აწყურთან ღალატი, ავანტიურა, ერეკლესთან და სოლომონთან ერთად მოქმედების უარყოფა, ახალი „შეთ-

---

ПГВИА. ф. 20. оп. 47, св. 245. д. 4, ч. II, лл. 953—955.

[1] იხ. ჩვენს მიერ გამოვლენილი და ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული საბუთებიც. შდრ. Грамоты, I, 196—216.

ქმულების“ მომზადება, იაზიკოვის, ლეოვის, კლაევერისა და მარ-კოვის გასადევნად და ბოლოს საომარი მოქმედების ახალი „გეგ-მა“ -ყოველივე ეს შეუძლებელს ხდიდა თურქეთის წინააღმდეგ სერიოზულ მოქმედებას და მათ ნამდვილად აძლევდა შესვენების საშუალებას საქართველოს ფრონტზე.

არსებობს საბუთები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ტოტლე-ბენმა 1770 წლის დასაწყისში კავშირი დაამყარა ახალციხის ფა-შასთან. ამ მხრივ ყაზანის სასამართლოს ოქმებმა საყურადღებო ცნობები შემოგვინახა.

დეგრალი 1770 წლის 4 ოქტომბერს სასამართლოს უჩვენებ-და: „მე გამომიძახა გრაფმა ტოტლებენმა... მიბრძანა ახალციხის ფაშასთან მიმეწერა პირველი წერილი შემდეგი სიტყვებით: რამ-დენიმე დღის წინად ჩემი რაზმიდან გაიქცა შვიდი ჰუსარი ქარ-თველი თარჯიმანით და იმყოფება ხსენებულ ფაშასთან, თხოვდა მას, რომ ისინი მისთვის გამოეგზავნა, აეღო მათი გამოსასყიდი ფასი ან თურქებში გაეცვალა, რომლებიც მას არ ჰყავდა, ბოლოს უცხადებდა მას, რომ მას იგი (ფაშა) ელოდეს სტუმრად რუსე-თის 50-ათასიანი ჯარით. მეორე წერილი, ფრანგულ ენაზე მისი (ტოტლებენის) ხელით დაწერილი, რომელიც მან მიბრძანა მო-სულ რემენნიკოვისა და ოფიცრებისათვის გადამეთარგმნა. იგი მე მაშინ გადავთარგმნე, თითქოს ახალციხის ფაშამ აცნობა მას, რომ მან (ფაშამ) უბრძანა თავის თურქებს, თუ ისინი რუსეთის ჯარისაგან სარდლის თავს მოუტანენ, ათას თუმანს მისცემს, თუ ოფიცრისას--ას მანეთს, კაზაკისას—ათ მანეთს, ხოლო გრაფმა ტოტლებენმა წერილში ჩადო ხუთი კაპიკი ფაშის ტყავის საფასოდ, გაუგზავნა თუ არა ეს წერილი, არ ვიცი“. შემდეგ განაგრძობდა დეგრალი: „დეკემბრის დასაწყისში ვიღაცამ მოიყვანა შეპყრობი-ლი ჯაშუში, ტომით ებრაელი, რომელიც, როგორც მე ბევრისაგან ვავიგონე, მოგზავნილი იყო ახალციხის ფაშისაგან. იგი თვეზე მეტხანს იყო დამწყვდეული ცხინვალის ციხეში ძლიერი დაცვის ქვეშ, რის შემდეგ გრაფმა გამოიძახა დასახელებული ებრაელი და მიბრძანა მე მისი (ტოტლებენის) ბრძანებით მისივე მდივნის, რომელიც მასთან იმყოფებოდა, ქრისტიანი ზიგეს ხელით დაწერი-ლი წერილი ამ ებრაელისათვის მიმეცა და ამასთანავე მიმეცა 7 მანეთი, თვით კი განუცხადა მას (ჯაშუშს) რომ თუ ის მასთან დაბრუნდებოდა და პასუხს მოუტანდა, მისცემდა ას მანეთს; წე-რილის შინაარსი მე არ ვიცი, და არავისგანაც გამიგონია, მაგრამ როდესაც მე მეფესთან ვიყავი, მეფემ მკითხა, რა შემთხვევით გაუშვა გრაფმა პატიმრობიდან ის ებრაელი, რომელიც ჯაშუშად

ითვლებოდა. ამაზე მე ვუპასუხე, რომ არ ვიცი, რისთვის ბრძანა გრაფმა მისი გაშვება მეთქი"[1].

ფულის გაცემის უწყისში ნაჩვენებია: რომ ახალციხეში გაიგზავნა ყიზლარელი აზნაური ნიკიტა ჩორნი სამი კაცით, რომელსაც მიეცა 33 მანეთი; ახალციხეში გაიგზავნა ქართველი აზნაური ბაკარი ჯაშუშის მოსაყვანად, რომელსაც მიეცა 50 მანეთი; ებრაელ ჯაშუშს, რომელიც ახალციხეში გაიგზავნა, მიეცა 7 მანეთი[2]. დანახარჯები 1769 წლის 31 დეკემბრის და 1770 წლის 1—3 თებერვლის უწყისებს და პატაკებს ერთვის, რომლებიც ერთად გაეგზავნა სამხედრო კოლეგიას.

დეგრალის ჩვენებაში არაფერია ისეთი, რისი დასაბუთებაც არ ხერხდებოდეს. მისი ჩვენება მეტად თავშეკავებულია. ცდილობს რაიმე არ წამოსცდეს და ამტკიცებს, რომ მე არ გამიბედავს და არც მიწოდებია სადმე ტოტლებენისათვის გამცემელიო.

დეგრალის ჩვენების დანარჩენი ნაწილი ფარდას ხდის ტოტლებენის სიხარბესა და უსინდისობას, უჩვენებს თუ როგორ არღვევდა ტოტლებენი მთავრობის მიერ მიცემულ ინსტრუქციებს, რომელსაც პირადად უთარგმნიდა რუსულიდან და სხვ. ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ დეგრალის პირდაპირობას და სიმართლეს იძულებული გაუხდია ბრანტი, რათა საქმე არ გამწვავებულიყო, ახალციხის ფაშასთან ტოტლებენის ურთიერთობის შესახებ ძიება არ გაეგრძელებია.

ტოტლებენის მიმოწერა ფაშასთან, ჯაშუშის განთავისუფლება და ახალციხეში გაგზავნა უცილობელი ფაქტია. ტოტლებენის ოფიციალური ურთიერთობა ფაშასთან მის საეკვობას დღის წესრიგიდან არ ხსნის (შვიდწლიან ომშიც ტოტლებენის ჯაშუშობა ასეთივე მეთოდით წარმოებდა). ამალითა და ჯარით გარშემორტყმული გენერალი, ბუნებრივია, სხვაგვარად უცხოეთის დაზვერვას ვერც დაუკავშირდებოდა.

დეგრალი სასამართლოს აუწყებდა კიდევ ერთ საინტერესო დეტალს: ტოტლებენი რუსეთის მთავრობას არწმუნებდა, რომ ერეკლეს თურქების წინააღმდეგ ომი არ სურს, მხოლოდ ირანის წინააღმდეგ სურს ომი; მე ვიცოდი, ერეკლეს ასეთი განზრახვა არ ჰქონდა, მაგრამ ვერ გავბედე გრაფისათვის მეთქვა, რატომ შაწერინებდა ასეთ წერილებს პეტერბურგში გასაგზავნად; მე ეს ვუთხარი მოურავოვს, რომელმაც ეს ამბავი აცნობა მეფეს. როდესაც

---

[1] ЦГВИА. ф. 8, св. 7, оп. 94, д. 55, лл. 276—290.

[2] ЦГВИА, ф. 20. оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 397—398.

მეფე გრაფს შეხვდა, მას მოსთხოვა განემარტა მიზეზი. ტოტლებენმა დაუწყო მტკიცება მეფეს, რომ ასეთი რამ პეტერბურგში არ მიმიწერიაო და მოსთხოვა მას ვისგან გაიგო, მაგრამ მეფემ მე არ გამცა. გრაფმა გამომიძახა და მითხრა: შენ ხომ არ გიცნობიაო, მე არ გამოვტყდი; შემდეგ გრაფმა ამიკრძალა მოურავოვთან შეხვედრა და საუბარი და გამომიცხადა, რომ მოურავოვი საეპვოაო. შემდეგ მოურავოვს არც შევხვედრივარ სამსახურიდან ჩემი განთავისუფლებამდე, ე. ი. 11 აპრილამდე[1]. საინტერესოა, რომ ტოტლებენი ამ ამბების შემდეგ დეგრალის კი არ აპატიმრებს, არამედ აწინაურებს—ობერ-ოფიცრის წოდებას აძლევს და ისე გზავნის რუსეთში. ალბათ, ეშინოდა არ გამცესო.

მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ტოტლებენი უცხოეთის აგენტი, ერთი რამ სადავოდ არ მიგვაჩნია: ტოტლებენმა ფაქტიურად ჩაშალა საომარი კამპანია საქართველოს ფრონტზე 1770—1771 წლებში, რითაც რუსეთს მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე 1761 წელს[2]. რა თქმა უნდა, ამ საქმეში სარდლის უფლებრივმა მდგომარეობამ, პეტერბურგის სიშორემ[3] და საქართველოს რთულმა საშინაო პირობებმა გარკვეული როლი ითამაშეს.

ტოტლებენის, უცხოეთის ამ ყოფილი ჯაშუშის, ისეთ რთულ და საპასუხისმგებლო პოსტზე დანიშვნით, როგორიც საქართვე-

---

[1] ЦГВИА, ф. 8. св. 7, оп. 94, д. 55. л.л. 276—290.

[2] ტოტლებენი შვიდწლიან ომში (1756—1763 წწ.) რუსეთის კორპუსს მეთაურობდა. ტოტლებენის მიერ ფრიდრიხ II-სთან მიმოწერის გამართვის შემდეგ, რუსი ოფიცრები ეჰვში შევიდნენ და ტოტლებენის აგენტი შეიპყრეს ფრიდრიხ II-სათვის გადასაცემი რუსეთის გენ. შტაბის საიდუმლო გეგმებით. ოფიცრებმა ტოტლებენი დააპატიმრეს, ხოლო სამხედრო სასამართლომ მას სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. ეკატერინე II ტოტლებენი შეიწყალა და 1763 წელს განაჩენი შეუცვალა ჩინების აყრითა და რუსეთიდან გაძევებით. ამასთან, რუსეთის ტერიტორიაზე გამოჩენის შემთხვევაში ყოველ მოკალაქეს შეეძლო იგი, როგორც რუსეთის მოღალატე, მოეკლა, რისთვისაც პასუხს არ აგებდა (Сб. РИО, т. 7. стр. 372—373)

1769 წლის მაისში ეკატერინეს მიუღია ტოტლებენის წერილი, რის გამო ნ. პანინს სწერდა: „...Получила я письмо от Тодтлебена, в котором просить чтоб я ему приказала голову отсечь, или сослать в сибирь в отдаленнейшее и мне благоугоднейшее место, и для того он у Брауна явиться будет, чтоб ожидать мое повеление, и что он никак нигде жить не может, и естьли не боялся душу погубить, зарезался бы. Мне кажется, что можно бы ему позволить иметь убежище где нибудь в России, в Сибири. Что вы об этом думаете?" Сб. РИО, т. 10, стр. 340—341). 1769 წ. ივნისში, ტოტლებენი შეიწყალეს და საქართველოში გამოგზავნილი ჯარის მეთაურად დანიშნეს.

[3] საქართველოდან სასწრაფო წერილი 40—45 დღეში ჩადიოდა პეტერბურგში.

ლოში გამოგზავნილი ჯარის სარდლობა იყო, რუსეთის მთავრობამ განოესწორებელი შეცდომა დაუშვა, რითაც როგორც საკუთარ ქვეყანას, ისე საქართველოსაც დიდი ზიანი მიაყენა.

ᲔᲗ. ᲡᲐᲛᲐᲠᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ 1771 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ

ტოტლებენის ეპეებს რუსი ოფიცრებისა და ქართველების ერთმანეთ მალე დაურწმუნებია ეკატერინე II, რომ ტოტლებენს საქართველოში საქმის ჩაშლა უფრო შეეძლო, ვიდრე მისი რუსეთის სასარგებლოდ წარმართვა და პანინისათვის მიეწერია საჭიროა ვინმე სხვა დაინიშნოსო[1]. მაგრამ 1770 წლის მაისში ტოტლებენის წინააღმდეგ ოფიცრების აშკარა გამოსვლის შემდეგ რუსეთში ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს ქვიშხეთში გახსნილი „შეთქმულება“ საეჭვო არ უნდა ყოფილიყო და ტოტლებენის განთავისუფლების ნაცვლად წინა პლანზე მოურავოვის განთავისუფლების საკითხი წამოწეულა, თუმცა არც ტოტლებენის განთავისუფლების საკითხი მოხსნილა დღის წესრიგიდან, როგორც ამას ეკატერინე II 1770 წლის 20—22 ივნისის წერილი მოწმობს[2]. საექსპედიციო კორპუსში წესრიგის აღდგენის მიზნით საქართველოში კაპიტანი იაზიკოვი გამოგზავნეს. იაზიკოვის მოხსენებებით რუსეთის მთავრობა დარწმუნდა, რომ ტოტლებენი საქმისათვის გამოუსადეგარი იყო და 1770 წლის დეკემბერში კორპუსის უფროსობისაგან გაანთავისუფლეს. კორპუსის მეთაურად გენერალი სუხოტინი დაინიშნა.

სუხოტინის დანიშვნა შეცვლილ ვითარებაში მოხდა, რის გამოც მისი სამოქმედო ინსტრუქცია პრინციპულად განსხვავდებოდა მოურავოვ-ტოტლებენის სამოქმედო ინსტრუქციისაგან.

1771 წლის 13 იანვარს ეკატერინე II გენერალ სუხოტინს ასეთ დარიგებას აძლევდა: 1. ჩვენი განზრახვა იყო და არის ქართველების თურქეთის წინააღმდეგ ომში გამოყენება. საქართველოს შეერთებას ჩვენ ამჯერად ამოცანად არ ვისახავთ (ე. ი. ზედმეტია ის, რასაც ტოტლებენი გვთავაზობდა); 2. „დივერსია“ უნდა მოეწყოს შემდეგნაირად: კარგი იყო, რომ ქართველებს შეძლებოდათ ომის წესიერად წარმოება. რა თქმა უნდა, ამას დიდი შედეგები მოჰყვებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი რამ შეუძლებელია. ქართველებს ძარცვა და მიხდომა ემარჯვებათ და ასეც იმოქმე-

---

[1] СБ. РИО. X, 441.

[2] იქვე, 442.

დონ, რათა თურქები შეაწუხონ. ამიტომ თქვენზეა დამოკიდებული, რომელ მიმართულებით დაინახავთ საჭიროდ მათ გასამხნევებლად ჯარის მიშველებას. შეგიძლიათ შეუდგეთ ციხეების ალყასაც და სხვ. ამის უფლებას არ გართმევთ, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ თქვენი ძალები და ისიც, რამდენად შეგიძლიათ დაეხმაროთ ქართველების იმედს; 3. ტოტლებენის დაწყებული საქმე, ქართველების რუსეთის ერთგულებაზე ძალით დაფიცება—თუ ქართველების ომში მონაწილეობას ხელს შეუწყობს, შეგიძლიათ გააგრძელოთ, უამისოდ ზედმეტია. სოლომონისა და დადიანის ურთიერთობის საკითხში იმოქმედე ისე, როგორც რუსეთის ინტერესებისათვის სასარგებლო იქნეს (დადექი იმის მხარეზე, ვინც თურქეთის წინააღმდეგ საომრად არის სასარგებლო; შეეცადე მათს შერიგებას), ასევე მოიქეცი გურიის საკითხშიც. საქართველოში ჩასვლისთანავე კონტაქტი დაამყარე ერეკლესთან, როგორც უძლიერესთან, თუმცა ტოტლებენი მას საშიშ კაცად ხატავს, მაგრამ იაზიკოვი სხვანაირად უყურებს. იმოქმედე საკუთარი შეხედულებისამებრ; 4. ტოტლებენის მოხსენებებით ქართველები საშიში ხალხია და ფრთხილად იყავი. ამასთანავე შეინარჩუნე შენი მტკიცე პოზიცია და ხელმძღვანელობა, როგორც განათლებულმა, უმეცარი და გაუნათლებელი ქართველების მიმართ; 5. თუმცა ჩვენ თავდაპირველად საჭიროდ და შესაძლებლად ვთვლიდით ესწავლათ ქართველებს არტილერიის საქმე, ქალაქების ევროპულად გამაგრება, თოფისწამლის გაუმჯობესების საქმე და სხვ., მაგრამ, როგორც ტოტლებენის მოხსენებებიდან ჩანს და როგორც საქართველოში მომხდარმა ამბებმა დაგვარწმუნა, ასეთი რამ ზედმეტია[1].

ძნელი დასანახი როდია, რომ სუხოტინის სამოქმედო ინსტრუქცია არსებითად განსხვავდება პირველი (მოურავოვის) ინსტრუქციისაგან, რაც განაპირობა ჯერ-ერთი, 1770 წელს ომის ცენტრალურ ფრონტზე მიღწეულმა წარმატებებმა, რის შედეგადაც სასწორი რუსეთის მხარეზე გადაიხარა და საქართველოს მონაწილეობას ომში წინანდებური მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ამიტომ საქართველოს საკითხისადმი წინანდელი მიდგომა აუცილებელი არ იყო; მეორე, ტოტლებენის აშკარად ყალბმა მოხსენებებმა რუსეთის მთავრობა დაარწმუნა, რომ საქართველოდან თითქოს ნამდვილი სამხედრო მოქმედება შეუძლებელი იყო, ხოლო ქართველები საეჭვონი იყვნენ და მათზე დანდობა არ შეიძლებოდა.

---

[1] Грамоты, I, 469—476.

ეკატერინეს რომ იაზიკოვისა და ლეოვის 1770 წლის დეკემბრიდან 1771 წლის მარტამდე გაგზავნილი მოხსენებები ხელთ ჰქონოდა და ყაზანის სასამართლოს მასალებიც მთავრობისათვის ცნობილი ყოფილიყო, საფიქრებელია, ინსტრუქცია სხვა იქნებოდა.

თავის მხრივ სამხედრო კოლეგიამაც ვრცელი დარიგება მისცა სუხოტინს. გარდა იმისა, რომ სამხედრო კოლეგია აცნობდა მას საქართველოში მყოფი ჯარის მდგომარეობას, 1770 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით ავალებდა ჯარში დაცული ყოფილიყო მკაცრი დისციპლინა, ალაგმულიყო ყოველგვარი თვითნებობა და ადგილობრივი მცხოვრებლების შევიწროვება [1].

მთავრობა სუხოტინს მტრის რომელიმე ობიექტის დაკავებას არ ურჩევდა, რადგან ეს შეუძლებლად მიაჩნდა. მას მხოლოდ ქართველთა მოთარეშე რაზმები უნდა გაეძლიერებინა, იმის მიხედვით, როგორც ამას თვითონ სუხოტინი დაინახავდა საჭიროდ [2].

უმთავრესი ამოცანა, რომელიც სამხედრო კოლეგიამ დაუსახა სუხოტინს, იყო საქართველოდან მოზდოკამდე გზის საკითხის მოგვარება [3].

ეკატერინე კი ავალებდა: თუ ტოტლებენს ფოთი აღებული ჰქონდეს, შეინარჩუნე, რადგან ომის გაგრძელების შემთხვევაში შეიძლება გამოგვადგესო [4]. ეს ამოცანა პირობითი იყო და არა კატეგორიული. ასეთი პირობითი ამოცანის წარმოშობის ინიციატივა უნდა ეკუთვნოდეს ნეიმჩს და არა ეკატერინეს. ნეიმჩი 1770 წლის 5 დეკემბრის პატაკით (რომლითაც ანაკლიის, რუხისა და ქალაქ ფოთის დაკავებას აუწყებდა) წინადადებას აძლევდა მთავრობას: მე ვფიქრობ, უმჯობესი იქნება ტოტლებენის კორპუსი დონიდან აზოვ-შავი ზღვით მომარაგდეს, ხაზინისათვის ეს ნაკლებ საზარალო იქნებაო [5]. ეს პატაკი პეტერბურგში 1771 წლის 1 იანვრისათვის უნდა მიეღოთ. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ეკატერინე თავის 13 იანვრის წერილში ფოთის შენარჩუნების საჭიროებაზე მიუთითებდა.

1771 წლის თებერვალში მთავრობამ სპეციალურად იმსჯელა ამ საკითხზე (რადგან ნეიმჩი ამის შემდეგაც იმეორებდა თავის

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4. ч. II, лл. 809—818.
[2] Грамоты, I, 470—476.
[3] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. II, л. 815.
[4] Грамоты, I, 469.
[5] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. II, лл. 996—998.

აზრს) და მისი გადაკრა შიანდო უშუალოდ სუხოტინს[1], რადგან აზოვ-შავი ზღვის ფლოტის, რომელიც ამ დროს ხელახლა დაბადებას აპირებდა, შავ ზღვაზე გასვლისათვის საკმაო დრო იყო საჭირო. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ყურადღების ცენტრში კვლავ დარიალის გზის საკითხი იდგა.

ასეთი ამოცანებით გამოისტუმრეს სუხოტინი საქართველოში 1771 წლის ზამთარში. მას თან მოჰქონდა იმპერატორისა და პანინის წერილები ქართველ მეფეებთან, რომლითაც აცნობებდნენ მეფეებს ტოტლებენის „მისიავ თხოვნით" განთავისუფლებას და ურჩევდნენ მათ მიეღოთ სუხოტინის რჩევა (უფრო სწორად—დამორჩილებულიყვნენ მის ბრძანებას)[2].

1771 წლის გაზაფხულზე გენერალი სუხოტინი ყიზლარში მივიდა. როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, საეკვო ტოტლებენის განთავისუფლების შემდეგ საშიში დარიალის გზა თითქმის საესებით უშიშარი გახდა, სადაც, თვით ნეიმჩის სიტყვით, ერთ კაცს უიარაღოდ შეეძლო გავლა და სუხოტინიც უმტკივნეულოდ ჩამოვიდა საქართველოში.

ერეკლემ საზეიმო შეხვედრები მოუწყო სუხოტინს დუშეთსა და თბილისში. 1771 წლის 13 მაისს სუხოტინი ქუთაისში მივიდა.

ტოტლებენი რუსეთის მთავრობას მოახსენებდა: კორპუსი კარგ მდგომარეობაში ჩავაბარე სუხოტინს, ქართველი მეფეების დაუხმარებლად იმერეთში, გურიასა და საქეგრელოში თურქები სულ გავწყვიტე, შორაპნის, ბაღდადის, ქუთაისის, ანაკლიის, რუხისა და კინდრიშის ციხეებს დავეუფლე, ქალაქი ფოთი დავიპყარი, დარჩა ასაღები მარტო ფოთის ციხე; ფოთის ციხესაც ავიღებდი, მაგრამ სამხედრო საბჭომ მაიძულა თებერვალში ალყა მომეხსნა და ქუთაისში დავბრუნებულიყავი იმ დროს, როცა შტრის 6 ათასიანი მაშველი ჯარი გაეფანტე და მზად ვიყავი ფოთის ციხის იერიშისათვისო[3]. აქვე აცნობებდა მთავრობას მის მიერ სუხოტინისათვის შეთავაზებულ სამხედრო „მოქმედების გეგმას", რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ.

1771 წლის 5 ივნისს სუხოტინი ჯარის მდგომარეობის შესახებ მთავრობას უპატაკებდა: ჯარისკაცები უკარვოდ, უტანსაცმლოდ, არავითარი ჩინი, არც ერთი, ცხენი, არც ერთი უნაგირი (გარდა იმისა, რომ ცხენები გაიტაცეს, უნაგირებიც დაიწვა ხონ-

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. II, лл. 1005—1009.
[2] Грамоты, I, 265—270.
[3] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. II, лл. 788—792.

ში), არც ერთი ჩარჩიკი, ქვემეხები უთოფისწამლოდ, ჯარისკაცები უთოფისწამლოდ, არც ერთი ცალი სასანგრო იარაღი, ხაზინა მთლიანად ვალშია, არ არის არავითარი აღრიცხვა. იქვე განაგრძობდა სუხოტინი—გაუშიშვლებია რა კორპუსი, მაბარებს იქამდე უძლურს, რომ ბევრი არ მრჩება, მეც მალე მისი (ტოტლებენის) ამხანაგი გავხდე ამ მხარეში უსარგებლო ყოფნით; მაგრამ ამასაც არ დასჯერდა, შეეცადა სხვადასხვა ხრიკებით, ბრძოლისუნარიანი ახალგაზრდების რუსეთში გაგზავნით, დაესუსტებია კორპუსი; ნეც მიმზადებდა ნიადაგს მეფეებთან წასაჩხუბებლად, მარწმუნებდა—მეფეები მოღალატეებიაო [1].

ამის პარალელურად 5 ივლისს სუხოტინი სამხედრო კოლეგიას უპატაკებდა, რომ გვჭირდება ფული 117.216 მანეთი და 1389 ცხენი, რომ კორპუსს ბრძოლის უნარი დაუბრუნდესო [2]. ამასთან სუხოტინი სამხედრო კოლეგიას მოახსენებდა: კორპუსი ფეხშიშველი და ტანშიშველი დამხვდა, ცხენები გატაცებული, უნაგირები და ცხენის მორთულობანი დამწვარი, არ არის კარვები, არ არის სასანგრო იარაღები, „არ მქონდა რა კორპუსში მოსვლამდე ცნობა, არავითარი ზომა ამაზე არ მიმიღია, ამიტომ ვთხოვ სახელმწიფო სამხედრო კოლეგიას, რომ ლეგიონის (მოსკოვის—ვ. მ.) მეთაურს უბრძანოს მათი სასწრაფოდ გამოგზავნა“. და შემდეგ, „ჰუსართა, კარაბინერთა და კაზაკთა ცხენებთან ერთად გატაცებულია პოლკის (ტომსკის—ვ. მ.) და საარტილერიო რაზმის ცხენებიც, ახლა კორპუსს არც ერთი სატვირთო ცხენი არ გააჩნია, ამიტომ ყოველი მოძრაობისას ერეკლე მეფეს უნდა მივმართო“ [3].

1771 წლის ივნისში სოლომონ მეფე და სუხოტინი ქართლში გადმოვიდნენ. 15 ივნისს ხელთუბანში ერეკლესთან შეხვედრისას სუხოტინს, სოლომონ მეფის მხარდაჭერით, შეუდგენია სამხედრო ოპერაციების გეგმა [4].

გეგმა, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ი. ცინცაძე, მთლიანად ემსახურება ფოთის ციხის აღებას. ამ გეგმის მიხედვით სუხოტინს რუსეთის ჯარით უნდა გარემოეცვა ფოთი, ქართველთა ძალებს კი უნდა დაეფარათ რუსეთის კორპუსი მტრის ძალებისაგან. დამხმარე ამოცანის შესასრულებლად ძალები ასე

---

[1] Грамоты, I, 480—481.

[2] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 176, д. 3, лл. 33—39.

[3] იქვე, 23—24.

[4] გეგმის კრიტიკული გამოცემა ეკუთვნის პროფ. იასე ცინცაძეს. იხ. ენიმკის მოამბე, 1940, V—VI, გვ. 337—360.

განაწილდა: ერეკლე მეფეს 14.300 კაცი უნდა გამოეყვანა, აქედან, 2 ათასი კაცი დაეყენებია ბორჩალოს, 2 ათასი კახეთს, 300 კაცი გორს, ამ ჯარს ლეკებისაგან ქვეყანა უნდა დაეცვა. თვით მეფე 10 ათასიანი კორპუსით ახალქალაქ-ახალციხე-ყარსის მიმართულებით უნდა შეკრილიყო, თარეშით თურქები შეეწუხებინა, რათა არ მიეცა მათთვის საშუალება მიშველებოდნენ ფოთის ციხეს; სოლომონ მეფეს 6 ათასიანი ჯარით ახალციხიდან ბაღდადისაკენ მიმავალი ხეობები უნდა შეეკრა; გურიელს უნდა შეეკრა ტრაპიზონიდან ზღვისპირზე მომავალი გზა; ხოლო დადიანს—აფხაზეთიდან მომავალი გზა, ამასთან უნდა დაეცვა ქუთაისთან კომუნიკაციები და უშუალოდ დაეფარა კორპუსი [1].

ფოთი საჭირო იყო დროებით, თუ მოხერხდებოდა კორპუსთან შავი ზღვით კავშირი, თუ ამას შეიძლებდა ფლოტი, რომელიც ხელახლა დაბადებას აპირებდა; რაც შეეხება ხმელთაშუა ზღვაში მყოფ რუსეთის ესკადრებს, მათი შავ ზღვაში შეკრა 1770 წლის ბოლოდან საიმედო არ იყო. შემთხვევით როდი სწერდა ეკატერინე სუხოტინს—„თუ ფოთი აღებულია, შეინარჩუნე და არა—რადაც არ უნდა დაგიჯდეს, აიღეო.

კორპუსის ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით, სუხოტინი უკეთეს ამოცანას ვერც დაისახავდა, რაკი კორპუსს მანევრირება არ შეეძლო, ხოლო რუსეთის მთავრობა ქართველებზე დანდობას გენერალს არ ურჩევდა. სუხოტინს ყველაზე ნაკლები ჯარი ეგულებოდა ფოთში [2], და ამიტომ, გარედან საკმაოდ დაცულს, გადაუწყვეტია ფოთის ციხის გასაღები, მიუხედავად კორპუსის მძიმე მდგომარეობისა, იმპერატორის ფეხქვეშ დაეგდო.

სუხოტინმა შეცდომა დაუშვა, მან არ გაითვალისწინა ადგილობრივი კლიმატი, რაზედაც თავის დროზე გაუფრთხილებია ერეკლეს, ხოლო უფრო გვიან შეუხსენებია სოლომონსაც [3]. სუხოტინს არ გაუთვალისწინებია აგრეთვე, რომ საჭირო იყო საალყო ქვემეხები, უამისოდ ფოთის აღებას დიდი დრო უნდოდა.

სუხოტინის მთავარი შეცდომა [4] იყო უნდობლობა მოკავშირე მეფეებისადმი, რისთვისაც მათგან ხელთუბნის თათბირზე

---

[1] ენიმკის მოამბე, 1940, V—VI, გვ. 348, 355—356.

[2] Грамоты, I, 483.

[3] Грамоты, I, 486; Грамоты, II, в. I, 75.

[4] პროფ. ცაგარელი სუხოტინის შეცდომებიდან პირველ რიგში ასახელებს იმას, რომ მან ერეკლე მეფისაგან საჩუქრად გაგზავნილი ცხენი უკან დააბრუნა, რითაც მეფე დიდად შეურაცხყოო. შდრ. Грамоты, I, გვ. XXIV. ეს არ ყოფილა დიდი შეცდომა. ეს იყო უტაქტობა. ამ „შეურაცხყოფას“ ერეკლე ადვილად აიტანდა, რადგან შემდეგ სუხოტინი თვით სთხოვდა მეფეს ცხენებს და არაერთი ცხენი ჰყავდა მისგან ნათხოვარი.

მძევლები მოითხოვა. „პლანის“ ბოლო მუხლში ეკითხულობთ: „ფიცს გარდა ვითხოვ ამანათათ თუ მძევლათ ახლოთა ნათესავთაგან“[1]. გვიან ერეკლე ასე უპასუხებდა: „ამანათის მთხოველი ვისაცა სთხოვს ან მტერი იქნება ის კაცი, რომელსაც ეთხოვება და ან მოყვარე და მიზეზსაც გამოუცხადებენ“[2]. მართალია, ერეკლეს ეს პასუხი გვიანდელია, მაგრამ საეჭვო არაა, რომ მეფე ხელთუბნის თათბირზე ფარულად ამ ფაქტს ასევე უნდა შეხვედროდა.

სუხოტინის ამ შეცდომის მიზეზი გახდა თვით ეკატერინე და მისი 13 იანვრის ინსტრუქცია. სადაც იმპერატორი გენერალს ურჩევდა ქართველებს არ დანდობოდა. ეკატერინეს შეცდომის საფუძველი იყო ტოტლებენის, უცხოელი დაქირავებულის, ფრიდრიხ II ყოფილი ჯაშუშის ყალბი მოხსენებები და მის მიერ ხელოვნურად შექმნილი ვითარება.

რაკი გენერალს, რომელსაც პირველად უხდებოდა საქართველოში ჩამოსვლა, მთავრობა წინასწარ აძლევდა რჩევას არ დანდობოდა ქართველებს, ისიც, საკუთარი შთაბეჭდილების მიუხედავად (რომ მას ტოტლებენის მიერ შეურაცხმყოფელი მეფეები რუსეთისადმი უსაზღვროდ ერთგული დახვდა), მეფეებს უნდობლად მოპყრობია, მათგან მძევლები მოუთხოვია და მიუღია კიდეც, რითაც ფაქტიურად შეურაცხყოფა მიუყენებია მათთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ინსტრუქცია საერთოდ არ ვარგოდა, სუხოტინს რომ საკმაო დაკვირვებულობა გამოეჩინა, შეეძლო შეცდომა თავიდან აეცდინა. ცნობილია, რომ ჯერ მოურავოვს, ხოლო შემდეგ იაზიკოვსაც კურსი ერეკლეზე ჰქონდათ აღებული და მისი ინტერესების შესაბამისად ახალციხეზე ლაშქრობას მოითხოვდნენ. ინსტრუქციის მესამე მუხლით რჩევას აძლევდნენ სუხოტინს საქართველოში ჩასვლისთანავე, ვიდრე სხვა მფლობელებთან საქმეს დაიჭერდე, ყველაფერი გადაწყვიტე იმის მიხედვით, თუ როგორ მოხერხდება ერეკლესთან, როგორც იმ მხარის უძლიერეს მფლობელთან, შეთანხმებულად იმოქმედო, რათა საქართველომ თავის შესაძლებლობისამებრ თურქეთის წინააღმდეგ უკეთ იმოქმედოსო. საჭირო იყო ამის გაგება, რაც სუხოტინმა ფაქტიურად ვერ შეძლო.

ჯარის ფაქტიურმა მდგომარეობამ და ეკატერინეს მიერ მიცემულმა ინსტრუქციამ დააბნია სუხოტინი, იგი სამხედრო კამპანიის გეგმის შედგენისას დიქტატის გზას დაადგა, შემდეგ,

---

[1] იხ. ენიმკის მოამბე, 1940, V—VI, გვ. 357.

[2] იქვე, გვ. 359.

ვეფეების რჩევის მიუხედავად, შუა ზაფხულს ფოთზე დაიძრა, კოლხიდის ჰაობებმა ხალხი დასცადა და კორპუსი მალარიით დაავადდა.

ფოთის კამპანიით გაწბილებული გენერალი 1771 წ. 29 ოქტომბერს ქუთაისიდან იმპერატორს უპატაკებდა: ბედმა მიმდინარე კამპანიაში მთელი ჩემი საქმე გაანადგურა; ავადმყოფს, რომელიც ძლივსღა ვსუნთქავ, არც კორპუსის მეთაურობისა და არც მტრის წინააღმდეგ მოქმედების თავი არა მაქვს. ისე მძიმე ავადმყოფი ვარ, რომ ჩემს გამოჯანმრთელებას დიდი დრო უნდაო[1].

სამხედრო კოლეგიას კი აცნობებდა: მოკლულ იქნა 4 კაცი, დაიჭრა—15, ავადმყოფობით და ჭრილობით მოკვდა—293, გაიქცა—57, სახეზეა ჯანმრთელი—782, ავადმყოფი—1994[2]. გენერალი ხარჯების გადიდებასაც ითხოვდა.

ზემოაღნიშნული პატაკი პეტერბურგში დეკემბერში მიიღეს და სახელმწიფო საბჭოს 1771 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე საქართველოდან საექსპედიციო კორპუსის უკან გაწვევა გადაწყდა[3].

ხელთუბანში შედგენილი გეგმით განსაზღვრულ ძირითად ამოცანას შედეგი არ მოჰყოლია. დამხმარე ამოცანა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს პასიურ თავდაცვას აკისრებდა და იგი ასევე შესრულდა.

დამხმარე ამოცანებიდან აქტიური მოქმედება დაკისრებული ჰქონდა ერეკლეს, თანაც მას მხოლოდ აქტიური თარეში ევალებოდა და არა მტრის ხელში მყოფი ციხე-ქალაქების დაპერა. მიუხედავად ამისა, რუსეთის წარმომადგენელი ლეოვი, 30 ოქტომბრის წერილით, ერეკლე მეფეს ქართლ-კახეთის ჯარის მიერ 1771 წ. 25—26 ოქტომბერს ხერთვისის ციხის აღებას ულოცავდა[4].

ასეთი იყო სამარი კამპანიის შედეგები საქართველოს ფრონტზე 1771 წელს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სუხოტინმა თავისი უმეცრებით სოლომონ მეფეს დიდი ზიანი მიაყენა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტოტლებენის ფოთთან დგომის დროს გიორგი გურიელის მოღალატური საქციელით ისარგებლა სოლომონ მეფემ და გურიაში შეიჭრა, გიორგი გურიელი გადააყენა, მთავრობა მამიას ვისცა და გურიაც შემოიმტკიცა[5]. ამ ფაქტს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტოტლებენი მტრულად შეხვდა. იგი ვერ ურიგდებოდა

---

[1] Грамоты, I, 485.

[2] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 4, ч. I, лл. 457—465.

[3] Архив Гос. Совета, т. I, ч. II, стр. 774.

[4] Грамоты, I, 322—325.

[5] Грамоты, II, в. I, 76—77.

თურქეთის აგენტის დასჯას და უმტკიცებდა რუსეთის მთავრობას და გენერალ სუხოტინს, რომ გურიელი და დადიანი რუსეთის მეგობრები არიანო. ნამდვილად კი მთავრების მოქმედება აშკარად საეჭვო იყო. როგორც ჩანს, ტოტლებენს გავლენა მოუხდენია და სუხოტინს თურქეთის აგენტი გურიის მთავრად აღუდგენია, მაგრამ ამ უკანასკნელს, როგორც ლევოვის პატაკიდან ჩანს, თავისი სახე მალე გამოუმჟღავნებია, რაც სუხოტინს ძვირად დაჯდომია [1]. სუხოტინის ნაბიჯი რუსეთისათვის საზიანო იყო, რასაც ლევოვი აო ფარავდა, მაგრამ ეს ფაქტი საკმაოდ ცხადყოფს იმას, თუ ტოტლებენის ხელი სადამდე გასწვდა. სამართლიანად შენიშნავდა პროფ. ცაგარელი, რომ სუხოტინმა თავი ვერ გაართვა მისი წინამორბედის მიერ ცუდად წარმართულ საქმეს და ადგილობრივი პირობების უცოდინარობით ბევრი შეცდომა დაუშვაო [2].

* * *

1771 წლის ბოლოს რუსეთს თურქეთთან ომში გარკვეული წარმატებანი გააჩნდა: პირველი არმიის მიერ დამარცხებული ალ-დუნაის გაღმა გადასროლილი თურქეთის მთავარი არმია თავდაცვის ტაქტიკას დაადგა, რუსეთის მეორე არმია დაეუფლა ყირიმის ნახევარკუნძულს, ხოლო ყირიმელი თათრები მზადყოფნას აცხადებდნენ საბოლოოდ ჩამოცილებოდნენ თურქეთს. ამ წარმატებებთან ერთად. იზრდებოდა ომის საფრთხე შვეციიდან, ავსტრიის პოზიცია მეტად საეჭვო ჩანდა, რუსეთის არმიაც მოღლილი იყო და შეესებას საჭიროებდა. რუსეთის მთავრობის გავლენიან წრეებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ესარგებლათ თურქეთთან ომში მოპოვებული წარმატებებით, რუსეთიც გარკვეულ დათმობებზე წასულიყო და ზავი დაედოთ თურქეთთან. ასეთ ვითარებაში საქართველოდან საომარი მოქმედების გაშლის პერსპექტივა კლებულობდა.

ფოთის კამპანიის მარცხის შემდეგ სუხოტინის დამოკიდებულება ქართველ მეფეებთან არასასურველი გახდა. საქართველოში გამოგზავნილმა საექსპედიციო კორპუსმა სასურველი შედეგები ვერ მისცა რუსეთს. გარდა ამისა, საექსპედიციო კორპუსში ჯარისკაცები დაავადებულნი იყვნენ და საჭურველითა და ტანსაცმლით მოუმარაგებელნი. კორპუსის წესრიგში მოსაყვანად საჭირო იყო საკმაო დრო და მნიშვნელოვანი სახსრები.

---

[1] Грамоты, I, 353—355.

[2] იქვე, გვ. XXIV.

ეკატერინემ მიზანშეწონილად სცნო სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება და 1772 წლის 25 იანვარს სამხედრო კოლეგიას უბრძანა საექსპედიციო კორპუსი საქართველოდან გაეწვია, ხოლო ზედმეტი საჭურველი სოლომონ მეფისათვის დაეტოვებია[1].

1772 წლის 4 თებერვლის წერილებით ეკატერინე II ერეკლესა და სოლომონს აცნობებდა: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მთავრობას ცდა არ დაუკლია და ხარჯიც გასწია, საქართველოდან საომარ კაპანიას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია, ამიტომ საქართველოში ჩვენი ჯარის დატოვება ზედმეტად მიგვაჩნია და საჭიროდ ვთვლით მის უკან გაწვევას, რათა გამოვიყენოთ იგი იქ, სადაც მას შეუძლია ნამდვილად სარგებლობა მოიტანოსო.

უკან იწვევდა რა საექსპედიციო კორპუსს, რუსეთის მთავრობა ცდილობდა თურქეთთან ომის დამთავრებამდე გამოეყენებია ქართველთა ძალები თურქეთის წინააღმდეგ. ამ მიზნით ეკატერინე II სოლომონ მეფეს აცნობებდა: რომ თანახმად შენი თხოვნისა, მომარაგებული იქნები საჭურველითო და ავალებდა გაეგრძელებია ომი თურქეთის წინააღმდეგ. ამასთან, მეფეს იმედს აძლევდა, რომ პორტასთან ზავის დადებისას იმერეთი დავიწყებული არ იქნებაო. ხოლო ერეკლესთან წერილში ეკატერინე აღნიშნავდა: თუმცა ქართველები ჩვენს მოწოდებას და დახმარებას არსებითად ვერ გამოეხმაურენ, მაგრამ. მიუხედავად ამისა, პორტასთან ზავის დადებისას საქართველოს დაცვაზე ვიზრუნებთო. ეკატერინე იმედს აძლევდა ერეკლეს—თუ რაიმეს დაპყრობას შესძლებ, შეეცდებით პორტასთან ზავით სამუდამოდ დაგიმკვიდროთო[2].

გარდა ამისა, რუსეთის მთავრობა საქართველოში ტოვებდა თავის წარმომადგენელს, ლეონს, რომელსაც ევალებოდა ზეგავლენის მოხდენა ქართველ მეფეებზე, რათა ამ უკანასკნელთ გაეგრძელებიათ ომი თურქეთის წინააღმდეგ[3].

რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილება ქართველნა პოლიტიკოსებმა 1772 წლის აპრილში შეიტყვეს, რასაც უდიდესი გულისტკივილით შეხვდნენ. ეს მეტად მძიმე იყო ერეკლე მეფისათვის, რომელსაც ომის წინ საგარეო საკითხები შედარებით მოწესრიგებული ჰქონდა, ხოლო ომში მონაწილეობის გამო მეზობლები მტრად გადაიკიდა, მიზანი კი მიუღწეველი რჩებოდა. აქვე

---

[1] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 6, л. 1.

[2] Грамоты, I, 334—338.

[3] იქვე, 341—342.

უნდა დაენახა მეფეს რუსეთში სპეციალური მისიით ახლახან გაგზავნილი ელჩობის მომავალი დიპლომატიური მარცხიც.

1772 წლის 21 აპრილს ერეკლე მეფე ნ. პანინს სწერდა: „...დუმილის დრო აღარ გვაქუს... წინაშე მ. ი. დ. სიმართლით ვიკადნიერებთ და ვიტყვით ამას: სანამდის მ. ი. დ. ბრძანება მოგვივიდოდა თურქთ მტერობისათვის—დაზავებით და მშვიდობით ვიყავით ხვანთქართან შერიგებულნი და დაწყნარებულნი; და სპარსეთის მფლობელს ხანებთან ასეთის საქმით ვიყავით—ზოგნი შეშინებულნი გვყვანდენ და ხარკს გვაძლევდენ, და ზოგნი მეგობრობით დაზავებული გვყვანდენ, და ზოგის შეშინებას ვცდილობდით, და ზოგნი ლეკნი მათის შეძლებით გვმტერობდენ და ქვეყნებს გვიპყრობენდენ. მაგრამ რამდენსამე წელიწადში ჩვენი ქვეყნის საქმეები ღვთით წარმატებაში მიგვყუანდა,—და ახლა ამ საქმეებითა და ამისთანას წინადადებათაგან... საქართველოში ქრისტიანობა მოისპობის და სრულებით აღოკრდების, თუ ეს კორპუსი აქეთგან უკუნობრუნდების"[1].

ერეკლე მორალური ვალდებულების ქვეშ აყენებდა რუსეთის მთავრობას, მაგრამ ასეთი მოტივები დიპლომატიასა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში გადამწყვეტი როდია.

საქმე გადაწყვეტილი იყო. 1772 წლის 5 მაისს რუსეთის საექსპედიციო კორპუსი ქუთაისიდან გამოვიდა, იგი სოლომონ მეფემ ქართლის საზღვრამდე მოაცილა, მოამარაგა ტრანსპორტით და 26 მაისს რუსეთის ჯარს „თვალცრემლიანი გაშორდა". 31 მაისს კორპუსი ცხინვალში იყო, მალე ქართლიც დატოვა და 1772 წლის ოქტომბერს ცარიცინში მივიდა[2].

რუსეთის საექსპედიციო კორპუსის საქართველოდან გაწვევაში ერეკლე საკუთარ დიპლომატიურ მარცხს ხედავდა. 1772 წლის 2 ივნისს მეფე გრაფ ჩერნიშევს[3] სწერდა: „...უნამეტნავესისა სიხარულითა და საცინელისა საქმითა გვაყვედრიან და გვეუბნებიან: ვისგანაც სასოება გქონდათ—მიგეფარათ და ნულარა (ხართ) სასოებით მათგანაო,—ამისებრითა სიტყვითა ნიშნს გვიგებს წარმართნი"[4].

საკუთარი დიპლომატიური მარცხის დასაფარავად ერეკლეს ყალბი ცნობა გაუვრცელებია, თითქოს მან ლევან ბატონიშვილისა-

---

[1] Грамоты, II, в. I, 85—86.
[2] Грамоты, I, 352—353, 365.
[3] წერია ორლოვი, უნდა იყოს ჩერნიშევი (შდრ. Грамоты, II, в. II, 263).
[4] Грамоты, II, в. I, 86—87.

გან[1] ცნობა მიიღო, რომ რუსეთი გაწვეული ჯარის ნაცვლად ახალ ჯარს გზავნიდა საქართველოში[2].

რუსეთის საექსპედიციო კორპუსი ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიაზე იყო, როცა თურქეთთან დროებითი ზავი ძალაში შევიდა.

1772 წლის 1 ივნისს რუმიანცევმა ცნობა გამოუგზავნა სუხოტინს დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ. ცნობა დიდი ვეზირის ბრძანებასთან ერთად სუხოტინს 5 ივლისს მიუღია კავკასიის მთებში და გამოუგზავნია ლევოვისა და ერეკლე მეფისათვის[3]. ლევოვმა დიდი ვეზირის ბრძანება გაუგზავნა ახალციხის ფაშას. რომელსაც იმავდროულად მიუღია რუმიანცევის ბრძანება რუსი ჯარისადმი. ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის დროებითი ზავი ჩამოვარდა. მაგრამ ფაშას დრ. ზავი არ დაუცავს იმერეთის მიმართ და ლეკების რაზმი გაუსევია, რომელიც სოლომონ მეფეს სასტიკად დაუმარცხებია. ამის შემდეგ დრ. ზავი იმერეთის სამეფოსთანაც შევიდა ძალაში. ლევოვი 1772 წლის 29 სექტემბერს აუწყებდა რუსეთის მთავრობას, რომ დროებითი ზავი „დღემდე საპირო სიზუსტით ნამდვილად სრულდებაო"[4].

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ჯარი თითქმის სამი წელი იყო საქართველოში, რუს-ქართველთა ჯარების ერთობლივი შეთანხმებული მოქმედება ვერ განხორციელდა, ამიტომ საქართველოს ფრონტზე ფართო მასშტაბის ოპერაციების გაშლა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ეკატერინე და პანინი, ქართველ მეფეებთან წერილებში, საქართველოს ფრონტზე წარუმატებლობისა და ერთობლივი მოქმედების მიუღწევლობის ძირითად მიზეზად ქართველ პოლიტიკოსებს შორის უთანხმოებას ასახელებდნენ[5].

მართალია, ქართველ მეფეებს შორის ინტერესთა სხვადასხვაობას ადგილი ჰქონდა, მაგრამ ერთობლივი მოქმედების გზაზე ეს არ ყოფილა ისეთი დაბრკოლება, რომლის დაძლევა შეუძლებელი ყოფილიყო. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ქართველი მეფეები ტოტლებენს შეთანხმებული დახვდნენ. ქართველ მეფეებს შორის წინააღმდეგობა შეურიგებელი რომ ყოფილიყო, ცხადია,

---

[1] ლევან ბატონიშვილი ამ დროს ასტრახანში იყო.
[2] Грамоты, I, 356.
[3] ЦГВИА, ф. 20, оп. 47, св. 245, д. 8, лл. 40—48.
[4] Грамоты, I, 360.
[5] იქვე, 335, 337, 339.

მათ ნორის შეთანხმებაც არ მოხდებოდა. ცნობილია ისიც, რომ საექსპედიციო კორპუსის გაწევის შემდეგ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქართველი მეფეები შეთანხმდნენ და ერთად ილაშქრეს ჯიდეც ახალციხის მიმართულებით. ზემოაღნიშნული ფაქტები ცხადყოფენ, რომ ქართველი მეფეების შეთანხმება, მათი ერთად მოქმედება შესაძლებელი იყო, მხოლოდ საჭირო იყო საომარი მოქმედების გაშლისათვის შერჩეულიყო ისეთი მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფდა ორივე ქართული სამეფოს ძალების მონაწილეობას.

გარდა ამისა, საექსპედიციო ჯარის სარდლებს, თუ სურდათ ქართველების გამოყენება ომში, ყურადღების ცენტრში უნდა დაეყენებიათ საქართველოში უძლიერესი პოლიტიკური ერთეულის ქართლ-კახეთის სამეფოს ინტერესები. ტოტლებენმა და მოურავოვმა კარგად გაიგეს ეს და 1769 წლის შემოდგომაზე, რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით, უდავოდ სწორი ნაბიჯი გადადგეს, როდესაც რუსეთის მთავრობა აიძულეს ერეკლეს თხოვნისათვის ანგარიში გაეწიათ. მაგრამ 1770 წელს ტოტლებენმა უღალატა ერეკლე მეფეს, რუსეთის მთავრობას და საკუთარ საზეიმო განცხადებებსაც კი. მას არ შერჩა ერეკლესთან ერთად ახალციხის მიმართულებით საომარი მოქმედების გაშლის სურვილი, რის გამოც ერთობლივი საომარი მოქმედება არ განხორციელდა.

მიუხედავად იმისა, რომ ტოტლებენის ყალბი მოხსენებებითა და 1770 წელს საქართველოში მომხდარი ამბებით შეცდომაში შევიდა რუსეთის მთავრობა, მას მაინც ყურადღების ცენტრში ჰქონდა ერეკლესთან, როგორც საქართველოში უძლიერეს მფლობელთან, ურთიერთობის საკითხი. მართალია, სუხოტინის შეცდომა ჯარის ფაქტიურმა მდგომარეობამ და იმ უნდობლობამ შეამზადა, რასაც რუსეთის მთავრობა მას წინასწარ უნერგავდა ქართველების მიმართ, მაგრამ სუხოტინს რომ ერეკლეს მიერ წამოყენებული ახალციხეზე ლაშქრობის გეგმა მიეღო, განა ერთობლივი მოქმედება უზრუნველყოფილი არ იქნებოდა? თვით სუხოტინის მოწმობით საეჭვო არ ხდება, რომ ერეკლეს გეგმას, სუხოტინს რომ მხარი დაეჭირა, მიიღებდა სოლომონ მეფეც, რადგან სუხოტინის განცხადებით: „სოლომონი... იწოდა რა მ. ი. უ. ერთგულებით, ყველაფერზე განუსჯელად აცხადებდა თანხმობას“ [1].

---

[1] Грамоты I, 482.

სუხოტინს არ ესმოდა, თუ რატომ იყო სოლომონ მეფე ყველაფერზე მზად „განუსჯელად". იმერეთის სამეფოსათვის ახალციხეს ფოთზე ნაკლები მნიშვნელობა როდი ჰქონდა. სოლომონ მეფემ კარგად იცოდა, რომ თურქები უფრო ფეხმოკიდებული იყვნენ ახალციხეში, საიდანაც იმერეთს ძირითად დარტყმას აყენებდნენ. აი, რატომ იყო, რომ სოლომონ მეფე „განუსჯელად" ყველაფერზე მზად იყო, რომ რუსეთის ჯარის გაწვევის შემდეგაც სოლომონ მეფემ ერეკლეს გეგმა მიიღო და მასთან ერთად ახალციხის მიმართულებით გაილაშქრა.

რაც შეეხება ერეკლე მეფეს, მისთვის ფოთზე ლაშქრობას არსებითად არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. იგი ქართლ-კახეთის სამეფოს არაფერს აძლევდა.

თურქეთის წინააღმდეგ ომში ქართველთა ძირითადი ძალების გაერთიანება და წარმართვა შეიძლებოდა მხოლოდ ახალციხის მიმართულებით, რაც წარმატების უტყუარი გარანტია იყო. ეს კარგად ესმოდა იაზიკოვს, რომელიც მტკიცედ უჭერდა მხარს ერეკლეს გეგმას, მაგრამ ტოტლებენი ამას წინ აღუდგა, ხოლო სუხოტინმა კი ვერ გაიგო იგი. აი, რა იყო ერთობლივი მოქმედების განუხორციელებლობისა და საქართველოს ფრონტზე წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი.

მიუხედავად იმისა, რომ რუს-ქართველთა ჯარის ერთობლივი მოქმედება და ფართო მასშტაბის ოპერაციების ჩატარება შეუძლებელი აღმოჩნდა, რუსეთის ჯარის ყოფნას საქართველოში უშედეგოდ არ ჩაუვლია. მცირე საექსპედიციო რაზმის კორპუსად გადაქცევით, რუსეთის მთავრობა გარკვეულ დათმობაზე წავიდა ერეკლეს წინაშე, რამაც უზრუნველყო ქართლ-კახეთის სამეფოს ომში ჩაბმა. ასპინძის ომმა წელში გატეხა ახალციხის ფაშა და წაართვა მას იმერეთის ციხეების დასაკავად აქტიურად გამოსვლის შესაძლებლობა, რამაც უზრუნველყო თურქი ოკუპანტების იმერეთიდან განდევნა, ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოსათვის.

7. ლევან გატოვნიშვილისა და ანტონ კათალიკოსის ელჩობა რუსეთს. საომარი მოქმედების განახლება. ომის დასასრული

1771 წლის დეკემბერში ქართლ-კახეთის სამეფო კარზე გადაწყვიტეს რუსეთთან დაახლოების საკითხში ახალი ნაბიჯი გა-

დაედგათ და შეადგინეს კიდეც ხელშეკრულების პირობები[1], რომ-ლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობა-ში უნდა შესულიყო. ამ მიზნით 1772 წლის იანვარში ლევან ბა-ტონიშვილისა და ანტონ კათალიკოსის მეთაურობით ფართო-რწმუნებით აღჭურვილი ელჩობა გაიგზავნა პეტერბურგში. ქართვე-ლი ელჩები გზაში იყვნენ, როცა საქართველოდან რუსეთის ჯარის გაწვევის საკითხი გადაწყდა. მალე თურქეთთანაც საზავო მოლა-პარაკება დაიწყო. ასეთ პირობებში ელჩებს ჯერ ასტრახანში დაჭირდათ ლოდინი, შემდეგ პეტერბუგრში და, ბოლოს, 1774 წელს ხელცარიელი გამოისტუმრეს სამშობლოში, რადგან ერეკლეს წი-ნადადების მიღება თურქეთთან ომის გაჭიანურებასა და ირანთან ურთიერთობის გამწვავებას გამოიწვევდა, რაც რუსეთისათვის ხელსაყრელი არ იყო.

1772 წლის ზაფხულიდან დროებითი ზავი ძალაში შევიდა და 1773 წლის ზაფხულამდე ქართველებს საომარი ოპერაციები არ უწარმოებიათ თურქების წინააღმდეგ, მაგრამ ახალციხის ფაშამ არ დაიცვა დროებითი ზავის პირობები. 1772 წლის დეკემბერში ახალციხის ფაშას უსარგებლია ნურსალბეგის აქტიური მოქმედე-ბით და მოთარეშე რაზმი გამოუგზავნია საქართველოში, რომელსაც ქართლის სოფლები დაურბევია.

1773 წელს რუსეთ თურქეთის საზავო მოლაპარაკება უშედე-გოდ დამთავრდა და ცენტრალურ ფრონტზე საომარი მოქმედება განახლდა. ასეთ პირობებში ერეკლემ და სოლომონმა ტოტლებე-ნის ინტრიგებით შერყეული კავშირი აღადგინეს და ახალციხის მიმართულებით ლაშქრობა გადაწყვიტეს. ქართველ მეფეთა შორის კავშირის აღდგენით შეშფოთებული ახალციხის ფაშა ამოქმედდა. ამის გამო ერთობლივი ლაშქრობა დროებით შეფერხდა, მაგრამ 1773 წლის ოქტომბერში მეფეებმა ჯარები შემოიყარეს და გო-რიდან ჯავახეთში შეიჭრნენ. ახალქალაქის გარეუბნის დაკავების შემდეგ, ქართველებმა ოპერაციები ყარსის მიმართულებით განა-ვითარეს და თვით არდაგანამდე მიაღწიეს, მაგრამ სოლომონ მე-ფის ავადმყოფობის გამო ლაშქრობის შემდგომი გაგრძელება არ მომხდარა.

1774 წელი თურქების ახალი შემოტევით აღინიშნა. იანვარ-ში ახალციხის ფაშამ, დადიანისა და აბაშიძის დახმარების იმე-დით, 4 ათასიანი კორპუსი გაგზავნა იმერეთის ასაოხრებლად. სოლომონ მეფის თხოვნით ერეკლემ დადიანს განზრახვაზე ხელი ააღებინა, ხოლო თვითონ ერეკლემ ჯარი შემოიყარა სოლომონის

---

[1] Грамоты, II, в. I, 83—84,

დასახმარებლად. თურქები შიხვდნენ, რომ ხაფანგში გაებნენ და სასწრაფოდ უკან დახევა იწყეს. სოლომონმა თურქებს ჩხერის ვიწროებში გზა მოუჭრა და 1774 წლის თებერვალში სასტიკად დაამარცხა ისინი (3700 კაციდან ახალციხეს 700 კაცილა დაბრუნებულა)[1].

1774 წელს რუსეთის მთავრობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა: ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში გლეხთა ომის ხანძარი ფართოვდებოდა. ამიტომ პირველი არმიის სარდალს რუმიანცევს ავალებდნენ გადაელახა დუნაი და თურქების მთავარ სიმაგრეებზე დარტყმით აეძულებია მტერი ზავი დაედო. 1774 წლის მაისსა და ივნისში რუსეთის ჯარებმა დუნაი გადალახეს და კურსი შუმლისაკენ აიღეს, სადაც დიდი ვეზირის მთავარბანაკი იყო. თურქები შეშინდნენ და ზავი ითხოვეს. 1774 წლის 10 ივლისს სოფ. ქუჩუკ-კაინარჯში რუსეთსა და თურქეთს შორის ზავი დაიდო, რითაც მთავარ უბანზე ომი დამთავრდა.

1774 წლის აგვისტოში რუსეთიდან ქართველი ელჩები დაბრუნდნენ. რუსეთის წარმომადგენელმაც (ლეოვმა) საქართველო დატოვა.

ერეკლემ ჯერ კიდევ არ იცოდა რუსეთსა და თურქეთს შორის ომის დამთავრების ამბავი, ამიტომ 24 აგვისტოს წერილით ერთხელ კიდევ მოაგონებდა რუსეთის მთავრობას, რომ იგი რუსეთის თხოვნით ჩაება ომში თურქეთის წინააღმდეგ, რის გამოც საგარეო პირობები გაურთულდა, ამიტომ რუსეთმა ზავის დადებისას ჩვენს დაცვაზე იზრუნოსო.

თუმცა ოფიციალური ცნობა ომის დამთავრების შესახებ რუსეთიდან საქართველოში 1774 წლის 5 სექტემბერს გამოიგზავნა, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ ომის დამთავრების ამბავს საქართველოში აგვისტოს ბოლოს მოეღწია. ამის გამო უნდა მომხდარიყო, რომ 1774 წლის 30 აგვისტოს, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ერეკლეს ახალციხის ფაშასთან დროებითი ზავი უკვე დადებული ჰქონდა. მეფე ზემო ქართლის სარდალს უბრძანებდა:

„...ზემო ქართლს ყადაღა უყავით, რომ ოსმალოს მხარისაკენ ნულარავინ წავა. ნურც თავისთავად წაველენ და ნურც დავლაზე მიმავალს ლეკს გაჰყვებიან. თვარემ თუ წავიდა ვინმე ჩვენად შეცოდებათ მოვიკითხავთ იცოდნენ. ეს ყველას ასე აცოდინეთ და გააფრთხილეთ, რომ არავინ წავიდეს"[2].

ამრიგად საომარი მოქმედება საქართველოს ფრონტზე დამთავრდა.

---

[1] Грамоты, I, 401—403.

[2] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226. საბ. 392.



თავი V

თურქეთთან ომის შედეგები

რუსი და ქართველი ხალხების ბრძოლას თურქეთის წინააღმდეგ უშედეგოდ არ ჩაუვლია. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთმა მიიღო ქერჩისა და კინბურნის ნავსადგურები, ხოლო რუსეთის ფლოტმა — შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება. ხანგრძლივი ბრძოლა შავ ზღვაზე გასვლისათვის რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. გარდა ამისა, თურქეთმა ყირიმისა და სხვა თათართა ურდოების დამოუკიდებლობის აღიარებით დაკარგა მნიშვნელოვანი რეზერვი, რომელსაც რუსეთის წინააღმდეგ იყენებდა. რუსეთის სამხრეთ რაიონების უშიშროება ამიერიდან უზრუნველყოფილი გახდა. დასასრულ, ომის შედეგებმა განაპირობა ყირიმისა და ყაბარდოს რუსეთთან შეერთების საკითხის რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვეტაც.

რუსეთ-თურქეთის ომს არც საქართველოსათვის ჩაუვლია უშედეგოდ, მაგრამ ისტორიკოსები ამ საკითხს ერთნაირად როდი უყურებენ. მაგ., ისტორიკოსი ზ. ავალოვი ერეკლესა და სოლომონს რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობას შეცდომად უთვლიდა და წერდა: „Они (ერეკლე და სოლომონი—ვ. მ.) рискнули, как рискнул в свое время Вахтанг — и опять проиграли ставку“ [1]. იგივე ავტორი ქვემოთ წერს: „Трактат ни иоты не прибавляет к тому, чего Соломон уже достиг, хуже того, Россия признает Status quo ante, именно тот порядок вещей, с которым Соломон желал порвать“ [2].

---

[1] З. Авалов, Присоединение Грузии к России, изд. 2-е, СПб., 1906 стр. 102.

[2] იქვე, გვ. 110 — 111.

რა თქმა უნდა, ჩვენ ამ თვალსაზრისს ვერ გავიზიარებთ.

ზემოთ დავინახეთ, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების წინ დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა უაღრესად მძიმე იყო. სოლომონ I ბრძოლა ტყვის-სყიდვის აკრძალვისა და თურქეთის სასარგებლო სამარცხვინო ხარკისაგან (ხარკი ქალ-ვაჟებით) ქვეყნის განთავისუფლებისათვის თურქეთის გააფთრებულ წინააღმდეგობას შეხვდა და მარცხით დამთავრდა. მაგრამ რუსეთთან ომში დამარცხების შემდეგ თურქები იძულებული გახდნენ ქართველი ხალხის დამამცირებელ ხარკზე ხელი აეღოთ.

ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულება პირველი საერთაშორისო ტრაქტატია, სადაც ომში დამარცხებული თურქეთი საზეიმოდ ხელს იღებს იმერეთის ხარკზე [1], რაც თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის დიდი გამარჯვება იყო.

მართალია, ტრაქტატით დასავლეთ საქართველო კვლავ თურქეთის ქვეშევრდომად რჩებოდა, მაგრამ თურქეთი ვალდებულებას იღებდა არ შეეეიწროებია დასავლეთ საქართველოში სარწმუნოება და არ დაესაჯა ქართველები ომში მონაწილეობისათვის, რაც თურქეთის საშინაო საქმეებში პირველი საერთაშორისო ჩარევა იყო.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ ტრაქტატი სადავოს ხდიდა იმერეთის ციხეების საკითხს: „...ბაღდათის, ქუთაისისა და შეგერნის (შორაპნის—ვ. მ.) ციხეები, რომლებიც რუსეთის იარაღით იქნა დაპყრობილი, რუსეთის მიერ ცნობილი იქნება იმის საკუთრებად, ვისაც ძსინი ძველთაგანვე ეკუთვნოდა“ [2].

ფაქტიურად საქმე მომავალში ძალას უნდა გადაეწყვიტა, ისევე როგორც ყაბარდოს საკითხი. თუ იმერეთს, მიუხედავად იმისა, რომ იგი თურქეთის ვასალად რჩებოდა, ძალა აღმოაჩნდებოდა, შეეძლო დაეცვა თავისი უფლება, ამავე დროს, თუ ხელსაყრელი ვითარება იქნებოდა, ცხადია რუსეთსაც შეეძლო ხელის გამოღება.

პროფ. კაკაბაძის აზრით, თურქებმა იმიტომ ვერ ისარგებლეს ტრაქტატით და ვერ შესძლეს იმერეთში კვლავ გაბატონება, რომ სოლომონ მეფემ ციხეები დაანგრია [3].

მართალია, ციხეების დანგრევას გარკვეული მნიშვნელობა

---

[1] ტრაქტატის 23-ე მუხლში აღნიშნული იყო: „Торжественно и на всегда отказывается она (თურქეთი — ვ. მ.) требовать дани отроками и отроковицами и всякого рода других податей“... Договоры России с Востоком политические и торговые, издал Т. Юзефович, СПб., 1869, стр. 36.

[2] იქვე, 35 — 36.

[3] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, 1922, გვ. 212.

ჰქონდა, მაგრამ მთავარი ეს არ იყო. რომ საამისო პირობები ყოფილიყო, თურქები ციხეების აგებას შესძლებდნენ.

რუსეთთან ხანგრძლივმა ომმა თურქეთი საბოლოოდ გატეხა წელში და ერთბაშად მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადააქცია. ამასთან, იგი ვალდებული იყო რუსეთისათვის 4,5 მილიონი მანეთი კონტრიბუცია გადაეხადა, რაც ისედაც ჩამორჩენილ და ეკონომიურად სუსტ ქვეყანას მძიმედ აწვა. „დანოუკიდებელი“ ყირიმი დღეს თუ ხვალ რუსეთის ხელში უნდა გადასულიყო, რითაც თურქეთი საბოლოოდ უნდა გამომშვიდებოდა საიმედო რეზერვს. ასეთ ვითარებაში იმერეთის ციხეებზე წამოჭიდებას აზრი ეკარგებოდა. მით უმეტეს თურქებმა კარგად იცოდნენ, რომ იმერეთის მეფე თურქეთისათვის უფრო ხელსაყრელ ვითარებაშიც არაფერს თმობდა და, ცხადია, ახლა, რაკი იცოდა, რომ თურქეთი საკმაოდ იყო წელში გატეხილი და თანაც მისი დასჯაც აკრძალული ჰქონდა, არაფერს დათმობდა.

ზემოაღნიშნული პირობების გამო, თურქებმა ვერ გამოიყენეს კუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატის 23-ე მუხლი. „სოლომონ მეფე ვერ დაიმორჩილეს, ვერც იმერეთის ციხეები დაიპირეს. მეფემ სავსებით მოსპო ტყვეთა სყიდვა. მტკიცე ხელით ალაგმა თავადების აღვირახსნილობა... მეფე შესაჩნევად გაძლიერდა, მისი შიში და პატივისცემა დასჩემდათ დადიანსა და გურიელსაც. ქვეყანა დამშვიდდა და სწრაფად მოშენება იწყო. ათიოდე წელიწადში მოსახლეობამ თვალსაჩინოდ მოიმატა“ [1].

ასეთი იყო ომის შედეგები დასავლეთ საქართველოსათვის, რაც ქართველი ხალხის გმირულმა ბრძოლამ და რუსეთის სამხედრო და დიპლომატიურმა დახმარებამ განაპირობა.

მართალია, ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ საქართველოს ვერ უბრუნებდა და ქვეყანა რუსეთის მფარველობაში ვერ შეყავდა, მაგრამ მნიშვნელობას მოკლებული არ იყო ის, რომ თურქეთს ამიერიდან ეკრძალებოდა ომში მონაწილე ქართველებისათვის სამაგიეროს გადახდა, ხოლო პორტა ვალდებულებას კისრულობდა „не почитать между ними (იგულისხმება ქართველები — ვ. მ.) никого за своих поданных кроме тех, кой издревле ей принадлежали...“ [2]

თურქეთის მთავრობას ამ აქტით უნდა გაეგო, რომ ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოს საკითხი თურქეთ-ირანის ორთა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 401 — 402.

[2] Договоры, 86.

ბრძოლიდან, საერთაშორისო დავის საკითხად იქცეოდა და რუსეთის პოლიტიკური ძლიერების ზრდის პარალელურად ამ უკანასკნელის სერიოზული ყურადღების საგანი ხდებოდა, რაც კავკასიაში ირან-თურქეთის ბატონობას კითხვის ქვეშ აყენებდა. ეს ახალი ძალა მით უფრო ანგარიშგასაწევი და თურქეთისათვის საშიში ხდებოდა, რაც უფრო ახლოვდებოდა ყაბარდო-ყირიმის რუსეთთან შეერთების საკითხი, რისთვისაც ომმა ნიადაგი საფუძვლიანად მოაჭზადა.

მართლაცდა დამარცხებული თურქეთის მეურვეობიდან გამოსულმა „დამოუკიდებელმა“ ყირიმის სახანომ ვერ შეძლო ყაბარდოს შენარჩუნება და იგი რუსეთს დაუთმო, ხოლო შემდეგ საკუთარი დამოუკიდებლობაც კი დაჰკარგა. ყაბარდო-ყირიმის საკითხის გადაწყვეტით რუსეთმა საბოლოოდ მტკიცედ მოიდგა ფეხი ჩრდილოეთ კავკასიაში, რითაც საქართველოსთან ურთიერთობა გაადვილდა და გიორგიევსკის ტრაქტატიც დაიდო. ასე განვითარდა მოვლენები საქართველოს ჩრდილოეთით რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულ მოვლენებთან კავშირში უნდა იქნეს გაგებული თურქეთის დამოკიდებულება ქართლ-კახეთის სამეფოსთან რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდგომ. ზოგიერთი ისტორიკოსი კი, სამწუხაროდ, რთული საგარეო ურთიერთობის მოწესრიგებას მხოლოდ ერეკლეს ნიჭით ხსნიდა. მართალია, ერეკლეს ნიჭსა და უნარს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ერეკლეს წარმატებითი მოღვაწეობა, საშინაო და საგარეო დარგში 70-იან წლებში, რომ მარტო ამით აგვეხსნა, მაშინ 90-იანი წლების ერეკლე შეშლილად უნდა გამოგვეცხადებია.

ომმა საერთოდ შესცვალა ძალთა თანაფარდობა კავკასიისათვის მებრძოლ დიდ სახელმწიფოებს შორის, რასაც უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში, როცა ქართველ პოლიტიკოსთა წარმატებით მოღვაწეობაზე ვლაპარაკობთ. ამასთან, ქართველი ხალხის გაბედულ ბრძოლას აქ თავისი ადგილიც უნდა დაეთმოს.

ერეკლეს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1774 წლის 30 აგვისტოს ახალციხის ფაშასთან წინასწარი ზავი ჰქონდა დადებული. მალე მოლაპარაკებაც გაიმართა და საქმე წარმატებით დამთავრდა (გამორიცხული არაა, რომ მოლაპარაკების ინიციატივა ეკუთვნოდეს ახალციხის ფაშას, რომელმაც ასპინძასთან მწარე გაკვეთილი მიიღო).

• ქართველი მემატიანეს ცნობით: „განვრცნა რა ხდომეა შორის ქართლისა და ახალციხისა და იქმნენ ორნივე კერძონი შემჰირვებულ, ამად ზავ-ჰყვეს ურთერთ-არს და წარგზავნა მეფე-მან

დესპანი თვისი ორ-გზის მირზა გურგინა ენაკოლოფა-შვილი, რომელსაცა მოერთვა სულთანისა-გან აჰმიდისა ორ-გზისვე ქურქი, ხმალი, აღკაზმული ჰუნე და უმეტეს ათორმეტი ათასისა ოქრო, ხოლო ვეზირისა-გან საათი ძვირ-ფასი მოოქვილი" [1]. ისტორიკოსი ო. ხერხეულიძე იუწყება: „თუცა აქვნდა მრავალი წყენა მეფის ირაკლისა-გან გარნა დიდად მხიარულ-იქმნა ვეზირი მისვლისათ-ვის ირაკლის ელჩისა, ცნობილ იყო მეფე ირაკლი ფრიად წინა-აღმდგომ ყოველსა ხვანთქრისა საბრძანებელთა შორის და ამისგამო ესე ვითარითა პატივითა შეიწყნარეს, რომელ უმეტესისა წადილი არღარა აქვნდა ელჩსა მეფისა ირაკლისასა". იქვე განაგრძობს ისტორიკოსი — „აჩუქეს მრავალი, წარმოუვლინეს დესპანი, მოუძღვანეს ცხენი შვენიერად აღკაზმული და ძვირ-ფასი ქურქი და გარდა ამისა, რომელიცა უწინარეს ამისსა დატყვევებულნი ხალხნი აღსიხას [2] წარესხათ რაოდენნიმე თავადთა გვამნი ცოლ-შვილით და სხვანიცა მდაბალნი გლეხნი, რომელიცა ქრცხინვალით წაყვანილ-იყვნენ და გინა-თუ სხვათა სოფლებითა-გან აღსიხას იგინი ყოველნი განათავის-უფლეს და მოუწერეს სულეიმან-ფაშას განთავისუფლება მათი და მშვიდობა ურთიერთისადმი და მოიყვანეს იგი ტყვეენი ტფილისად და რომელნიცა ჰყვა ფაშას ჯარად დაღისტანელნი, ივინიცა დაითხოვა მამულისაგან თვისისა" [3].

როგორც ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ჩანს, ერეკლეს ელჩი ორჯერ ყოფილა კონსტანტინეპოლში და ორივეჯერ კარგად მიუღიათ. მართალია, გურგინას ორგზის ელჩობა სხვადასხვა დროს ებება, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, პირველი ელჩობა 1774 წლის აგვისტო-დეკემბერში უნდა მომხდარიყო, რადგან, როგორც ო. ხერხეულიძე იუწყება, ტყვეთა გაცვლა და ახალციხის ფაშასთან ურთიერთობის მოწესრიგება გურგენას ელჩობას მოჰყოლია. ამავე დროს ეს მომხდარა თურქეთის მთავრობის ნებით. ერეკლეს ხელიდან გამოსული საბუთით კი დაბეჯითებით ვიცით, რომ მეფეს ახალციხის ფაშასთან 1774 წლის დეკემბერში ურთიერთობა მოწესრიგებული აქვს. 1774 წლის 30 დეკემბერს ერეკლე მეფე წერდა: „...ჩვენ და ახალციხის ფაშას შუა შერიგება და დიდი ერთობა არის. ვისაც სავაჭროთ ან თავის საქმეზე ახალციხეს ან ჯავახეთის ქვე-

---

[1] შედეგი კახეთის ცხოვრებისა. იხ. საქ. ცხოვრება, ზ. ჭიჭ. გამ., 1913, გვ. 287; ადრ. დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თბილისი, 1941, გვ. 13.

[2] ახალციხე.

[3] ო. ხ ე რ ხ ე ულ ი ძ ე, მეფობა ირაკლი მეორისა. იხ. საქ. ცხოვრება, 1913, გვ. 270 — 271.

ყანაში წასვლა უნდოდეს წავიდეს ფიქრი ნურა აქვს რა. ამას იქით ერთმანეთში წასვლამოსვლა აღარ დაეშლებათ“ [1].

აქვე უნდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ერთ გარემოებას. თანამედროვე ისტორიკოსის აზრით ელჩი თურქეთში დიდის პატივით იმიტომ შეუწყნარებიათ, რომ „ცნობილი იყო მეფე ერეკლე ფრიად წინააღმდგომ ყოველსა ხვანთქრისა საბრძანებელთა შორის“. ასე რომ, თანამედროვე ისტორიკოსი კი არ გმობს ერეკლეს გაბედულ ნაბიჯს, მსგავსად ზოგი გვიანდელი ავტორისა, არამედ თავგანწირულ ბრძოლას მიიჩნევს პატივისცემის საფუძვლად.

მალე ერეკლეს რუსეთთან კავშირით განაწყენებული ქარიმხანიც დაუტკბა. „შირაზიდამ თქვენი წიგნი მოგვივიდა — სწერდა ერეკლე გრიგოლ სახლთუხუცესს 1775 წლის 15 ივნისს — რაც მოგეწერათ ყველა ვსცანით... ბედნიერის ვექილისაგან ჩვენზედ წყალობით ყოფნა და თქვენი პატივით შეწყნარება და მიჩნევა მოგეწერათ... აქაურს ამბავს იკითხავ ვინცავინ გარეშემო მეზობლები, გვყვანან ღთით ყველასას ჩვენი საქმე სჯობს. ფაშა ახალციხისა და სხვანი მეზობლებიც ჩვენთან კაის დოსტობით არიან. ყველას კაცი მოდის და მოდის“ [2].

ასე რომ, თუ ერეკლემ აწეწილი საგარეო ვითარება 70-იან წლებში ადვილად მოაგვარა და თურქეთი მას პატივით ეპყრობა, ეს მარტო ერეკლეს ნიჭის ნაყოფი არაა. იგი შედეგად მოჰყვა ომში თურქეთის გატეხას, საერთაშორისო ვითარების შეცვლას და ქართველი ხალხის გმირულ, თავგანწირულ ბრძოლას, რომლის დაგმობა დიდი შეცდომაა.

მორიგე ჯარის შექმნით ერეკლემ მოთარეშე ლეკებისაგან ქვეყნის თავდაცვის საქმეც დროებით მოაწესრიგა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ერეკლეს წერილები, რომლებიც ომის დამამთავრებელ ეტაპზე გაიგზავნა რუსეთში, ერთი შეხედვით ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ომში მონაწილეობის შედეგად ქვეყანა მხოლოდ დაქცეულიყოს და ისტორიკოსებიც ასე განიხილავენ მას. მაგრამ, ერეკლე თუ მართლა ასე აფასებდა რუსეთთან კავშირის შედეგებს, რატომ იყო, რომ ომის დამთავრებისთანავე ერეკლე, ჩრდილოეთ კავკასიასა და კასპიისპირეთში რუსეთის პოლიტიკური აქტივობის სიმპტომების გამოვლინებისთანავე, რუსეთის მთავრობას ირანის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ფართო პროგრამას თავაზობდა?

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საბ. 383.

[2] საქ. მუზეუმი, ფ. Hd, საბ. 8. 520.

* * *

რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში პირველად სამხედრო კავშირი 1768 — 74 წლების რუსეთ-თურქეთის ომში განხორციელდა. მართალია, ამ კავშირს თან ახლდა მთელი რიგი მომენტებიც, რომლებიც ჩრდილს აყენებდნენ მას — ტოტლებენის ავანტიურა, სუხოტინის უტაქტო მოქმედება, რუსეთის მთავრობის არაგულისხმიერი დამოკიდებულება ქართველი პოლიტიკოსებისადმი და სხვ. მაგრამ ეს ოდნავადაც არ არყევდა მოწინავე ქართველ პოლიტიკოსთა რწმენას — რომ რუსეთი ერთადერთი დიდი ქრისტიანული სახელმწიფო იყო, რომელსაც ამიერკავკასიაში რეალური პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა, რომელიც ქართველი ხალხის პოლიტიკურ მისწრაფებას არ ეწინააღმდეგებოდა [1]. რის გამო მასთან კავშირი აუცილებელი იყო. ხოლო საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღვრილი სისხლი განამტკიცებდა რუსი და ქართველი ხალხის საუკუნოებრივ მეგობრობას, ხელს უწყობდა მათს შემდგომ დაახლოებას.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. იხ. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1944, ნაკ. I. გვ. 166.

შინაარსი

ავტორისაგან 3

თავი I. აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა რუსეთ-თურქეთის ომის წინ 5

თავი II. რუსეთ-თურქეთის ომის წარმოშობა. ქართლ-კახეთის სამეფოს მიმბრობა რუსეთ-იმერეთის სამხედრო კავშირისადმი 20

1. რუსეთ-თურქეთის ომის წარმოშობა 20

2. რუსეთ-იმერეთის შეთანხმება და რუსეთის ჯარის ჩამოსვლა საქართველოში 25

3. ქართლ-კახეთის სამეფოს მიმბრობა რუსეთ-იმერეთის სამხედრო კავშირისადმი 38

თავი III. ახპინძის ბრძოლა 53

თავი IV. ტოტლებენის ღალატი და ხაომარ მოქმედებათა წარუმატებლობა ახპინძის ბრძოლის შემდეგ 70

1. ტოტლებენის ავანტიურა და ახალციხეზე ლაშქრობის ჩაშლა 70

2. ტოტლებენის ავანტიურასთან რუსეთის სამეფო კარისა და ქართველი თავადების დამოკიდებულების საკითხისათვის . . 80

3. ოფიცერთა შეთქმულების საკითხისათვის 88

4. იმერეთის ციხეების განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან 94

5. ფოთის კამპანიის მარცხი. ტოტლებენის ინტრიგები. სამხედრო „მოქმედების“ ახალი გეგმა 99

6. საომარი კამპანია 1771 წელს და რუსეთის ჯარის გაწვევა საქართველოდან 114

7. ლევან ბატონიშვილისა და ანტონ კათალიკოსის ელჩობა რუსეთს. საომარი მოქმედების განახლდება. ომის დასასრული 127

თავი V. თურქეთთან ომის შედეგები 130

რედაქტორი გ. გულბანი
მხატვარი ლ. შენგელია
ტექრედაქტორი თ. მახარაძე
კორექტორი ო. ცინცაძე

ფასი 3 მან. 30 კაპ.

გადაეცა წარმოებას 29/XI-56 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
15/I-57 წ. ანაწყობის ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×92¹/₁₆.
ნაბეჭდი თაბახი 8,75, სააღრ.-საგამომც. თაბახი 7,7
უე 01402. შეკვეთის № 1705. ტირაჟი 10.000



სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობის
სტამბა-ლითოგრაფია, უნივერსიტეტის ქ., № 1.

Типо-литография ТГУ имени И. В. Сталина, Университетская,